თერთმეტი წუთი
პაოლო კოელიო

მიძღვნა

2002 წლის 29 ივნისს, რამდენიმე საათით ადრე, სანამ ბოლო წერტილს დავსვამდი ამ წიგნის ხელნაწერში, ლურდში გავემგზავრე იქაური სასწაულმოქმედი წყაროს წყლის ასაღებად. და აი, იქ, საკურთხეველთან, ერთმა სამოცდაათ წელს მიტანებულმა კაცმა მკითხა: „თქვენთვის ალბათ უთქვამთ, რომ ძალიან ჰგავხართ პაულო კოელიოს“. „პაულო კოელიო მე ვარ“, — მივუგე მე. მაშინ ის კაცი გადამეხვია, მეუღლესა და შვილიშვილთან წარმადგინა და მითხრა, რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში ჩემმა წიგნებმა — „ისინი ოცნებას მაიძულებენ“.
პირველად როდი მსმენია ეს სიტყვები, ყოველთვის მახარებდა მათი მოსმენა, მაგრამ ამჯერად ძალიან დავიბენი, რადგან ვიცოდი, რომ ჩემს ახალ წიგნს ერთდროულად შეეძლო ადამიანის შეცბუნებაც, შოკში ჩაგდებაც და გულის ტკენაც. მე წყაროსთან მივედი, წყალი ავიღე, უკან დავბრუნდი და ამ კაცს ვკითხე, სად ცხოვრობდა (აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ბელგიის საზღვარზე). ჩავიწერე ასევე მისი სახელი.
ეს წიგნი გეძღვნებათ თქვენ — მორის გრაველინ. მე მოვალე ვარ თქვენი, თქვენი მეუღლის, თქვენი შვილიშვილის და ასევე საკუთარი თავისაც: მე უნდა ვილაპარაკო იმაზე, რაც მაფიქრებს და მაწუხებს და არა იმაზე, რისი გაგონებაც სურთ ჩემგან. ზოგი წიგნი ოცნებას გვაიძულებს, ზოგი რეალობასთან გვაახლოებს, მაგრამ ყოველი მათგანი ავტორისათვის უმთავრესი გრძნობით — გულწრფელობით — არის განმსჭვალული.
რამეთუ მე ვარ პირველი და მეორე — უკანასკნელი
მე ვარ პატივცემული და მოძულებული
მე ვარ მრუში და წმინდანი
მე ვარ ცოლი და ქალწული
მე ვარ დედა და შვილი
მე ჩემი დედის ხელები ვარ
მე ბერწი ვარ, მაგრამ უთვალავი შვილი მყავს
მე ბედნიერი ვარ ქორწინებაში და არ ვარ გათხოვილი
მე ის ვარ, ვინც შვილებს აჩენს და ის, ვინც ვერასოდეს
მოგვცემს შთამომავლობას
მე ვამსუბუქებ მშობიარობის ტკივილებს
მე ვარ ქმარი და ცოლი
და სწორედ მე გავაჩინე ჩემი ქმარი
მე მამაჩემის დედა ვარ
მე ჩემი ქმრის და ვარ
თაყვანი მეცით მარად,
რამეთუ მე ავზნიანი ვარ და დიდსულოვანი.

ჰიმნი ისიდასადმი, ნაპოვნი ნაგ-ჰამადიში
ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ან IV საუკუნეში

იმ ქალაქში იყო ცოდვილი დედაკაცი. როგორც კი გაიგო, იგი ფარისევლის სახლში ზისო, მოიტანა ნელსაცხებელი ალებასტრონის ჭურჭლით;
და დადგა უკან, მის ფეხთით, ცრემლებით უსველებდა ფეხებს და თავისი თმით უხოცდა, ფეხებს უკოცნიდა და ნელსაცხებელს სცხებდა.
ფარისეველმა, რომელმაც იესო მიიწვია, ამის დანახვაზე თავისთვის თქვა: „ეს რომ წინასწარმეტყველი იყოს, შეიტყობდა, ვინ და რანაირი დედაკაცი ეხება მას, რადგან ცოდვილია იგი“.
იესომ მიმართა მას და უთხრა: „რაღაც მაქვს შენთვის სათქმელი, სიმონ“. მან კი უთხრა: „თქვი, მოძღვარო“.
იესომ თქვა: „ერთ მევახშეს ორი მოვალე ჰყავდა: ერთს ხუთასი დინარი ემართა, მეორეს — ორმოცდაათი.
მაგრამ რაკი არ ჰქონდათ, რით გადაეხადათ, ორივეს მიუტევა. ახლა მითხარი, რომელს უფრო მეტად შეუყვარდება იგი?“
სიმონმა უპასუხა: „მე ვფიქრობ, რომელსაც უფრო მეტი მიუტევა“. ხოლო მან უთხრა: „სწორად განსაჯე“.
მიბრუნდა დედაკაცისკენ და სიმონს უთხრა: „ხომ ხედავ ამ დედაკაცს? შენს სახლში შემოვედი და წყალი არ მომეცი ფეხებისათვის, ამან კი ცრემლით დამისველა ფეხები და თავისი თმით შემიხოცა.
შენ არ გიკოცნია ჩემთვის, ამას კი, რაც აქ შემოვიდა, არ შეუწყვეტია ჩემი ფეხების კოცნა.
შენ ზეთი არ გიცხია ჩემს თავზე, ამან კი ნელსაცხებელი სცხო ჩემს ფეხებს.
ამის გამო გეუბნები: მაგას მიეტევა მრავალი ცოდვა, რადგან ძლიერ შეიყვარა, ხოლო ვისაც ცოტა მიეტევა, ცოტათი უყვარს“.

ლუკა 7:37-47

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეძავი, სახელად მარია.
მოიცადეთ! „იყო და არა იყო რა“ კარგი დასაწყისია ზღაპრისათვის, მეძავის ამბავი კი უთუოდ ზრდასრული ადამიანებისათვის არის განკუთვნილი. როგორ შეიძლება, წიგნი იწყებოდეს ასეთი აღმაშფოთებელი წინააღმდეგობით? მაგრამ, ვინაიდან ყოველი ჩვენგანი ცალი ფეხით ჯადოსნურ ზღაპარშია, მეორეთი კი — უფსკრულის პირას, მოდი, მაინც გავაგრძელოთ ისე, როგორც დავიწყეთ. მაშ, ასე:
იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეძავი, სახელად მარია.
როგორც ყველა მეძავი, ისიც სუფთა და უმწიკვლო დაიბადა და სანამ პატარა იყო, ოცნებობდა, რომ შეხვდებოდა თავისი ოცნების მამაკაცს (ლამაზს, მდიდარსა და ჭკვიანს), გაჰყვებოდა მას ცოლად (თეთრ კაბაში გამოწყობილი), გააჩენდა ორ შვილს (რომლებიც გაიზრდებოდნენ და სახელს გაითქვამდნენ) და იცხოვრებდა კარგ სახლში (საიდანაც ზღვა გამოჩნდებოდა). მამამისი ფარდულში ვაჭრობდა, დედა კერავდა, ბრაზილიის პროვინციაში მიკარგულ მის მშობლიურ ქალაქში კი იყო მხოლოდ ერთი კინოთეატრი, ერთი პატარა რესტორანი და ერთი ბანკი... და მარია ელოდა, — აი, დადგება დღე და მოულოდნელად გამოჩნდება მშვენიერი პრინცი, რომელიც უგონოდ შეიყვარებს და მსოფლიოს დასაპყრობად წაიყვანს.
მანამდე კი, სანამ პრინცი გამოჩნდებოდა, მარიას მხოლოდ ოცნება შეეძლო. პირველად თერთმეტი წლისას შეუყვარდა — სკოლისაკენ მიმავალს. ახალი სასწავლო წლის პირველსავე დღეს მარიამ შეამჩნია, რომ თანამგზავრი გამოუჩნდა — მასთან ერთად სკოლაში იმავე განრიგით მეზობლის ბიჭი დადიოდა. ერთმანეთისათვის სიტყვაც კი არ უთქვამთ, მაგრამ

მარიამ შენიშნა, რომ ყველაზე მეტად ის წუთები მოსწონდა, როცა გრძელ გზაზე, მტვერსა და თაკარა მზეში, მწყურვალი მისდევდა სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ბიჭს.
ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვის მანძილზე. მარია, რომელსაც სწავლა ჭირივით ეჯავრებოდა და ტელევიზორის გარდა სხვას არაფერს აღიარებდა გართობის საშუალებად, გონებაში აჩქარებდა დროს, რომ რაც შეიძლება სწრაფად გასულიყო დღე, გათენებულიყო დილა და სკოლაში წასულიყო. ამხანაგებისაგან განსხვავებით, შაბათ-კვირა საერთოდ შესძულდა. და ვინაიდან დრო, როგორც ცნობილია, ბავშვებისათვის უფრო ნელა გადის, ვიდრე დიდებისათვის, იგი იტანჯებოდა და ბრაზობდა იმის გამო, ეს უსასრულო დღეები მას სიყვარულის მხოლოდ და მხოლოდ ათ წუთს რომ ანიჭებდა, ათასობით საათს კი — თავის შეყვარებულზე საფიქრელად და იმაზე საოცნებოდ, რა კარგი იქნებოდა, რომ ერთმანეთს დალაპარაკებოდნენ.
და აი, ასრულდა.
ერთ მშვენიერ დილას ბიჭი მასთან მივიდა და ჰკითხა, ზედმეტი კალამი ხომ არ გაქვსო. მარიამ პასუხი არ გასცა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეწყინა ასეთი უტიფარი გამოხდომა და ფეხს აუჩქარა. არადა, დაინახა თუ არა, რომ ბიჭი უახლოვდებოდა, სუნთქვა შეეკრა, — ვაითუ, მიხვდეს, რა ძლიერ უყვარს, როგორ მოუთმენლად მოელის, როგორ ოცნებობს ხელი ჩასჭიდოს და სკოლის გვერდის ავლით სულ უფრო და უფრო შორს წაიყვანოს, სანამ გზა არ გათავდება და არ მიიყვანს იქ, სადაც, ხალხის თქმით, არის დიდი ქალაქი და ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ტელევიზორში: მსახიობები, ავტომობილები, კინოთეატრები ყოველ ნაბიჯზე და სხვა ათასგვარი გასართობი.
მთელი დღე გაკვეთილებს გული ვერ დაუდო, იტანჯებოდა, რომ ასე სულელურად მოიქცა, და ამავე დროს უხაროდა, რომ ბიჭმა, როგორც იქნა, შენიშნა. კალამი მხოლოდ საბაბი იყო საუბრის დასაწყებად. მან ხომ საკუთარი თვალით დაინახა, რომ ბიჭს კალამი ჯიბეში ედო. ამ და ყველა მომდევნო ღამეს მარია გეგმებს აწყობდა, რა ეპასუხა ბიჭისათვის სხვა დროს, რომ შეცდომა აღარ დაეშვა და სათავე დაედო ისტორიისათვის, რომელსაც დასასრული არ ექნებოდა.
მაგრამ სხვა შემთხვევა აღარ მიეცა, თუმცა ისინი უწინდებურად ერთი გზით დადიოდნენ სკოლაში. მარია ხან წინ უსწრებდა მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული კალმით, ხან უკან ჩამორჩებოდა, რომ შესძლებოდა ალერსით ედევნებინა თვალი, მაგრამ ბიჭს აღარაფერი უთქვამს. ასე რომ, სასწავლო წლის ბოლომდე მარია უჩუმრად იტანჯებოდა.
შემდეგ კი დაუსრულებელი არდადეგები დაიწყო. და აი, ერთხელ მარიამ სისხლით დასვრილ ლოგინში გაიღვიძა. იფიქრა, ვკვდებიო და გადაწყვიტა, შეყვარებულისათვის გამოსამშვიდობებელი წერილი დაეტოვებინა და ტყეში გაქცეულიყო, რომ იქ მაქცია მგელს ან უთავო ჯორს დაეგლიჯა — ერთი სიტყვით, რომელიმე იმ ურჩხულთაგანს, რომელიც შიშის ზარს სცემდა ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებს. ფიქრობდა, რომ მხოლოდ ასეთი სიკვდილის შემთხვევაში არ ინაღვლებდნენ მისი მშობლები. ღარიბები ხომ ასე არიან — უბედურება მათ თავს როგორც გახეული ტომრიდან, ისე აცვივათ, მაგრამ იმედი მაინც რჩებათ. დაე, მის მშობლებსაც ეგონოთ, რომ გოგონა ვინმე უშვილო მდიდრებმა აიყვანეს და ოდესმე აუცილებლად დაბრუნდება შინ მდიდარი და პატივცემული, მაგრამ მას, ვინც მარიას შეუყვარდა (პირველად და სამუდამოდ), მთელი სიცოცხლის მანძილზე ემახსოვრება და ყოველ დილით უსაყვედურებს საკუთარ თავს იმის გამო, რომ მეორედ ვერ გაბედა მასთან გამოლაპარაკება.
მარიამ ვერ მოასწრო წერილის დაწერა — ოთახში დედამისი შემოვიდა, დაინახა სისხლის ლაქები ზეწარზე და გაიღიმა.
— შენ უკვე დიდი ხარ, შვილო.

მარია ცდილობდა გაერკვია, რა კავშირში მისი დიდობა ფეხებზე მოწანწკარე სისხლთან, მაგრამ დედამ არაფერი აუხსნა, მხოლოდ ის უთხრა, რომ საშიში აქ არაფერია, უბრალოდ, ამიერიდან ყოველთვე ოთხი-ხუთი დღით მოუხდებოდა თოჯინის ბალიშის მსგავსი რაღაცის ამოდება. Mმარიამ იკითხა, კაცებიც თუ სარგებლობენ ასეთი რამით, სისხლმა შარვალი რომ არ დაუსვაროთო, მაგრამ როგორც გაიგო, ეს მხოლოდ ქალებს ემართებათ.
მარიამ უსაყვედურა ღმერთს ასეთი უსამართლობისათვის, თუმცა, ბოლოს მაინც მიეჩვია, როგორღაც მოერგო ამ ამბავს. მაგრამ იმას კი, რომ ბიჭს ვეღარ ხვდებოდა, ვერაფრით ვერ შეეგუა და ამიტომ გაუთავებლად კიცხავდა თავს უგუნური საქციელისათვის, რომ გაექცა იმას, რაც ყველაზე სასურველი იყო მისთვის. ჯერ კიდევ სასწავლო წლის დაწყებამდე იგი ქალაქის ერთადერთ ეკლესიაში წავიდა და წმინდა ანტონის ხატთან დაიფიცა, რომ ამჯერად თვითონ დაელაპარაკებოდა ბიჭს.
მეორე დღეს შეძლებისდაგვარად გამოიპრანჭა, ჩაიცვა საგანგებოდ ახალი სასწავლო წლისათვის დედის შეკერილი კაბა და სახლიდან გახარებული გავიდა — მადლობა უფალს, არდადეგები დასრულდა! მაგრამ ბიჭი არ ჩანდა. მთელ კვირას ელოდა, სანამ ერთ-ერთმა თანაკლასელმა არ უთხრა, ბიჭი ქალაქიდან წავიდაო.
— შორეულ მხარეს, — დაუმატა მეორე თანაკლასელმა.
მაშინ მარია მიხვდა, ზოგი რამ შეიძლება სამუდამოდ დაკარგო, და გაიგო, რომ არსებობს ადგილი, რომელსაც „შორეული მხარე“ ჰქვია. მსოფლიო დიდია, მისი ქალაქი კი — პაწაწინა და საუკეთესონი, ბოლოს და ბოლოს, ტოვებენ აქაურობას. მარიაც წავიდოდა, პატარა რომ არ ყოფილიყო. და თავისი ქალაქის მტვრიანი ქუჩების ცქერისას გადაწყვიტა, რომ ოდესმე ბიჭის ნაკვალევს გაჰყვებოდა. ცხრა კვირის შემდეგ კი, პარასკევს, როცა პირველ ზიარებაზე მივიდა, წმინდა მარიამს ამ მიყრუებული ადგილიდან წაყვანა შესთხოვა.
ერთხანს კიდევ დარდობდა მარია, ცდილობდა ბიჭის კვალისათვის მიეგნო, მაგრამ არავინ იცოდა, სად გადავიდნენ საცხოვრებლად მისი მშობლები. და მაშინ მარიას მოეჩვენა, რომ სამყარო ძალიან დიდია, რომ სიყვარული სახიფათოა და რომ სადღაც მეშვიდე ცაზე მყოფ წმინდა მარიამს სულაც არ ესმის შვილების ვედრება.

* * *

გავიდა სამი წელი. მარია სწავლობდა მათემატიკასა და გეოგრაფიას, უყურებდა სერიალებს, სკოლაში პირველად გადაფურცლა უხამსი ჟურნალები და გაიჩინა დღიური, სადაც წერდა თავის ერთფეროვან ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ უნდოდა ეხილა თოვლი და ოკეანე, ჩალმიანი ადამიანები, ძვირფასეულობებით მორთული ელეგანტური ქალბატონები — მოკლედ, ყველაფერი, რასაც ტელევიზორში უჩვენებდნენ და რასაც გაკვეთილებზე ჰყვებოდნენ. მაგრამ, რადგან მხოლოდ ოცნებით ვერაფერს გახდები, მით უფრო, როცა დედა მკერავი გყავს, მამა კი ფარდულში მოვაჭრე, მარია მიხვდა, რომ ყველაფერს ყურადღებით უნდა დაჰკვირვებოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. ბეჯითად შეუდგა სწავლას და ამავე დროს იმ ადამიანის ძებნას, ვინც მის ოცნებებს გაიზიარებდა. და როდესაც თხუთმეტი წლის გახდა, ერთი ბიჭი შეუყვარდა, რომელიც წმინდა კვირას, ჯვრით მსვლელობისას გაიცნო.
არა, მან აღარ დაუშვა უწინდელი შეცდომა, — ამ ბიჭს არათუ გამოელაპარაკა, დაუმეგობრდა კიდეც. ისინი ერთად დადიოდნენ კინოში და სხვადასხვა ზეიმზე. მარიამ რაღაც მსგავსებაც შენიშნა თავის პირველ გრძნობასთან: სიყვარულს უფრო მძაფრად სატრფოსთან ყოფნის დროს კი არ განიცდიდა, არამედ მაშინ, როცა ის მისგან შორს იყო. სწორედ მაშინ ენატრებოდა, დაწვრილებით იხსენებდა ერთად გატარებულ ყოველ წამს და ცდილობდა გაეგო, ყველაფერი თუ გააკეთა, ყველაფერი თუ თქვა ისე, როგორც საჭირო იყო. მოსწონდა საკუთარი თავის გამოცდილ გოგოდ წარმოდგენა, რომელმაც ერთხელ უკვე ხელიდან გაუშვა შეყვარებული, ვერ

მოუფრთხილდა გატაცებას, გაიგო, რა მტანჯველია ადამიანის დაკარგვა, და ახლა გადაუწყვეტია, მთელი ძალით იბრძოლოს საყვარელი არსებისათვის, იმისათვის, რომ ცოლად გაჰყვეს მას, შვილები გააჩინოს და იცხოვროს ზღვის პირას მდებარე სახლში. დედასაც გაანდო თავისი აზრები, მაგრამ მან მხოლოდ ეს უთხრა:
— ჯერ ადრეა შენთვის, შვილო.
— კი მაგრამ, თქვენ ხომ თექვსმეტი წლისა გაჰყევით მამას.
დედამ აღარ აუხსნა, რომ მოულოდნელი ფეხმძიმობის გამო იჩქარა დაქორწინება. მხოლოდ შემოიფარგლა ფრაზით — „მაშინ სხვა დრო იყო", — და ამით ეს თემა ამოიწურა.
მეორე დღეს კი მარია და მისი შეყვარებული ახლომახლო მინდვრებში სეირნობდნენ. ამჯერად ცოტას ლაპარაკობდნენ. მარიამ ჰკითხა, ხომ არ უნდოდა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა. პასუხის ნაცვლად ბიჭი მოეხვია და აკოცა.
პირველი კოცნა! როგორ ოცნებობდა ამაზე! გარემოც სრულიად შესაფერისი იყო — თავს ყანჩები დასტრიალებდნენ, მზე ჩადიოდა, სადღაც შორს მუსიკა ისმოდა და უღიმღამო პეიზაჟი აღსავსე იყო ბობოქარი სილამაზით. მარიამ თავი ჯერ ისე მოაჩვენა, თითქოს ხელის კვრას აპირებდა, მაგრამ მომდევნო წამს თვითონვე მოეხვია და — რამდენჯერ უნახავს ეს კინოში, ტელევიზორში, ჟურნალებში — ტუჩებში ძალუმად ჩაეკონა. თან იდუმალ რიტმს აყოლილი თავს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ხრიდა. ზოგჯერ ბიჭის ენა მის კბილებს ეხებოდა და ეს შეუცნობელ, სასიამოვნო განცდებს ანიჭებდა.
მაგრამ უცებ ბიჭი გაჩერდა.
— შენ რა, არ გინდა?
რა უნდა ეპასუხა? არ უნდოდა? რა თქმა უნდა, უნდოდა და მერე როგორ! მაგრამ ქალი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს, თანაც თავის მომავალ ქმართან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მუდამ იფიქრებს, რომ უბრძოლველად ჩაიგდო ხელში და ყველაფერზე იოლად თანხმდება, ამიტომ მარიამ დუმილი არჩია.
ბიჭი ისევ მოეხვია, ისევ ჩაეკონა მის ტუჩებს, მაგრამ უკვე წეღანდელი მგზნებარების გარეშე და ისევ გაჩერდა ალმურმოდებული. მარია მიხვდა, რაღაც არ აეწყო, მაგრამ მოერიდა ეკითხა, სახელდობრ რა. ხელიხელჩაკიდებული უკან გამობრუნდნენ და გზად სულ სხვა თემაზე საუბრობდნენ, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.
საღამოს კი დიდი გაჭირვებითა და გულმოდგინებით არჩევდა დღიურში ჩასაწერ სიტყვებს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამას ოდესმე აუცილებლად წაიკითხავდნენ. ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ დღისით რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოხდა და დღიურში ჩაწერა:
როდესაც ვინმე გვიყვარს, გვეჩვენება, რომ მთელი სამყარო ჩვენკენაა. დღეს, შებინდებისას, ამაში დავრწმუნდი. მაგრამ თუ რაღაც ისე არ მოხდა, აღარაფერი გრჩება — არც ყანჩები, არც შორეული მუსიკა და არც მისი ტუჩების გემო. ასე სწრაფად სად გაქრა და გაუჩინარდა მთელი ეს სილამაზე, სულ რამდენიმე წუთის წინ ხომ ჯერ კიდევ გარს გვერტყა ყველაფერი ეს?!
ცხოვრება სწრაფია: თვალის დახამხამებაში ზეციდან პირდაპირ ქვესკნელში ვცვივდებით...
მეორე დღეს გადაწყვიტა, მეგობარ გოგონებს დალაპარაკებოდა. ხომ ყველამ დაინახა, როგორ სეირნობდა თავის შეყვარებულთან ერთად, მაგრამ შევთანხმდეთ, მხოლოდ სიყვარული, თუნდაც ძალიან დიდი, ცოტაა, ისე უნდა მოიქცე, რომ გარშემო ყველამ იცოდეს — შენ საყვარელი და სასურველი ხარ. დაქალებს სიგიჟემდე უნდოდათ გამოეკითხათ, რა და როგორ მოხდა. შთაბეჭდილებებით აფორიაქებულმა მარიამაც დაუფარავად უამბო ყველაფერი. თან დასძინა, რომ ყველაზე სასიამოვნო ის იყო, როცა ბიჭის ენა მის კბილებს ეხებოდა. ამის გაგონებაზე ერთ-ერთმა დაქალმა გადაიხარხარა.
— შენ რა, პირს არ აღებდი?
და მარიასათვის იმწამსვე ყველაფერი გასაგები გახდა — ბიჭის შეკითხვაც და მისი უეცარი წყენაც.

— რისთვის?
— სხვანაირად ენის შეყოფა შეუძლებელია.
— განსხვავება რაშია?
— არ ვიცი, როგორ აგიხსნა. უბრალოდ, როცა კოცნიან, ასე აკეთებენ.
მოგუდული ქირქილი, მოჩვენებითი თანაგრძნობა, ფარული ნიშნის მოგება გოგონებისა, რომელთაც ჯერ არავინ ჰყვარებიათ... მარიამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და სხვებთან ერთად იცინოდა. სიცილით კი იცინოდა, მაგრამ გულში მწარედ ტიროდა და წყევლიდა კინოს, რომლის წყალობითაც ისწავლა თვალების დახუჭვა, თითების შემოჭდობა შეყვარებულის კეფაზე, თავის მიბრუნება ხან მარცხნივ, ხან — მარჯვნივ, მთავარი კი, ყველაზე მნიშვნელოვანი, იქ არ უჩვენებიათ. და მან მშვენიერი ახსნა მოიფიქრა („მე მაშინ ჯერ არ მინდოდა შენთან ნამდვილი კოცნა, რადგანაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ შენ ხარ ჩემი ცხოვრების მამაკაცი, ახლა კი მივხვდი...“) და დაელოდა შესაფერის შემთხვევას.
სამი დღის შემდეგ კი ქალაქის კლუბში გამართულ საღამოზე თავისი შეყვარებული სწორედ იმ თავის დაქალთან დაინახა ხელჩაკიდებული, რომელმაც ეს საბედისწერო შეკითხვა დაუსვა. მარიამ ყველას ისე მოაჩვენა თავი, თითქოს მისთვის ყველაფერი ეს სულერთი იყო და გმირულად გაძლო საღამოს დასრულებამდე. მეგობრებთან კინომსახიობებსა და სხვა ცნობილ ადამიანებზე საუბრობდა და არ იმჩნევდა თანაგრძნობით აღსავსე გამოხედვებს. მხოლოდ შინ დაბრუნებულმა მისცა გრძნობებს გასაქანი — ქვეყანა დაიქცა! — ცრემლები მოერია და მთელი ღამე მწარედ ქვითინებდა. მას შემდეგ მთელი რვა თვის განმავლობაში იტანჯებოდა და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი არ იყო გაჩენილი სიყვარულისათვის, სიყვარული კი — მისთვის. მონაზვნად აღკვეცაზეც ფიქრობდა, რომ დარჩენილი სიცოცხლე იესოს სიყვარულისათვის, ანუ იმ სიყვარულისათვის მიეძღვნა, რომელიც ტანჯვას არ მოუტანდა და გულში იარებს არ დაუტოვებდა.
მასწავლებლები ჰყვებოდნენ აფრიკაში მიმავალ მისიონერებზე და მარიამ ამაში იპოვა გამოსავალი — რაღაა მისი ცხოვრება, თუ გრძნობებისათვის ადგილი აღარ დარჩა?! მონასტერში წასვლის გეგმებს აწყობდა, თან პირველი დახმარების აღმოჩენას სწავლობდა (ამბობენ, აფრიკაში ადამიანები პანტაპუნტით იხოცებიანო), განსაკუთრებულ გულმოდგინებას ღვთისმეტყველების გაკვეთილებზე იჩენდა. წარმოიდგენდა ხოლმე, მეორე მარია ტერეზასავით როგორ გადაარჩენდა ხალხს და როგორ გაიკვლევდა გზას უღრან ტყეებში, სადაც ლომები და ვეფხვები დაძრწიან.
თხუთმეტი წლის ასაკში მარიამ ერთი აღმოჩენაც გააკეთა (გარდა იმისა, რომ სიყვარულს მხოლოდ ტანჯვა მოაქვს და როგორ უნდა კოცნა გაღებული პირით) — მასტურბაცია. როგორც ყოველი აღმოჩენა, ესეც თითქმის შემთხვევით მოხდა. ერთხელ, დედის მოლოდინში, ხელი ფეხებს შორის წაივლო და ამ მიდამოების ფერება დაიწყო. ამას პატარაობაშიც აკეთებდა და ეს სიამოვნებას ანიჭებდა. მაგრამ ერთხელ მამამ წაასწრო და მაგრად გატყიპა, ისე, რომ მიზეზი არ აუხსნია. მარიამ დაასკვნა, რომ საკუთარი თავის ფერება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ვერავინ გხედავს. და რადგან შუა ქუჩაში ამის კეთებას ვერ დაიწყებდა, საკუთარი ოთახი კი არ ჰქონდა, ეს აკრძალული სიამოვნება მალევე მიივიწყა.
მიივიწყა სწორედ ამ დღემდე, როცა უიღბლო კოცნიდან თითქმის ნახევარი წელი იყო გასული. დედა იგვიანებდა, საქმე არაფერი ჰქონდა, მამა მეგობრებთან ერთად სადღაც წასულიყო, ტელევიზორში საინტერესოს არაფერს უჩვენებდნენ და მოწყენილობისაგან თავისი სხეულის თვალიერება და შესწავლა დაიწყო, — ხომ არ გაეზარდა სადმე ზედმეტი ბეწვი, რომ უმალვე პინცეტით ამოეძრო. თავისდა გასაკვირად, იმ ადგილის ზემოთ, რომელსაც ეროტიკულ ჟურნალებში „სოროს“ ან „ღრიჭოს“ უწოდებდნენ, პატარა ბორცვი შენიშნა, შეეხო მას და ვეღარ გაჩერდა: სიამოვნება სულ უფრო მატულობდა, მთელი სხეული,

განსაკუთრებით კი ის ადგილი, რომელსაც თითებით ეხებოდა, დაეძაბა, თითქოს დაებურთაო. სულ უფრო და უფრო ეჩვენებოდა, რომ სამოთხეშია, ნეტარება სულ უფრო მკვეთრი და მცხუნვარე ხდებოდა.
მარიას უკვე აღარაფერი ესმოდა, თვალწინ რაღაც მოყვითალო მირაჟი ალივლივდა. და აი, ის ათრთოლდა და სიცოცხლეში პირველი ორგაზმისაგან აკვნესდა.
ორგაზმი!!!
მოეჩვენა, რომ მაღლა ცაში აფრინდა, მერე კი ნელ-ნელა დაეშვა ძირს. მთელ ტანზე ოფლმა დაასხა და ძალის საოცარ მოზღვავებასთან ერთად უცნაური ნეტარება განიცადა, — თითქოს რაღაც განხორციელდა, შედგა, აღსრულდა. აი, ეს არის სექსი! რა სასწაულია! არავითარი უწმაწური ჟურნალები, სადაც ამდენს ქადაგებენ არამიწიერ სიამოვნებაზე. და არავითარი კაცები! მათ მხოლოდ სხეული უყვართ ქალისა, სულში კი აფურთხებენ. შესაძლებელია, მარტომაც ისიამოვნო. მარიამ მეორედაც სცადა. ამჯერად წარმოიდგინა, რომ მას განთქმული მსახიობი ეფერებოდა — ხელახლა აფრინდა სამოთხეში და მიწაზე უფრო მეტი ენერგიით დამუხტული დაეშვა. მესამე სეანსს რომ შეუდგა, დედაც დაბრუნდა.
თავისი აღმოჩენა მეგობარ გოგონებს გაანდო, თუმცა დამალა, რომ ეს სულ რამდენიმე საათის წინ გააკეთა. ყველამ, ორის გამოკლებით, უსიტყვოდ გაუგო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ამაზე აშკარად ლაპარაკს ვერ ბედავდა. მარიამ თავი ლიდერად იგრძნო და ახალი თამაში — „იდუმალის გამჟღავნება“ მოიფიქრა: თითოეულ მათგანს უნდა მოეყოლა მასტურბაციის საყვარელი ხერხის შესახებ. და მარიამ რამდენიმე ახალი მეთოდი გაიგო: ერთმა სიცხეში საბანქვეშ ურჩია ამის გაკეთება (მისი თქმით, ოფლი ამისათვის მისწრებაა), მეორე ბატის ბუმბულს იყენებდა იმ ადგილებში შესაღიტინებლად (რა ექვა ამ ადგილს, მან არ იცოდა), მესამემ შესთავაზა, ბიჭისათვის მიენდოთ ამის გაკეთება (მარიამ ეს სავსებით ზედმეტად მიიჩნია), მეოთხე ბიდეს აღმავალ წყლის ჭავლს ამჯობინებდა (მარიას სახლში ბიდეს შესახებ არც კი სმენოდათ, მაგრამ ის ხშირად დადიოდა სტუმრად მდიდარი მეგობრების სახლებში, ასე რომ, ადგილი ექსპერიმენტის ჩასატარებლად გამოჩნდებოდა).
ასეა თუ ისე, შეიტყო თუ არა მასტურბაციის შესახებ და გამოსცადა კიდეც ზოგიერთი იმ მეთოდთაგანი, რომლებიც მეგობარმა გოგონებმა გაანდვეს, მარიამ სამუდამოდ უარყო ფიქრი მონასტერში წასვლაზე. ეს ხომ ნეტარებას ანიჭებდა, ეკლესია კი სექსსა და ხორციელ სიამეს ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს. იმავე მეგობარი გოგონებისაგან მოისმინა ყოველგვარი საშინელებანი: ონანიზმისაგან სახეზე მუწუკები ჩნდება, შეიძლება ჭკუიდან შეიშალო, შეიძლება დაფეხმძიმდე კიდეც. და ასეთი რისკის ფასად მარია აგრძელებდა საკუთარი თავის დასაჩუქრებას კვირაში ერთხელ მაინც, როგორც წესი, ხუთშაბათობით, როცა მამა მეგობრებთან ბანქოს სათამაშოდ მიდიოდა.
ამავდროულად, სულ უფრო ნაკლებად თავდაჯერებული ხდებოდა კაცებთან და სულ უფრო მეტად ოცნებობდა მშობლიური ქალაქიდან წასვლაზე. მარიას მესამედაც შეუყვარდა, მერე მეოთხედაც, ისწავლა კოცნა. ბიჭებთან პირისპირ დარჩენისას ბევრის უფლებას აძლევდა მათაც და საკუთარ თავსაც, მაგრამ ყოველთვის, მისი რაღაც შეცდომის გამო, რომანი სწორედ იმ მომენტში წყდებოდა, როცა მარია საბოლოოდ რწმუნდებოდა, რომ ეს სწორედ ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისთანაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდა.
დიდი დრო გავიდა, სანამ დაასკვნიდა, რომ მამაკაცებს მოაქვთ მხოლოდ ტანჯვა, წამება, გულგატეხილობა და იმის განცდა, რომ დღეები ნელა მიიზლაზნება. ერთ მშვენიერ დღეს პარკში დაინახა, როგორ ეთამაშებოდა ახალგაზრდა ქალი თავის ორი წლის ბიჭუნას და გადაწყვიტა: შეუძლია, იოცნებოს ქმარზე, შვილებსა და სახლზე ზღვის პირას, მაგრამ არაფრისდიდებით აღარავის შეიყვარებს, რადგან გატაცება მხოლოდ აფუჭებს ყველაფერს.

* * *

ასე გადიოდა მისი ყრმობა. მარია იზრდებოდა და მშვენდებოდა. განსაკუთრებულ ხიბლს ის იდუმალი, ნაღვლიანი გამოხედვა ანიჭებდა, რომელიც კაცებს ასე იზიდავდა. და ისიც ხან ერთს ხვდებოდა, ხან — მეორეს, ოცნებობდა და განიცდიდა, თუმცა, თავის თავს შეჰფიცა, რომ აღარასოდეს არავის შეიყვარებდა. ერთ-ერთ პაემანზე უმანკოებაც დაკარგა. ეს ამბავი მანქანის უკანა სავარძელზე მოხდა: ის და მისი მორიგი თაყვანისმცემელი გატაცებით კოცნიდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს. ბიჭმა ისეთი სიჯიუტე გამოიჩინა, რომ მარია, რომლის ყველა დაქალსაც ქალწულობა დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა, დანებდა მას. მასტურბაციისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ის მეცხრე ცაზე ადიოდა, ნამდვილ სექსს მტკივნეული შეგრძნებების მეტი არაფერი მოუტანია. თან გულიც დასწყდა სისხლით მოსვრილ ქვედაკაბაზე, რომელიც მერე ძლივს გამორეცხა. არავითარი მსგავსება პირველ კოცნასთან, იმ ჯადოსნურ წამებთან — ყანჩების ნავარდი, მზის ჩასვლა, შორეული მუსიკის ხმა... არა, მას ამის გახსენება აღარ უნდოდა.

მას შემდეგ, რაც დაემუქრა, რომ მამამისმა შეიძლება მკვლელობაც კი ჩაიდინოს, თუკი მისი გაუპატიურების ამბავს გაიგებს, მარიამ ამ ბიჭთან კიდევ რამდენიმე ღამე გაატარა. ბიჭი ერთგვარ სასწავლო თვალსაჩინოებად გადააქცია და ცდილობდა, ყველა შესაძლებელი ხერხით გაეგო, სად იმალება სიამოვნება პარტნიორთან სექსის დროს.

ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: მასტურბაციას ბევრად მეტი სიამოვნება მოჰქონდა, გარჯაც ბევრად ნაკლები სჭირდებოდა. ნუთუ ტყუილად უჩიჩინებდნენ ერთხმად ჟურნალები, ტელეპროგრამები, წიგნები, ამხანაგები, ყველა, აბსოლუტურად ყველა, თითქოს პირი შეკრესო, რომ მამაკაცი აუცილებელია. მარიას ეჭვიც კი გაუჩნდა, თვითონ მას ხომ არ სჭირდა რაღაც. უფრო მეტად ჩაუჯდა გაკვეთილებს და ერთხანს თავიდან ამოიგდო ეს საუცხოო მოვლენა, სახელად სიყვარული.

ჩვიდმეტი წლის ასაკში მარიამ დღიურში ჩაწერა:

ჩემი მიზანია, გავიგო, რა არის სიყვარული. როცა მიყვარდა, ვგრძნობდი, რომ ვცოცხლობდი, ის კი, რაც ახლა ხდება, შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ შთაგონება არ მოაქვს.

სიყვარული საშინელებაა! მე მინახავს, როგორ იტანჯებოდნენ ჩემი მეგობრები და არ მინდა, მსგავსი რამ განვიცადო. ადრე ისინი დამცინოდნენ და ქირქილებდნენ ჩემი ქალწულობის გამო, ახლა კი მეკითხებიან, როგორ ვახერხებ კაცების დამორჩილებას. მე უხმოდ ვიღიმები, რადგან ვიცი, ეს წამალი ავადმყოფობაზე უარესია: უბრალოდ, მე არ მიყვარს. დღითი დღე უფრო ნათელი ხდება, რა სუსტი, მერყევი და უპირო არიან კაცები, როგორი ადვილია მათთვის თავგზის აბნევა და ანაზდად თავს წადგომა... ზოგიერთი ჩემი მეგობრის მამილო უკვე ცდილობდა ჩემს შებმას, მაგრამ მე მოვიშორე ისინი. ადრე ეს აღმაშფოთებდა და გულისწყრომას გამოიწვევდა ჩემში, ახლა კი ვხვდები, რომ ასეთია კაცების ბუნება.

ჩემი მიზანია, გავიგო, რა არის სიყვარული და თუმცა ვიტანჯები იმათ გამო, ვისაც გული ვაჩუქე, ნათლად ვხედავ: ვინც ჩემს სულს ეხება, ჩემს ხორცს ვერ აღაგზნებს, ხოლო ვინც ჩემს ხორცს ეხება, უძლურია ჩასწვდეს ჩემს სულს.

* * *

მარიას ცხრამეტი წელი შეუსრულდა, სკოლა დაამთავრა, ფართლეულის მაღაზიაში გამყიდველად დაიწყო მუშაობა და ამ მაღაზიის მფლობელს შეუყვარდა, მაგრამ ამ დროისათვის ის უკვე სრულად ფლობდა მამაკაცებთან ურთიერთობის ხელოვნებას. მას არც ერთხელ არ მიუცია ამ კაცისათვის მოურიდებლად მოპყრობის უფლება, მაგრამ თავის სილამაზეში დარწმუნებული მუდმივად ახელებდა და აღაგზნებდა.

რა ძალა აქვს სილამაზეს? როგორ ცხოვრობენ ულამაზო ქალები? მარიას ჰყავდა რამდენიმე მეგობარი, რომლებსაც ვერ ამჩნევდნენ წვეულებებზე. მათ არავინ ეკითხებოდა: „როგორაა საქმეები?“ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ეს გონჯები ბევრად ნაკლებად აფასებდნენ

მათთვის გაღებულ მცირედ სიყვარულს, უჩუმრად იტანჯებოდნენ უარყოფილები და ცდილობდნენ, მომავლის იმედით ეცხოვრათ, ცდილობდნენ, შეღებვისა და გამოპრანჭვის გარდა, კიდევ მოეძებნათ რაიმე, ვინმესათვის რომ მოეწონებინათ თავი. ისინი ბევრად უფრო დამოუკიდებელი იყვნენ და საკუთარ თავთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, თუმცა, მარიას აზრით, სამყარო მათთვის აუტანელი უნდა ყოფილიყო.
თვითონ მარიამ კარგად იცოდა თავისი სილამაზის ძალა. და მიუხედავად იმისა, რომ დედის რჩევა-დარიგებებს, ჩვეულებისამებრ, ივიწყებდა, ერთი მათგანი მტკიცედ დაიმახსოვრა: „სილამაზე, შვილო, არ არის მარადიული“. და ამიტომ იგი აგრძელებდა მაღაზიის მეპატრონესთან კატათაგვობანას თამაშს, არც ხელს ჰკრავდა საბოლოოდ და არც ზედმეტად დაახლოების უფლებას აძლევდა, რამაც შედეგად ხელფასის საგრძნობი ზრდა მოუტანა (მარიამ ხომ არ იცოდა, რამდენ ხანს შეძლებდა მის შეკავებას ლოგინში ჩაწვენის იმედით), რომ არაფერი ვთქვათ საზეგანაკვეთო ანაზღაურებაზე (ბოლოს და ბოლოს, მეპატრონეს სიამოვნებს, როცა ის მის სიახლოვესაა, თუმცა ეშინია, რომ ერთ საღამოსაც გავა მაღაზიიდან და დიდ, წმინდა სიყვარულს შეხვდება). მარიამ ზედიზედ ოცდაოთხ თვეს იმუშავა, მშობლებს ფული მისცა და, როგორც იქნა, აისრულა თავისი დიდი ხნის ნატვრაც. საკმარისი თანხა მოაგროვა იმისათვის, რომ ერთი კვირა თავისი ოცნების ქალაქში, ქვეყნის სავიზიტო ბარათად ქცეულ რიო-დე-ჟანეიროში გაეტარებინა, სადაც სახელგანთქმული ადამიანები და ვარსკვლავები ცხოვრობენ.
მაღაზიის მფლობელს მასთან ერთად წასვლა მოუნდა, დაჰპირდა, რომ ყველა ხარჯს თავის თავზე აიღებდა, მაგრამ მარიამ თავი დაიძვრინა, მოატყუა, თითქოს დედამისმა ერთადერთი და უსათუო პირობა წაუყენა: თუკი ის მაინცდამაინც მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ადგილას გამგზავრებას არ დაიშლიდა, ღამე უსათუოდ თავის ბიძაშვილთან, აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატთან, უნდა გაეთენებინა.
— თანაც მაღაზია ვის უნდა დაუტოვოთ? თქვენ ხომ არა გყავთ ადამიანი, ვისაც ენდობით?
— შენობით მომმართე, — უთხრა მაღაზიის მფლობელმა და მარიამ მის თვალებში კარგად ნაცნობი ვნების ცეცხლი დაინახა. ამან გააოცა, ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ კაცს გონებაში მხოლოდ სექსი უტრიალებდა. ახლა კი მისი თვალები სულ სხვაზე მეტყველებდნენ: „მე შემიძლია, მოგცე სახლი, ოჯახი და ფული შენი მშობლებისათვის“. ძალიანაც კარგი! ცეცხლის უფრო მეტად ასაგიზგიზებლად მარიამ კოცონში ფიჩხის დამატება გადაწყვიტა და თქვა, რომ ძალიან მოენატრება საყვარელი სამსახური და ის ადამიანები, რომელთაც ასე მიეჩვია (საგანგებოდ გამოთქვა თავისი აზრი ასე ბუნდოვნად: არა უშავს, ცოტა დაიტანჯოს, დაე, იმკითხაოს, შედის თუ არა ამ ადამიანთა რიცხვში). თან დაამშვიდა, რომ ფრთხილად იქნებოდა და საფულესა და ღირსებას არ დაკარგავდა. სინამდვილეში კი მას, უბრალოდ, უნდოდა, რომ არავის — არც ერთ ადამიანს მსოფლიოში! — არ დაერღვია მისი სრული თავისუფლების პირველი კვირა. ის ყველაფერს გააკეთებს, რაც მოეპრიანება — ოკეანეში იბანავებს, გამოელაპარაკება უცხო ადამიანებს, დაათვალიერებს მდიდრული მაღაზიების ვიტრინებს და შინაგანად მოემზადება მშვენიერ პრინცთან შესახვედრად, რომელიც სამუდამოდ თან წაიყვანს.
— ბოლოს და ბოლოს, რა არის ერთი კვირა? — იკითხა მან მომაჯადოებელი ღიმილით, — ისე გაივლის, ვერც კი შენიშნავ. მალე დავბრუნდები და შევუდგები ჩემი მოვალეობის შესრულებას.
უნუგეშოდ დარჩენილმა მეპატრონემ ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ ბოლოს პოზიციები დათმო, რადგან ამ დროისათვის უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა: როდესაც მარია დაბრუნდებოდა, იგი მას ხელს სთხოვდა. თანაც არ უნდოდა, მის თვალში ზედმეტად დაჟინებული გამოჩენილიყო და ამით საქმე გაეფუჭებინა.

ორი დღე-ღამე ავტობუსში — და მარია უკვე კოპაკაბანას მესამეხარისხოვან სასტუმროში იყო (ო, კოპაკაბანა, ო, ეს ზღვა, ო, ეს ცა!..). ჩემოდნები არც კი ამოულაგებია, მხოლოდ გამომგზავრების წინ ნაყიდი ბიკინი ამოიღო, ჩაიცვა და, მოღრუბლულობის მიუხედავად, პლაჟზე გაიქცა. ზღვას შეხედა თუ არა, შიშმა შეიპყრო და მიუხედავად იმისა, რომ სირცხვილით იწვოდა, მაინც შევიდა წყალში.
პლაჟზე არავის შეუმჩნევია, როგორ მოხდა ამ გოგონას პირველი შეხვედრა ოკეანესთან, წყლის დედოფალ იემანჟასთან, წყლის დინებებთან, ტალღების ქაფთან და, შესაბამისად, — ატლანტიკის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ლომებით სავსე აფრიკის ნაპირთან. წყლიდან გამოსვლისთანავე მასზე სამმა კაცმა მიიტანა იერიში: ვიღაც ქალმა მისთვის „ნატურალური პროდუქტებისგან“ დამზადებული სენდვიჩის მიყიდვა სცადა, შავკანიანმა ჯეელმა საღამოს გასეირნება შესთავაზა, რასაკვირველია, თუ მარია თავისუფალი იქნებოდა, ხოლო ბატონმა, რომელმაც პორტუგალიურად არც ერთი სიტყვა არ იცოდა, ჟესტების ენაზე ქოქოსის რძეზე დაპატიჟა.
მარიამ სენდვიჩი იყიდა, რადგან უარის თქმა, უბრალოდ, მოერიდა, მაგრამ დანარჩენ ორთან საუბარს თავი აარიდა. თუმცა, ნელ-ნელა დადარდიანდა: რატომ მოიქცა ასე სამარცხვინოდ, მას ხომ ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რაც მოეპრიანება?! თავის საქციელს ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა და ბოლოს გაკვირვებულმა როგორც თავისი გამბედაობით, ასევე შუა ზაფხულისათვის სრულიად შეუფერებლად ცივი წყლით, გადაწყვიტა, დარჩენილიყო პლაჟზე და ღრუბლებიდან მზის გამოჩენას დალოდებოდა.
ბატონი, რომელიც პორტუგალიურად ვერ ლაპარაკობდა, მაშინვე მის მახლობლად გაჩნდა და ისევ შესთავაზა ქოქოსის რძე. მარიამ, გახარებულმა იმით, რომ მასთან საუბარი საჭირო არ იყო, უარი არ უთხრა, რძე დალია და გაუღიმა. კაცმაც გაუღიმა. ასეთ სასიამოვნო და უსიტყვო ურთიერთობაში რაღაც დრომ განვლო, — შენ ერთი ღიმილი მაჩუქე, მე ორს დაგიბრუნებ. მაგრამ აი, უცხოელმა ჩანთიდან პატარა წითელყდიანი ლექსიკონი ამოიღო და საშინელი აქცენტით წარმოთქვა: „ლამაზი“. მარიამ კვლავ გაუღიმა — ის, რასაკვირველია, ელოდა ზღაპრულ უფლისწულთან შეხვედრას, მაგრამ ამ უფლისწულს აუცილებლად მისი ენა უნდა სცოდნოდა და აუცილებლად უფრო ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო.
უცხოელი ლექსიკონს ფურცლავდა და აღარ ეშვებოდა:
— ვახშამი დღეს?
და მაშინვე დაამატა:
— შვეიცარია!
და შემდეგ კიდევ ორი სიტყვა, რომლებიც, რა ენაზეც უნდა გამოითქვას, სამოთხის მუსიკად ჟღერს:
— სამუშაო! დოლარი!
რესტორანი „შვეიცარია“ მარიას არ გაეგო, თან იფიქრა: ნუთუ ყველაფერი თავისთავად ხდება და ოცნებები ასე სწრაფად ცხადდება?! არა, უარის თქმა უფრო კეთილგონივრულია: დიდი მადლობა, მაგრამ დღეს დაკავებული ვარ, დოლარების ყიდვას კი არ ვაპირებ.
უცხოელმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო, სასოწარკვეთილმი მხოლოდ ღიმილს ახერხებდა, ბოლოს რამდენიმე წუთით მიატოვა და თარჯიმანთან ერთად დაბრუნდა, რომლის დახმარებითაც გააგებინა, რომ ჩამოსულია შვეიცარიიდან (და ეს სულაც არ არის რესტორანი, ქვეყანაა ასეთი) და სურს, საღამოს მარიასთან ერთად ივახშმოს, რომ შრომითი მოწყობის თაობაზე საქმიანი წინადადება შესთავაზოს. თარჯიმანმა, რომელიც უცხოელის თანაშემწედ და ოტელის დაცვის თანამშრომლად გაეცნო მარიას, თავის მხრივ დაამატა:
— შენ ადგილას რომ ვიყო, დავთანხმდებოდი. ეს ბიძა ცნობილი იმპრესარიოა, ნიჭიერ გოგონებს ეძებს ევროპაში სამუშაოდ. თუ გინდა, ზოგიერთს გაგაცნობ, ვინც მისი წინადადება

მიიღო, გამდიდრდა და კარგად გათხოვდა. მათ შვილებს უმუშევრობა და სიკვდილი აღარ ემუქრებათ.
და მარიაზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით დასძინა:
— სხვათა შორის, შვეიცარიაში მშვენიერ საათებსა და შოკოლადს ამზადებენ.
მარიას სამსახიობო გამოცდილება მხოლოდ და მხოლოდ წყლის დამტარებლის როლით შემოიფარგლებოდა — იგი უსიტყვოდ გამოდიოდა და ასევე უსიტყვოდ ტოვებდა სცენას პიესაში „ქრისტეს ვნებები", რომელსაც პრეფექტურა ყოველ წელს დგამდა წმინდა კვირას. ავტობუსში ვერ გამოიძინა, მაგრამ ზღვამ აღაგზნო, ნატურალური და არცთუ მთლად ნატურალური პროდუქტებისაგან გაკეთებულმა სენდვიჩებმა დაღალა, დაბნეულიც იყო, რადგან ამ ქალაქში არავის იცნობდა. ადრეც ყოფილა ასე, მამაკაცი ოქროს მთებს ჰპირდებოდა, მაგრამ საბოლოოდ არაფერი ხდებოდა. ასე რომ, ამჯერადაც საამისოდ მზად იყო.
მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამ შანსს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი აძლევდა და დარწმუნებული იყო, მისი ერთკვირიანი შვებულების არც ერთ წამს ფუჭად არ უნდა ჩაევლო. გარდა ამისა, ივახშმებდა კარგ რესტორანში, — ესე იგი, შინ დაბრუნებულს უფრო მეტი ექნებოდა მოსაყოლი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გადაწყვიტა, დასთანხმებოდა მიწვევაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ თარჯიმანიც წამოვიდოდა, ვინაიდან უკვე დაიღალა ამდენი ღიმილითა და ისეთი სახის მიღებით, თითქოს ესმოდა, რას ამბობდა უცხოელი.
საქმეს უმნიშვნელო რამ ართულებდა — მარიას გამოსასვლელი ტანსაცმელი არ ჰქონდა. ეს წინაღობა გადაულახავი ჩანდა: ქალი ქმრის ღალატში უფრო გამოტყდება, ვიდრე სათანადო ტუალეტის უქონლობაში. მაგრამ მარიას აზრით, ამ ადამიანებს შეიძლება ვეღარასდროს შეხვედროდა და, შესაბამისად, დასაკარგიც არაფერი ჰქონდა.
— მე ახლახან ჩამოვედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და კაბა არ მაქვს.
უცხოელმა თარჯიმნის დახმარებით გააგებინა, არაფერზე შეწუხებულიყო და თავისი ოტელის მისამართი მისცა. იმავე დღეს, შებინდებისას, მან მიიღო კაბა, რომლის მსგავსიც არასოდეს ენახა და ფეხსაცმელი, რომლის ფასიც მარიას წლიურ შემოსავალს უდრიდა.
და მან იგრძნო, რომ პირველ ნაბიჯებს დგამს იმ გზაზე, რომელიც ელანდებოდა ბრაზილიის სერტანებში, სადაც გავიდა მისი ბავშვობა და ყრმობა, სადაც გვალვის გარეშე წელიც არ ჩაივლიდა, სადაც ჭაბუკებს წასასვლელი არ აქვთ, სადაც მისი პატარა, ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ქალაქი მდებარეობს, სადაც სიცოცხლე კი არ ჩქეფს, არამედ მდორედ მიედინება და ყოველი დღე მომდევნოს ჰგავს. ახლა კი იგი სამყაროს პრინცესა გახდება! უცხოელმა სამსახური, დოლარები, ჯადოსნური, ზღაპრული კაბა და საარაკოდ ძვირფასი ფეხსაცმელი შესთავაზა! მაკიაჟიღა დარჩა და აქ იმ გაღატაკებული ოტელის პორტიე დაეხმარა, რომელშიც მარია გაჩერდა. გოგონა დაეხმარა და თან გააფრთხილა, რომ ყველა უცხოელი როდია პატიოსანი, ისევე, როგორც რიო-დე-ჟანეიროს ყველა მაცხოვრებელი — ბანდიტი.
მარიამ ეს გაფრთხილება ყურად არ იღო, ვახშმისათვის გამოეწყო და გული მხოლოდ იმაზე დასწყდა, რომ სახლიდან ფოტოაპარატი არ გამოიყოლა, სამახსოვრო სურათის გადაღება რომ შესძლებოდა. იქამდე იტრიალა სარკის წინ, სანამ არ მიხვდა, რომ შეხვედრაზე აგვიანდებოდა. თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა — როგორც კონკია წვეულებაზე! — და გაექანა იმ ოტელისაკენ, სადაც შვეიცარიელი ცხოვრობდა. დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა გაირკვა, რომ თარჯიმანი მათთან ერთად არ აპირებდა წამოსვლას:
— ენა მეათეხარისხოვანია. მთავარია, შენთან მყუდროდ იგრძნოს თავი.
— რა მყუდროებაზეა ლაპარაკი, როცა არ ესმის, რას ვამბობ?!
— არც არის საჭირო. ეს კარგიცაა. საჭიროა მხოლოდ მუხტი.
მარია ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს. მის სამშობლოში ადამიანები შეხვედრისას შეკითხვებს სვამდნენ და, შესაბამისად, პასუხსაც სცემდნენ — მიმდინარეობდა სიტყვათა ცვლა, აზრთა

გაცვლა-გამოცვლა. მაგრამ მაილსონმა — ასე ერქვა თარჯიმან-მცველს — დაარწმუნა, რომ რიოში და მთელ დანარჩენ მსოფლიოში საქმე სხვაგვარად იყო.
— არაფრის გარკვევა არ გჭირდება. საჭიროა, მან თავი კარგად იგრძნოს. იგი უშვილო ქვრივია, კაბარეს მეპატრონე, ჰოდა, იქ გამოსაყვანად ბრაზილიელ გოგონებს ეძებს. მე ვუთხარი, რომ შენ, როგორც ჩვენთან ამბობენ, „ამ საქმისთვის არ ხარ“, მაგრამ გაჯიუტდა, თურმე, როგორც კი წყლიდან ამოხვედი, მაშინვე შეუყვარდი. შენი საცურაო კოსტიუმიც მოეწონა.
ის ცოტა ხანს გაჩუმდა.
— მაგრამ ერთ კეთილ რჩევას მოგცემ: თუ გინდა, აქ ვინმე შეაბა, სხვანაირი საცურაო კოსტიუმი შეიძინე. ამ შვეიცარიელის გარდა, ის რიოში არავის მოეწონება, ძალიან ძველმოდურია. ასეთები, დიდი ხანია, აღარ აცვიათ.
მარიამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ეს არც გაუგიაო.
— და კიდევ, — განაგრძო მაილსონმა, — ვფიქრობ, მან უბრალოდ კი არ მოგაქცია ყურადღება, დარწმუნებულია, ყველა მონაცემი გაქვს იმისათვის, რომ შენი ნომერი პროგრამის ღერძი გახდეს. მართალია, მას არ უნახავს, როგორ ცეკვავ, არ გაუგია, როგორ მღერი, მაგრამ მიაჩნია: ყველაფერი ეს თავისით მოვა. სილამაზე კი ისაა, რითაც უნდა დაიბადო. ევროპელები ასეთები არიან, — აქ იმ რწმენით ჩამოდიან, თითქოს ყველა ბრაზილიელი ქალი, ტემპერამენტის თვალსაზრი¬სით, ქალი კი არა, ვულკანია და ყველა ცეკვავს სამბას. თუ მას მართლაც სერიოზული გეგმები აქვს, გირჩევ, ქვეყნის დატოვებამდე კონტრაქტი დაადებინო და ხელმოწერა შვეიცარიის საკონსულოში დაამოწმებინო. ხვალ ოტელის მახლობლად პლაჟზე ვიქნები და მომძებნე, რაიმე თუ იქნება გასარკვევი.
შვეიცარიელმა ღიმილით ჩაჰკიდა მარიას ხელი და მიუთითა იქვე მომლოდინე ტაქსიზე.
— თუ მას ან შენ სხვა გეგმები გაგიჩნდებათ, გახსოვდეს, ღამეში აქ სამას დოლარს იღებენ. ნაკლებზე არ დათანხმდე.
ვიდრე მარია პასუხის გაცემას მოასწრებდა, ისინი უკვე ტაქსიში ისხდნენ და შვეიცარიელი წინასწარ დაზუთხულ სიტყვებს იმეორებდა. საუბარი მარტივი იყო:
— მუშაობა? დოლარები? ბრაზილიელი ვარსკვლავი?
მარიას თარჯიმნის სიტყვები ახსენდებოდა, — სამასი დოლარი ღამეში! ეს მთელი ქონებაა! სულაც არ არის საჭირო, სიყვარულის გამო იტანჯებოდე. მას შეუძლია მაღაზიის მეპატრონის მსგავსად ისიც მოხიბლოს, გაჰყვეს ცოლად, გააჩინოს ბავშვი, მშობლებს ცხოვრება შეუმსუბუქოს. რა აქვს დასაკარგი? შვეიცარიელი ასაკშია, დიდხანს ვერ იცოცხლებს, ის კი მდიდარ ქვრივად დარჩება. მარიას ეჩვენებოდა, რომ შვეიცარიაში ბევრი ფულია, ქალი კი — ცოტა.
ვახშამი უსიტყვოდ მიდიოდა: ღიმილი, საპასუხო ღიმილი. და მარია თანდათან ხვდებოდა, თუ რას ნიშნავს მუხტი. თანამგზავრმა ალბომი უჩვენა მისთვის უცხოენოვანი წარწერებითა და ბიკინებში გამოწყობილი ქალების ფოტოებით (მართლაც, მისი საცურაო კოსტიუმი ახლოსაც ვერ მივიდოდა ამ უფრო ლამაზ და უფრო მოღიავებულ კოსტიუმებთან), ამონაჭრები გაზეთებიდან, თვალისმომჭრელი, მყვირალა აფიშები და ბუკლეტები, სადაც აქა-იქ ჩანდა ერთადერთი ნაცნობი სიტყვა — „ბრაზილია“. მარია ბევრს სვამდა, შიშობდა, რომ სადაცაა ამას მოჰყვებოდა სწორედ ის ყბადაღებული შეთავაზება (თუმცა, აქამდე მისთვის მსგავსი არაფერი შეუთავაზებიათ, მაგრამ სამასი დოლარი ქუჩაში არ ყრია, ბახუსისგან კი ყველაფერი რაღაცნაირად მარტივდება, თანაც თუ გაიხსენებ, რომ შენი მშობლიური ქალაქიდან ახლომახლო არავინ არის). მაგრამ შვეიცარიელი ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა — დაჯდომისას სკამსაც კი აშველებდა. ბოლოს მარიამ დაიჩივლა, რომ დაიღალა და პაემანი მეორე დღისათვის პლაჟზე დაუნიშნა (რა უნდა, თითით აჩვენო ციფრი საათის ციფერბლატზე, გააკეთო ტალღისებრი მოძრაობა ხელით და რამდენჯერმე გარკვევით გაიმეორო „ხვალ“).
იგი თითქოს მიხვდა, შეხედა თავის საათს (უთუოდ შვეიცარიულს) და თავი დაუქნია.

ღამით ცუდად ეძინა. დიდი ხნის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ჩასთვლიმა და ესიზმრა, თითქოს ყველაფერი, რაც მოხდა, სიზმარი იყო. შეშფოთებულს გამოეღვიძა, მაგრამ მალევე დამშვიდდა — მოკრძალებულ ნომერში სკამის საზურგეზე ძვირფასი კაბა ეკიდა, იქვე მოჩანდა ფეხსაცმელიც, დათქმულ დროს კი პლაჟზე შვეიცარიელი უნდა მოსულიყო.
ჩანაწერი მარიას დღიურში შვეიცარიელის გაცნობის დღეს:
ყველაფერი მკარნახობს, რომ მზად ვარ, შეცდომა დავუშვა, მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს. რა უნდა ჩემგან ქვეყნიერებას? რისკზე რომ არ წავიდე? რომ დავბრუნდე იქ, საიდანაც მოვედი და არ გავბედო, ვუთხრა ცხოვრებას „დიახ“?
თერთმეტი წლისამ, იმ დღეს, როდესაც ბიჭმა მკითხა, ზედმეტი კალამი ხომ არ გაქვსო, შეცდომა დავუშვი. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრება ყოველთვის არ გაძლევს მეორე შანსს და ჯობია, მიიღო ის საჩუქარი, რომელსაც იგი დროდადრო მოგართმევს. დიახ, მე რისკზე მივდივარ, თუმცა, იმაზე მეტად არა, ვიდრე იმ ავტობუსში ჩაჯდომისას, რომელმაც რიოში ჩამომიყვანა — ხომ შეიძლებოდა იგი ავარიაში მოხვედრილიყო. თუკი ვინმეს ან რაიმეს მიმართ ერთგულება უნდა შევინარჩუნო, უპირველესად, ეს თვით მე ვარ. თუ ვეძებ ნამდვილ და დიდ სიყვარულს, ჯერ უნდა დავიღალო უმნიშვნელო გრძნობებით, შემთხვევითი რომანებით. ჩემი მწირი გამოცდილება მასწავლის: არავინ არაფერს ფლობს, სამყაროში ყველაფერი მოჩვენებითი და არამყარია, — და ეს ეხება მატერიალურ კეთილდღეობასაც და სულიერ სიმდიდრესაც. ადამიანი, რომელიც კარგავს იმას, რაც მისი აზრით, მის მუდმივ მფლობელობაში უნდა ყოფილიყო (მე ასეთი რამ ხშირად დამმართნია), ბოლოს და ბოლოს ხვდება, რომ მას არაფერი ეკუთვნის.
და თუკი არაფერი მეკუთვნის, მე ვერ დავხარჯავ დროს იმაზე, რაც ჩემი არ არის; ჯობს, ისე იცხოვრო, თითქოს დღევანდელი დღე შენი სიცოცხლის პირველი (ან უკანასკნელი) დღეა.

* * *

მეორე დღეს თარჯიმან-მცველ მაილსონის თანდასწრებით, რომელიც საკუთარ თავს იმპრესარიოსაც უწოდებდა, მარიამ განაცხადა, რომ დათანხმდება შემოთავაზებულ წინადადებას, თუ საკონსულოში დამოწმებულ დოკუმენტს მიიღებს. შვეიცარიელმა, რომლისთვისაც ასეთი პირობა, ეტყობა, პირველი არ იყო, უპასუხა, რომ თვითონაც ამის მომხრეა, ვინაიდან მის ქვეყანაში მუშაობისათვის ოფიციალური ქაღალდია საჭირო, რომელზეც შავით თეთრზე ეწერება: მარიას გარდა, არავის არ შეუძლია იმის გაკეთება, რის გაკეთებასაც ის აპირებს. ასეთი დოკუმენტის შოვნა ძნელი არ არის, — შვეიცარიელი ქალები ხომ სამბასთვის მოწოდებული არ არიან. ისინი ქალაქის ცენტრში წავიდნენ. მაილსონმა საკომისიო მოითხოვა — ოცდაათი პროცენტი მარიას მიერ მიღებული ხუთასი დოლარიდან.
— ახლა გადახდის კვირაა. ერთი კვირა, გესმის? შენ გექნება კვირაში ხუთასი დოლარი, მაგრამ უკვე დაქვითვის გარეშე, მე ფულს მხოლოდ პირველი გადახდიდან ვიღებ.
ამ წუთამდე მომავალი მგზავრობა, თვით ფიქრიც კი სადმე გამგზავრებაზე, რაღაც ოცნებისმაგვარ არარეალობად ჩანდა. ოცნება კი ძალზე მოსახერხებელია, რადგან სულაც არ ვართ ვალდებული განვახორციელოთ ის, რაზეც ვოცნებობთ. თავისუფალი ვართ ყოველგვარი რისკისაგან, წარუმატებლობის სიმწარისაგან, მძიმე წუთებისაგან, ხოლო სიბერეში ყოველთვის შეგვიძლია დავადანაშაულოთ ვინმე, — მშობლები (ეს ყველაზე ხშირია), მეუღლე, შვილები, — რომ ვერ მივაღწიეთ საწადელს.
და აი, გამოჩნდება შანსი, რომლის იმედიც გვქონდა, მაგრამ ნეტავ სულ არ გამოჩენილიყო! როგორ შეძლებს ის ღირსეულად უპასუხოს მისთვის შეუცნობელი ცხოვრების გამოწვევას, როგორ აირიდებს საფრთხეს, რომლის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვს? როგორ უნდა მიატოვოს ყველაფერი, რასაც შეეჩვია? რატომ აღმოჩნდა ღვთისმშობელი ასე გულუხვი?

მარია თავს იმით ინუგეშებდა, რომ შეეძლო, ნებისმიერ დროს ეთქვა უარი ამ წამოწყებაზე, ყველაფერი ხუმრობად ექცია. განეცხადებინა, რომ არაფერზე არ აგებს პასუხს, რომ, უბრალოდ, ახალი შთაბეჭდილებებისაკენ ილტვოდა, რათა შინ დაბრუნებულს მოსაყოლი ჰქონოდა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ აქედან ათასი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობს, საფულეში სამას ორმოცდაათი დოლარი აქვს და ხვალ რომ ჩემოდნები ჩაალაგოს და შინ გაიქცეს, ვერასოდეს იპოვიან.
საღამოს, საკონსულოდან მობრუნებულს, ზღვის სანაპიროზე მარტოს მოუნდა გავლა. ათვალიერებდა ბავშვებს, ფრენბურთელებს, მათხოვრებს, ლოთებს, კუსტარული ნაკეთობების (ჩინეთში დამზადებული ტიპური ბრაზილიური სუვენირების) გამყიდველებს, ძუნძულით მორბენლებს, სიბერის ასარიდებლად ტანვარჯიშს რომ მისდევენ, შვილებზე გადაყოლილ დედებს, ბანქოს მოთამაშე პენსიონერებს. აი, ის ჩამოვიდა რიო-დე-ჟანეიროში, იყო უპირველესი თანრიგის რესტორანშიც, შვეიცარიის საკონსულოშიც, გაიცნო უცხოელი, მისი თარჯიმანი, საჩუქრად ისეთი კაბა და ფეხსაცმელი მიიღო, როგორსაც მის ქალაქში ვერავინ, აბსოლუტურად ვერავინ შესწვდებოდა.
ახლა რა?
მარია ჰორიზონტს გასცქეროდა, რომლის იქით ზღვის მეორე ნაპირი მდებარეობს. გეოგრაფიის სახელმძღვანელო ამტკიცებს, რომ თუ პირდაპირ ივლი, მოხვდები აფრიკაში, სადაც ლომები და გორილებია. თუ ცოტა ჩრდილოეთისაკენ გადაუხვევ, მოხვდები ზღაპრულ სამყაროში, რომელსაც ევროპა ჰქვია. იქ ეიფელის კოშკია, პიზის კოშკი, დისნეილენდი. რას კარგავს? როგორც ყოველმა ბრაზილიელმა, სამბას ცეკვა იმაზე ადრე ისწავლა, ვიდრე ენას ამოიდგამდა. არ მოეწონება და ყოველთვის შეუძლია დაბრუნება. მით უმეტეს, რომ უკვე მიხვდა, ამქვეყნად ყოველი შესაძლებლობა უნდა გამოიყენო.
ძალიან ხშირად ამბობდა „არა“-ს, როცა „ჰო“-ს თქმა უნდოდა. ძალიან ხშირად იღებდა გადაწყვეტილებას, — გამოეცადა მხოლოდ ის, რისი გაკონტროლებაც შეეძლო. აი, თუნდაც მისი რომანები. ახლა კი შეუცნობლის წინაშე დგას, — ისეთივე შეუცნობლის, როგორიც ეს ზღვაა იმათთვის, ვინც სულ პირველად მიემართება მასზე სანაოსნოდ. ეს ისტორიის გაკვეთილებიდან ახსოვდა. რა თქმა უნდა, ამჯერადაც შეიძლება „არა“-ს თქმა, მაგრამ სანანებლად რომ დაურჩეს მთელი სიცოცხლის მანძილზე, იმ ბიჭის ამბისა არ იყოს, კალამი რომ სთხოვა და მერე პირველ სიყვარულთან ერთად გაქრა? „არა“-ს თქმაც შეიძლება, მაგრამ რატომ არ სცადოს ამჯერად „ჰო“-ს თქმა? ერთი უბრალო მიზეზის გამო: მარია მიყრუებული პროვინციიდანაა, ცხოვრებაში არაფერი უნახავს და არაფერი იცის. საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნის, ტელესერიალების მძლავრი კულტურისა და საკუთარ სილამაზეში დაჯერებულობის მეტი არაფერი აბადია. ეს აშკარად არაა საკმარისი იმისთვის, რომ ცხოვრებას თვალი გაუსწორო.
მარია ხედავდა, როგორ არხეინად უყურებდა ზღვის ტალღებს რამდენიმე ადამიანი, მაგრამ წყალში შესვლას ვერ ბედავდნენ. სულ რაღაც ორიოდე დღის წინ ისიც ასეთი იყო, ახლა კი არაფრის ეშინია. წყალშიც გადახტება, თუ მოისურვებს, თითქოს ამ მხარეში დაიბადაო. იქნებ ევროპაშიც ასევე იყოს?
მარიამ გულში ლოცვა დაიწყო, ისევ შესთხოვა ღვთისმშობელს რჩევა და რამდენიმე წუთში თავი უფრო დაცულად იგრძნო. დიახ, დაბრუნება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ყოველთვის არ გეძლევა ასე შორს გამგზავრების შანსი. ღირს გარისკვა, როცა სასწორის ერთ პინაზე ოცნებაა (მით უფრო, თუ შვეიცარიელი არ გადაიფიქრებს), მეორეზე კი — შინ უკონდიციონერო ავტობუსით დაბრუნება.
მარია ისე შეგულიანდა, რომ როდესაც შვეიცარიელმა ისევ მიიპატიჟა სავახშმოდ, მიბნედილი, მგრძნობიარე სახით ხელზე შეეხო, მაგრამ შვეიცარიელმა უმალ გამოსტაცა. და აი, მაშინ — შიშნარევი შვების გრძნობით — ის მიხვდა, რომ საქმე სერიოზულადაა.

— სამბას ვარსკვლავი! — თქვა მან, — ბრაზილიური სამბას ლამაზი ვარსკვლავი! წავიდეს ერთი კვირას მერე!
ყველაფერი საოცრება იყო. მაგრამ ეს „ერთი კვირას მერე“ ყველა დასაშვებ ფარგლებს სცდებოდა. მარიამ აუხსნა, რომ მშობლების რჩევის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. მაშინ შვეიცარიელმა მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ასლი აუფრიალა, აი, აქ კი მარია მართლა შეშინდა:
— კონტრაქტი!
თუმცა, გამგზავრება გადაწყვეტილი ჰქონდა, მაინც საჭიროდ ჩათვალა, მაილსონს მოთათბირებოდა, — ტყუილად ხომ არ თვლიდა თავის თავს მარიას იმპრესარიოდ. სულაც არა. ამაში კარგ ფულსაც იღებდა.
მაგრამ მაილსონს მისთვის არ სცხელოდა. ის გერმანელი ტურისტი ქალის შეცდენას ცდილობდა, რომელიც სულ ახლახან მოეწყო ოტელში და ლიფის გარეშე ირუჯებოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ბრაზილიაში თავისუფალი ზნე-ჩვეულებებია გაბატონებული (და ვერ ამჩნევდა, რომ პლაჟზე მხოლოდ ის დადიოდა მოშიშვლებული მკერდით, რითაც გარშემო მყოფთ უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა). ბოლოს, როგორც იქნა, მარიამ შეძლო მაილსონის გამოჭერა.
— თუ გადავიფიქრე, მაშინ? — ჩაეძია მარია.
— მე არ ვიცი, რა წერია კონტრაქტში, მაგრამ ვფიქრობ, შვეიცარიელი სასამართლოში გიჩივლებს.
— მე ის ვერასოდეს მიპოვის.
— ეგეც მართალია. მაშინ ნუღარაფერზე იდარდებ.
ახლა შვეიცარიელს გაუჩნდა სადარდებელი. ხუთასი დოლარი უკვე გადახდილი ჰქონდა, ამას დაუმატეთ კაბის, ფეხსაცმლის, რესტორანში ორი ვახშმისა და საკონსულოში კონტრაქტის გაფორმების ხარჯები. და როცა მარიამ ისევ დაიჩემა, მშობლებს უნდა მოვეთათბიროო, შვეიცარიელმა გადაწყვიტა, თვითმფრინავის ორი ბილეთი აეღო და მარიასთან ერთად მის მშობლიურ ქალაქში გადაფრენილიყო, რომ ორმოცდარვა საათში ყველაფერი მოეგვარებინა, ერთი კვირის შემდეგ კი, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, ევროპაში დაბრუნებულიყო. თუმცა, ისევ ისე თავაზიანად უღიმოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მარია ხვდებოდა, რომ საქმე დოკუმენტს ეხებოდა, დოკუმენტებთან კი, ისევე, როგორც ცდუნებასა და გრძნობებთან, ხუმრობა არ შეიძლება.
მთელმა ქალაქმა ქედმაღლური თავზარდაცემა განიცადა, როდესაც მისი პირმშო, მშვენიერი მარია, რიოდან უცხოელთან ერთად დაბრუნდა, რომელიც მას ევროპაში ეპატიჟებოდა, ვარსკვლავად რომ ექცია. ამის შესახებ ყველა მეზობელმა შეიტყო — ახლობელმაც და შორეულმაც, — თანაკლასელი გოგონები კი მხოლოდ ერთს ეკითხებოდნენ: „ეს როგორ მოახერხე?“.
— გამიმართლა, — პასუხობდა მარია.
მაგრამ გოგოები ჩაეძიენ — ვინც რიოში ჩადის, ყველას ხომ არ უმართლებს ასე. ეს ძალიან ჰგავდა „საპნის ოპერის“ ეპიზოდს. მარია არც „ჰო“-ს ამბობდა და არც „არა“-ს, რომ მიღებული გამოცდილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა და ეჩვენებინა მათთვის, — ის განსაკუთრებული ადამიანია.
მასთან სახლში შვეიცარიელმა ისევ ამოიღო თავისი ალბომი, ბუკლეტი და კონტრაქტი. მარია განმარტავდა, რომ ახლა მას ჰყავს თავისი იმპრესარიო და ოცნებობს არტისტულ კარიერაზე. დედამ გაკვრით შეავლო თვალი იმ ციცქნა ბიკინებს, რომლებშიც გამოწყობილიყვნენ სურათებზე აღბეჭდილი გოგონები და უსიტყვოდ დააბრუნა ალბომი. მისთვის მთავარი იყო, შვილი ბედნიერი და მდიდარი ჰყოლოდა ან უბედური, მაგრამ მაინც მდიდარი.
— რა ჰქვია?

— როჟე.
— ჩვენებურად როჟერიო! ასე ჩემს დეიდაშვილს ეძახდნენ.
შვეიცარიელს გაეღიმა, ტაში დაუკრა და ყველასათვის ნათელი გახდა, — ის მიხვდა კითხვის არსს. მამამ მარიას უთხრა:
— ეგ ჩემი ტოლი უნდა იყოს.
მაგრამ დედამ სთხოვა, არ ჩარეულიყო და შვილის ბედნიერებისთვის ხელი არ შეეშალა. როგორც ყველა მკერავი, ისიც ბევრს ესაუბრებოდა თავის კლიენტებს და დიდი გამოცდილება მიეღო სიყვარულისა და ცოლქმრული ცხოვრების საკითხებში, ამიტომაც ურჩია:
— იცი, რას გეტყვი, შვილო, ჩალურში სამოთხეს სჯობს, მდიდარს ჰყავდე ცოლად და არ იყო ბედნიერი. ჩალურში სამოთხე არ არსებობს. იქ კი, სადაც მიდიხარ, მეტი შანსი გაქვს ბედნიერი თუ არა, მდიდარი მაინც გახდე. თუ საქმე არ გამოვიდა, დაჯდები ავტობუსზე და სახლში მოგრიალდები...
მარია, თუმცა პროვინციაში გაიზარდა, მაინც უფრო ჭკვიანი იყო, ვიდრე დედას ან მომავალ ქმარს წარმოედგინა.
— დედა, ევროპიდან ბრაზილიაში ავტობუსები არ დადის, — თქვა მან, — თანაც მე ქმარს კი არ ვეძებ, მსახიობი მინდა გავხდე.
დედამ ლამის სასოწარკვეთილმა შეხედა:
— იქამდე თუ ჩააღწევ, როგორმე უკანაც დაბრუნდები. მსახიობობა მანამ არის კარგი, სანამ ქალი ახალგაზრდა და ლამაზია. ასე ოცდაათ წლამდე. მერე კი არ შეფერხდე, მოძებნე შენთვის წესიერი და პატიოსანი ადამიანი, ისეთი, რომ უყვარდე, და გაჰყევი ცოლად. სიყვარულზე ძალიანაც ნუ იზრუნებ. მე თავიდან სულაც არ მიყვარდა მამაშენი. ფულით ყველაფერს იყიდი ამქვეყნად, მათ შორის, ნამდვილ სიყვარულსაც. ამ დროს, მამაშენი სულაც არ არის მდიდარი.
დიახ, ეს იყო დედის რჩევა, დაქალისა კი არა! და ორმოცდარვა საათის შემდეგ მარია ისევ რიოში იყო. მაგრამ წასვლის წინ მაინც მოასწრო — მარტომ, რა თქმა უნდა — იმ მაღაზიაში შევლა, სადაც შვებულებამდე მუშაობდა და ანგარიში გაასწორა.
— გავიგე, გავიგე, რომ სახელგანთქმულმა ფრანგმა იმპრესარიომ შენი პარიზში წაყვანა გადაწყვიტა, — უთხრა მეპატრონემ, — შენს შეკავებას და გადარწმუნებას არ ვეცდები, ეძიე შენი ბედი. უბრალოდ, განშორების წინ მინდა, რაღაც გითხრა.
მან ჯიბიდან ზონარზე ჩამობმული ავგაროზი ამოიღო.
— ეს კურთხეული მარადქალწულის ავგაროზია. პარიზში მის სახელზე ტაძარია აგებული, ჰოდა, რამე რომ მოხდეს, შეგიძლია იქ წახვიდე და მფარველობა სთხოვო მას. ხედავ, აქ რა წერია?
ქალწულის გამოსახულების ირგვლივ გამოყვანილი იყო სიტყვები: „მარიამ, უბიწოდ ჩამსახველო, ილოცე ჩვენთვის და მიგვიღე საფარველსა ქვეშე შენსა. ამინ“.
— ეს სიტყვები დღეში ერთხელ მაინც გაიმეორე და... — მას ენა დაება, მაგრამ უკვე გვიანი იყო, — ...და თუ ოდესმე დაბრუნებას გადაწყვეტ, იცოდე, რომ გელოდები. მე ხელიდან გავუშვი შესაძლებლობა, შენთვის ერთი უბრალო რამ მეთქვა: „მე შენ მიყვარხარ“. შეიძლება უკვე გვიანაა, მაგრამ მინდა, რომ ეს იცოდე.
თუ რას ნიშნავს „შესაძლებლობის ხელიდან გაშვება“, მარიამ უკვე დიდი ხანია იცოდა, ხოლო სიტყვები „მე შენ მიყვარხარ“ ოცდაორი წლისათვის საკმარისად სმენია, თანაც ეჩვენებოდა, რომ ეს სიტყვები სავსებით მოკლებულია აზრს — მათ ხომ არაფერი სერიოზული, ღრმა, მყარი და ხანგრძლივი არ მოჰქონდათ. და მარიამ მადლობა გადაუხადა მეპატრონეს, ეს სიტყვები სადღაც ქვეცნობიერში გადამალა (არასდროს იცი, რა ოინებს მოგიწყობს ცხოვრება, ამიტომ სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ განსაკუთრებული გარემოებების დროს სადღაც მიგესვლება), ლოყაზე უმანკო ამბორით დააჯილდოვა და უკანმოუხედავად წავიდა.

რიოში დაბრუნებულებმა სულ რაღაც ერთ დღეში გაახერხეს მარიას პასპორტი („ბრაზილია მართლაც ძალიან შეიცვალა“, — თქვა როჟემ ამასთან დაკავშირებით, თან ორ-სამ პორტუგალიურ სიტყვას რამდენიმე უცხოურიც დაუმატა, რაც მარიამ ასე თარგმნა: „არადა, ადრე რამდენი ხლაფორთი სჭირდებოდა ამას“). იმპრესარიო-მცველი-თარჯიმანი მაილსონის დახმარებით შეიძინეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კოსმეტიკა, ყველაფერი, რაზეც მარიასნაირ ქალს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. გაფრენამდე როჟემ მარია კაბარეში წაიყვანა და ძალიან გაიხარა, როცა მარიამ უპირატესობა მიანიჭა ნამდვილ ვარსკვლავს (რომელიც კაბარე „კოლონიში“ გამოდიოდა), შავგვრემან ლამაზმანს ჭროღა თვალებითა და გრაუნის ფრთის ფერი თმით (ბრაზილიაში არის ასეთი ფრინველი, რომლის შეფერილობასაც ადგილობრივი მწერლები კუნაპეტ შავ თმას ადარებენ). საკონსულოში აიღეს ვიზა მუშაობის ნებართვით, ჩაალაგეს ჩემოდნები და მეორე დღესვე გაემგზავრნენ საათებით, შოკოლადითა და ყველეულით განთქმულ ქვეყანაში. მარიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი შვეიცარიელის მოხიბლვა, — ბოლოს და ბოლოს, ის არცთუ ისე ბებერია, სულაც არ არის მახინჯი და ღარიბიც აშკარად არ უნდა იყოსო. მეტი რაღა უნდოდა?

* * *

მარია ხანგრძლივმა ფრენამ გააწამა, მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდი იყო. ჯერ კიდევ აეროპორტში იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული შიშისაგან: ამჯერად მთლიანად ამ კაცის ხელშია, არც ქვეყანას იცნობს და არც ენა იცის, თანაც ისე ცივა... როჟე კი თვალსა და ხელს შუა შეიცვალა: აშკარად აღარ ცდილობდა მარიასათვის თავის მოწონებას. არც ადრე უცდია ეკოცნა ან მკერდზე მოევლო ხელი, მაგრამ ახლა სრულ გულგრილობას იჩენდა. მან მარია პატარა ოტელში მიიყვანა და მის თანამემამულეს, ახალგაზრდა და სევდიან ქალს, სახელად ვივიანს, ჩააბარა.

ვივიანმა უცერემონიოდ შეათვალიერა, თუმცა, შეეძლო უფრო თბილადაც მოპყრობოდა საზღვარგარეთ პირველად მოხვედრილ თავის თანამემამულეს. მოკითხვებზე დრო არ დაუკარგავს და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— ილუზიებს ნუ შეიქმნი. ყოველთვის, როგორც კი რომელიმე მოცეკვავე თხოვდება, ეს კი საკმაოდ ხშირად ხდება, როჟე ბრაზილიაში მიდის. მან იცის, რაც უნდა, ვფიქრობ, შენც იცი. აქ ალბათ სამიდან ერთ-ერთისათვის ჩამოხვედი — ან ახალი შთაბეჭდილებებისთვის, ან ფულისთვის, ან ქმრის საპოვნელად.

როგორ მიხვდა? ნუთუ ამქვეყნად ყველას ერთი და იგივე სურს? ან იქნებ ვივიანს აზრების წაკითხვა შეუძლია?

— ყველა, ვინც აქ ხვდება, ამას ეძებს, — განაგრძობდა ვივიანი, — რაც შეეხება შთაბეჭდილებებს, აქ ძალიან ცივა, თანაც მოგზაურობისათვის ფული არ გეყოფა. ახლა კი ანაზღაურების შესახებ. იცოდე, რომ უკან დასაბრუნებელი ბილეთის, კვებისა და ბინის ხარჯების დასაფარად მთელ წელს ვირივით მუშაობა მოგიწევს.

— კი მაგრამ...

— ვიცი, ვიცი, ასე არ მორიგებულხართ. მაგრამ შენ, ისევე როგორც ყველა დანარჩენს, დაგავიწყდა გეკითხა ამის შესახებ. უფრო წინდახედული რომ ყოფილიყავი, კონტრაქტს ყურადღებით წაიკითხავდი და უფრო ზუსტად გეცოდინებოდა, სად მოხვდი. საქმე ის არის, რომ შვეიცარიელები არ ტყუიან, უბრალოდ, ისინი ბევრ რამეზე დუმილს ამჯობინებენ.

მარიამ იგრძნო, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ იატაკი.

— დაბოლოს, ქმარი. ყოველი გათხოვება როჟეს ფინანსებისათვის საგრძნობი დარტყმაა. ამიტომ მოკვდება და ამას არ დაუშვებს. კლიენტებთან ლაპარაკიც კი გვეკრძალება. ვინმეს გასაცნობად დიდ რისკზე წასვლა მოგიწევს. ჩვენთან ეს არ გამოვა. აქ ასეთი გარემოა... რაღაც ოჯახურის მსგავსი. ეს ბერნის ქუჩა არ გეგონოს.

— ბერნის ქუჩა?
— ჩვენთან ცოლქმრული წყვილები და ტურისტები დადიან. ესენი, როგორც წესი, ცოტანი არიან. ისინი კი, ვინც მეგობარს ეძებს, სადმე სხვაგან მიდიან. ცეკვა ისწავლე. თუ სიმღერასაც ისწავლი, უფრო მეტს გადაგიხდიან, მაგრამ უფრო მეტადაც შეშურდებათ შენი. ასე რომ, თუნდაც მთელს ბრაზილიაში საუკეთესო სოპრანო იყო, სიმღერას ნუ ეცდები. და მთავარი, — სატელეფონო საუბრებით ნუ გაერთობი, თორემ რასაც გამოიმუშავებ, ყველაფერი ზარებში დაგეხარჯება.
— ის მე კვირაში ხუთას დოლარს შემპირდა!
— კარგი, თვითონ ნახავ...
შვეიცარიაში ჩამოსვლიდან კვირა-ნახევრის თავზე მარიამ დღიურში ჩაწერა:
კაბარეში ვიყავი და „ქორეოგრაფი“ გავიცანი. ის წარმოშობით იმ ქვეყნიდანაა, რომელსაც მაროკოს ეძახიან. ბრაზილიაში არასოდეს ყოფილა, მაგრამ დაუსრულებლად მაიძულებდა, მემეორებინა პა, რასაც ის „სამბას“ ეძახის. ხანგრძლივი ფრენის შემდეგ დასვენებაც კი ვერ მოვასწარი და პირველსავე საღამოს ცეკვა მომიწია. ჩემ გარდა, აქ კიდევ ხუთი გოგო მუშაობს. არც ერთს არ უთქვამს, რომ ბედნიერია, არც ერთს ხეირიანად არ ესმის, რისთვის არის აქ. კლიენტები სვამენ, ტაშს უკრავენ, საჰაერო კოცნას გზავნიან, მალულად უხამს ჟესტებსაც აკეთებენ, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდის.
გუშინ ხელფასი მომცეს — შეპირებული თანხის ზუსტად მეათედი. დანარჩენი კონტრაქტის პირობებით ავიაბილეთსა და სასტუმროზე დამექვითა. ვივიანი ვარაუდობს, რომ ერთი წელი ასე გაგრძელდება და ამ ხნის განმავლობაში გაქცევას ვერ მოვახერხებ.
ისე, გაქცევა მინდა კი? სულ ახლახან ჩამოვფრინდი აქ, ჯერ არაფერი ვიცი. განა ასე ძნელია საღამოობით ცეკვა კვირაში შვიდი დღის განმავლობაში? ადრე ამას საკუთარი სიამოვნებისათვის ვაკეთებდი, ახლა ამას ფულისა და სახელისათვის გავაკეთებ. იმედია, ფეხები ჯერ არ მიმტყუნებს. მხოლოდ ისაა ძნელი, მთელ საღამოს იღიმებოდე.
ჩემ წინაშე არჩევანია — ან ამ ქვეყნის მსხვერპლი გავხდე ან განძის მაძიებელი ავანტიურისტი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მე თვითონ რა თვალით შევხედავ საკუთარ თავს და საკუთარ ცხოვრებას.

მარიამ მეორე არჩია. უნდა ეძიო დამალული განძი, გრძნობები კი გვერდზე გადადო. ღამღამობით ბალიში ცრემლით არ უნდა დანამო, დაივიწყო ყველაფერი, რაც იყო და ვინც იყო აქამდე. მალე დარწმუნდა, რომ საკმაო ნებისყოფა აქვს იმისათვის, რომ ითვალთმაქცოს. თითქოს ახლად დაიბადა. გრძნობები მოიცდის, ახლა ფული უნდა აკეთოს, გაიცნოს სხვისი ქვეყანა და შინ გამარჯვებული დაბრუნდეს.
თუმცაღა გარშემო ყველაფერი ბრაზილიას აგონებდა, კერძოდ კი მის ქალაქს: ირგვლივ პორტუგალიური ლაპარაკი ისმოდა, გოგონები ხმამაღლა ჩიოდნენ მამაკაცებზე და მძიმე შრომაზე, აგვიანებდნენ კაზინოში, ეუხეშებოდნენ მეპატრონეს და ყოველ მათგანს თავი ყველაზე ლამაზი ეგონა, ყოველი მათგანი ყვებოდა ჯადოსნურ პრინცზე. ეს პრინცები კი, — ყველა, როგორც ერთი, — ან ცხრა მთას იქით იყვნენ, ან ცოლიანები, ან ისეთი ღარიბები, რომ შეყვარებულების ხარჯზე ცხოვრობდნენ. გარემო სულ არ იყო ისეთი, როგორიც ბუკლეტებისა და აფიშების თვალიერებისას წარმოედგინა. აი, ვივიანმა კი ზუსტად განსაზღვრა, — აქ ყველაფერი შინაურულადაა. გოგონებს კლიენტებთან ყოველგვარი ურთიერთობები ეკრძალებოდათ, ისინი ხომ შესაბამის ფორმულარებში „სამბას შემსრულებლებად“ ირიცხებოდნენ. ტელეფონით ლაპარაკისას თუ წაასწრებდნენ, ნახევარი თვის ხელფასს დაქვითავდნენ. და მარიას, რომელსაც ყველაფერი ეს სულ სხვაგვარად, უფრო ცოცხლად და

მხიარულად, წარმოედგინა, ნელ-ნელა სევდისა და ნაღველის დამთრგუნველი გრძნობა მოერია.
პირველ ხანებში იშვიათად ტოვებდა ოტელს, უფრო სწორად, პანსიონს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ მისი ლაპარაკი არავის ესმოდა, თუნდაც ყოველი ფრაზა დამარცვლით წარმოეთქვა. იმანაც ძალზე გააკვირვა, რომ ქალაქს, რომელშიც იგი აღმოჩნდა, ორი სახელით მოიხსენიებდნენ. აქაურები მას „ჟენევას“ ეძახდნენ, მისი თანამემამულეები კი — „ჟენებრას“.
და აი, ბოლოს, თავისი პატარა ნომრის ოთხ კედელშUუა, სადაც ტელევიზორიც კი არ იდგა, დიდი და მომქანცველი ფიქრის შემდეგ ორი რამ დაასკვნა:
ა) ის ვერასოდეს იპოვის იმას, რასაც ეძებს, სანამ ვერ შეძლებს იმის გამოხატვას, რასაც ფიქრობს. ამიტომ აუცილებლად უნდა ისწავლოს ადგილობრივი ენა.
ბ) ვინაიდან ყველა მის დაქალს ერთი და იგივე მისწრაფება აქვს, მარია უნდა შეიცვალოს.
მაგრამ როგორ მიეღწია ამისათვის, ჯერ ვერ წარმოედგინა.
ჟენევაში ჩამოფრენიდან ოთხი კვირის თავზე მარიამ დღიურში ჩაწერა:
მეჩვენება, რომ მთელი საუკუნე გავიდა. ერთი სიტყვაც არ მესმის, რას ლაპარაკობენ ჩემ გარშემო, ამიტომაც საათობით ვუსმენ მუსიკას, რომელსაც რადიოთი გადმოსცემენ, ვათვალიერებ ჩემს ნომერს, ვიხსენებ ბრაზილიას და მოუთმენლად ველი იმ წუთს, როცა სამსახურში უნდა წავიდე, ხოლო როცა ვმუშაობ, მოუთმენლად ველი იმ წუთს, როცა შინ უნდა დავბრუნდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აწმყოთი კი არა, მომავლით ვცხოვრობ.
ოდესმე, სწორედ ამ მომავალში, ალბათ შორეულში, შევძლებ თვითმფრინავის ბილეთის ყიდვას და ბრაზილიაში დაბრუნებას. იქ კი ცოლად გავყვები ფართლეულის მაღაზიის მეპატრონეს და მოვისმენ დაქალების გესლიან შენიშვნებს. იმათ ხომ არასოდეს გაურისკავთ, ამიტომ მხოლოდ სხვისი წარუმატებლობით ხარობენ. მაგრამ არა, ეს არ მოხდება! მირჩევნია, ოკეანის თავზე თვითმფრინავიდან გადავხტე!
მაგრამ, რადგანაც თვითმფრინავში ფანჯრები არ იღება (სხვათა შორის, ეს ჩემთვის უსიამოვნო მოულოდნელობა იყო, — რა დასანანია, რომ არ შეგიძლია, ცისქვეშეთის სუფთა ჰაერი ჩაისუნთქო!), აქ მოვკვდები. მაგრამ, სანამ მოვკვდებოდე, კიდევ ვიბრძოლებ სიცოცხლისათვის. უცხო ქალაქში დაკარგვისა რომ არ მეშინოდეს, საითაც მომიხვდებოდა, იქით წავიდოდი.

გაგრძელება იქნება

თერთმეტი წუთი

მიძღვნა

2002 წლის 29 ივნისს, რამდენიმე საათით ადრე, სანამ ბოლო წერტილს დავსვამდი ამ წიგნის ხელნაწერში, ლურდში გავემგზავრე იქაური სასწაულმოქმედი წყაროს წყლის ასაღებად. და აი, იქ, საკურთხეველთან, ერთმა სამოცდაათ წელს მიტანებულმა კაცმა მკითხა: „თქვენთვის ალბათ უთქვამთ, რომ ძალიან ჰგავხართ პაულო კოელიოს“. „პაულო კოელიო მე ვარ“, — მივუგე მე. მაშინ ის კაცი გადამეხვია, მეუღლესა და შვილიშვილთან წარმადგინა და მითხრა, რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში ჩემმა წიგნებმა — „ისინი ოცნებას მაიძულებენ“.
პირველად როდი მსმენია ეს სიტყვები, ყოველთვის მახარებდა მათი მოსმენა, მაგრამ ამჯერად ძალიან დავიბენი, რადგან ვიცოდი, რომ ჩემს ახალ წიგნს ერთდროულად შეეძლო ადამიანის შეცბუნებაც, შოკში ჩაგდებაც და გულის ტკენაც. მე წყაროსთან მივედი, წყალი ავიღე, უკან

დავბრუნდი და ამ კაცს ვკითხე, სად ცხოვრობდა (აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ბელგიის საზღვარზე). ჩავიწერე ასევე მისი სახელი.
ეს წიგნი გეძღვნებათ თქვენ — მორის გრაველინ. მე მოვალე ვარ თქვენი, თქვენი მეუღლის, თქვენი შვილიშვილის და ასევე საკუთარი თავისაც: მე უნდა ვილაპარაკო იმაზე, რაც მაფიქრებს და მაწუხებს და არა იმაზე, რისი გაგონებაც სურთ ჩემგან. ზოგი წიგნი ოცნებას გვაიძულებს, ზოგი რეალობასთან გვაახლოებს, მაგრამ ყოველი მათგანი ავტორისათვის უმთავრესი გრძნობით — გულწრფელობით — არის განმსჭვალული.
რამეთუ მე ვარ პირველი და მევე — უკანასკნელი
მე ვარ პატივცემული და მოძულებული
მე ვარ მრუში და წმინდანი
მე ვარ ცოლი და ქალწული
მე ვარ დედა და შვილი
მე ჩემი დედის ხელები ვარ
მე ბერწი ვარ, მაგრამ უთვალავი შვილი მყავს
მე ბედნიერი ვარ ქორწინებაში და არ ვარ გათხოვილი
მე ის ვარ, ვინც შვილებს აჩენს და ის, ვინც ვერასოდეს
მოგვცემს შთამომავლობას
მე ვამსუბუქებ მშობიარობის ტკივილებს
მე ვარ ქმარი და ცოლი
და სწორედ მე გავაჩინე ჩემი ქმარი
მე მამაჩემის დედა ვარ
მე ჩემი ქმრის და ვარ
თაყვანი მეცით მარად,
რამეთუ მე ავზნიანი ვარ და დიდსულოვანი.

ჰიმნი ისიდასადმი, ნაპოვნი ნაგ-ჰამადიში
ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ან IV საუკუნეში

იმ ქალაქში იყო ცოდვილი დედაკაცი. როგორც კი გაიგო, იგი ფარისევლის სახლში ზისო, მოიტანა ნელსაცხებელი ალებასტრონის ჭურჭლით;
და დადგა უკან, მის ფეხთით, ცრემლებით უსველებდა ფეხებს და თავისი თმით უხოცდა, ფეხებს უკოცნიდა და ნელსაცხებელს სცხებდა.
ფარისეველმა, რომელმაც იესო მიიწვია, ამის დანახვაზე თავისთვის თქვა: „ეს რომ წინასწარმეტყველი იყოს, შეიტყობდა, ვინ და რანაირი დედაკაცი ეხება მას, რადგან ცოდვილია იგი“.
იესომ მიმართა მას და უთხრა: „რაღაც მაქვს შენთვის სათქმელი, სიმონ“. მან კი უთხრა: „თქვი, მოძღვარო“.
იესომ თქვა: „ერთ მევახშეს ორი მოვალე ჰყავდა: ერთს ხუთასი დინარი ემართა, მეორეს — ორმოცდაათი.
მაგრამ რაკი არ ჰქონდათ, რით გადაეხადათ, ორივეს მიუტევა. ახლა მითხარი, რომელს უფრო მეტად შეუყვარდება იგი?“
სიმონმა უპასუხა: „მე ვფიქრობ, რომელსაც უფრო მეტი მიუტევა“. ხოლო მან უთხრა: „სწორად განსაჯე“.

მიბრუნდა დედაკაცისკენ და სიმონს უთხრა: „ხომ ხედავ ამ დედაკაცს? შენს სახლში შემოვედი და წყალი არ მომეცი ფეხებისათვის, ამან კი ცრემლით დამისველა ფეხები და თავისი თმით შემიხოცა.
შენ არ გიკოცნია ჩემთვის, ამას კი, რაც აქ შემოვიდა, არ შეუწყვეტია ჩემი ფეხების კოცნა.
შენ ზეთი არ გიცხია ჩემს თავზე, ამან კი ნელსაცხებელი სცხო ჩემს ფეხებს.
ამის გამო გეუბნები: მაგას მიეტევა მრავალი ცოდვა, რადგან ძლიერ შეიყვარა, ხოლო ვისაც ცოტა მიეტევა, ცოტათი უყვარს“.

ლუკა 7:37-47

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეძავი, სახელად მარია.
მოიცადეთ! „იყო და არა იყო რა“ კარგი დასაწყისია ზღაპრისათვის, მეძავის ამბავი კი უთუოდ ზრდასრული ადამიანებისათვის არის განკუთვნილი. როგორ შეიძლება, წიგნი იწყებოდეს ასეთი აღმაშფოთებელი წინააღმდეგობით? მაგრამ, ვინაიდან ყოველი ჩვენგანი ცალი ფეხით ჯადოსნურ ზღაპარშია, მეორეთი კი — უფსკრულის პირას, მოდი, მაინც გავაგრძელოთ ისე, როგორც დავიწყეთ. მაშ, ასე:
იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეძავი, სახელად მარია.
როგორც ყველა მეძავი, ისიც სუფთა და უმწიკვლო დაიბადა და სანამ პატარა იყო, ოცნებობდა, რომ შეხვდებოდა თავისი ოცნების მამაკაცს (ლამაზს, მდიდარსა და ჭკვიანს), გაჰყვებოდა მას ცოლად (თეთრ კაბაში გამოწყობილი), გააჩენდა ორ შვილს (რომლებიც გაიზრდებოდნენ და სახელს გაითქვამდნენ) და იცხოვრებდა კარგ სახლში (საიდანაც ზღვა გამოჩნდებოდა). მამამისი ფარდულში ვაჭრობდა, დედა კერავდა, ბრაზილიის პროვინციაში მიკარგულ მის მშობლიურ ქალაქში კი იყო მხოლოდ ერთი კინოთეატრი, ერთი პატარა რესტორანი და ერთი ბანკი... და მარია ელოდა, — აი, დადგება დღე და მოულოდნელად გამოჩნდება მშვენიერი პრინცი, რომელიც უგონოდ შეიყვარებს და მსოფლიოს დასაპყრობად წაიყვანს.
მანამდე კი, სანამ პრინცი გამოჩნდებოდა, მარიას მხოლოდ ოცნება შეეძლო. პირველად თერთმეტი წლისას შეუყვარდა — სკოლისაკენ მიმავალს. ახალი სასწავლო წლის პირველსავე დღეს მარიამ შეამჩნია, რომ თანამგზავრი გამოუჩნდა — მასთან ერთად სკოლაში იმავე განრიგით მეზობლის ბიჭი დადიოდა. ერთმანეთისათვის სიტყვაც კი არ უთქვამთ, მაგრამ მარიამ შენიშნა, რომ ყველაზე მეტად ის წუთები მოსწონდა, როცა გრძელ გზაზე, მტვერსა და თაკარა მზეში, მწყურვალი მისდევდა სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ბიჭს.
ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვის მანძილზე. მარია, რომელსაც სწავლა ჭირივით ეჯავრებოდა და ტელევიზორის გარდა სხვას არაფერს აღიარებდა გართობის საშუალებად, გონებაში აჩქარებდა დროს, რომ რაც შეიძლება სწრაფად გასულიყო დღე, გათენებულიყო დილა და სკოლაში წასულიყო. ამხანაგებისაგან განსხვავებით, შაბათ-კვირა საერთოდ შესძულდა. და ვინაიდან დრო, როგორც ცნობილია, ბავშვებისათვის უფრო ნელა გადის, ვიდრე დიდებისათვის, იგი იტანჯებოდა და ბრაზობდა იმის გამო, ეს უსასრულო დღეები მას სიყვარულის მხოლოდ და მხოლოდ ათ წუთს რომ ანიჭებდა, ათასობით საათს კი — თავის შეყვარებულზე საფიქრელად და იმაზე საოცნებოდ, რა კარგი იქნებოდა, რომ ერთმანეთს დალაპარაკებოდნენ.
და აი, ასრულდა.
ერთ მშვენიერ დილას ბიჭი მასთან მივიდა და ჰკითხა, ზედმეტი კალამი ხომ არ გაქვსო. მარიამ პასუხი არ გასცა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეწყინა ასეთი უტიფარი გამოხდომა და ფეხს აუჩქარა. არადა, დაინახა თუ არა, რომ ბიჭი უახლოვდებოდა, სუნთქვა შეეკრა, — ვაითუ, მიხვდეს, რა ძლიერ უყვარს, როგორ მოუთმენლად მოელის, როგორ ოცნებობს ხელი ჩასჭიდოს

და სკოლის გვერდის ავლით სულ უფრო და უფრო შორს წაიყვანოს, სანამ გზა არ გათავდება და არ მიიყვანს იქ, სადაც, ხალხის თქმით, არის დიდი ქალაქი და ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ტელევიზორში: მსახიობები, ავტომობილები, კინოთეატრები ყოველ ნაბიჯზე და სხვა ათასგვარი გასართობი.

მთელი დღე გაკვეთილებს გული ვერ დაუდო, იტანჯებოდა, რომ ასე სულელურად მოიქცა, და ამავე დროს უხაროდა, რომ ბიჭმა, როგორც იქნა, შენიშნა. კალამი მხოლოდ საბაბი იყო საუბრის დასაწყებად. მან ხომ საკუთარი თვალით დაინახა, რომ ბიჭს კალამი ჯიბეში ედო. ამ და ყველა მომდევნო ღამეს მარია გეგმებს აწყობდა, რა ეპასუხა ბიჭისათვის სხვა დროს, რომ შეცდომა აღარ დაეშვა და სათავე დაედო ისტორიისათვის, რომელსაც დასასრული არ ექნებოდა.

მაგრამ სხვა შემთხვევა აღარ მიეცა, თუმცა ისინი უწინდებურად ერთი გზით დადიოდნენ სკოლაში. მარია ხან წინ უსწრებდა მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული კალმით, ხან უკან ჩამორჩებოდა, რომ შესძლებოდა ალერსით ედევნებინა თვალი, მაგრამ ბიჭს აღარაფერი უთქვამს. ასე რომ, სასწავლო წლის ბოლომდე მარია უჩუმრად იტანჯებოდა.

შემდეგ კი დაუსრულებელი არდადეგები დაიწყო. და აი, ერთხელ მარიამ სისხლით დასვრილ ლოგინში გაიღვიძა. იფიქრა, ვკვდებიო და გადაწყვიტა, შეყვარებულისათვის გამოსამშვიდობებელი წერილი დაეტოვებინა და ტყეში გაქცეულიყო, რომ იქ მაქცია მგელს ან უთავო ჯორს დაეგლიჯა — ერთი სიტყვით, რომელიმე იმ ურჩხულთაგანს, რომელიც შიშის ზარს სცემდა ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებს. ფიქრობდა, რომ მხოლოდ ასეთი სიკვდილის შემთხვევაში არ ინაღვლებდნენ მისი მშობლები. ღარიბები ხომ ასე არიან — უბედურება მათ თავს როგორც გახეული ტომრიდან, ისე აცვივათ, მაგრამ იმედი მაინც რჩებათ. დაე, მის მშობლებსაც ეგონოთ, რომ გოგონა ვინმე უშვილო მდიდრებმა აიყვანეს და ოდესმე აუცილებლად დაბრუნდება შინ მდიდარი და პატივცემული, მაგრამ მას, ვინც მარიას შეუყვარდა (პირველად და სამუდამოდ), მთელი სიცოცხლის მანძილზე ემახსოვრება და ყოველ დილით უსაყვედურებს საკუთარ თავს იმის გამო, რომ მეორედ ვერ გაბედა მასთან გამოლაპარაკება.

მარიამ ვერ მოასწრო წერილის დაწერა — ოთახში დედამისი შემოვიდა, დაინახა სისხლის ლაქები ზეწარზე და გაიღიმა.

— შენ უკვე დიდი ხარ, შვილო.

მარია ცდილობდა გაერკვია, რა კავშირში მისი დიდობა ფეხებზე მოწანწკარე სისხლთან, მაგრამ დედამ არაფერი აუხსნა, მხოლოდ ის უთხრა, რომ საშიში აქ არაფერია, უბრალოდ, ამიერიდან ყოველთვე ოთხი-ხუთი დღით მოუხდებოდა თოჯინის ბალიშის მსგავსი რაღაცის ამოდება. Mმარიამ იკითხა, კაცებიც თუ სარგებლობენ ასეთი რამით, სისხლმა შარვალი რომ არ დაუსვაროთო, მაგრამ როგორც გაიგო, ეს მხოლოდ ქალებს ემართებათ.

მარიამ უსაყვედურა ღმერთს ასეთი უსამართლობისათვის, თუმცა, ბოლოს მაინც მიეჩვია, როგორღაც მოერგო ამ ამბავს. მაგრამ იმას კი, რომ ბიჭს ვეღარ ხვდებოდა, ვერაფრით ვერ შეეგუა და ამიტომ გაუთავებლად კიცხავდა თავს უგუნური საქციელისათვის, რომ გაექცა იმას, რაც ყველაზე სასურველი იყო მისთვის. ჯერ კიდევ სასწავლო წლის დაწყებამდე იგი ქალაქის ერთადერთ ეკლესიაში წავიდა და წმინდა ანტონის ხატთან დაიფიცა, რომ ამჯერად თვითონ დაელაპარაკებოდა ბიჭს.

მეორე დღეს შეძლებისდაგვარად გამოიპრანჭა, ჩაიცვა საგანგებოდ ახალი სასწავლო წლისათვის დედის შეკერილი კაბა და სახლიდან გახარებული გავიდა — მადლობა უფალს, არდადეგები დასრულდა! მაგრამ ბიჭი არ ჩანდა. მთელ კვირას ელოდა, სანამ ერთ-ერთმა თანაკლასელმა არ უთხრა, ბიჭი ქალაქიდან წავიდაო.

— შორეულ მხარეს, — დაუმატა მეორე თანაკლასელმა.

მაშინ მარია მიხვდა, ზოგი რამ შეიძლება სამუდამოდ დაკარგო, და გაიგო, რომ არსებობს ადგილი, რომელსაც „შორეული მხარე“ ჰქვია. მსოფლიო დიდია, მისი ქალაქი კი — პაწაწინა და საუკეთესონი, ბოლოს და ბოლოს, ტოვებენ აქაურობას. მარიაც წავიდოდა, პატარა რომ არ ყოფილიყო. და თავისი ქალაქის მტვრიანი ქუჩების ცქერისას გადაწყვიტა, რომ ოდესმე ბიჭის ნაკვალევს გაჰყვებოდა. ცხრა კვირის შემდეგ კი, პარასკევს, როცა პირველ ზიარებაზე მივიდა, წმინდა მარიამს ამ მიყრუებული ადგილიდან წაყვანა შესთხოვა.
ერთხანს კიდევ დარდობდა მარია, ცდილობდა ბიჭის კვალისათვის მიეგნო, მაგრამ არავინ იცოდა, სად გადავიდნენ საცხოვრებლად მისი მშობლები. და მაშინ მარიას მოეჩვენა, რომ სამყარო ძალიან დიდია, რომ სიყვარული სახიფათოა და რომ სადღაც მეშვიდე ცაზე მყოფ წმინდა მარიამს სულაც არ ესმის შვილების ვედრება.

* * *

გავიდა სამი წელი. მარია სწავლობდა მათემატიკასა და გეოგრაფიას, უყურებდა სერიალებს, სკოლაში პირველად გადაფურცლა უხამსი ჟურნალები და გაიჩინა დღიური, სადაც წერდა თავის ერთფეროვან ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ უნდოდა ეხილა თოვლი და ოკეანე, ჩალმიანი ადამიანები, ძვირფასეულობებით მორთული ელეგანტური ქალბატონები — მოკლედ, ყველაფერი, რასაც ტელევიზორში უჩვენებდნენ და რასაც გაკვეთილებზე ჰყვებოდნენ. მაგრამ, რადგან მხოლოდ ოცნებით ვერაფერს გახდები, მით უფრო, როცა დედა მკერავი გყავს, მამა კი ფარდულში მოვაჭრე, მარია მიხვდა, რომ ყველაფერს ყურადღებით უნდა დაჰკვირვებოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. ბეჯითად შეუდგა სწავლას და ამავე დროს იმ ადამიანის ძებნას, ვინც მის ოცნებებს გაიზიარებდა. და როდესაც თხუთმეტი წლის გახდა, ერთი ბიჭი შეუყვარდა, რომელიც წმინდა კვირას, ჯვრით მსვლელობისას გაიცნო.
არა, მან აღარ დაუშვა უწინდელი შეცდომა, — ამ ბიჭს არათუ გამოელაპარაკა, დაუმეგობრდა კიდეც. ისინი ერთად დადიოდნენ კინოში და სხვადასხვა ზეიმზე. მარიამ რაღაც მსგავსებაც შენიშნა თავის პირველ გრძნობასთან: სიყვარულს უფრო მძაფრად სატრფოსთან ყოფნის დროს კი არ განიცდიდა, არამედ მაშინ, როცა ის მისგან შორს იყო. სწორედ მაშინ ენატრებოდა, დაწვრილებით იხსენებდა ერთად გატარებულ ყოველ წამს და ცდილობდა გაეგო, ყველაფერი თუ გააკეთა, ყველაფერი თუ თქვა ისე, როგორც საჭირო იყო. მოსწონდა საკუთარი თავის გამოცდილ გოგოდ წარმოდგენა, რომელმაც ერთხელ უკვე ხელიდან გაუშვა შეყვარებული, ვერ მოუფრთხილდა გატაცებას, გაიგო, რა მტანჯველია ადამიანის დაკარგვა, და ახლა გადაუწყვეტია, მთელი ძალით იბრძოლოს საყვარელი არსებისათვის, იმისათვის, რომ ცოლად გაჰყვეს მას, შვილები გააჩინოს და იცხოვროს ზღვის პირას მდებარე სახლში. დედასაც გაანდო თავისი აზრები, მაგრამ მან მხოლოდ ეს უთხრა:
— ჯერ ადრეა შენთვის, შვილო.
— კი მაგრამ, თქვენ ხომ თექვსმეტი წლისა გაჰყევით მამას.
დედამ აღარ აუხსნა, რომ მოულოდნელი ფეხმძიმობის გამო იჩქარა დაქორწინება. მხოლოდ შემოიფარგლა ფრაზით — „მაშინ სხვა დრო იყო“, — და ამით ეს თემა ამოიწურა.
მეორე დღეს კი მარია და მისი შეყვარებული ახლომახლო მინდვრებში სეირნობდნენ. ამჯერად ცოტას ლაპარაკობდნენ. მარიამ ჰკითხა, ხომ არ უნდოდა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა. პასუხის ნაცვლად ბიჭი მოეხვია და აკოცა.
პირველი კოცნა! როგორ ოცნებობდა ამაზე! გარემოც სრულიად შესაფერისი იყო — თავს ყანჩები დასტრიალებდნენ, მზე ჩადიოდა, სადღაც შორს მუსიკა ისმოდა და უღიმღამო პეიზაჟი აღსავსე იყო ბობოქარი სილამაზით. მარიამ თავი ჯერ ისე მოაჩვენა, თითქოს ხელის კვრას აპირებდა, მაგრამ მომდევნო წამს თვითონვე მოეხვია და — რამდენჯერ უნახავს ეს კინოში, ტელევიზორში, ჟურნალებში — ტუჩებში ძალუმად ჩაეკონა. თან იდუმალ რიტმს

აყოლილი თავს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ხრიდა. ზოგჯერ ბიჭის ენა მის კბილებს ეხებოდა და ეს შეუცნობელ, სასიამოვნო განცდებს ანიჭებდა.
მაგრამ უცებ ბიჭი გაჩერდა.
— შენ რა, არ გინდა?
რა უნდა ეპასუხა? არ უნდოდა? რა თქმა უნდა, უნდოდა და მერე როგორ! მაგრამ ქალი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს, თანაც თავის მომავალ ქმართან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მუდამ იფიქრებს, რომ უბრძოლველად ჩაიგდო ხელში და ყველაფერზე იოლად თანხმდება, ამიტომ მარიამ დუმილი არჩია.
ბიჭი ისევ მოეხვია, ისევ ჩაეკონა მის ტუჩებს, მაგრამ უკვე წეღანდელი მგზნებარების გარეშე და ისევ გაჩერდა ალმურმოდებული. მარია მიხვდა, რაღაც არ აეწყო, მაგრამ მოერიდა ეკითხა, სახელდობრ რა. ხელიხელჩაკიდებული უკან გამობრუნდნენ და გზად სულ სხვა თემაზე საუბრობდნენ, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.
საღამოს კი დიდი გაჭირვებითა და გულმოდგინებით არჩევდა დღიურში ჩასაწერ სიტყვებს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამას ოდესმე აუცილებლად წაიკითხავდნენ. ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ დღისით რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოხდა და დღიურში ჩაწერა:
როდესაც ვინმე გვიყვარს, გვეჩვენება, რომ მთელი სამყარო ჩვენკენაა. დღეს, შებინდებისას, ამაში დავრწმუნდი. მაგრამ თუ რაღაც ისე არ მოხდა, აღარაფერი გრჩება — არც ყანჩები, არც შორეული მუსიკა და არც მისი ტუჩების გემო. ასე სწრაფად სად გაქრა და გაუჩინარდა მთელი ეს სილამაზე, სულ რამდენიმე წუთის წინ ხომ ჯერ კიდევ გარს გვერტყა ყველაფერი ეს?!
ცხოვრება სწრაფია: თვალის დახამხამებაში ზეციდან პირდაპირ ქვესკნელში ვცვივდებით...
მეორე დღეს გადაწყვიტა, მეგობარ გოგონებს დალაპარაკებოდა. ხომ ყველამ დაინახა, როგორ სეირნობდა თავის შეყვარებულთან ერთად, მაგრამ შევთანხმდეთ, მხოლოდ სიყვარული, თუნდაც ძალიან დიდი, ცოტაა, ისე უნდა მოიქცე, რომ გარშემო ყველამ იცოდეს — შენ საყვარელი და სასურველი ხარ. დაქალებს სიგიჟემდე უნდოდათ გამოეკითხათ, რა და როგორ მოხდა. შთაბეჭდილებებით აფორიაქებულმა მარიამაც დაუფარავად უამბო ყველაფერი. თან დასძინა, რომ ყველაზე სასიამოვნო ის იყო, როცა ბიჭის ენა მის კბილებს ეხებოდა. ამის გაგონებაზე ერთ-ერთმა დაქალმა გადაიხარხარა.
— შენ რა, პირს არ აღებდი?
და მარიასათვის იმწამსვე ყველაფერი გასაგები გახდა — ბიჭის შეკითხვაც და მისი უეცარი წყენაც.
— რისთვის?
— სხვანაირად ენის შეყოფა შეუძლებელია.
— განსხვავება რაშია?
— არ ვიცი, როგორ აგიხსნა. უბრალოდ, როცა კოცნიან, ასე აკეთებენ.
მოგუდული ქირქილი, მოჩვენებითი თანაგრძნობა, ფარული ნიშნის მოგება გოგონებისა, რომელთაც ჯერ არავინ ჰყვარებიათ... მარიამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და სხვებთან ერთად იცინოდა. სიცილით კი იცინოდა, მაგრამ გულში მწარედ ტიროდა და წყევლიდა კინოს, რომლის წყალობითაც ისწავლა თვალების დახუჭვა, თითების შემოჭდობა შეყვარებულის კეფაზე, თავის მიბრუნება ხან მარცხნივ, ხან — მარჯვნივ, მთავარი კი, ყველაზე მნიშვნელოვანი, იქ არ უჩვენებიათ. და მან მშვენიერი ახსნა მოიფიქრა („მე მაშინ ჯერ არ მინდოდა შენთან ნამდვილი კოცნა, რადგანაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ შენ ხარ ჩემი ცხოვრების მამაკაცი, ახლა კი მივხვდი...“) და დაელოდა შესაფერის შემთხვევას.
სამი დღის შემდეგ კი ქალაქის კლუბში გამართულ საღამოზე თავისი შეყვარებული სწორედ იმ თავის დაქალთან დაინახა ხელჩაკიდებული, რომელმაც ეს საბედისწერო შეკითხვა დაუსვა. მარიამ ყველას ისე მოაჩვენა თავი, თითქოს მისთვის ყველაფერი ეს სულერთი იყო და

გმირულად გაძლო საღამოს დასრულებამდე. მეგობრებთან კინომსახიობებსა და სხვა ცნობილ ადამიანებზე საუბრობდა და არ იმჩნევდა თანაგრძნობით აღსავსე გამოხედვებს. მხოლოდ შინ დაბრუნებულმა მისცა გრძნობებს გასაქანი — ქვეყანა დაიქცა! — ცრემლები მოერია და მთელი ღამე მწარედ ქვითინებდა. მას შემდეგ მთელი რვა თვის განმავლობაში იტანჯებოდა და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი არ იყო გაჩენილი სიყვარულისათვის, სიყვარული კი — მისთვის. მონაზვნად აღკვეცაზეც ფიქრობდა, რომ დარჩენილი სიცოცხლე იესოს სიყვარულისათვის, ანუ იმ სიყვარულისათვის მიეძღვნა, რომელიც ტანჯვას არ მოუტანდა და გულში იარებს არ დაუტოვებდა.
მასწავლებლები ჰყვებოდნენ აფრიკაში მიმავალ მისიონერებზე და მარიამ ამაში იპოვა გამოსავალი — რაღაა მისი ცხოვრება, თუ გრძნობებისათვის ადგილი აღარ დარჩა?! მონასტერში წასვლის გეგმებს აწყობდა, თან პირველი დახმარების აღმოჩენას სწავლობდა (ამბობენ, აფრიკაში ადამიანები პანტაპუნტით იხოცებიანო), განსაკუთრებულ გულმოდგინებას ღვთისმეტყველების გაკვეთილებზე იჩენდა. წარმოიდგენდა ხოლმე, მეორე მარია ტერეზასავით როგორ გადაარჩენდა ხალხს და როგორ გაიკვლევდა გზას უღრან ტყეებში, სადაც ლომები და ვეფხვები დაძრწიან.
თხუთმეტი წლის ასაკში მარიამ ერთი აღმოჩენაც გააკეთა (გარდა იმისა, რომ სიყვარულს მხოლოდ ტანჯვა მოაქვს და როგორ უნდა კოცნა გაღებული პირით) — მასტურბაცია. როგორც ყოველი აღმოჩენა, ესეც თითქმის შემთხვევით მოხდა. ერთხელ, დედის მოლოდინში, ხელი ფეხებს შორის წაივლო და ამ მიდამოების ფერება დაიწყო. ამას პატარაობაშიც აკეთებდა და ეს სიამოვნებას ანიჭებდა. მაგრამ ერთხელ მამამ წაასწრო და მაგრად გატყიპა, ისე, რომ მიზეზი არ აუხსნია. მარიამ დაასკვნა, რომ საკუთარი თავის ფერება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ვერავინ გხედავს. და რადგან შუა ქუჩაში ამის კეთებას ვერ დაიწყებდა, საკუთარი ოთახი კი არ ჰქონდა, ეს აკრძალული სიამოვნება მალევე მიივიწყა.
მიივიწყა სწორედ ამ დღემდე, როცა უიღბლო კოცნიდან თითქმის ნახევარი წელი იყო გასული. დედა იგვიანებდა, საქმე არაფერი ჰქონდა, მამა მეგობრებთან ერთად სადღაც წასულიყო, ტელევიზორში საინტერესოს არაფერს უჩვენებდნენ და მოწყენილობისაგან თავისი სხეულის თვალიერება და შესწავლა დაიწყო, — ხომ არ გაეზარდა სადმე ზედმეტი ბეწვი, რომ უმალვე პინცეტით ამოეძრო. თავისდა გასაკვირად, იმ ადგილის ზემოთ, რომელსაც ეროტიკულ ჟურნალებში „სოროს“ ან „ღრიჭოს“ უწოდებდნენ, პატარა ბორცვი შენიშნა, შეეხო მას და ვეღარ გაჩერდა: სიამოვნება სულ უფრო მატულობდა, მთელი სხეული, განსაკუთრებით კი ის ადგილი, რომელსაც თითებით ეხებოდა, დაეძაბა, თითქოს დაებურთაო. სულ უფრო და უფრო ეჩვენებოდა, რომ სამოთხეშია, ნეტარება სულ უფრო მკვეთრი და მცხუნვარე ხდებოდა.
მარიას უკვე აღარაფერი ესმოდა, თვალწინ რაღაც მოყვითალო მირაჟი ალივლივდა. და აი, ის ათრთოლდა და სიცოცხლეში პირველი ორგაზმისაგან აკვნესდა.
ორგაზმი!!!
მოეჩვენა, რომ მაღლა ცაში აფრინდა, მერე კი ნელ-ნელა დაეშვა ძირს. მთელ ტანზე ოფლმა დაასხა და ძალის საოცარ მოზღვავებასთან ერთად უცნაური ნეტარება განიცადა, — თითქოს რაღაც განხორციელდა, შედგა, აღსრულდა. აი, ეს არის სექსი! რა სასწაულია! არავითარი უწმაწური ჟურნალები, სადაც ამდენს ქადაგებენ არამიწიერ სიამოვნებაზე. და არავითარი კაცები! მათ მხოლოდ სხეული უყვართ ქალისა, სულში კი აფურთხებენ. შესაძლებელია, მარტომაც ისიამოვნო. მარიამ მეორედაც სცადა. ამჯერად წარმოიდგინა, რომ მას განთქმული მსახიობი ეფერებოდა — ხელახლა აფრინდა სამოთხეში და მიწაზე უფრო მეტი ენერგიით დამუხტული დაეშვა. მესამე სეანსს რომ შეუდგა, დედაც დაბრუნდა.
თავისი აღმოჩენა მეგობარ გოგონებს გაანდო, თუმცა დამალა, რომ ეს სულ რამდენიმე საათის წინ გააკეთა. ყველამ, ორის გამოკლებით, უსიტყვოდ გაუგო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ამაზე

აშკარად ლაპარაკს ვერ ბედავდა. მარიამ თავი ლიდერად იგრძნო და ახალი თამაში — „იდუმალის გამჟღავნება“ მოიფიქრა: თითოეულ მათგანს უნდა მოეყოლა მასტურბაციის საყვარელი ხერხის შესახებ. და მარიამ რამდენიმე ახალი მეთოდი გაიგო: ერთმა სიცხეში საბანქვეშ ურჩია ამის გაკეთება (მისი თქმით, ოფლი ამისათვის მისწრებაა), მეორე ბატის ბუმბულს იყენებდა იმ ადგილებში შესაღიტინებლად (რა ექვა ამ ადგილს, მან არ იცოდა), მესამემ შესთავაზა, ბიჭისათვის მიენდოთ ამის გაკეთება (მარიამ ეს სავსებით ზედმეტად მიიჩნია), მეოთხე ბიდეს აღმავალ წყლის ჭავლს ამჯობინებდა (მარიას სახლში ბიდეს შესახებ არც კი სმენოდათ, მაგრამ ის ხშირად დადიოდა სტუმრად მდიდარი მეგობრების სახლებში, ასე რომ, ადგილი ექსპერიმენტის ჩასატარებლად გამოჩნდებოდა).

ასეა თუ ისე, შეიტყო თუ არა მასტურბაციის შესახებ და გამოსცადა კიდეც ზოგიერთი იმ მეთოდთაგანი, რომლებიც მეგობარმა გოგონებმა გაანდვეს, მარიამ სამუდამოდ უარყო ფიქრი მონასტერში წასვლაზე. ეს ხომ ნეტარებას ანიჭებდა, ეკლესია კი სექსსა და ხორციელ სიამეს ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს. იმავე მეგობარი გოგონებისაგან მოისმინა ყოველგვარი საშინელებანი: ონანიზმისაგან სახეზე მუწუკები ჩნდება, შეიძლება ჭკუიდან შეიშალო, შეიძლება დაფეხმძიმდე კიდეც. და ასეთი რისკის ფასად მარია აგრძელებდა საკუთარი თავის დასაჩუქრებას კვირაში ერთხელ მაინც, როგორც წესი, ხუთშაბათობით, როცა მამა მეგობრებთან ბანქოს სათამაშოდ მიდიოდა.

ამავდროულად, სულ უფრო ნაკლებად თავდაჯერებული ხდებოდა კაცებთან და სულ უფრო მეტად ოცნებობდა მშობლიური ქალაქიდან წასვლაზე. მარიას მესამედაც შეუყვარდა, მერე მეოთხედაც, ისწავლა კოცნა. ბიჭებთან პირისპირ დარჩენისას ბევრის უფლებას აძლევდა მათაც და საკუთარ თავსაც, მაგრამ ყოველთვის, მისი რაღაც შეცდომის გამო, რომანი სწორედ იმ მომენტში წყდებოდა, როცა მარია საბოლოოდ რწმუნდებოდა, რომ ეს სწორედ ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისთანაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდა.

დიდი დრო გავიდა, სანამ დაასკვნიდა, რომ მამაკაცებს მოაქვთ მხოლოდ ტანჯვა, წამება, გულგატეხილობა და იმის განცდა, რომ დღეები ნელა მიიზლაზნება. ერთ მშვენიერ დღეს პარკში დაინახა, როგორ ეთამაშებოდა ახალგაზრდა ქალი თავის ორი წლის ბიჭუნას და გადაწყვიტა: შეუძლია, იოცნებოს ქმარზე, შვილებსა და სახლზე ზღვის პირას, მაგრამ არაფრისდიდებით აღარავის შეიყვარებს, რადგან გატაცება მხოლოდ აფუჭებს ყველაფერს.

* * *

ასე გადიოდა მისი ყრმობა. მარია იზრდებოდა და მშვენდებოდა. განსაკუთრებულ ხიბლს ის იდუმალი, ნაღვლიანი გამოხედვა ანიჭებდა, რომელიც კაცებს ასე იზიდავდა. და ისიც ხან ერთს ხვდებოდა, ხან — მეორეს, ოცნებობდა და განიცდიდა, თუმცა, თავის თავს შეჰფიცა, რომ აღარასოდეს არავის შეიყვარებდა. ერთ-ერთ პაემანზე უმანკოებაც დაკარგა. ეს ამბავი მანქანის უკანა სავარძელზე მოხდა: ის და მისი მორიგი თაყვანისმცემელი გატაცებით კოცნიდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს. ბიჭმა ისეთი სიჯიუტე გამოიჩინა, რომ მარია, რომლის ყველა დაქალსაც ქალწულობა დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა, დანებდა მას. მასტურბაციისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ის მეცხრე ცაზე ადიოდა, ნამდვილ სექსს მტკივნეული შეგრძნებების მეტი არაფერი მოუტანია. თან გულიც დასწყდა სისხლით მოსვრილ ქვედაკაბაზე, რომელიც მერე ძლივს გამორეცხა. არავითარი მსგავსება პირველ კოცნასთან, იმ ჯადოსნურ წამებთან — ყანჩების ნავარდი, მზის ჩასვლა, შორეული მუსიკის ხმა... არა, მას ამის გახსენება აღარ უნდოდა.

მას შემდეგ, რაც დაემუქრა, რომ მამამისმა შეიძლება მკვლელობაც კი ჩაიდინოს, თუკი მისი გაუპატიურების ამბავს გაიგებს, მარიამ ამ ბიჭთან კიდევ რამდენიმე ღამე გაატარა. ბიჭი ერთგვარ სასწავლო თვალსაჩინოებად გადააქცია და ცდილობდა, ყველა შესაძლებელი ხერხით გაეგო, სად იმალება სიამოვნება პარტნიორთან სექსის დროს.

ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: მასტურბაციას ბევრად მეტი სიამოვნება მოჰქონდა, გარჯაც ბევრად ნაკლები სჭირდებოდა. ნუთუ ტყუილად უჩიჩინებდნენ ერთხმად ჟურნალები, ტელეპროგრამები, წიგნები, ამხანაგები, ყველა, აბსოლუტურად ყველა, თითქოს პირი შეკრესო, რომ მამაკაცი აუცილებელია. მარიას ეჭვიც კი გაუჩნდა, თვითონ მას ხომ არ სჭირდა რაღაც. უფრო მეტად ჩაუჯდა გაკვეთილებს და ერთხანს თავიდან ამოიგდო ეს საუცხოო მოვლენა, სახელად სიყვარული.
ჩვიდმეტი წლის ასაკში მარიამ დღიურში ჩაწერა:
ჩემი მიზანია, გავიგო, რა არის სიყვარული. როცა მიყვარდა, ვგრძნობდი, რომ ვცოცხლობდი, ის კი, რაც ახლა ხდება, შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ შთაგონება არ მოაქვს.
სიყვარული საშინელებაა! მე მინახავს, როგორ იტანჯებოდნენ ჩემი მეგობრები და არ მინდა, მსგავსი რამ განვიცადო. ადრე ისინი დამცინოდნენ და ქირქილებდნენ ჩემი ქალწულობის გამო, ახლა კი მეკითხებიან, როგორ ვახერხებ კაცების დამორჩილებას. მე უხმოდ ვიღიმები, რადგან ვიცი, ეს წამალი ავადმყოფობაზე უარესია: უბრალოდ, მე არ მიყვარს. დღითი დღე უფრო ნათელი ხდება, რა სუსტი, მერყევი და უპირო არიან კაცები, როგორი ადვილია მათთვის თავგზის აბნევა და ანაზდად თავს წადგომა... ზოგიერთი ჩემი მეგობრის მამილო უკვე ცდილობდა ჩემს შებმას, მაგრამ მე მოვიშორე ისინი. ადრე ეს აღმაშფოთებდა და გულისწყრომას გამოიწვევდა ჩემში, ახლა კი ვხვდები, რომ ასეთია კაცების ბუნება.
ჩემი მიზანია, გავიგო, რა არის სიყვარული და თუმცა ვიტანჯები იმათ გამო, ვისაც გული ვაჩუქე, ნათლად ვხედავ: ვინც ჩემს სულს ეხება, ჩემს ხორცს ვერ აღაგზნებს, ხოლო ვინც ჩემს ხორცს ეხება, უძლურია ჩასწვდეს ჩემს სულს.

* * *

მარიას ცხრამეტი წელი შეუსრულდა, სკოლა დაამთავრა, ფართლეულის მაღაზიაში გამყიდველად დაიწყო მუშაობა და ამ მაღაზიის მფლობელს შეუყვარდა, მაგრამ ამ დროისათვის ის უკვე სრულად ფლობდა მამაკაცებთან ურთიერთობის ხელოვნებას. მას არც ერთხელ არ მიუცია ამ კაცისათვის მოურიდებლად მოპყრობის უფლება, მაგრამ თავის სილამაზეში დარწმუნებული მუდმივად ახელებდა და აღაგზნებდა.
რა ძალა აქვს სილამაზეს? როგორ ცხოვრობენ ულამაზო ქალები? მარიას ჰყავდა რამდენიმე მეგობარი, რომლებსაც ვერ ამჩნევდნენ წვეულებებზე. მათ არავინ ეკითხებოდა: „როგორაა საქმეები?“ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ეს გონჯები ბევრად ნაკლებად აფასებდნენ მათთვის გაღებულ მცირედ სიყვარულს, უჩუმრად იტანჯებოდნენ უარყოფილები და ცდილობდნენ, მომავლის იმედით ეცხოვრათ, ცდილობდნენ, შეღებვისა და გამოპრანჭვის გარდა, კიდევ მოეძებნათ რაიმე, ვინმესათვის რომ მოეწონებინათ თავი. ისინი ბევრად უფრო დამოუკიდებელი იყვნენ და საკუთარ თავთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, თუმცა, მარიას აზრით, სამყარო მათთვის აუტანელი უნდა ყოფილიყო.
თვითონ მარიამ კარგად იცოდა თავისი სილამაზის ძალა. და მიუხედავად იმისა, რომ დედის რჩევა-დარიგებებს, ჩვეულებისამებრ, ივიწყებდა, ერთი მათგანი მტკიცედ დაიმახსოვრა: „სილამაზე, შვილო, არ არის მარადიული“. და ამიტომ იგი აგრძელებდა მაღაზიის მეპატრონესთან კატათაგვობანას თამაშს, არც ხელს ჰკრავდა საბოლოოდ და არც ზედმეტად დაახლოების უფლებას აძლევდა, რამაც შედეგად ხელფასის საგრძნობი ზრდა მოუტანა (მარიამ ხომ არ იცოდა, რამდენ ხანს შეძლებდა მის შეკავებას ლოგინში ჩაწვენის იმედით), რომ არაფერი ვთქვათ საზეგანაკვეთო ანაზღაურებაზე (ბოლოს და ბოლოს, მეპატრონეს სიამოვნებს, როცა ის მის სიახლოვესაა, თუმცა ეშინია, რომ ერთ საღამოსაც გავა მაღაზიიდან და დიდ, წმინდა სიყვარულს შეხვდება). მარიამ ზედიზედ ოცდაოთხ თვეს იმუშავა, მშობლებს ფული მისცა და, როგორც იქნა, აისრულა თავისი დიდი ხნის ნატვრაც. საკმარისი თანხა მოაგროვა იმისათვის, რომ ერთი კვირა თავისი ოცნების ქალაქში, ქვეყნის სავიზიტო ბარათად

ქცეულ რიო-დე-ჟანეიროში გაეტარებინა, სადაც სახელგანთქმული ადამიანები და ვარსკვლავები ცხოვრობენ.
მაღაზიის მფლობელს მასთან ერთად წასვლა მოუნდა, დაჰპირდა, რომ ყველა ხარჯს თავის თავზე აიღებდა, მაგრამ მარიამ თავი დაიძვრინა, მოატყუა, თითქოს დედამისმა ერთადერთი და უსათუო პირობა წაუყენა: თუკი ის მაინცდამაინც მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ადგილას გამგზავრებას არ დაიშლიდა, ღამე უსათუოდ თავის ბიძაშვილთან, აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატთან, უნდა გაეთენებინა.
— თანაც მაღაზია ვის უნდა დაუტოვოთ? თქვენ ხომ არა გყავთ ადამიანი, ვისაც ენდობით?
— შენობით მომმართე, — უთხრა მაღაზიის მფლობელმა და მარიამ მის თვალებში კარგად ნაცნობი ვნების ცეცხლი დაინახა. ამან გააოცა, ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ კაცს გონებაში მხოლოდ სექსი უტრიალებდა. ახლა კი მისი თვალები სულ სხვაზე მეტყველებდნენ: „მე შემიძლია, მოგცე სახლი, ოჯახი და ფული შენი მშობლებისათვის“. ძალიანაც კარგი! ცეცხლის უფრო მეტად ასაგიზგიზებლად მარიამ კოცონში ფიჩხის დამატება გადაწყვიტა და თქვა, რომ ძალიან მოენატრება საყვარელი სამსახური და ის ადამიანები, რომელთაც ასე მიეჩვია (საგანგებოდ გამოთქვა თავისი აზრი ასე ბუნდოვნად: არა უშავს, ცოტა დაიტანჯოს, დაე, იმკითხაოს, შედის თუ არა ამ ადამიანთა რიცხვში). თან დაამშვიდა, რომ ფრთხილად იქნებოდა და საფულესა და ღირსებას არ დაკარგავდა. სინამდვილეში კი მას, უბრალოდ, უნდოდა, რომ არავის — არც ერთ ადამიანს მსოფლიოში! — არ დაერღვია მისი სრული თავისუფლების პირველი კვირა. ის ყველაფერს გააკეთებს, რაც მოეპრიანება — ოკეანეში იბანავებს, გამოელაპარაკება უცხო ადამიანებს, დაათვალიერებს მდიდრული მაღაზიების ვიტრინებს და შინაგანად მოემზადება მშვენიერ პრინცთან შესახვედრად, რომელიც სამუდამოდ თან წაიყვანს.
— ბოლოს და ბოლოს, რა არის ერთი კვირა? — იკითხა მან მომაჯადოებელი ღიმილით, — ისე გაივლის, ვერც კი შენიშნავ. მალე დავბრუნდები და შევუდგები ჩემი მოვალეობის შესრულებას.
უნუგეშოდ დარჩენილმა მეპატრონემ ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ ბოლოს პოზიციები დათმო, რადგან ამ დროისათვის უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა: როდესაც მარია დაბრუნდებოდა, იგი მას ხელს სთხოვდა. თანაც არ უნდოდა, მის თვალში ზედმეტად დაჟინებული გამოჩენილიყო და ამით საქმე გაეფუჭებინა.
ორი დღე-ღამე ავტობუსში — და მარია უკვე კოპაკაბანას მესამეხარისხოვან სასტუმროში იყო (ო, კოპაკაბანა, ო, ეს ზღვა, ო, ეს ცა!..). ჩემოდნები არც კი ამოულაგებია, მხოლოდ გამომგზავრების წინ ნაყიდი ბიკინი ამოიღო, ჩაიცვა და, მოღრუბლულობის მიუხედავად, პლაჟზე გაიქცა. ზღვას შეხედა თუ არა, შიშმა შეიპყრო და მიუხედავად იმისა, რომ სირცხვილით იწვოდა, მაინც შევიდა წყალში.
პლაჟზე არავის შეუმჩნევია, როგორ მოხდა ამ გოგონას პირველი შეხვედრა ოკეანესთან, წყლის დედოფალ იემანჟასთან, წყლის დინებებთან, ტალღების ქაფთან და, შესაბამისად, — ატლანტიკის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ლომებით სავსე აფრიკის ნაპირთან. წყლიდან გამოსვლისთანავე მასზე სამმა კაცმა მიიტანა იერიში: ვიღაც ქალმა მისთვის „ნატურალური პროდუქტებისგან“ დამზადებული სენდვიჩის მიყიდვა სცადა, შავკანიანმა ჯეელმა საღამოს გასეირნება შესთავაზა, რასაკვირველია, თუ მარია თავისუფალი იქნებოდა, ხოლო ბატონმა, რომელმაც პორტუგალიურად არც ერთი სიტყვა არ იცოდა, ჟესტების ენაზე ქოქოსის რძეზე დაპატიჟა.
მარიამ სენდვიჩი იყიდა, რადგან უარის თქმა, უბრალოდ, მოერიდა, მაგრამ დანარჩენ ორთან საუბარს თავი აარიდა. თუმცა, ნელ-ნელა დადარდიანდა: რატომ მოიქცა ასე სამარცხვინოდ, მას ხომ ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რაც მოეპრიანება?! თავის საქციელს ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა და ბოლოს გაკვირვებულმა როგორც თავისი გამბედაობით, ასევე შუა

ზაფხულისათვის სრულიად შეუფერებლად ცივი წყლით, გადაწყვიტა, დარჩენილიყო პლაჟზე და ღრუბლებიდან მზის გამოჩენას დალოდებოდა.
ბატონი, რომელიც პორტუგალიურად ვერ ლაპარაკობდა, მაშინვე მის მახლობლად გაჩნდა და ისევ შესთავაზა ქოქოსის რძე. მარიამ, გახარებულმა იმით, რომ მასთან საუბარი საჭირო არ იყო, უარი არ უთხრა, რძე დალია და გაუღიმა. კაცმაც გაუღიმა. ასეთ სასიამოვნო და უსიტყვო ურთიერთობაში რაღაც დრომ განვლო, — შენ ერთი ღიმილი მაჩუქე, მე ორს დაგიბრუნებ. მაგრამ აი, უცხოელმა ჩანთიდან პატარა წითელყდიანი ლექსიკონი ამოიღო და საშინელი აქცენტით წარმოთქვა: „ლამაზი“. მარიამ კვლავ გაუღიმა — ის, რასაკვირველია, ელოდა ზღაპრულ უფლისწულთან შეხვედრას, მაგრამ ამ უფლისწულს აუცილებლად მისი ენა უნდა სცოდნოდა და აუცილებლად უფრო ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო.
უცხოელი ლექსიკონს ფურცლავდა და აღარ ეშვებოდა:
— ვახშამი დღეს?
და მაშინვე დაამატა:
— შვეიცარია!
და შემდეგ კიდევ ორი სიტყვა, რომლებიც, რა ენაზეც უნდა გამოითქვას, სამოთხის მუსიკად ჟღერს:
— სამუშაო! დოლარი!
რესტორანი „შვეიცარია“ მარიას არ გაეგო, თან იფიქრა: ნუთუ ყველაფერი თავისთავად ხდება და ოცნებები ასე სწრაფად ცხადდება?! არა, უარის თქმა უფრო კეთილგონივრულია: დიდი მადლობა, მაგრამ დღეს დაკავებული ვარ, დოლარების ყიდვას კი არ ვაპირებ.
უცხოელმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო, სასოწარკვეთილმი მხოლოდ ღიმილს ახერხებდა, ბოლოს რამდენიმე წუთით მიატოვა და თარჯიმანთან ერთად დაბრუნდა, რომლის დახმარებითაც გააგებინა, რომ ჩამოსულია შვეიცარიიდან (და ეს სულაც არ არის რესტორანი, ქვეყანაა ასეთი) და სურს, საღამოს მარიასთან ერთად ივახშმოს, რომ შრომითი მოწყობის თაობაზე საქმიანი წინადადება შესთავაზოს. თარჯიმანმა, რომელიც უცხოელის თანაშემწედ და ოტელის დაცვის თანამშრომლად გაეცნო მარიას, თავის მხრივ დაამატა:
— შენ ადგილას რომ ვიყო, დავთანხმდებოდი. ეს ბიძა ცნობილი იმპრესარიოა, ნიჭიერ გოგონებს ეძებს ევროპაში სამუშაოდ. თუ გინდა, ზოგიერთს გაგაცნობ, ვინც მისი წინადადება მიიღო, გამდიდრდა და კარგად გათხოვდა. მათ შვილებს უმუშევრობა და სიკვდილი აღარ ემუქრებათ.
და მარიაზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით დასძინა:
— სხვათა შორის, შვეიცარიაში მშვენიერ საათებსა და შოკოლადს ამზადებენ.
მარიას სამსახიობო გამოცდილება მხოლოდ და მხოლოდ წყლის დამტარებლის როლით შემოიფარგლებოდა — იგი უსიტყვოდ გამოდიოდა და ასევე უსიტყვოდ ტოვებდა სცენას პიესაში „ქრისტეს ვნებები“, რომელსაც პრეფექტურა ყოველ წელს დგამდა წმინდა კვირას. ავტობუსში ვერ გამოიძინა, მაგრამ ზღვამ აღაგზნო, ნატურალური და არცთუ მთლად ნატურალური პროდუქტებისაგან გაკეთებულმა სენდვიჩებმა დაღალა, დაბნეულიც იყო, რადგან ამ ქალაქში არავის იცნობდა. ადრეც ყოფილა ასე, მამაკაცი ოქროს მთებს ჰპირდებოდა, მაგრამ საბოლოოდ არაფერი ხდებოდა. ასე რომ, ამჯერადაც საამისოდ მზად იყო.
მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამ შანსს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი აძლევდა და დარწმუნებული იყო, მისი ერთკვირიანი შვებულების არც ერთ წამს ფუჭად არ უნდა ჩაევლო. გარდა ამისა, ივახშმებდა კარგ რესტორანში, — ესე იგი, შინ დაბრუნებულს უფრო მეტი ექნებოდა მოსაყოლი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გადაწყვიტა, დასთანხმებოდა მიწვევაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ თარჯიმანიც წამოვიდოდა, ვინაიდან უკვე დაიღალა ამდენი ღიმილითა და ისეთი სახის მიღებით, თითქოს ესმოდა, რას ამბობდა უცხოელი.

საქმეს უმნიშვნელო რამ ართულებდა — მარიას გამოსასვლელი ტანსაცმელი არ ჰქონდა. ეს წინაღობა გადაულახავი ჩანდა: ქალი ქმრის ღალატში უფრო გამოტყდება, ვიდრე სათანადო ტუალეტის უქონლობაში. მაგრამ მარიას აზრით, ამ ადამიანებს შეიძლება ვეღარასდროს შეხვედროდა და, შესაბამისად, დასაკარგიც არაფერი ჰქონდა.
— მე ახლახან ჩამოვედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და კაბა არ მაქვს.
უცხოელმა თარჯიმნის დახმარებით გააგებინა, არაფერზე შეწუხებულიყო და თავისი ოტელის მისამართი მისცა. იმავე დღეს, შებინდებისას, მან მიიღო კაბა, რომლის მსგავსიც არასოდეს ენახა და ფეხსაცმელი, რომლის ფასიც მარიას წლიურ შემოსავალს უდრიდა.
და მან იგრძნო, რომ პირველ ნაბიჯებს დგამს იმ გზაზე, რომელიც ელანდებოდა ბრაზილიის სერტანებში, სადაც გავიდა მისი ბავშვობა და ყრმობა, სადაც გვალვის გარეშე წელიც არ ჩაივლიდა, სადაც ჭაბუკებს წასასვლელი არ აქვთ, სადაც მისი პატარა, ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ქალაქი მდებარეობს, სადაც სიცოცხლე კი არ ჩქეფს, არამედ მდორედ მიედინება და ყოველი დღე მომდევნოს ჰგავს. ახლა კი იგი სამყაროს პრინცესა გახდება! უცხოელმა სამსახური, დოლარები, ჯადოსნური, ზღაპრული კაბა და საარაკოდ ძვირფასი ფეხსაცმელი შესთავაზა! მაკიაჟიღა დარჩა და აქ იმ გაღატაკებული ოტელის პორტიე დაეხმარა, რომელშიც მარია გაჩერდა. გოგონა დაეხმარა და თან გააფრთხილა, რომ ყველა უცხოელი როდია პატიოსანი, ისევე, როგორც რიო-დე-ჟანეიროს ყველა მაცხოვრებელი — ბანდიტი.
მარიამ ეს გაფრთხილება ყურად არ იღო, ვახშმისათვის გამოეწყო და გული მხოლოდ იმაზე დასწყდა, რომ სახლიდან ფოტოაპარატი არ გამოიყოლა, სამახსოვრო სურათის გადაღება რომ შესძლებოდა. იქამდე იტრიალა სარკის წინ, სანამ არ მიხვდა, რომ შეხვედრაზე აგვიანდებოდა. თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა — როგორც კონკია წვეულებაზე! — და გაექანა იმ ოტელისაკენ, სადაც შვეიცარიელი ცხოვრობდა. დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა გაირკვა, რომ თარჯიმანი მათთან ერთად არ აპირებდა წამოსვლას:
— ენა მეათეხარისხოვანია. მთავარია, შენთან მყუდროდ იგრძნოს თავი.
— რა მყუდროებაზეა ლაპარაკი, როცა არ ესმის, რას ვამბობ?!
— არც არის საჭირო. ეს კარგიცაა. საჭიროა მხოლოდ მუხტი.
მარია ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს. მის სამშობლოში ადამიანები შეხვედრისას შეკითხვებს სვამდნენ და, შესაბამისად, პასუხსაც სცემდნენ — მიმდინარეობდა სიტყვათა ცვლა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მაგრამ მაილსონმა — ასე ერქვა თარჯიმან-მცველს — დაარწმუნა, რომ რიოში და მთელ დანარჩენ მსოფლიოში საქმე სხვაგვარად იყო.
— არაფრის გარკვევა არ გჭირდება. საჭიროა, მან თავი კარგად იგრძნოს. იგი უშვილო ქვრივია, კაბარეს მეპატრონე, ჰოდა, იქ გამოსაყვანად ბრაზილიელ გოგონებს ეძებს. მე ვუთხარი, რომ შენ, როგორც ჩვენთან ამბობენ, ,,ამ საქმისთვის არ ხარ", მაგრამ გაჯიუტდა, თურმე, როგორც კი წყლიდან ამოხვედი, მაშინვე შეუყვარდი. შენი საცურაო კოსტიუმიც მოეწონა.
ის ცოტა ხანს გაჩუმდა.
— მაგრამ ერთ კეთილ რჩევას მოგცემ: თუ გინდა, აქ ვინმე შეაბა, სხვანაირი საცურაო კოსტიუმი შეიძინე. ამ შვეიცარიელის გარდა, ის რიოში არავის მოეწონება, ძალიან ძველმოდურია. ასეთები, დიდი ხანია, აღარ აცვიათ.
მარიამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ეს არც გაუგიაო.
— და კიდევ, — განაგრძო მაილსონმა, — ვფიქრობ, მან უბრალოდ კი არ მოგაქცია ყურადღება, დარწმუნებულია, ყველა მონაცემი გაქვს იმისათვის, რომ შენი ნომერი პროგრამის ღერძი გახდეს. მართალია, მას არ უნახავს, როგორ ცეკვავ, არ გაუგია, როგორ მღერი, მაგრამ მიაჩნია: ყველაფერი ეს თავისით მოვა. სილამაზე კი ისაა, რითაც უნდა დაიბადო. ევროპელები ასეთები არიან, — აქ იმ რწმენით ჩამოდიან, თითქოს ყველა ბრაზილიელი ქალი, ტემპერამენტის თვალსაზრი¬სით, ქალი კი არა, ვულკანია და ყველა ცეკვავს სამბას. თუ მას მართლაც სერიოზული გეგმები აქვს, გირჩევ, ქვეყნის დატოვებამდე კონტრაქტი დაადებინო და

ხელმოწერა შვეიცარიის საკონსულოში დაამოწმებინო. ხვალ ოტელის მახლობლად პლაჟზე ვიქნები და მომძებნე, რაიმე თუ იქნება გასარკვევი.
შვეიცარიელმა ღიმილით ჩაჰკიდა მარიას ხელი და მიუთითა იქვე მომლოდინე ტაქსიზე.
— თუ მას ან შენ სხვა გეგმები გაგიჩნდებათ, გახსოვდეს, ღამეში აქ სამას დოლარს იღებენ. ნაკლებზე არ დათანხმდე.
ვიდრე მარია პასუხის გაცემას მოასწრებდა, ისინი უკვე ტაქსიში ისხდნენ და შვეიცარიელი წინასწარ დაზუთხულ სიტყვებს იმეორებდა. საუბარი მარტივი იყო:
— მუშაობა? დოლარები? ბრაზილიელი ვარსკვლავი?
მარიას თარჯიმნის სიტყვები ახსენდებოდა, — სამასი დოლარი ღამეში! ეს მთელი ქონებაა! სულაც არ არის საჭირო, სიყვარულის გამო იტანჯებოდე. მას შეუძლია მაღაზიის მეპატრონის მსგავსად ისიც მოხიბლოს, გაჰყვეს ცოლად, გააჩინოს ბავშვი, მშობლებს ცხოვრება შეუმსუბუქოს. რა აქვს დასაკარგი? შვეიცარიელი ასაკშია, დიდხანს ვერ იცოცხლებს, ის კი მდიდარ ქვრივად დარჩება. მარიას ეჩვენებოდა, რომ შვეიცარიაში ბევრი ფულია, ქალი კი — ცოტა.
ვახშამი უსიტყვოდ მიდიოდა: ღიმილი, საპასუხო ღიმილი. და მარია თანდათან ხვდებოდა, თუ რას ნიშნავს მუხტი. თანამგზავრმა ალბომი უჩვენა მისთვის უცხოენოვანი წარწერებითა და ბიკინებში გამოწყობილი ქალების ფოტოებით (მართლაც, მისი საცურაო კოსტიუმი ახლოსაც ვერ მივიდოდა ამ უფრო ლამაზ და უფრო მოღიავებულ კოსტიუმებთან), ამონაჭრები გაზეთებიდან, თვალისმომჭრელი, მყვირალა აფიშები და ბუკლეტები, სადაც აქა-იქ ჩანდა ერთადერთი ნაცნობი სიტყვა — „ბრაზილია“. მარია ბევრს სვამდა, შიშობდა, რომ სადაცაა ამას მოჰყვებოდა სწორედ ის ყბადაღებული შეთავაზება (თუმცა, აქამდე მისთვის მსგავსი არაფერი შეუთავაზებიათ, მაგრამ სამასი დოლარი ქუჩაში არ ყრია, ბახუსისგან კი ყველაფერი რაღაცნაირად მარტივდება, თანაც თუ გაიხსენებ, რომ შენი მშობლიური ქალაქიდან ახლომახლო არავინ არის). მაგრამ შვეიცარიელი ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა — დაჯდომისას სკამსაც კი აშველებდა. ბოლოს მარიამ დაიჩივლა, რომ დაიღალა და პაემანი მეორე დღისათვის პლაჟზე დაუნიშნა (რა უნდა, თითით აჩვენო ციფრი საათის ციფერბლატზე, გააკეთო ტალღისებრი მოძრაობა ხელით და რამდენჯერმე გარკვევით გაიმეორო „ხვალ“).
იგი თითქოს მიხვდა, შეხედა თავის საათს (უთუოდ შვეიცარიულს) და თავი დაუქნია.
ღამით ცუდად ეძინა. დიდი ხნის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ჩასთვლიმა და ესიზმრა, თითქოს ყველაფერი, რაც მოხდა, სიზმარი იყო. შეშფოთებულს გამოეღვიძა, მაგრამ მალევე დამშვიდდა — მოკრძალებულ ნომერში სკამის საზურგეზე ძვირფასი კაბა ეკიდა, იქვე მოჩანდა ფეხსაცმელიც, დათქმულ დროს კი პლაჟზე შვეიცარიელი უნდა მოსულიყო.
ჩანაწერი მარიას დღიურში შვეიცარიელის გაცნობის დღეს:
ყველაფერი მკარნახობს, რომ მზად ვარ, შეცდომა დავუშვა, მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს. რა უნდა ჩემგან ქვეყნიერებას? რისკზე რომ არ წავიდე? რომ დავბრუნდე იქ, საიდანაც მოვედი და არ გავბედო, ვუთხრა ცხოვრებას „დიახ“?
თერთმეტი წლისამ, იმ დღეს, როდესაც ბიჭმა მკითხა, ზედმეტი კალამი ხომ არ გაქვსო, შეცდომა დავუშვი. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრება ყოველთვის არ გაძლევს მეორე შანსს და ჯობია, მიიღო ის საჩუქარი, რომელსაც იგი დროდადრო მოგართმევს. დიახ, მე რისკზე მივდივარ, თუმცა, იმაზე მეტად არა, ვიდრე იმ ავტობუსში ჩაჯდომისას, რომელმაც რიოში ჩამომიყვანა — ხომ შეიძლებოდა იგი ავარიაში მოხვედრილიყო. თუკი ვინმეს ან რაიმეს მიმართ ერთგულება უნდა შევინარჩუნო, უპირველესად, ეს თვით მე ვარ. თუ ვეძებ ნამდვილ და დიდ სიყვარულს, ჯერ უნდა დავიღალო უმნიშვნელო გრძნობებით, შემთხვევითი რომანებით. ჩემი მწირი გამოცდილება მასწავლის: არავინ არაფერს ფლობს, სამყაროში ყველაფერი მოჩვენებითი და არამყარია, — და ეს ეხება მატერიალურ კეთილდღეობასაც და სულიერ სიმდიდრესაც. ადამიანი, რომელიც კარგავს იმას, რაც მისი აზრით, მის მუდმივ

მფლობელობაში უნდა ყოფილიყო (მე ასეთი რამ ხშირად დამმართნია), ბოლოს და ბოლოს ხვდება, რომ მას არაფერი ეკუთვნის.
და თუკი არაფერი მეკუთვნის, მე ვერ დავხარჯავ დროს იმაზე, რაც ჩემი არ არის; ჯობს, ისე იცხოვრო, თითქოს დღევანდელი დღე შენი სიცოცხლის პირველი (ან უკანასკნელი) დღეა.

* * *

მეორე დღეს თარჯიმან-მცველ მაილსონის თანდასწრებით, რომელიც საკუთარ თავს იმპრესარიოსაც უწოდებდა, მარიამ განაცხადა, რომ დათანხმდება შემოთავაზებულ წინადადებას, თუ საკონსულოში დამოწმებულ დოკუმენტს მიიღებს. შვეიცარიელმა, რომლისთვისაც ასეთი პირობა, ეტყობა, პირველი არ იყო, უპასუხა, რომ თვითონაც ამის მომხრეა, ვინაიდან მის ქვეყანაში მუშაობისათვის ოფიციალური ქაღალდია საჭირო, რომელზეც შავით თეთრზე ეწერება: მარიას გარდა, არავის არ შეუძლია იმის გაკეთება, რის გაკეთებასაც ის აპირებს. ასეთი დოკუმენტის შოვნა ძნელი არ არის, — შვეიცარიელი ქალები ხომ სამბასთვის მოწოდებული არ არიან. ისინი ქალაქის ცენტრში წავიდნენ. მაილსონმა საკომისიო მოითხოვა — ოცდაათი პროცენტი მარიას მიერ მიღებული ხუთასი დოლარიდან.
— ახლა გადახდის კვირაა. ერთი კვირა, გესმის? შენ გექნება კვირაში ხუთასი დოლარი, მაგრამ უკვე დაქვითვის გარეშე, მე ფულს მხოლოდ პირველი გადახდიდან ვიღებ.
ამ წუთამდე მომავალი მგზავრობა, თვით ფიქრიც კი სადმე გამგზავრებაზე, რაღაც ოცნებისმაგვარ არარეალობად ჩანდა. ოცნება კი ძალზე მოსახერხებელია, რადგან სულაც არ ვართ ვალდებული განვახორციელოთ ის, რაზეც ვოცნებობთ. თავისუფალი ვართ ყოველგვარი რისკისაგან, წარუმატებლობის სიმწარისაგან, მძიმე წუთებისაგან, ხოლო სიბერეში ყოველთვის შეგვიძლია დავადანაშაულოთ ვინმე, — მშობლები (ეს ყველაზე ხშირია), მეუღლე, შვილები, — რომ ვერ მივაღწიეთ საწადელს.
და აი, გამოჩნდება შანსი, რომლის იმედიც გვქონდა, მაგრამ ნეტავ სულ არ გამოჩენილიყო! როგორ შეძლებს ის ღირსეულად უპასუხოს მისთვის შეუცნობელი ცხოვრების გამოწვევას, როგორ აირიდებს საფრთხეს, რომლის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვს? როგორ უნდა მიატოვოს ყველაფერი, რასაც შეეჩვია? რატომ აღმოჩნდა ღვთისმშობელი ასე გულუხვი?
მარია თავს იმით ინუგეშებდა, რომ შეეძლო, ნებისმიერ დროს ეთქვა უარი ამ წამოწყებაზე, ყველაფერი ხუმრობად ექცია. განეცხადებინა, რომ არაფერზე არ აგებს პასუხს, რომ, უბრალოდ, ახალი შთაბეჭდილებებისაკენ ილტვოდა, რათა შინ დაბრუნებულს მოსაყოლი ჰქონოდა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ აქედან ათასი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობს, საფულეში სამას ორმოცდაათი დოლარი აქვს და ხვალ რომ ჩემოდნები ჩაალაგოს და შინ გაიქცეს, ვერასოდეს იპოვიან.
საღამოს, საკონსულოდან მობრუნებულს, ზღვის სანაპიროზე მარტოს მოუნდა გავლა. ათვალიერებდა ბავშვებს, ფრენბურთელებს, მათხოვრებს, ლოთებს, კუსტარული ნაკეთობების (ჩინეთში დამზადებული ტიპური ბრაზილიური სუვენირების) გამყიდველებს, ძუნძულით მორბენლებს, სიბერის ასარიდებლად ტანვარჯიშს რომ მისდევენ, შვილებზე გადაყოლილ დედებს, ბანქოს მოთამაშე პენსიონერებს. აი, ის ჩამოვიდა რიო-დე-ჟანეიროში, იყო უპირველესი თანრიგის რესტორანშიც, შვეიცარიის საკონსულოშიც, გაიცნო უცხოელი, მისი თარჯიმანი, საჩუქრად ისეთი კაბა და ფეხსაცმელი მიიღო, როგორსაც მის ქალაქში ვერავინ, აბსოლუტურად ვერავინ შესწვდებოდა.
ახლა რა?
მარია ჰორიზონტს გასცქეროდა, რომლის იქით ზღვის მეორე ნაპირი მდებარეობს. გეოგრაფიის სახელმძღვანელო ამტკიცებს, რომ თუ პირდაპირ ივლი, მოხვდები აფრიკაში, სადაც ლომები და გორილებია. თუ ცოტა ჩრდილოეთისაკენ გადაუხვევ, მოხვდები ზღაპრულ

სამყაროში, რომელსაც ევროპა ჰქვია. იქ ეიფელის კოშკია, პიზის კოშკი, დისნეილენდი. რას კარგავს? როგორც ყოველმა ბრაზილიელმა, სამბას ცეკვა იმაზე ადრე ისწავლა, ვიდრე ენას ამოიდგამდა. არ მოეწონება და ყოველთვის შეუძლია დაბრუნება. მით უმეტეს, რომ უკვე მიხვდა, ამქვეყნად ყოველი შესაძლებლობა უნდა გამოიყენო.

ძალიან ხშირად ამბობდა „არა“-ს, როცა „ჰო“-ს თქმა უნდოდა. ძალიან ხშირად იღებდა გადაწყვეტილებას, — გამოეცადა მხოლოდ ის, რისი გაკონტროლებაც შეეძლო. აი, თუნდაც მისი რომანები. ახლა კი შეუცნობლის წინაშე დგას, — ისეთივე შეუცნობლის, როგორიც ეს ზღვაა იმათთვის, ვინც სულ პირველად მიემართება მასზე სანაოსნოდ. ეს ისტორიის გაკვეთილებიდან ახსოვდა. რა თქმა უნდა, ამჯერადაც შეიძლება „არა“-ს თქმა, მაგრამ სანანებლად რომ დაურჩეს მთელი სიცოცხლის მანძილზე, იმ ბიჭის ამბისა არ იყოს, კალამი რომ სთხოვა და მერე პირველ სიყვარულთან ერთად გაქრა? „არა“-ს თქმაც შეიძლება, მაგრამ რატომ არ სცადოს ამჯერად „ჰო“-ს თქმა? ერთი უბრალო მიზეზის გამო: მარია მიყრუებული პროვინციიდანაა, ცხოვრებაში არაფერი უნახავს და არაფერი იცის. საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნის, ტელესერიალების მძლავრი კულტურისა და საკუთარ სილამაზეში დაჯერებულობის მეტი არაფერი აბადია. ეს აშკარად არაა საკმარისი იმისთვის, რომ ცხოვრებას თვალი გაუსწორო.

მარია ხედავდა, როგორ არხეინად უყურებდა ზღვის ტალღებს რამდენიმე ადამიანი, მაგრამ წყალში შესვლას ვერ ბედავდნენ. სულ რაღაც ორიოდე დღის წინ ისიც ასეთი იყო, ახლა კი არაფრის ეშინია. წყალშიც გადახტება, თუ მოისურვებს, თითქოს ამ მხარეში დაიბადაო. იქნებ ევროპაშიც ასევე იყოს?

მარიამ გულში ლოცვა დაიწყო, ისევ შესთხოვა ღვთისმშობელს რჩევა და რამდენიმე წუთში თავი უფრო დაცულად იგრძნო. დიახ, დაბრუნება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ყოველთვის არ გეძლევა ასე შორს გამგზავრების შანსი. ღირს გარისკვა, როცა სასწორის ერთ პინაზე ოცნებაა (მით უფრო, თუ შვეიცარიელი არ გადაიფიქრებს), მეორეზე კი — შინ უკონდიციონერო ავტობუსით დაბრუნება.

მარია ისე შეგულიანდა, რომ როდესაც შვეიცარიელმა ისევ მიიპატიჟა სავახშმოდ, მიბნედილი, მგრძნობიარე სახით ხელზე შეეხო, მაგრამ შვეიცარიელმა უმალ გამოსტაცა. და აი, მაშინ — შიშნარევი შვების გრძნობით — ის მიხვდა, რომ საქმე სერიოზულადაა.

— სამბას ვარსკვლავი! — თქვა მან, — ბრაზილიური სამბას ლამაზი ვარსკვლავი! წავიდეს ერთი კვირას მერე!

ყველაფერი საოცრება იყო. მაგრამ ეს „ერთი კვირას მერე“ ყველა დასაშვებ ფარგლებს სცდებოდა. მარიამ აუხსნა, რომ მშობლების რჩევის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. მაშინ შვეიცარიელმა მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ასლი აუფრიალა, აი, აქ კი მარია მართლა შეშინდა:

— კონტრაქტი!

თუმცა, გამგზავრება გადაწყვეტილი ჰქონდა, მაინც საჭიროდ ჩათვალა, მაილსონს მოთათბირებოდა, — ტყუილად ხომ არ თვლიდა თავის თავს მარიას იმპრესარიოდ. სულაც არა. ამაში კარგ ფულსაც იღებდა.

მაგრამ მაილსონს მისთვის არ სცხელოდა. ის გერმანელი ტურისტი ქალის შეცდენას ცდილობდა, რომელიც სულ ახლახან მოეწყო ოტელში და ლიფის გარეშე ირუჯებოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ბრაზილიაში თავისუფალი ზნე-ჩვეულებებია გაბატონებული (და ვერ ამჩნევდა, რომ პლაჟზე მხოლოდ ის დადიოდა მოშიშვლებული მკერდით, რითაც გარშემო მყოფთ უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა). ბოლოს, როგორც იქნა, მარიამ შეძლო მაილსონის გამოჭერა.

— თუ გადავიფიქრე, მაშინ? — ჩაეძია მარია.

— მე არ ვიცი, რა წერია კონტრაქტში, მაგრამ ვფიქრობ, შვეიცარიელი სასამართლოში გიჩივლებს.
— მე ის ვერასოდეს მიპოვის.
— ეგეც მართალია. მაშინ ნუღარაფერზე იდარდებ.
ახლა შვეიცარიელს გაუჩნდა სადარდებელი. ხუთასი დოლარი უკვე გადახდილი ჰქონდა, ამას დაუმატეთ კაბის, ფეხსაცმლის, რესტორანში ორი ვახშმისა და საკონსულოში კონტრაქტის გაფორმების ხარჯები. და როცა მარიამ ისევ დაიჩემა, მშობლებს უნდა მოვეთათბიროო, შვეიცარიელმა გადაწყვიტა, თვითმფრინავის ორი ბილეთი აეღო და მარიასთან ერთად მის მშობლიურ ქალაქში გადაფრენილიყო, რომ ორმოცდარვა საათში ყველაფერი მოეგვარებინა, ერთი კვირის შემდეგ კი, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, ევროპაში დაბრუნებულიყო. თუმცა, ისევ ისე თავაზიანად უღიმოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მარია ხვდებოდა, რომ საქმე დოკუმენტს ეხებოდა, დოკუმენტებთან კი, ისევე, როგორც ცდუნებასა და გრძნობებთან, ხუმრობა არ შეიძლება.
მთელმა ქალაქმა ქედმაღლური თავზარდაცემა განიცადა, როდესაც მისი პირმშო, მშვენიერი მარია, რიოდან უცხოელთან ერთად დაბრუნდა, რომელიც მას ევროპაში ეპატიჟებოდა, ვარსკვლავად რომ ექცია. ამის შესახებ ყველა მეზობელმა შეიტყო — ახლობელმაც და შორეულმაც, — თანაკლასელი გოგონები კი მხოლოდ ერთს ეკითხებოდნენ: „ეს როგორ მოახერხე?“.
— გამიმართლა, — პასუხობდა მარია.
მაგრამ გოგოები ჩაეძიენ — ვინც რიოში ჩადის, ყველას ხომ არ უმართლებს ასე. ეს ძალიან ჰგავდა „საპნის ოპერის“ ეპიზოდს. მარია არც „ჰო“-ს ამბობდა და არც „არა“-ს, რომ მიღებული გამოცდილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა და ეჩვენებინა მათთვის, — ის განსაკუთრებული ადამიანია.
მასთან სახლში შვეიცარიელმა ისევ ამოიღო თავისი ალბომი, ბუკლეტი და კონტრაქტი. მარია განმარტავდა, რომ ახლა მას ჰყავს თავისი იმპრესარიო და ოცნებობს არტისტულ კარიერაზე. დედამ გაკვრით შეავლო თვალი იმ ციცქნა ბიკინებს, რომლებშიც გამოწყობილიყვნენ სურათებზე აღბეჭდილი გოგონები და უსიტყვოდ დააბრუნა ალბომი. მისთვის მთავარი იყო, შვილი ბედნიერი და მდიდარი ჰყოლოდა ან უბედური, მაგრამ მაინც მდიდარი.
— რა ჰქვია?
— როჟე.
— ჩვენებურად როჟერიო! ასე ჩემს დეიდაშვილს ეძახდნენ.
შვეიცარიელს გაეღიმა, ტაში დაუკრა და ყველასათვის ნათელი გახდა, — ის მიხვდა კითხვის არსს. მამამ მარიას უთხრა:
— ეგ ჩემი ტოლი უნდა იყოს.
მაგრამ დედამ სთხოვა, არ ჩარეულიყო და შვილის ბედნიერებისთვის ხელი არ შეეშალა. როგორც ყველა მკერავი, ისიც ბევრს ესაუბრებოდა თავის კლიენტებს და დიდი გამოცდილება მიეღო სიყვარულისა და ცოლქმრული ცხოვრების საკითხებში, ამიტომაც ურჩია:
— იცი, რას გეტყვი, შვილო, ჩალურში სამოთხეს სჯობს, მდიდარს ჰყავდე ცოლად და არ იყო ბედნიერი. ჩალურში სამოთხე არ არსებობს. იქ კი, სადაც მიდიხარ, მეტი შანსი გაქვს ბედნიერი თუ არა, მდიდარი მაინც გახდე. თუ საქმე არ გამოვიდა, დაჯდები ავტობუსზე და სახლში მოგრიალდები...
მარია, თუმცა პროვინციაში გაიზარდა, მაინც უფრო ჭკვიანი იყო, ვიდრე დედას ან მომავალ ქმარს წარმოედგინა.
— დედა, ევროპიდან ბრაზილიაში ავტობუსები არ დადის, — თქვა მან, — თანაც მე ქმარს კი არ ვეძებ, მსახიობი მინდა გავხდე.
დედამ ლამის სასოწარკვეთილმა შეხედა:

— იქამდე თუ ჩააღწევ, როგორმე უკანაც დაბრუნდები. მსახიობობა მანამ არის კარგი, სანამ ქალი ახალგაზრდა და ლამაზია. ასე ოცდაათ წლამდე. მერე კი არ შეფერხდე, მოძებნე შენთვის წესიერი და პატიოსანი ადამიანი, ისეთი, რომ უყვარდე, და გაჰყევი ცოლად. სიყვარულზე ძალიანაც ნუ იზრუნებ. მე თავიდან სულაც არ მიყვარდა მამაშენი. ფულით ყველაფერს იყიდი ამქვეყნად, მათ შორის, ნამდვილ სიყვარულსაც. ამ დროს, მამაშენი სულაც არ არის მდიდარი.
დიახ, ეს იყო დედის რჩევა, დაქალისა კი არა! და ორმოცდარვა საათის შემდეგ მარია ისევ რიოში იყო. მაგრამ წასვლის წინ მაინც მოასწრო — მარტომ, რა თქმა უნდა — იმ მაღაზიაში შევლა, სადაც შვებულებამდე მუშაობდა და ანგარიში გაასწორა.
— გავიგე, გავიგე, რომ სახელგანთქმულმა ფრანგმა იმპრესარიომ შენი პარიზში წაყვანა გადაწყვიტა, — უთხრა მეპატრონემ, — შენს შეკავებას და გადარწმუნებას არ ვეცდები, ეძიე შენი ბედი. უბრალოდ, განშორების წინ მინდა, რაღაც გითხრა.
მან ჯიბიდან ზონარზე ჩამობმული ავგაროზი ამოიღო.
— ეს კურთხეული მარადქალწულის ავგაროზია. პარიზში მის სახელზე ტაძარია აგებული, ჰოდა, რამე რომ მოხდეს, შეგიძლია იქ წახვიდე და მფარველობა სთხოვო მას. ხედავ, აქ რა წერია?
ქალწულის გამოსახულების ირგვლივ გამოყვანილი იყო სიტყვები: „მარიამ, უბიწოდ ჩამსახველო, ილოცე ჩვენთვის და მიგვიღე საფარველსა ქვეშე შენსა. ამინ“.
— ეს სიტყვები დღეში ერთხელ მაინც გაიმეორე და... — მას ენა დაება, მაგრამ უკვე გვიანი იყო, — ...და თუ ოდესმე დაბრუნებას გადაწყვეტ, იცოდე, რომ გელოდები. მე ხელიდან გავუშვი შესაძლებლობა, შენთვის ერთი უბრალო რამ მეთქვა: „მე შენ მიყვარხარ“. შეიძლება უკვე გვიანაა, მაგრამ მინდა, რომ ეს იცოდე.
თუ რას ნიშნავს „შესაძლებლობის ხელიდან გაშვება“, მარიამ უკვე დიდი ხანია იცოდა, ხოლო სიტყვები „მე შენ მიყვარხარ“ ოცდაორი წლისათვის საკმარისად სმენია, თანაც ეჩვენებოდა, რომ ეს სიტყვები სავსებით მოკლებულია აზრს — მათ ხომ არაფერი სერიოზული, ღრმა, მყარი და ხანგრძლივი არ მოჰქონდათ. და მარიამ მადლობა გადაუხადა მეპატრონეს, ეს სიტყვები სადღაც ქვეცნობიერში გადამალა (არასდროს იცი, რა ოინებს მოგიწყობს ცხოვრება, ამიტომ სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ განსაკუთრებული გარემოებების დროს სადღაც მიგესვლება), ლოყაზე უმანკო ამბორით დააჯილდოვა და უკანმოუხედავად წავიდა.
რიოში დაბრუნებულებმა სულ რაღაც ერთ დღეში გაახერხეს მარიას პასპორტი („ბრაზილია მართლაც ძალიან შეიცვალა“, — თქვა როჟემ ამასთან დაკავშირებით, თან ორ-სამ პორტუგალიურ სიტყვას რამდენიმე უცხოურიც დაუმატა, რაც მარიამ ასე თარგმნა: „არადა, ადრე რამდენი ხლაფორთი სჭირდებოდა ამას“). იმპრესარიო-მცველი-თარჯიმანი მაილსონის დახმარებით შეიძინეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კოსმეტიკა, ყველაფერი, რაზეც მარიასნაირ ქალს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. გაფრენამდე როჟემ მარია კაბარეში წაიყვანა და ძალიან გაიხარა, როცა მარიამ უპირატესობა მიანიჭა ნამდვილ ვარსკვლავს (რომელიც კაბარე „კოლონიში“ გამოდიოდა), შავგვრემან ლამაზმანს ჭროღა თვალებითა და გრაუნის ფრთის ფერი თმით (ბრაზილიაში არის ასეთი ფრინველი, რომლის შეფერილობასაც ადგილობრივი მწერლები კუნაპეტ შავ თმას ადარებენ). საკონსულოში აიღეს ვიზა მუშაობის ნებართვით, ჩაალაგეს ჩემოდნები და მეორე დღესვე გაემგზავრნენ საათებით, შოკოლადითა და ყველეულით განთქმულ ქვეყანაში. მარიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი შვეიცარიელის მოხიბლვა, — ბოლოს და ბოლოს, ის არცთუ ისე ბებერია, სულაც არ არის მახინჯი და ღარიბიც აშკარად არ უნდა იყოსო. მეტი რაღა უნდოდა?

* * *

მარია ხანგრძლივმა ფრენამ გააწამა, მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდი იყო. ჯერ კიდევ აეროპორტში იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული შიშისაგან: ამჯერად მთლიანად ამ კაცის

ხელშია, არც ქვეყანას იცნობს და არც ენა იცის, თანაც ისე ცივა... როჟე კი თვალსა და ხელს შუა შეიცვალა: აშკარად აღარ ცდილობდა მარიასათვის თავის მოწონებას. არც ადრე უცდია ეკოცნა ან მკერდზე მოევლო ხელი, მაგრამ ახლა სრულ გულგრილობას იჩენდა. მან მარია პატარა ოტელში მიიყვანა და მის თანამემამულეს, ახალგაზრდა და სევდიან ქალს, სახელად ვივიანს, ჩააბარა.

ვივიანმა უცერემონიოდ შეათვალიერა, თუმცა, შეეძლო უფრო თბილადაც მოპყრობოდა საზღვარგარეთ პირველად მოხვედრილ თავის თანამემამულეს. მოკითხვებზე დრო არ დაუკარგავს და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— ილუზიებს ნუ შეიქმნი. ყოველთვის, როგორც კი რომელიმე მოცეკვავე თხოვდება, ეს კი საკმაოდ ხშირად ხდება, როჟე ბრაზილიაში მიდის. მან იცის, რაც უნდა, ვფიქრობ, შენც იცი. აქ ალბათ სამიდან ერთ-ერთისათვის ჩამოხვედი — ან ახალი შთაბეჭდილებებისთვის, ან ფულისთვის, ან ქმრის საპოვნელად.

როგორ მიხვდა? ნუთუ ამქვეყნად ყველას ერთი და იგივე სურს? ან იქნებ ვივიანს აზრების წაკითხვა შეუძლია?

— ყველა, ვინც აქ ხვდება, ამას ეძებს, — განაგრძობდა ვივიანი, — რაც შეეხება შთაბეჭდილებებს, აქ ძალიან ცივა, თანაც მოგზაურობისათვის ფული არ გეყოფა. ახლა კი ანაზღაურების შესახებ. იცოდე, რომ უკან დასაბრუნებელი ბილეთის, კვებისა და ბინის ხარჯების დასაფარად მთელ წელს ვირივით მუშაობა მოგიწევს.

— კი მაგრამ...

— ვიცი, ვიცი, ასე არ მორიგებულხართ. მაგრამ შენ, ისევე როგორც ყველა დანარჩენს, დაგავიწყდა გეკითხა ამის შესახებ. უფრო წინდახედული რომ ყოფილიყავი, კონტრაქტს ყურადღებით წაიკითხავდი და უფრო ზუსტად გეცოდინებოდა, სად მოხვდი. საქმე ის არის, რომ შვეიცარიელები არ ტყუიან, უბრალოდ, ისინი ბევრ რამეზე დუმილს ამჯობინებენ.

მარიამ იგრძნო, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ იატაკი.

— დაბოლოს, ქმარი. ყოველი გათხოვება როჟეს ფინანსებისათვის საგრძნობი დარტყმაა. ამიტომ მოკვდება და ამას არ დაუშვებს. კლიენტებთან ლაპარაკიც კი გვეკრძალება. ვინმეს გასაცნობად დიდ რისკზე წასვლა მოგიწევს. ჩვენთან ეს არ გამოვა. აქ ასეთი გარემოა... რაღაც ოჯახურის მსგავსი. ეს ბერნის ქუჩა არ გეგონოს.

— ბერნის ქუჩა?

— ჩვენთან ცოლქმრული წყვილები და ტურისტები დადიან. ესენი, როგორც წესი, ცოტანი არიან. ისინი კი, ვინც მეგობარს ეძებს, სადმე სხვაგან მიდიან. ცეკვა ისწავლე. თუ სიმღერასაც ისწავლი, უფრო მეტს გადაგიხდიან, მაგრამ უფრო მეტადაც შეშურდებათ შენი. ასე რომ, თუნდაც მთელს ბრაზილიაში საუკეთესო სოპრანო იყო, სიმღერას ნუ ეცდები. და მთავარი, — სატელეფონო საუბრებით ნუ გაერთობი, თორემ რასაც გამოიმუშავებ, ყველაფერი ზარებში დაგეხარჯება.

— ის მე კვირაში ხუთას დოლარს შემპირდა!

— კარგი, თვითონ ნახავ...

შვეიცარიაში ჩამოსვლიდან კვირა-ნახევრის თავზე მარიამ დღიურში ჩაწერა:

კაბარეში ვიყავი და „ქორეოგრაფი“ გავიცანი. ის წარმოშობით იმ ქვეყნიდანაა, რომელსაც მაროკოს ეძახიან. ბრაზილიაში არასოდეს ყოფილა, მაგრამ დაუსრულებლად მაიძულებდა, მემეორებინა პა, რასაც ის „სამბას“ ეძახის. ხანგრძლივი ფრენის შემდეგ დასვენებაც კი ვერ მოვასწარი და პირველსავე საღამოს ცეკვა მომიწია. ჩემ გარდა, აქ კიდევ ხუთი გოგო მუშაობს. არც ერთს არ უთქვამს, რომ ბედნიერია, არც ერთს ხეირიანად არ ესმის, რისთვის არის აქ. კლიენტები სვამენ, ტაშს უკრავენ, საჰაერო კოცნას გზავნიან, მალულად უხამს ჟესტებსაც აკეთებენ, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდის.

გუშინ ხელფასი მომცეს — შეპირებული თანხის ზუსტად მეათედი. დანარჩენი კონტრაქტის პირობებით ავიაბილეთსა და სასტუმროზე დამექვითა. ვივიანი ვარაუდობს, რომ ერთი წელი ასე გაგრძელდება და ამ ხნის განმავლობაში გაქცევას ვერ მოვახერხებ.
ისე, გაქცევა მინდა კი? სულ ახლახან ჩამოვფრინდი აქ, ჯერ არაფერი ვიცი. განა ასე ძნელია საღამოობით ცეკვა კვირაში შვიდი დღის განმავლობაში? ადრე ამას საკუთარი სიამოვნებისათვის ვაკეთებდი, ახლა ამას ფულისა და სახელისათვის გავაკეთებ. იმედია, ფეხები ჯერ არ მიმტყუნებს. მხოლოდ ისაა ძნელი, მთელ საღამოს იღიმებოდე.
ჩემ წინაშე არჩევანია — ან ამ ქვეყნის მსხვერპლი გავხდე ან განძის მაძიებელი ავანტიურისტი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მე თვითონ რა თვალით შევხედავ საკუთარ თავს და საკუთარ ცხოვრებას.

მარიამ მეორე არჩია. უნდა ეძიო დამალული განძი, გრძნობები კი გვერდზე გადადო. ღამღამობით ბალიში ცრემლით არ უნდა დანამო, დაივიწყო ყველაფერი, რაც იყო და ვინც იყო აქამდე. მალე დარწმუნდა, რომ საკმაო ნებისყოფა აქვს იმისათვის, რომ ითვალთმაქცოს. თითქოს ახლად დაიბადა. გრძნობები მოიცდის, ახლა ფული უნდა აკეთოს, გაიცნოს სხვისი ქვეყანა და შინ გამარჯვებული დაბრუნდეს.
თუმცაღა გარშემო ყველაფერი ბრაზილიას აგონებდა, კერძოდ კი მის ქალაქს: ირგვლივ პორტუგალიური ლაპარაკი ისმოდა, გოგონები ხმამაღლა ჩიოდნენ მამაკაცებზე და მძიმე შრომაზე, აგვიანებდნენ კაზინოში, ეუხეშებოდნენ მეპატრონეს და ყოველ მათგანს თავი ყველაზე ლამაზი ეგონა, ყოველი მათგანი ყვებოდა ჯადოსნურ პრინცზე. ეს პრინცები კი, — ყველა, როგორც ერთი, — ან ცხრა მთას იქით იყვნენ, ან ცოლიანები, ან ისეთი ღარიბები, რომ შეყვარებულების ხარჯზე ცხოვრობდნენ. გარემო სულ არ იყო ისეთი, როგორიც ბუკლეტებისა და აფიშების თვალიერებისას წარმოედგინა. აი, ვივიანმა კი ზუსტად განსაზღვრა, — აქ ყველაფერი შინაურულადაა. გოგონებს კლიენტებთან ყოველგვარი ურთიერთობები ეკრძალებოდათ, ისინი ხომ შესაბამის ფორმულარებში „სამბას შემსრულებლებად“ ირიცხებოდნენ. ტელეფონით ლაპარაკისას თუ წაასწრებდნენ, ნახევარი თვის ხელფასს დაქვითავდნენ. და მარიას, რომელსაც ყველაფერი ეს სულ სხვაგვარად, უფრო ცოცხლად და მხიარულად, წარმოედგინა, ნელ-ნელა სევდისა და ნაღველის დამთრგუნველი გრძნობა მოერია.
პირველ ხანებში იშვიათად ტოვებდა ოტელს, უფრო სწორად, პანსიონს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ მისი ლაპარაკი არავის ესმოდა, თუნდაც ყოველი ფრაზა დამარცვლით წარმოეთქვა. იმანაც ძალზე გააკვირვა, რომ ქალაქს, რომელშიც იგი აღმოჩნდა, ორი სახელით მოიხსენიებდნენ. აქაურები მას „ჟენევას“ ეძახდნენ, მისი თანამემამულეები კი — „ჟენებრას“.
და აი, ბოლოს, თავისი პატარა ნომრის ოთხ კედელშUუა, სადაც ტელევიზორიც კი არ იდგა, დიდი და მომქანცველი ფიქრის შემდეგ ორი რამ დაასკვნა:
ა) ის ვერასოდეს იპოვის იმას, რასაც ეძებს, სანამ ვერ შეძლებს იმის გამოხატვას, რასაც ფიქრობს. ამიტომ აუცილებლად უნდა ისწავლოს ადგილობრივი ენა.
ბ) ვინაიდან ყველა მის დაქალს ერთი და იგივე მისწრაფება აქვს, მარია უნდა შეიცვალოს.
მაგრამ როგორ მიეღწია ამისათვის, ჯერ ვერ წარმოედგინა.
ჟენევაში ჩამოფრენიდან ოთხი კვირის თავზე მარიამ დღიურში ჩაწერა:
მეჩვენება, რომ მთელი საუკუნე გავიდა. ერთი სიტყვაც არ მესმის, რას ლაპარაკობენ ჩემ გარშემო, ამიტომაც საათობით ვუსმენ მუსიკას, რომელსაც რადიოთი გადმოსცემენ, ვათვალიერებ ჩემს ნომერს, ვიხსენებ ბრაზილიას და მოუთმენლად ველი იმ წუთს, როცა

სამსახურში უნდა წავიდე, ხოლო როცა ვმუშაობ, მოუთმენლად ველი იმ წუთს, როცა შინ უნდა დავბრუნდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აწმყოთი კი არა, მომავლით ვცხოვრობ.
ოდესმე, სწორედ ამ მომავალში, ალბათ შორეულში, შევძლებ თვითმფრინავის ბილეთის ყიდვას და ბრაზილიაში დაბრუნებას. იქ კი ცოლად გავყვები ფართლეულის მაღაზიის მეპატრონეს და მოვისმენ დაქალების გესლიან შენიშვნებს. იმათ ხომ არასოდეს გაურისკავთ, ამიტომ მხოლოდ სხვისი წარუმატებლობით ხარობენ. მაგრამ არა, ეს არ მოხდება! მირჩევნია, ოკეანის თავზე თვითმფრინავიდან გადავხტე!
მაგრამ, რადგანაც თვითმფრინავში ფანჯრები არ იღება (სხვათა შორის, ეს ჩემთვის უსიამოვნო მოულოდნელობა იყო, — რა დასანანია, რომ არ შეგიძლია, ცისქვეშეთის სუფთა ჰაერი ჩაისუნთქო!), აქ მოვკვდები. მაგრამ, სანამ მოვკვდებოდე, კიდევ ვიბრძოლებ სიცოცხლისათვის. უცხო ქალაქში დაკარგვისა რომ არ მეშინოდეს, საითაც მომიხვდებოდა, იქით წავიდოდი.

მეორე დღესვე მარია ფრანგული ენის დღის კურსებზე ჩაეწერა, სადაც ყველა ასაკის, რასისა და კანის ფერის ხალხს მოეყარა თავი. აქ იყვნენ კაცები მყვირალა ტანსაცმელში, უამრავი ოქროს ჯაჭვითა და სამაჯურით, ქალები განუყრელი საბურველებით და ბავშვები, რომლებიც უცხო ენას მშობლებზე უკეთ ითვისებდნენ, — არადა, თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო: დიდებს ხომ უფრო მეტი გამოცდილება აქვთ. მარიას ეამაყებოდა, რომ ყველამ იცოდა მისი ქვეყნის შესახებ — კარნავალი, სამბა, ფეხბურთი და ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმული მოქალაქე, სახელად პელე. თან ჯიუტად სვამდნენ მახვილს პირველ ხმოვანზე, მიუხედავად, მარიას მცდელობისა, აეხსნა, რომ ის არის პელე! პელე-ე-ე-!!! — თუმცა მერე ხელი აიღო მათი გამოთქმის გამოსწორებაზე, რადგან თვითონ მასაც მარიაა-ს ეძახდნენ. ეს რა ახირება აქვთ უცხოელებს — სახელების დამახინჯება! ამასთან, ფიქრობენ, რომ მართალი არიან.
დღისით ენის გასატეხად მარიამ ამ ორი სახელის მქონე ქალაქში გაისეირნა და აღმოაჩინა უგემრიელესი შოკოლადი, ყველი, რომელიც ჯერ არასდროს გაესინჯა, უზარმაზარი შადრევანი ტბის შუაგულში, თოვლი, რომელზეც მის თანამემამულეებს სიცოცხლეში ფეხი არ დაედგათ, წეროები, ბუხრიანი რესტორნები (მართალია, ის არც ერთ მათგანში არ შედიოდა, მაგრამ ქუჩიდან ხედავდა ცეცხლს და ეს ძალიან სიამოვნებდა, — ცეცხლი თითქოს სულს უთბობდა). ძალიან გაუკვირდა, როცა შეამჩნია, რომ ყველა აბრა საათების ყიდვისაკენ არ მოუწოდებდა. ამას გარდა, არსებობდა ბანკები, თუმცა, ვერ გაიგო, რა საჭირო იყო ამდენი, — მაცხოვრებელი ხომ ცოტაა ამ ქვეყანაში. და კიდევ შენიშნა, რომ შიგნით, ბანკებში, თითქმის არავინ იყო, მაგრამ გადაწყვიტა, არაფერი ეკითხა.
სამუშაოზე სამი თვის მუდმივი თვითკონტროლის შემდეგ მასში ბრაზილიურმა სისხლმა იყივლა, — ტყუილად ხომ არ ითვლებიან ბრაზილიელი ქალები ყველაზე მგრძნობიარეებად და სექსუალურებად, — და მარიამ მსუბუქი რომანი გააბა არაბთან, რომელიც მასთან ერთად ერთ ჯგუფში სწავლობდა ფრანგულს. ეს კავშირი სამ კვირას გრძელდებოდა, სანამ მარიამ ყველაფერზე ხელი არ ჩაიქნია და თავის შეყვარებულთან ერთად მთებში გასეირნება არ გადაწყვიტა ჟენევის შემოგარენში. მაგრამ მეორე დღეს კაბარეში დაბრუნდა თუ არა, იგი როჟეს კაბინეტში გამოიძახეს.
ზღურბლს გადააბიჯა და მყისვე გაათავისუფლეს, რომ სხვა გოგონებს ჭკუა ესწავლათ. გამძვინვარებული როჟე ყვიროდა, რომ ახდა მისი ყველაზე უარესი წინათგრძნობა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, — ბრაზილიელების ნდობა არ შეიძლება (რატომაც არა? ძალიან კარგადაც შეიძლება). მარიას თავის მართლებამაც არ უშველა, — თითქოს შეუძლოდ იყო და კლიმატის შეცვლისაგან სიცხემ აუწია. შვეიცარიელი არ უსმენდა და თავისას გაიძახოდა. როგორია, ადგე და შემცვლელის მოსაძებნად ისევ ბრაზილიაში გაფრინდე. ერჩივნა, ისევ

იუგოსლავიელი მოცეკვავეები აეყვანა, რომლებიც უფრო ლამაზებიც არიან და გაცილებით მეტი პასუხისმგებლობითაც ეკიდებიან თავიანთ ვალდებულებებს.
მარია, მიუხედავად თავისი ახალგაზრდული ასაკისა, ბრიყვი სულაც არ იყო, თანაც მისმა არაბმა მეგობარმა აუხსნა, რომ, მკაცრი შვეიცარიული კანონმდებლობის მიხედვით, შეეძლო, როჟესთვის სასამართლოში ეჩივლა, მით უმეტეს, გამომუშავებული თანხის უდიდეს ნაწილს დაწესებულება ითვისებდა.
და მარია მიბრუნდა როჟეს კაბინეტში და ესაუბრა მას საკმაოდ კარგი ფრანგულით, სიტყვა „ადვოკატის“ არაერთგზის გამოყენებით. და ამ ჯადოსნური შელოცვის წყალობით სულ მალე იქიდან წყევლა-კრულვის ზალპი და არნახული თანხა — ხუთი ათასი დოლარი გამოიტანა. ახლა რამდენჯერაც მოისურვებდა, იმდენჯერ შეხვდებოდა თავის არაბს. შეეძლო, ეყიდა საჩუქრები, გადაეღო თოვლზე სურათები და შინ გამარჯვებული დაბრუნებულიყო.
პირველად მეზობლებს დაურეკა და სთხოვა, მშობლებისათვის გადაეცათ, რომ ყველაფერი საუცხოოდაა, რომ ის ბედნიერია, რომ წინ ბრწყინვალე მომავალი ელის და ნურაფერზე ინაღვლებენ. შემდეგ ისღა დარჩენოდა, დაეცალა როჟეს მიერ მისთვის ნაქირავები ნომერი და არაბთან წასულიყო, რომ საუკუნო სიყვარული შეეფიცა, მიეღო მისი სარწმუნოება და ცოლად გაჰყოლოდა, თუნდაც ამისთვის თავსაბურავის ტარება დასჭირვებოდა. მერე რა მოხდა, ყველასათვის ცნობილია, რომ არაბები ძალიან მდიდრები არიან და ეს სავსებით საკმარისია.
მაგრამ არაბი ამ დროისათვის უკვე ძალიან ANშორს იყო, — ალბათ სადმე ჩრდილოეთ არაბეთში, მარიასათვის სულ უცნობ ქვეყანაში, ასე რომ, მან მადლობა შესწირა ღვთისმშობელს იმისათვის, რომ არ მოუწია თავისი რწმენის უარყოფა. ახლა ის ფრანგულად რიგიანად ლაპარაკობდა. შეეძლო თვითმფრინავის ბილეთის ყიდვა, ჰქონდა ბარათიც, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ ის არის „სამბას შემსრულებელი“, საცხოვრებელი მოწმობაც, — ამასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, — და ისიც კარგად ახსოვდა, რომ უკიდურეს შემთხვევაში, მას რჩებოდა ფართლეულის მაღაზიის მეპატრონე. მარიამ გადაწყვიტა, ის ეკეთებინა, რაც, მისი აზრით, ყველაზე მეტად ეხერხებოდა — თავისი სილამაზით ეშოვა ფული.
ჯერ კიდევ ბრაზილიაში წაიკითხა წიგნი ერთ მწყემსზე, სახელად სანტიაგოზე, რომელმაც თავისი განძის ძიებაში უამრავი წინააღმდეგობა გადალახა, ამასთან, ეს წინააღმდეგობები მხოლოდ ეხმარებოდა საწადელის მიღწევაში. ეს ხომ მასზეა დაწერილი! და მარიამ დაიჯერა, სამუშაო იმიტომ დაკარგა, რომ ეპოვა თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება — გამხდარიყო ფოტომოდელი და მანეკენი.
იქირავა იაფფასიანი ბინა (რომელშიც ტელევიზორიც კი არ იყო — საჭიროა მომჭირნეობა, ჯერ ხომ ფულს ნიჩბით არა ხვეტს) და მეორე დღესვე სააგენტოებს ჩამოუარა. ყველგან პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოების დატოვებას სთხოვდნენ. მარია მიხვდა, რომ ეს ხარჯები კი არა, უფრო კაპიტალდაბანდებაა, რომელსაც ამონაგები ექნება, ოცნების განხორციელება კი ძვირი ღირს, ამიტომ ფულის დიდი ნაწილი შესანიშნავ ფოტოგრაფს მოახმარა, რომელიც ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს იღებდა. მას სტუდიაში უშველებელი კარადა ედგა. მარია მრავალფეროვან, დახვეწილ და საკმაოდ ექსტრავაგანტულ ტანსაცმელში პოზიორობდა. ბიკინიშიც კი, რომლის დანახვაზე მაილსონი, მისი ერთადერთი ნაცნობი რიოში — იმპრესარიო, თარჯიმანი და მცველი, აუცილებლად იამაყებდა. ბევრი ფოტო დააბეჭდინა და შინ გასაგზავნ წერილს დაურთო, რომელშიც იტყობინებოდა, რა კარგად ცხოვრობს შვეიცარიაში. დაე, იფიქრონ, რომ გამდიდრდა, ყველას გულის გასახეთქად დიდებული გარდერობი შეიძინა. ის მალე სახელს გაუთქვამს თავის წყნარ ქალაქს. თუ ყველაფერი ჩანაფიქრის მიხედვით მოხდება (მან უკვე ბევრი წიგნი წაიკითხა „პოზიტიურ აზროვნებაზე“ და ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი თავის გამარჯვებაში), სამშობლოში სასულე ორკესტრით დახვდებიან და პრეფექტს დაარწმუნებენ, რომელიმე მოედანს მისი სახელი დაარქვან.

იყიდა მობილური ტელეფონი და რამდენიმე დღე სამუშაოზე მისაწვევი ზარების მოლოდინში გაატარა. სადილობდა ჩინურ (ანუ ყველაზე იაფ) რესტორნებში და დროის მოსაკლავად გიჟივით იზუთხავდა ფრანგული ზმნების უღლებას.
მაგრამ დრო მაინც გულსაკლავად ნელა მიიზლაზნებოდა, ტელეფონი კი დუმდა. მისდა გასაკვირად, ტბის პირას სეირნობისას არავინ აქცევდა ყურადღებას, თუ არ ჩავთვლით ნარკოტიკებით მოვაჭრეებს, რომლებიც ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას ისხდნენ, კერძოდ კი იმ ხიდის ქვეშ, რომელიც ძველებურ პარკს ქალაქის თანამედროვე ნაწილთან აკავშირებდა. მარიას ეჭვიც კი შეეპარა თავის სილამაზეში და ასე ეგონა მანამ, სანამ კაფეში შემთხვევით შეხვედრილმა ერთმა მისმა ყოფილმა კოლეგამ არ აუხსნა, რომ საქმე მასში კი არა, შვეიცარიელებშია, რომელთაც არავის შეწუხება არ უყვართ და უცხოელებში, რომლებიც შიშობენ, „სექსუალური ზეწოლისათვის“ არ დააპატიმრონ და ამიტომაც აგრძნობინებენ ქალებს, თითქოს ისინი არავისთვის არ არიან საჭირო.
ჩანაწერი მარიას დღიურში, როცა მან დაკარგა გამბედაობა სახლიდან გამოსვლისა, ცხოვრებისა და მოლოდინისა, როდის დარეკავს ეს დამუნჯებული ტელეფონი:
დღეს ატრაქციონების პარკს ჩავუარე. ფულის ტყუილად ფლანგვის უფლება არ მაქვს, ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ხალხს ვათვალიერებდი. დიდხანს ვიდექი „რუსულ გორაკებთან“. ადამიანები ეძებენ მძაფრ განცდებს, მაგრამ როგორც კი ეს ყველაფერი ამოძრავდება, შიშისაგან გული უსკდებათ და გაჰკივიან: „გააჩერეთ“.
მაშ, რა უნდათ? თუ თავგადასავალი აირჩიეს, რატომ ბოლომდე არ მიჰყვებიან? ნუთუ ფიქრობენ, რომ უფრო გონივრული იქნება, გვერდი აუარონ ციცაბო აღმართებსა და დაღმართებს და აირჩიონ კარუსელი, რომელიც ერთ ადგილზე ტრიალებს?
ახლა ისე ეულად ვგრძნობ თავს, რომ სიყვარულზე ფიქრიც კი არ შემიძლია, მაგრამ აუცილებელია, საკუთარი თავი დავარწმუნო, ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი კარგად იქნება, მე მოვეწყობი, ბოლოს და ბოლოს, აქ იმიტომ ვარ, რომ სწორედ ასეთი ბედი ავირჩიე. „რუსული გორაკები“ — ეს ჩემი ცხოვრებაა. ცხოვრება კი ტკბილი, თვალისმომჭრელი თამაშია, პარაშუტით გადმოხტომა, რისკია. შენ ვარდები, მაგრამ ისევ ფეხზე დგები. ეს არის ის, რასაც „კანიდან გამოძრომა“ ჰქვია. ეს სევდა და გულგატეხილობაა, თუ ვერ ახერხებ დასახულის შესრულებას.
ძნელია, ცხოვრობდე ახლობლებისგან შორს და არ გქონდეს იმ ენაზე საუბრის საშუალება, რომლითაც შეგიძლია გრძნობებისა და შეგრძნებების ყველაზე ნატიფად გადმოცემა, მაგრამ დღეიდან, როგორც კი სევდა შემომაწვება, ამ ატრაქციონების პარკს გავიხსენებ. საინტერესოა, რა გრძნობა დამეუფლებოდა, რომ უცაბედად „რუსულ გორაკებზე“ გამღვიძებოდა?
უპირველეს ყოვლისა, ალბათ ის, რომ რაღაც მახეში გავები, რომ მეშინია, რომ მაზიდებს, რომ აქედან გაქცევა მინდა. თუმცა, თუ ვირწმუნებ, რომ სწორედ რელსებია ჩემი ბედისწერა, რონოდას კი ღმერთი მართავს, მაშინ კოშმარი აღფრთოვანებად გადაიქცევა. „რუსული გორაკები“ საიმედოდ და სათუთად მიგიყვანს დანიშნულების ადგილამდე და სანამ მოგზაურობა გრძელდება, იყურე აქეთ-იქით და იკივლე აღფრთოვანებისგან.

სიტყვებით გადმოცემა იმ აზრებისა, რომელიც ბრძნულად ეჩვენებოდა, მარიას შეეძლო. აი, საკუთარ რჩევათა გათვალისწინება კი მაინცდამაინც არ გამოსდიოდა: სულ უფრო ხშირად იყო დათრგუნვილი, ტელეფონი კი ისევ დუმდა. გულის გადასაყოლებლად, დროის მოსაკლავად და, აგრეთვე, ენის გასატეხად, ჟურნალების შეძენას მიჰყო ხელი, სადაც სახელოვან მსახიობებზე იბეჭდებოდა სტატიები. თუმცა, მალევე მიხვდა, რომ ეს ძალიან ძვირი უჯდებოდა და ამიტომ უახლოეს ბიბლიოთეკაში ჩაეწერა. იქ უთხრეს, რომ ჟურნალებს შინ არ ატანენ, სამაგიეროდ, შესთავაზეს რამდენიმე წიგნი, რომელიც ფრანგულის დაუფლებაში დაეხმარებოდა.

— არა, წიგნების საკითხავად არა მცალია.
— არა გცალიათ? რითი ხართ დაკავებული?
— ბევრი საქმე მაქვს. ენას ვსწავლობ, დღიურს ვაწარმოებ და...
უნდოდა ეთქვა, ტელეფონის ზარს ველოდებიო, მაგრამ დუმილი ამჯობინა.
— ძვირფასო, თქვენ ისეთი ახალგაზრდა ხართ, — უთხრა ბიბლიოთეკარმა ქალმა, — წინ მთელი ცხოვრება გაქვთ. იკითხეთ. დაივიწყეთ ყველაფერი, რაც კი თქვენთვის უთქვამთ, და იკითხეთ.
— უკვე ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული.
ამ დროს მარიას გაახსენდა მაილსონის სიტყვები: „მთავარია, მუხტი“. ბიბლიოთეკარი კეთილი, უწყინარი და გაჭირვებაში თანამდგომი ადამიანი ჩანდა, შეიძლება მის მეგობრადაც ქცეულიყო და მარიამ მისი მოხიბვლა გადაწყვიტა:
— მაგრამ უფრო მეტის წაკითხვა მინდა, მირჩიეთ რამე, გეთაყვა.
ბიბლიოთეკარმა „პატარა უფლისწული“ გამოუტანა. საღამოს მარია მის ფურცვლას და ნახატების თვალიერებას შეუდგა. იქ გამოსახული იყო ქუდი, რომელიც, ავტორს თუ დავუჯერებთ, ქუდი სულაც არ იყო, არამედ მახრჩობელა გველი, რომელმაც სპილო გადაყლაპა. „ის რა, არასდროს არ ყოფილა ბავშვი? — გაიფიქრა მარიამ, — მე მგონი, ეს ქუდს უფრო ჰგავს“. ტელევიზორი არ ჰქონდა და მოწყენილობის დასაძლევად პატარა უფლისწულის თავგადასავლებს მიადევნა თვალი. ყოველთვის ნაღველი იპყრობდა, როცა წიგნში სიყვარულს ახსენებდნენ. ამ თემაზე ფიქრიც კი აიკვეთა, ასეთი აზრებისაგან თავის მოკვლა უნდოდა. წიგნი მოეწონა, თუ არ ჩავთვლით ნაღვლიან-რომანტიკულ სცენებს მელაკუდასა და ვარდთან, და, რაც მთავარია, გაერთო: უამისოდ მარია ყოველ ხუთ წუთში ამოწმებდა, ხომ არ დაჯდა მობილური ტელეფონის ბატარეაო (იმის გაფიქრებაც კი შემზარავია, რომ ცხოვრებაში მთავარი შანსი ასეთი უმნიშვნელო რამის გამო შეიძლება ხელიდან გაუშვა).
მარიამ ბიბლიოთეკაში სიარულს მოუხშირა. ემასლაათებოდა ბიბლიოთეკარ ქალს, რომელიც მასავით ეული ჩანდა, ეკითხებოდა წიგნებსა და მათ ავტორებზე და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ არ გადათვალა თავისი ფული და არ მიხვდა: კიდევ ორი კვირა და ბილეთის ასაღები ფულიც აღარ დარჩებოდა.
მაგრამ ზოგჯერ ცხოვრება გაჭირვებასა და განსაცდელს იმისათვის მოგივლენს, რომ მერე უფრო აშკარად დაინახო მისი ნათელი მხარე, — ბოლოს და ბოლოს ტელეფონმა დარეკა.
დიახ, მას შემდეგ, რაც მარიას ლექსიკონში გაჩნდა სიტყვა „ადვოკატი“, გავიდა სამი თვე, რომლის განმავლობაში იგი როჟესათვის წაგლეჯილი ფულით არსებობდა. გაისმა ზარი და უცნობმა, რომელმაც სამოდელო სააგენტოს თანამშრომლად წარუდგინა თავი, სთხოვა, თუ შეიძლება, მადმუაზელ მარის დამალაპარაკოთო. „შეიძლება“, — ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამომუშავებული თავშეკავებით უპასუხა მარიამ, თან ცდილობდა, მღელვარებისაგან ხმაში ბზარი არ გასჩენოდა. გაირკვა, რომ ვიღაც არაბს, თავის სამშობლოში ცნობილ მოდელიორს, მისი ფოტოები მოსწონებია და დეფილეში მონაწილეობის მისაღებად იწვევდა. მარიას მოაგონდა ადრინდელი იმედგაცრუება, მაგრამ მოაგონდა ასევე ისიც, რომ ფული ძალიან სჭირდებოდა.
შეხვედრა ფეშენებელურ რესტორანში დაინიშნა. მარიას წინაშე როჟეზე გაცილებით მიმზიდველი და ელეგანტური მამაკაცი წარდგა.
— იცით, ვისი ტილოა ეს? ხუან მიროსი. იცით, ვინ არის ხუან მირო? — ჰკითხა მან.
მარია გაირინდა, თითქოს ჭამით არის გართულიო, საჭმელი კი, უნდა ითქვას, ძალიან განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც ჩინურ რესტორნებში სთავაზობდნენ, გულში კი გაიფიქრა, „ბიბლიოთეკაში ამ მიროს შესახებ წიგნის აღება მომიწევს“.
მაგრამ არაბი არ დაეხსნა:

— აგერ, იმ მაგიდასთან ფედერიკო ფელინის უყვარდა ჯდომა. გიყვართ ფედერიკო ფელინის ფილმები?
„ვაღმერთებ“, — უპასუხა მან. მაგრამ, როცა არაბმა ფელინის ფილმების დეტალური განხილვა დააპირა, მარიამ იგრძნო, მისი განათლების პატრონი ამ გამოცდას ვერ ჩააბარებდა, და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:
— თვალთმაქცობას არ დავიწყებ, მე მხოლოდ „პეპსისა“ და „კოკა-კოლას“ ვარჩევ ერთმანეთისაგან. იქნებ დეფილეს შესახებ გვესაუბრა?
მისმა გულახდილობამ არაბზე აშკარად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა:
— ვისაუბრებთ, ოღონდ ახლა არა, ვახშმის შემდეგ, როცა თითო ჭიქა შამპანურს დავლევთ.
სიჩუმე ჩამოვარდა. უსიტყვოდ უყურებდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ წარმოედგინათ, რაზე ფიქრობდა თითოეული მათგანი.
— თქვენ ძალიან ლამაზი ხართ, — უთხრა არაბმა, — და თუ დამთანხმდებით ჩემს ნომერში თითო ჭიქის დალევაზე, ათას ფრანკს მიიღებთ.
მარია ყველაფერს მიხვდა. ვინ არის დამნაშავე — მოდელების სააგენტო თუ თვითონ? რატომ უკეთ არ გაარკვია, რა ვახშამი იყო ეს? არა, არავინ არის დამნაშავე, არც სააგენტო, არც თვითონ, არც არაბი: უბრალოდ ყველაფერი ეს სწორედ ასეა მოწყობილი და არა სხვანაირად. ანაზდად აუტანლად მოუნდა შინ, ბრაზილიაში, დედასთან. გაახსენდა მაილსონის სიტყვები, რომ ერთ ღამეში სამას დოლარზე ნაკლებს არ იღებენ. მაშინ ეს ხუმრობად მოეჩვენა, ახლა კი ცხადად მიხვდა, მას არავინ ჰყავს, ვერავის ჰკითხავს რჩევას, აბსოლუტურად მარტოა უცხო ქალაქში და მისი შედარებით ბედნიერი ცხოვრების ოცდაორი წელი ვერაფრით დაეხმარება სწორი პასუხის პოვნაში.
— კიდევ დამისხით ღვინო, გეთაყვა.
სანამ არაბი ჭიქას ავსებდა, აზრები მარიას თავში იმაზე სწრაფად ტრიალებდა, ვიდრე პატარა უფლისწული პლანეტიდან პლანეტაზე დაფრინავდა. დიახ, ის აქ ჩამოვიდა მძაფრი განცდებისათვის და ფულისა და ქმრის საპოვნელად. მან იცოდა, რომ ბოლოს და ბოლოს მსგავს წინადადებას მიიღებდა, ბავშვი აღარ არის და უნდა შეჰგუებოდა კაცების ასეთ საქციელს. და მაინც, მასში სულ ცოტა ხნის წინ ღვიოდა იმედის ნაპერწკალი — ოცნება მოდელების სააგენტოზე, არტისტულ კარიერაზე, მდიდარ ქმარზე... შვილები, შვილიშვილები, ტანსაცმელი, ტრიუმფული დაბრუნება მშობლიურ ქალაქში... სჯეროდა, რომ სიძნელეების გადასალახად ეყოფოდა ჭკუა, მომხიბვლელობა და ნებისყოფა.
სინამდვილესთან შეჯახება იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ, არაბის გასაოცრად, მარია ატირდა. მამაკაცში ერთმანეთს ებრძოდა სკანდალის შიში და ქალის დაცვის ქვეცნობიერი სურვილი. დაბნეულობისაგან აღარ იცოდა, რა ეღონა. ის იყო, ოფიციანტის მოხმობა და ანგარიშის მოთხოვნა დააპირა, რომ მარიამ შეაჩერა:
— დამისხით კიდევ და მაცალეთ, ცოტა ვიტირო.
და მან გაიხსენა ბიჭი, რომელმაც ჰკითხა, ზედმეტი კალამი ხომ არ გაქვსო. მეორე ბიჭიც, რომელსაც კოცნიდა ბაგეების გაუხსნელად. ისიც, თუ როგორ მოხვდა რიო-დე-ჟანეიროში, კაცები, რომლებიც მხოლოდ იღებდნენ მისგან და სანაცვლოდ არაფერს აძლევდნენ, ისიც, თუ რამდენი სიყვარული და ვნება მიმოფანტა თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. თითქოს ყოველთვის თვითონ იყო თავისი თავის ბატონ-პატრონი, ცხოვრება კი სასწაულის, ნამდვილი სიყვარულის, თავგადასავლისა და უსათუოდ ბედნიერი დასასრულის, „ჰეფი-ენდის“ უსასრულო ლოდინად შემოუბრუნდა. ვიღაცას დაუწერია, რომ ვერც დრო, ვერც სიბრძნე ვერ ცვლის ადამიანს და ერთადერთი, რასაც შეუძლია მისი ფიქრებისა და გრძნობების შეცვლა, სიყვარულია. რა სისულელეა! იმას, ვინც ეს დაწერა, მედლის მეორე მხარე არ უნახავს.

ჭეშმარიტად, სხვას არაფერს შეუძლია დროდადრო ისე გადაატრიალოს ადამიანის ცხოვრება, როგორც სიყვარულს. მაგრამ სიყვარულს ფეხდაფეხ მოსდევს კიდევ რაღაც, რაც აიძულებს ადამიანს იმ ბილიკს დაადგეს, რომელზეც მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ამ რაღაცას „სასოწარკვეთა“ ჰქვია. და თუ სიყვარული სწრაფად ცვლის ადამიანს, სასოწარკვეთა კიდევ უფრო სწრაფია. ახლა რაღა უნდა ქნა, მარია? — ფეთიანივით გავარდე ამ რესტორნიდან, დაბრუნდე ბრაზილიაში, ბავშვებს ფრანგული შეასწავლო, ფართლეულის მაღაზიის მეპატრონეს გაჰყვე ცოლად თუ კიდევ ცოტა წინ წახვიდე, კიდევ ერთი ღამე გაატარო ამ ქალაქში, სადაც არავის იცნობ და შენც არ გიცნობს არავინ? ნუთუ სულ ერთ ღამეს, რომელიც ბევრ და თანაც იოლ ფულს გპირდება, შეუძლია ისე შორს შეგიტყუოს, რომ უკან ვეღარ დაბრუნდე? რა ხდება ამ დროს — შანსი გეძლევა თუ ღვთისმშობელი გამოცდას გიწყობს?
არაბი ამ დროს ათვალიერებდა ხუან მიროს ტილოს, ფედერიკო ფელინის საყვარელ მაგიდას, მეგარდერობე ქალს, რომელიც კლიენტებისაგან პალტოებს იბარებდა და თვით ამ კლიენტებს, შემომსვლელებსა და Gგამსვლელებს.
— შენ რა, არ იცოდი?
— კიდევ დამისხი ღვინო, გეთაყვა, — უპასუხა ჯერ ისევ თვალცრემლიანმა მარიამ. გულში ნატრობდა, ნეტავ ოფიციანტი არ მიხვდეს ყველაფერს და არ მოგვიახლოვდესო. ოფიციანტი კი, რომელიც მალულად თვალს ადევნებდა ამ წყვილს, ფიქრობდა, ნეტავ არაბმა და ამ გოგონამ მალე მოითხოვონ ანგარიში და წავიდნენ, ხალხის დასასმელი ადგილი აღარ არის რესტორანშიო.
ბოლოს, — ლამის საუკუნე გავიდა, — მარიამ დუმილი დაარღვია:
— მაშ, ათასი ფრანკიო, ამბობ? — და საკუთარი ხმა ეუცხოვა.
— დიახ, — უპასუხა არაბმა, თან უკვე ნანობდა თავის წამოწყებას, — მაგრამ მე არავითარ შემთხვევაში არ მინდა, რომ...
— გადაიხადე. შენს ნომერში დავლევთ.
ისევ ვერ იცნო თავი. ამ წუთამდე ნაზი, ზრდილი, მხიარული გოგონა იყო, რომელიც ასეთი ტონით არასდროს ლაპარაკობდა უცნობებთან, მაგრამ ის გოგონა სადღაც გამქრალიყო. მის წინაშე სხვა ყოფა წარმოჩენილიყო, სადაც „დრინქი“ ათასი ფრანკი, ხოლო თუ უფრო უნივერსალურ ვალუტაში გადავიყვანთ, ასე ექვსასამდე დოლარი ღირდა.
და ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც განსაზღვრული იყო: ის გაჰყვა ნომერში არაბს, დალია შამპანური და მყისვე დათვრა, დაწვა მასთან, დაუცადა, სანამ კაცი ორგაზმს მიაღწევდა (არც უფიქრია, მოეჩვენებინა თავი, თითქოს თვითონაც მიიღო რაიმე სიამოვნების მაგვარი), მიიღო შხაპი მარმარილოთი მოპირკეთებულ აბაზანაში, აიღო ფული და თავს სახლში ტაქსით დაბრუნების უფლება მისცა.
მერე დაეგდო ლოგინში და მკვდარივით დაეძინა.
მეორე დღეს მარიამ დღიურში ჩაწერა:
ყველაფერი მახსოვს, იმ წუთის გარდა, როცა გადაწყვეტილება მივიღე. უცნაურია — არავითარი დანაშაულის გრძნობა. ადრე ყოველთვის მეგონა, რომ ქალებს, რომლებიც სხეულით ვაჭრობენ, ცხოვრებამ, უბრალოდ, არჩევანი არ დაუტოვა, ახლა კი ვხედავ, რომ ეს ასე არ არის. შემეძლო მეთქვა „ჰო“, შემეძლო მეთქვა „არა“, — არავის არაფერი დაუძალებია და არც თავს მოუხვევია.
ქუჩას მივუყვები, გამვლელებს სახეში შევცქერი და ვფიქრობ, ნეტავ, თვითონ აირჩიეს თავისი ბედი თუ ბედმა აირჩია ისინი, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში მოხდა? დიასახლისს მოდელად გახდომა სურს, ბანკის მოხელეს — მუსიკოსობა, კბილის ექიმი მალულად წიგნს წერს და ლიტერატორობა უნდა. აი, ეს გოგო ტელევიზიაზე ოცნებობს, სალაროს კი უზის სუპერმარკეტში.

ჩემი თავი სულაც არ მეცოდება. მსხვერპლადაც არ ვგრძნობ თავს, იმიტომ, რომ შემეძლო დამეტოვებინა რესტორანი შეუბღალავი თავმოყვარეობითა და ცარიელი საფულით. შემეძლო აღშფოთებით წამეკითხა მორალი იმ არაბისათვის ან თავი პრინცესად მომეჩვენებინა, რომელიც უნდა დაიპყრო და არა იყიდო. შემეძლო... რა ვიცი, რაღა არ შემეძლო, მაგრამ, როგორც ადამის მოდგმის უმრავლესობამ, არჩევანი ბედს მივანდე.
მე ერთადერთი სულაც არა ვარ. თუმცა, შეიძლება ვიღაცას მოეჩვენოს, რომ ბედმა გამრიყა, დამჩაგრა, მაგრამ ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე წინ გადაულახავი წინაღობები გვხვდება: ვერც ერთმა ჩვენგანმა, ვერც კლერკმა — მუსიკოსმა, ვერც სტომატოლოგმა — მწერალმა, ვერც მოლარემ — მსახიობმა, ვერც დიასახლისმა — ფოტომოდელმა ბედნიერება ვერ პოვა.

აი, თურმე როგორ ხდება ეს. თურმე რა ადვილი ყოფილა. ის, რაც გუშინ სავსებით უცხო ქალაქში ჩამოსული ქალისათვის სატანჯველს წარმოადგენდა, ახლა ყოვლისმომცველ თავისუფლებას ანიჭებს. არავისთვის არაფრის ახსნა არაა საჭირო.
მან გადაწყვიტა, რომ პირველად მრავალი წლის განმავლობაში საკუთარ თავზე ეფიქრა და ამისათვის მთელი დღე დაეთმო. აქამდე სულ სხვებზე ზრუნავდა. წუხდა დედაზე, თანაკლასელებზე, მამაზე, სამოდელო სააგენტოს თანამშრომლებზე, ფრანგულის მასწავლებელზე, ოფიციანტზე, ბიბლიოთეკარზე. მარჩიელობდა, რაზე ფიქრობენ გამვლელები, რომელთაც პირველად და უკანასკნელად ხედავდა. სიმართლე რომ ითქვას, არავინ არაფერზე ფიქრობდა, მით უმეტეს, მასზე, საბრალო უცხოელზე. ხვალ სულაც რომ გამქრალიყო, პოლიციაც კი არ დაინტერესდებოდა მისი ბედით.
მარია სახლიდან ადრიანად გამოვიდა, ჩვეულ ადგილას ისაუზმა, მერე ტბის ნაპირას ჩაიარა და რაღაც თავყრილობა შენიშნა. ქალმა, რომელიც ძაღლს ასეირნებდა, თქვა, რომ ამ ქურთებმა ისევ მოაწყვეს დემონსტრაცია. და მარიამ, ნაცვლად იმისა, რომ განათლებულ და კულტურულ ადამიანად მოეჩვენებინა თავი, მოულოდნელად იკითხა:
— ქურთები ვინ არიან?
და ქალმა, რა გასაკვირიც უნდა იყოს, ვერ უპასუხა. გაგიჟდები, თავი ყველაფრის მცოდნეებად მოაქვთ, ჰკითხავ და — არაფერი იციან. მაშინ მარია ინტერნეტ-კაფეში შევიდა და გაარკვია, რომ ქურთები არიან ქურთისტანის მცხოვრებლები, არარსებული ქვეყნისა, რომლის ნაწილიც დღესდღეობით ირანს ეკუთვნის, ნაწილი კი — ერაყს. მერე დაბრუნდა ტბასთან იმ იმედით, რომ ქალს ისევ იმავე ადგილას ნახავდა, მაგრამ ის უკვე წასულიყო. ალბათ, ძაღლს მობეზრდა დროშებიანი და ტრანსპარანტებიანი ბრბოს ცქერა და მათი უცნაური მუსიკისა და გაუგებარი შეძახილების მოსმენა.
„ეს ხომ მე ვარ! უფრო სწორად, ვიყავი, მოჩვენებით განსწავლულობას დუმილით ვნიღბავდი მანამ, სანამ არაბმა ისე არ გამაბრაზა, რომ მეყო სითამამე მეღიარებინა, მხოლოდ „პეპსის“ ვარჩევ „კოკა-კოლასგან“-მეთქი. მაგრამ რა, — შეიცხადა? თავისი განზრახვა შეცვალა? არაფერიც! ალბათ, იგი ჩემმა უშუალობამ გააოგნა. არადა, ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდი, როცა ვცდილობდი, თავი იმაზე ჭკვიანად მომეჩვენებინა, ვიდრე სინამდვილეში ვარ. ამიერიდან ეს აღარ განმეორდება!“
მარიამ სამოდელო სააგენტო გაიხსენა. ნეტავ თუ იცოდნენ, რა უნდოდა იმ არაბს სინამდვილეში. ნეტავ სერიოზულად ფიქრობდნენ, რომ არაბს სამუშაოს შეთავაზება შეეძლო?
ასეა თუ ისე, ამ ნაცრისფერ ჟენევურ დილას, როცა ტემპერატურა თითქმის ნულამდე დაეცა, როცა ქურთები დემონსტრაციაზე გამოვიდნენ, ხოლო ტრამვაები, როგორც ყოველთვის, წუთი წუთზე შემოდიოდნენ გაჩერებაზე, როცა საიუველირო მაღაზიების ვიტრინებში ძვირფასეულობა გამოფინეს, როცა ბანკები გაიხსნა და როცა მაწანწალები და მათხოვრები დასაძინებლად წავიდნენ, წესიერი მოქალაქენი კი — სამსახურებში, მარიამ თავი არც ისე

ეულად იგრძნო. მის გვერდით ვიღაც ქალი გაჩნდა, ყველასათვის უხილავი ქალი. თავიდან მარიასაც არ შეუმჩნევია მისი არსებობა, ახლა კი არა მარტო შენიშნა, არამედ შეიგრძნო იგი.
მარიამ გაუღიმა ამ უხილავ ქალს, რომელიც ყოვლადწმინდა ქალწულს, იესოს დედას, ჰგავდა. მანაც გაუღიმა და ურჩია, ფრთხილად ყოფილიყო, ვინაიდან ყველაფერი არც ისე მარტივადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მაგრამ მარიამ არ შეისმინა მისი რჩევა. ის უკვე დიდია და თავის საქციელზე თვითონ აგებს პასუხს. მას არ სჯერა, რომ სადღაც მაღლა მის წინააღმდეგ შეთქმულებას ხლართავენ. მან უკვე გაიგო, რომ არსებობს ხალხი, რომელიც მზად არის ათასი ფრანკი გადაიხადოს მასთან ერთი ღამის გასატარებლად. არა, ერთი ღამისათვის კი არა, ნახევარი საათით მასთან ლოგინში კოტრიალისათვის, და ახლა მარიამ უბრალოდ უნდა გადაწყვიტოს: იყიდოს ამ ათასი ფრანკით თვითმფრინავის ბილეთი და შინ დაბრუნდეს თუ ცოტა ხანს კიდევ დაჩეს აქ, მოაგროვოს ფული მშობლებისათვის სახლის ასაშენებლად, ლამაზი ტანსაცმლისათვის და იმ ქვეყნებში სამოგზაუროდ, საითაც ყოველთვის მიუწევდა გული.
უხილავი ქალი დაბეჯითებით იმეორებდა, „არც ისე მარტივადაა ყველაფერი“, მაგრამ მარიამ, გახარებულმა იმით, რომ მარტო აღარ იყო, სთხოვა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში ხელი არ შეეშალა.
და ისევ შეუდგა, ახლა უფრო საფუძვლიანად, იმის განსჯას, ღირს თუ არა ბრაზილიაში დაბრუნება. სკოლის მეგობრები, რომელთაც არასოდეს დაუტოვებიათ მიყრუებული ქალაქი, უთუოდ იტყვიან, მარია გამოაგდეს, რადგან ნიჭი არ ეყო, რომ საერთაშორისო მასშტაბის ვარსკვლავი გამხდარიყო. დედას ის ეწყინება, რომ დაპირებული ფული არ ჩაუტანა, თუნდაც ყოველ წერილში აუხსნას, რომ უგზავნიდა, მაგრამ ფოსტაში იკარგებოდა. მამა შეხედავს და გულში გაივლებს: „ასეც ვიცოდი“. მარია ისევ ფართლეულის მაღაზიაში დაიწყებს მუშაობას, ცოლად მის მეპატრონეს გაჰყვება. და ყველაფერი ეს მას შემდეგ, რაც თვითმფრინავით ოკეანეს გადაუფრინა, შვეიცარიაში მიირთვა შვეიცარიული ყველი, სწავლობდა ფრანგულს და თოვლზე თავის ნაფეხურებს ტოვებდა.
მეორე მხრივ, არსებობს შამპანურით სავსე ჭიქები, — თითო ათას ფრანკად. შესაძლოა, ასე დიდხანს არ გაგრძელდეს, — სილამაზე წარმავალია, ნიავივით ჩაიქროლებს. მარიას ერთი წელიც ეყოფა, რომ უწინდელ ცხოვრებას დაუბრუნდეს, ოღონდ თამაშის წესებს ამიერიდან თვითონ დაადგენს. საქმე ისაა, რომ არ იცის, რით დაიწყოს, სახელდობრ, რა აკეთოს. ჟენევაში ჩასვლისთანავე გოგონამ, სახელად ვივიანმა, გაკვრით ახსენა რიუ დე ბერნი, ბერნის ქუჩა. დიახ, დიახ, სწორედ ამით დაიწყო, ჩემოდნების დადგმაც კი არ აცალა მარიას.
და მარია მაშინვე გაემართა ერთ-ერთი იმ უზარმაზარი ფარისაკენ, რომელთაც ჟენევის ხალხმრავალ ქუჩებში დგამენ, რომ რომელიმე ტურისტს გზა არ აერიოს. მსგავსი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად გზაჯვარედინებზე განთავსებული პანელების ერთ მხარეს ქუჩებისა და მოედნების ნუსხაა გამოსახული, მეორეზე კი — ქალაქის დეტალური გეგმა.
მარიამ ფარის სიახლოვეს მდგომ მამაკაცს ჰკითხა, ხომ არ იცის, სად არის ბერნის ქუჩა. უცნობმა აშკარა დაინტერესებით შეათვალიერა მარია და ჩაეკითხა, მართლა ამ ქუჩას ეძებს თუ შვეიცარიის დედაქალაქ ბერნისაკენ მიმავალ გზატკეცილს. „არა, — უპასუხა მარიამ, — მე ვეძებ ქუჩას, რომელიც ამ ქალაქში მდებარეობს“. მამაკაცმა ისევ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და უსიტყვოდ გაეცალა სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ ფარული კამერით იღებენ რომელიმე იმ ტელეპროგრამისათვის, რომელშიც ხალხის გასარ¬თობად გამვლელებს სულელურ მდგომარეობაში აგდებენ. ბოლოს მარიამ ფართან თხუთმეტწუთიანი დგომის ფასად, — ჟენევა ხომ არც ისე დიდია, — იპოვა, რასაც ეძებდა.

მისი უხილავი მეგობარი, რომელიც მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ მარია რუკაზე თითს აყოლებდა, დუმდა. ახლა შეეცადა, ეთქვა, რომ ამჯერად საქმე უკვე მორალს კი არ ეხებოდა, არამედ იმას, რომ მარია მიდის იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან.
მარიამ მიუგო, რომ თუკი ბრაზილიაში დასაბრუნებელი ბილეთის ფულის შოვნა მოახერხა, ნებისმიერი ხიფათიდან თავის დაღწევასაც მოახერხებს. და კიდევ: არც ერთ მათგანს, ვისაც იგი ბედმა შეახვედრა, თვითონ არ აურჩევია თავისი მომავალი საქმიანობა. ასეთია ცხოვრება!
„მე და შენ გლოვის ველზე ვიმყოფებით, — აგრძელებდა ის უხილავ მეგობართან საუბარს, — ჩვენ შეგვიძლია, ვიოცნებოთ, რამდენიც გვინდა, მაგრამ ცხოვრება ნაღვლიანი, პირქუში და ულმობელია. რა უნდა მითხრა? რომ გამკიცხავენ? ამას ხომ ვერავინ გაიგებს. თანაც ეს მცირე ხნით გაგრძელდება“.
უხილავმა მეგობარმა ალერსიანად, მაგრამ ნაღვლიანად გაუღიმა და გაუჩინარდა.
მაშინ მარია ატრაქციონების პარკში წავიდა, აიღო ბილეთი „რუსულ გორაკებზე“ და შიშისაგან სხვებთან ერთად კიოდა, თუმცა, ხვდებოდა, რომ ნამდვილი საშიშროება არ არსებობს და ეს ყველაფერი მოჩვენებითია. სადილად იაპონურ რესტორანში შევიდა. ხეირიანად ვერც კი მიმხვდარიყო, რას ჭამდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს ძალიან ძვირია: ახლა უკვე შეეძლო საკუთარი თავისათვის ასეთი სიამოვნების მინიჭება. ახარებდა ისიც, რომ აღარ სჭირდებოდა ტელეფონის ზარის ლოდინი და თითოეული ფრანკის მოფრთხილება.
საღამოს სააგენტოს დაუკავშირდა მადლობის გადასახდელად და იმის სათქმელად, რომ შეხვედრამ კარგად ჩაიარა. მისი ვარაუდით, თუ იქ მართლა სამოდელო ბიზნესს მისდევენ, მაშინ ფოტოსურათების მიტანას სთხოვდნენ, ხოლო თუ სხვა სახის მომსახურებას ეწეოდნენ, ახალ კლიენტს მოუძებნიდნენ.
მერე ხიდი გადაიარა და თავის პატარა ბინაში დაბრუნდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, არასგზით არ ეყიდა ტელევიზორი, თუნდაც ზედმეტი ფული გასჩენოდა. მთელი თავისი თავისუფალი დრო მარიას ფიქრისათვის უნდა დაეთმო.

იმავე საღამოს ჩანაწერი მარიას დღიურში, მინაწერით „დარწმუნებული არ ვარ“:
მე მივხვდი, რატომ უხდის მამაკაცი ქალს ფულს. მას სურს ბედნიერება.
მამაკაცი არ გადაიხდის ათას ფრანკს მხოლოდ იმაში, რომ ორგაზმი განიცადოს. მას სურს, იყოს ბედნიერი. მეც მინდა ეს, ყველას უნდა, იყოს ბედნიერი და არავის არ გამოსდის. რას ვკარგავ, თუ რაღაცა დროით გავხდები... ამ სიტყვის გაფიქრებაც მზარავს, არათუ დაწერა. და მაინც... მოკლედ, რას ვკარგავ, თუ რაღაც დროით გავხდები მეძავი?
პატივი, ღირსება, საკუთარი თავის პატივისცემა... კარგად რომ დავფიქრდე, არასდროს მქონია არც ერთი, არც მეორე, არც მესამე. მე ვერ შევხვდი იმას, ვინც შემიყვარებდა, ყოველთვის არასწორად ვიქცეოდი და ახლა მზად ვარ, დავუშვა, რომ ჩემი ცხოვრება მე თვითონ დავღუპე“.

* * *
მეორე დღეს მარიამ სააგენტოში დარეკა ფოტოსურათების ამბის გასაგებად და იმის გასარკვევად, მოსალოდნელი იყო თუ არა ახალი ჩვენება. მას წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ იქ არაფერი იცოდნენ, ამიტომ დაიბარა, რომ არაბი უნდა დაჰკავშირებოდა მათ.
მერე ბიბლიოთეკაში წავიდა და მოითხოვა წიგნები სექსის შესახებ. თუ ის სერიოზულად ფიქრობს, იმუშაოს ახალ სფეროში, თუნდაც მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, როგორც თავის თავს დაჰპირდა, უწინარეს ყოვლისა, უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს და როგორ მიანიჭოს, უფრო სწორად კი — როგორ მიჰყიდოს, სხვებს ნეტარება.
რა დიდი იყო მისი იმედგაცრუება, როცა იქ უთხრეს, რომ ეს სახელმწიფო ბიბლიოთეკაა და მხოლოდ რამდენიმე სახელმძღვანელო აქვთ. მარიამ ერთ-ერთი მათგანი გადაფურცლა და

მაშინვე უკან დააბრუნა. ავტორებს არაფერი გაეგებოდათ ბედნიერებაზე, ისინი მსჯელობდნენ მხოლოდ ერექციაზე, ეაკულაციაზე, სტიმულაციაზე, დაცვის საშუალებებსა და სხვა ამგვარ უგემოვნო საგნებზე. ბოლოს ყურადღება შეაჩერა „ფრიგიდულობის ფსიქოლოგიური ასპექტების“ სქელტანიან ტომზე, რადგან, ცოტა არ იყოს, აფიქრებდა ის ამბავი, რომ არც ერთ კაცთან ორგაზმი არ განეცადა, მხოლოდ მეტ-ნაკლებად სასიამოვნო შეგრძნებები ჰქონდა.
მაგრამ აქ საქმისთვისაა მოსული და არა გასართობად. ბიბლიოთეკარს მადლობა გადაუხადა და მაღაზიაში წავიდა. იქ მან პირველი კაპიტალდაბანდება გააკეთა: შეიძინა სხვადასხვანაირი აღკაზმულობა, რომელიც უფრო სექსუალურად მოეჩვენა და რომელიც, მისი აზრით, კაცებში სურვილს აღძრავდა. შემდეგ წინასწარ დადგენილი მარშრუტით გაემართა ბერნის ქუჩისაკენ, რომელიც ეკლესიასთან იწყებოდა. ეკლესიის უკან იაპონური რესტორანი იყო (რა დამთხვევაა, უკვე მესამედ ვახშმობდა იაპონურ რესტორანში), რესტორნის იქით — ჩარიგებული იყო ვიტრინები იაფფასიანი საათებით. და აი, ბოლოს გამოჩნდა კაბარეები და კლუბები, რომლებზეც ამდენი რამ სმენოდა. მაგრამ ამ დროისათვის ყველა დაკეტილი იყო. მაშინ მარიამ ტბის გარშემო გაისეირნა, ყოველგვარი მორიდების გარეშე შეიძინა ხუთი პორნოგრაფიული ჟურნალი, რომლითაც აპირებდა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობას და რამდენიმე საათის შემდეგ, შებინდებისას, ისევ გამოჩნდა ბერნის ქუჩაზე. არჩევანი შეაჩერა იმ დაწესებულებაზე, რომელსაც მისი ბრაზილიური გულისათვის ასე ახლობელი სახელი — „კოპაკაბანა“ ერქვა.
ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, — უმტკიცებდა საკუთარ თავს, — ცდა ბედის მონახევრეაო. შვეიცარიაში ყოფნის მანძილზე არასოდეს არ უგრძნია თავი ასე მოხერხებულად და არხეინად.
— სამუშაოს ეძებთ, — სულაც არ ჰგავდა შეკითხვას მეპატრონის ნათქვამი, რომელიც დახლთან იდგა და ჭიქებს რეცხავდა. მისი დაწესებულების მთელ ავლადიდებას წარმოადგენდა: ათიოდე მაგიდა, პატარა საცეკვაო მოედანი და რამდენიმე დივანი კედლის ჩაყოლებაზე, — ვერაფრით დაგეხმარებით. ჩვენ კანონს პატივს ვცემთ. აქ რომ მოხვდე, მუშაობის უფლება მაინც უნდა გქონდეს.
მაგრამ მარიას საბუთის დანახვისას უმალ ყურადღებიანი გახდა.
— გამოცდილება გაქვთ?
მარიამ არ იცოდა, რა ეპასუხა: ეტყვი „მაქვს“, გკითხავს, ადრე სად მუშაობდიო, ეტყვი „არა“ — თავიდან მოგიშორებს.
— მე წიგნს ვწერ.
ეს სიტყვები თითქოს თავისით აღმოხდაო, თითქოს ვინმემ ყურში ჩასჩურჩულაო. მარიამ შენიშნა, რომ მეპატრონემ არ დაიჯერა, მაგრამ არ შეიმჩნია.
— სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, გოგონებს გაესაუბრეთ. ბრაზილიიდან, სულ ცოტა, ექვსნი მაინც იქნებიან. ის მაინც გეცოდინებათ, რა გელით.
მარიას უნდოდა ეპასუხა, რომ რჩევა არ სჭირდება და რომ ჯერ არაფერი გადაუწყვეტია, მაგრამ მეპატრონე ისე გაუჩინარდა, ჭიქა წყალიც კი არ შეუთავაზებია.
აი, გოგონებიც გამოჩნდნენ. მეპატრონემ რამდენიმე ბრაზილიელს უხმო და სთხოვა, ახალბედა საქმის კურსში ჩაეყენებინათ, მაგრამ მასთან საუბრის სურვილი არც ერთს არ გამოუთქვამს.
მარია მიხვდა, მისი სახით მათ კონკურენტი გამოუჩნდათ და ეს სულაც არ ეპიტნავებოდათ. აი, მუსიკაც დაუკრეს, აჟღერდა ბრაზილიური სიმღერები („კოპაკაბანა“ ტყუილად ხომ არ ერქვა?), სულ ახალი და ახალი გოგონები შემოდიოდნენ. ზოგს აზიური იერი ჰქონდა. ზოგის დანახვისას კი იფიქრებდით, სულ ახლახან ჩამოსულან ჟენევის გარშემო მდებარე დათოვლილი მთებიდანო. ორი საათი მოლოდინში გაატარა, ბარე ხუთი სიგარეტი მოწია, წყურვილის გრძნობამაც დატანჯა. ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ შეცდომას უშვებდა. თავის თავს გამუდმებით უმეორებდა: „აქ რას ვაკეთებ?“ გული მოსდიოდა მეპატრონესა და

გოგონებზე, რომლებიც მის მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ. ბოლოს ერთ-ერთი მათგანი მაინც გამოელაპარაკა.
— მაინცდამაინც ეს ადგილი რატომ აირჩიე?
მარიას შეეძლო, ისევ წიგნის ისტორია მოემიზეზებინა, მაგრამ ქურთები და ხუან მირო გაახსენდა და სიმართლის თქმა ამჯობინა:
— სახელის გამო. არ ვიცი, საიდან დავიწყო, ისიც არ ვიცი, საერთოდ, ღირს კი დაწყება?
გოგონა აშკარად გაოგნებული დარჩა ასეთი პირდაპირი და გულღია პასუხით. რაღაც ვისკის მსგავსი მოსვა, მუსიკას მიაყურადა და თქვა, რომ ძალიან ენატრება მშობლიური მხარე და რომ დღეს სამუშაო ბევრი არ ექნებოდათ, რადგან ჟენევის მახლობლად მიმდინარე საერთაშორისო კონგრესი დამთავრდა. მაგრამ მიხვდა, რომ მარია წასვლას არ აპირებდა და უთხრა:
— ყველაფერი ძალიან მარტივადაა, მხოლოდ სამი წესი უნდა გახსოვდეს. პირველი: არ შეიყვარო კლიენტი და ის, ვინც აქ მუშაობს. მეორე: არ დაიჯერო დაპირებები, ფული წინასწარ მოითხოვე. მესამე: არავითარი ნარკოტიკები, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა, — და ახლავე დაიწყე. თუ დღეს ისე წახვალ, რომ არავის გამოიჭერ, ხვალ, ალბათ, აღარც დაბრუნდები.
მარია მხოლოდ და მხოლოდ მოკლე განმარტებას ელოდა იმის შესახებ, გამოდგებოდა თუ არა დროებითი სამუშაოსათვის, მაგრამ უმალ იგრძნო სევდისა და სასოწარკვეთის მოახლოება, რაც განუყრელად თან სდევს დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს.
— კარგი, დღესვე დავიწყებ.
არ გამოუტყდა, რომ გუშინ დაიწყო. გოგონა მივიდა ბარის მეპატრონესთან, რომელსაც მილანს ეძახდა. ამ უკანასკნელმა მარია მოიხმო:
— ტანსაცმლის ქვეშ რა გაცვია?
არავის არასდროს არ უკითხავს მისთვის ასეთი რამ, არც საყვარელს, არც არაბს, არც მეგობარ გოგონებს. ცოტა არ იყოს, უცნაურია. ეტყობა, ამ დაწესებულებაში ასეა მიღებული, პირდაპირ საქმეზე გადადიან.
— ცისფერი ტრუსები, — უპასუხა მან და გამომწვევად დაამატა, — ლიფს არ ვატარებ, — მაგრამ მოწონება ვერ დაიმსახურა.
— ხვალ შავ საცვლებს ჩაიცვამ და ქამარს წინდებით. ასეა საჭირო, რაც მეტი გაქვს გასახდელი, მით უკეთესია.
„კოპაკაბანა“ რაღაც თავშესაფარი არ გეგონოს, ეს რიგიანი დაწესებულებაა. აქ მომსვლელი კაცები დარწმუნებული არიან, რომ შეხვდებიან მარტოხელა, თავისუფალ ქალს. თუ ვინმე მიუჯდება მის მაგიდას და გზად მას სხვა ქალი არ ჩაიგდებს ხელში (რადგან არსებობს ასეთი ცნებაც — „განსაკუთრებული კლიენტი“), მაშინ ის აუცილებლად იკითხავს:
„ნებას მომცემთ, დაგპატიჟოთ?“
ამაზე მარიას შეუძლია, დაეთანხმოს ან უარი თქვას. მას აქვს უფლება, თვითონ აირჩიოს თავისთვის პარტნიორი, მაგრამ ღამეში ერთ „არა“-ზე მეტის თქმა მიზანშეწონილი არ არის. დასტურის შემთხვევაში მარია შეუკვეთავს ხილის კოქტეილს (ეს ყველაზე ძვირი რამაა მენიუში), არც ერთი წვეთი სპირტიანი სასმელი, და კიდევ, დაუშვებელია, კლიენტმა მის მაგივრად შეარჩიოს სასმელი.
შემდეგ მარიამ საცეკვაოდ უნდა მიიწვიოს. მუდმივი კლიენტების უმრავლესობას ყველა იცნობს (მუდმივებიც ამიტომ ჰქვიათ) და თუ „განსაკუთრებულ კლიენტებს“ არ ჩავთვლით (უფრო დაწვრილებით მილანს მათზე აღარ უსაუბრია), ისინი საფრთხეს არ წარმოადგენენ. პოლიცია და ჯანდაცვის სამინისტრო ყოველთვიურად სისხლის ანალიზის აღებას მოითხოვს, რომ გოგონებმა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები არ გაავრცელონ. პრეზერვატივი აუცილებელია, თუმცა იმის შემოწმებას არავინ დაიწყებს, სრულდება თუ არა ეს წესი.

არავითარი სკანდალები — მილანი ცოლ-შვილის პატრონია და უფრთხილდება თავის პატიოსან სახელსა და დაწესებულების რეპუტაციას.
ის წვრილმანების ახსნას განაგრძობდა: ცეკვის შემდეგ მარია კლიენტთან ერთად მაგიდას უბრუნდება, კლიენტი კი ანაზდად ოტელში წასვლას შესთავაზებს. ჩვეული ტაქსა სამას ორმოცდაათი ფრანკია, აქედან ორმოცდაათს მილანი იღებს, ასე ვთქვათ, მომსახურებისათვის (ეს იურიდიული ფანდი საშუალებას იძლევა, თავი აარიდო კანონთან უსიამოვნებებს, დადანაშაულებას უკანონო მეწარმეობასა და გამდიდრების მიზნით გოგონების სექსუალურ ექსპლუატაციაში).
— მე ამ... ამაში ათასი გადამიხადეს, — სცადა შეკამათება მარიამ.
მეპატრონე წამოდგა, ამით აგრძნობინა, რომ ლაპარაკი დამთავრებულია, მაგრამ ბრაზილიელმა გოგონამ შეაჩერა:
— ის ხომ ხუმრობს.
მერე მარიას მოუბრუნდა და პორტუგალიურად მკაფიოდ და დამარცვლით უთხრა:
— ეს ყველაზე ძვირი დაწესებულებაა მთელ ჟენევაში. აღარასოდეს წამოგცდეს ასეთი სისულელე. მან იცის ბაზრის ფასები, იცის, რომ არავინ იღებს ერთ სეანსში ათას ფრანკს, შეიძლება მხოლოდ „განსაკუთრებული კლიენტისაგან“ და ისიც — თუ გაგიმართლებს და თუ ისწავლი საქმის ნიუანსებს.
მილანის მზერა (მოგვიანებით მარიამ შეიტყო, რომ ის წარმოშობით იუგოსლავიიდანაა, მაგრამ უკვე ოცი წელია აქ ცხოვრობს) ეჭვის ნატამალსაც აღარ ტოვებდა:
— ტაქსა — სამას ორმოცდაათი ფრანკი.
— გასაგებია, — წაილუღლუღა შეურაცხყოფილმა მარიამ.
ჯერ კითხულობს, საცვალი რა ფერის აცვია და მხოლოდ შემდეგ განსაზღვრავს მისი სხეულის ღირებულებას.
მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო, მეპატრონე ინსტრუქციების მიცემას აგრძელებდა: კლიენტთან არც სახლში და არც ხუთვარსკვლავიან ოტელში არ წახვალ. თუ კლიენტს წასაყვანი არსად არ აქვს, მან თვითონ უნდა წაიყვანოს ოტელში, რომელიც აქედან ხუთი კვარტალის იქითაა, თან აუცილებლად ტაქსით, რათა გოგონებმა ბერნის ქუჩაზე არ იტრიალონ. აქ მარიამ მოისაზრა, საქმე ის კი არ არის, რომ ქუჩაში არ იტრიალონ, არამედ ის, რომ სხვა დაწესებულებებმა არ გადაიბირონ, სადაც უფრო მეტს გადაუხდიან. თუმცა, წინა დისკუსიის მწარე გამოცდილებამ აიძულა, გაჩუმებულიყო.
— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სამუშაოზე არც ერთი წვეთი სპირტიანი სასმელი! ვითომ ამერიკელი პოლიციელი ხარ, ალბათ გინახავს კინოში. კარგი, ჯერჯერობით კმარა, ჩემი წასვლის დროა, ახლა კლიენტურა დაიწყებს მოსვლას.
— მადლობა გადაუხადე, — ისევ პორტუგალიურად უთხრა გოგონამ.
მარიამ თქვა „გმადლობთ“. მილანმა გაიღიმა, მაგრამ მისი რეკომენდაციების ნუსხა ჯერ არ ამოწურულიყო:
— ჰო, სულ დამავიწყდა! სასმელის შეთავაზებიდან ორმოცდახუთ წუთზე მეტი არ უნდა გავიდეს. ვინაიდან აქ, შვეიცარიაში, ყველგან საათებია, იუგოსლავიელები და ბრაზილიელებიც კი პუნქტუალურები ხდებიან. და დაიმახსოვრე: დრო ფულია, მე კი ოჯახი მყავს სარჩენი.
— დავიმახსოვრე.
მილანმა გაუწოდა ჭიქა გაზიანი მინერალური წყლითა და ლიმონით, რაც სავსებით შეიძლებოდა ჯინ-ტონიკად მიგეღოთ, და მოცდა უბრძანა.
ბარი ნელ-ნელა მომსვლელებით შეივსო. კაცები თითო-თითოდ სხდებოდნენ, თან იქაურობას ათვალიერებდნენ და უმალ ვინმე „ადგილობრივი“ ჩნდებოდა, თითქოს ძველ ნაცნობებს ხანგრძლივი სამუშაო დღის შემდეგ ერთად სურდათ საღამოს გატარება და მხიარულება.

ყოველთვის, როცა მომსვლელი პოულობდა თავის მეწყვილეს, მარია შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე, თუმცა უკვე შეეჩვია გარემოს. იქნებ იმიტომ, რომ ეს იყო შვეიცარია, იქნებ იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, მარია მოიპოვებს მძაფრ განცდებს, ფულს, ქმარს — ყველაფერს, რაზეც ოცნებობდა, ან იქნებ იმიტომაც (მარია მხოლოდ ახლა მიხვდა ამას), რომ მრავალი კვირის მანძილზე პირველად გამოვიდა სახლიდან შებინდებისას, მოხვდა იქ, სადაც უკრავდა მუსიკა და ხანდახან პორტუგალიური ლაპარაკი ისმოდა. იგი ხილის კოქტეილს წრუპავდა და მხიარულად მასლაათობდა სხვა გოგონებთან.

არც ერთი მათგანი არ ყოფილა მის მიმართ კეთილგანწყობილი, არავის უსურვებია მისთვის წარმატება ახალ ასპარეზზე. ეს გასაგებიცაა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მათი კონკურენტი, მეტოქე იყო, ისინი ხომ ერთსა და იმავე ნადავლზე ნადირობდნენ. მაგრამ ეს მას სულაც არ ადარდებდა, პირიქით, აგულიანებდა და სიამაყით ავსებდა — მარია მათ ტოლს არ უდებდა. ნებისმიერ წუთს შეეძლო ამდგარიყო, კარი გაეღო, წამოსულიყო და აღარასოდეს დაბრუნებულიყო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი სამუდამოდ დაამახსოვრდებოდა, რომ მას ეყო გამბედაობა, მოსულიყო აქ, ესაუბრა ისეთ საკითხზე, რომელზეც ადრე გაფიქრებასაც ვერ ბედავდა.

მე ბედისწერის მსხვერპლი არ ვარ, — იმეორებდა ყოველ წუთს, — მე რისკის არ მეშინია, არანაირი ჩარჩოებით არ ვარ შებოჭილი, მე ვატარებ ცხოვრების იმ წუთებს, რომელთაც მერე, სიბერისას, რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს ეს, სიხარულითა და ნათელი გრძნობით გავიხსენებ.

დარწმუნებული იყო, რომ მასთან არავინ მივიდოდა და ხვალ ყველაფერი ეს გიჟურ სიზმრად მოეჩვენებოდა, რომლის განმეორებით ხილვასაც ვეღარასდროს გაბედავდა, ვინაიდან ყოველ წუთს სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ერთ ღამეში ათასი ფრანკის შოვნა მხოლოდ ერთხელ შეიძლება და ამიტომ უმჯობესია, აიღოს ბილეთი და ბრაზილიაში დაბრუნდეს. დრო რომ მოეკლა, მარიამ იმის ანგარიში დაიწყო, რამდენს იშოვიდნენ ეს გოგონები, თუ ერთი საღამოს განმავლობაში სამჯერ გაჰყვებოდნენ კლიენტს...

გამოდის, დღეში იმდენს იღებენ, რამდენსაც მარია ფართლეულის მაღაზიის დახლთან დგომით ორი თვის განმავლობაში გამოიმუშავებდა.

მართალია, მას ერთ ღამეში ათასი გადაუხადეს, მაგრამ ტყუილად ხომ არ ამბობენ, ახალბედებს უმართლებსო. მაგრამ მაინც ჩვეულებრივი საშუალო მეძავის შემოსავალი ბევრად მეტია იმაზე, რასაც ის აიღებდა ფრანგულის გაკვეთილებში თავის ქალაქში. ამისათვის კი მხოლოდ და მხოლოდ ისაა საჭირო, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში ბარში იჯდეს, იცეკვოს და ზურგზე დაწვეს. მორჩა და გათავდა. ლაპარაკიც კი არ დასჭირდება.

ფული, რა თქმა უნდა, სტიმულია, — განაგრძობდა ფიქრს მარია, — მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის. ერთიც ვნახოთ, ეს ხალხი — გოგონები, მათი კლიენტები, — სხვა რამ გასახარელსაც პოულობენ? ერთიც ვნახოთ, ქვეყნიერება სულაც არ არის ისეთი, სკოლაში რომ გვიყვებოდნენ? თუ პრეზერვატივებით ისარგებლებს, არავითარი საშიშროება არ იქნება. იმისი დარდიც არ ექნება, რომ თანამემამულე იცნობს. არავინ ჩამოდის ჟენევაში იმათ გარდა, ვისაც ბანკში აქვს საქმე. ამის შესახებ ერთხელ კურსებზე მოისმინა. მაგრამ ბრაზილიელთა უმრავლესობას ყველაფერზე მეტად მაღაზიები აინტერესებს, განსაკუთრებით მაიამიში ან პარიზში... სამასი ფრანკი დღეში, კვირაში ხუთი დღე...

დიდი ფულია! მაშ, რაღას აკეთებენ აქ ეს გოგონები, თუ თვეში იმდენის მოგროვება შეიძლება, რომ მშობლებს სახლს უყიდის?! იქნებ ახლახან დაიწყეს მუშაობა?

ან იქნებ... — და მარია ამის გაფიქრებამ შეაკრთო, — იქნებ იმიტომ, რომ მათ ეს მოსწონთ?

დალევა მოუნდა, წინადღით შამპანურმა ძალიან უშველა.

— ნებას მომცემთ, დაგპატიჟოთ?

მარიამ ზევით აიხედა. მის წინ იდგა ოცდაათიოდე წლის მამაკაცი, რომელიღაც ავიაკომპანიის ემბლემიანი მუქი ლურჯი ქურთუკით.

დედამიწამ ბრუნვა შეანელა. მარიას მოეჩვენა, თითქოს სხეულს მოსცილდა და თავის თავს შორიდან უცქერის. სირცხვილით იწვოდა, ლოყებზე ალმური ასდიოდა. ბოლოს თავი დაუქნია, გაუღიმა და მიხვდა, რომ ამიერიდან ცხოვრება შეუქცევლად შეიცვალა.
ხილის კოქტეილი, ზოგადი საუბრები ამინდზე, საქმიანობაზე... მე მომწონს ეს მუსიკა, თუმცა „აბბა“ მირჩევნია. თქვენ ბრაზილიიდან ბრძანდებით? მიამბეთ თქვენს ქვეყანაზე, კარნავალებზე. ბრაზილიელი გოგონები ყველანი ასეთი ლამაზები არიან?
უნდა გაუღიმო და მადლობა გადაუხადო კომპლიმენტისათვის. ან იქნებ ცოტათი შეცბე. კიდევ ერთი ცეკვა. დაიჭირო მილანის მზერა, რომელიც კეფას იფხანს და თან საათზე მიგანიშნებს. ტუალეტის წყლის არომატი... უცხო სუნებთან შეგუებაც მოგიწევს, ყოველ შემთხვევაში... ტუალეტის წყლის სუნთან მაინც. ისინი ნელა ცეკვავენ ერთმანეთს ჩახუტებულები. კიდევ ერთი ხილის კოქტეილი, დრო კი მიდის. ქალი საათს დახედავს. მფრინავი ეკითხება: იქნებ ვინმეს ელოდებით? — დიახ, ერთი საათის შემდეგ მეგობრებს უნდა შევხვდე. მერე ის დაპატიჟებს ოტელში. ოტელი, ლოგინი, სამას ორმოცდაათი ფრანკი, შხაპი (მფრინავმა ინტერესით შენიშნა, რომ ადრე ასეთი რამ არ გაუსინჯავს). არა, ეს მარია არ არის, ეს სხვა არსებაა მის უგრძნობ სხეულში ჩასახლებული, მექანიკურად რომ ასრულებს ამ რიტუალს. როლი შესრულებულია. მილანმა ყველაფერი გაითვალისწინა, ყველაფერზე ესაუბრა, მხოლოდ ის არ უთქვამს, როგორ უნდა დამშვიდობებოდა კლიენტს. მარია ამბობს: „გმადლობთ“. მფრინავი უწინდელ სიხალისეს კარგავს, აშკარად ეტყობა, რომ ეძინება.
გული შინისაკენ მიუწევს, მაგრამ საკუთარ თავს უნდა სძლიოს, ბარში უნდა დაბრუნდეს და მილანს ორმოცდაათი ფრანკი მისცეს. და აი, ახალი კლიენტი, კიდევ ერთი ხილის კოქტეილი, შეკითხვები ბრაზილიაზე, ოტელი, შხაპი (ამჯერად კომენტარების გარეშე), ბარში დაბრუნება, საკომისიო მეპატრონეს, რომელიც ეუბნება: დღეს გეყოფა, თავისუფალი ხარ, კლიენტი ცოტაა. მარია ტაქსის არ აჩერებს, ფეხით გაივლის მთელ ბერნის ქუჩას, თან ათვალიერებს კლუბებსა და ბარებს, საათების მაღაზიების ვიტრინებს, კუთხეში მდგარ ეკლესიას (ის დაკეტილია, როგორც ყოველთვის, დაკეტილია...). არავინ შეაგებებს მზერას. ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის.
ცივ ქუჩას მიუყვება, მაგრამ ვერ გრძნობს, რომ გაითოშა. ის არ ტირის, არ ფიქრობს იმაზე, რამდენი ფული იშოვა. შოკურ მდგომარეობაშია, მგონი, ამას „ტრანსი“ ჰქვია. არიან ადამიანები, რომლებიც იმისათვის გაჩნდნენ ამქვეყნად, რომ მარტოებმა იარონ ცხოვრების გზაზე. ეს არც ცუდია და არც კარგი. ეს ცხოვრებაა. მარიაც მათ რიცხვს ეკუთვნის.
ძლივს მოიკრებს ძალებს და მომხდარს აანალიზებს. სულ ახლახან დაიწყო და უკვე შეუძლია, თავი პროფესიონალად ჩათვალოს, თითქოს ცხოვრებაში ამის მეტი არაფერი უკეთებიაო. საკუთარი თავის მიმართ სიყვარულის უცნაურ მოზღვავებას გრძნობს, კმაყოფილია იმით, რომ არ გამოიქცა. ახლა უნდა მოიფიქროს, გააგრძელებს თუ არა. თუ გააგრძელებს, საუკეთესო გახდება. ის ხომ არასოდეს არაფერში ყოფილა საუკეთესო.
მაგრამ ცხოვრებამ ჩააგონა — თან რა მალე! — რომ მხოლოდ უძლიერესი გადარჩება. ძლიერი რომ გახდეს, საუკეთესო უნდა იყოს. სხვა გზა არ არის.
ერთი კვირის შემდგომი ჩანაწერი მარიას დღიურში:
მე არ ვარ სხეული, რომელშიც სულია ჩასახული, მე ვარ სული, რომლის ნაწილი ხილულია და მას სხეული ჰქვია. მთელი ეს დღეები, — თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ყველაფერი პირიქით იქნებოდა, — სული თავის არსებობას უფრო ძლიერად ავლენდა, ვიდრე უწინ, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ის არაფერს მეუბნებოდა, არ მსაყვედურობდა, არ ვებრალებოდი, მხოლოდ მითვალთვალებდა.
და მე დღეს მივხვდი, რატომ ხდება ასე: დიდი ხანია, არ მიფიქრია იმაზე, რასაც „სიყვარული“ ჰქვია. მე მგონი, სიყვარული გამირბის, თითქოს გრძნობს, რომ აქ მას სიხარულით არ

ხვდებიან, რომ აქ მას არ ელიან, რომ აქ მას უგულებელყოფენ. მაგრამ თუ მე სიყვარულზე არ ვიფიქრე, არარაობად ვიქცევი.
როცა მეორე დღეს „კოპაკაბანაში“ დავბრუნდი, უკვე პატივისცემით მიყურებდნენ. და მე მივხვდი, რომ ბევრი გოგონა პირველსავე საღამოს ამთავრებს თავის საქმიანობას, ბევრს არ ჰყოფნის გაგრძელების ნებისყოფა. ის, ვინც დაბრუნდება, მათთვის მოკავშირეა, მეგობარი, რადგან დაამტკიცა: მას აქვს უნარი, გაიგოს ყველა სიძნელე და მიზეზი, უფრო სწორად კი იმ მიზეზის უქონლობა, რამაც ასეთი ცხოვრება აარჩევინა.
ყველა ოცნებობს, რომ აი, მოვა ვიღაც და მასში აღმოაჩენს ნამდვილ ქალს, თანამგზავრს, სატრფოს, მეგობარს, გააღვიძებს მასში სინაზესა და ვნებას. და ყველა ახალი შეხვედრის პირველსავე წუთიდანვე ხვდება, რომ ამგვარი არაფერი იქნება.
მე უნდა ვწერო სიყვარულზე. მე უნდა ვიფიქრო, ვიფიქრო, ვწერო და ვწერო სიყვარულზე — თუ არა და, სული ვერ გაუძლებს და დაძაბუნდება.

* * *

მარიას ესმოდა, რა მნიშვნელოვანია სიყვარული, მაგრამ მტკიცედ ახსოვდა პირველ საღამოს მიღებული რჩევაც და ამ გრძნობას მხოლოდ დღიურის ფურცლებზე ამჟღავნებდა. რაც შეეხება სხვა დანარჩენს, იგი თავგამოდებით მიისწრაფოდა პირველობისაკენ. ცდილობდა, რაც შეიძლება მცირე დროში ეშოვა ბევრი ფული და არ ეფიქრა იმაზე, თუ რატომ აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა.
სწორედ ეს იყო ყველაზე ძნელი. მართლაც და რატომ?
იმიტომ, რომ სჭირდებოდა? მთლად ასეც არ არის. ყველას ყოველთვის სჭირდება ფული, მაგრამ ყველა როდი მიდის თავის რჩენის ასეთ გზაზე. იმიტომ, რომ ახალი შთაბეჭდილებები მიიღოს? მართლა? ახალი შთაბეჭდილებების მეტი რა არის — ისრიალე თხილამურებით, ისეირნე ჟენევის ტბაზე ნავით. მაგრამ მას არც ერთი და არც მეორე არასოდეს აინტერესებდა, სულ მცირე ცნობისმოყვარეობაც კი არ ამოძრავებდა. იქნებ მას უკვე აღარაფერი აქვს დასაკარგი და ცხოვრება ყოველდღიურ, დაუსრულებელ იმედგაცრუებად გადაექცა?
არა, არც ერთი პასუხი არ იყო გულწრფელი და მართალი, ასე რომ, ტვინის ჭყლეტას სჯობს, უბრალოდ, იცხოვროს, როგორც ეცხოვრება და არჩეული გზით იაროს. მარიას ბევრი რამ ჰქონდა საერთო „კოპაკაბანას“ გოგონებსა და სხვა ქალებთან, ისინი ისე არაფერს ნატრობდნენ, როგორც გათხოვებას და უზრუნველყოფილ მომავალს. ის, ვინც ამაზე არ ოცნებობდა, ან უკვე გათხოვილი იყო (მისი ახალი მეგობრების თითქმის მესამედს კანონიერი მეუღლე ჰყავდა), ან ჯერ გონს ვერ მოსულიყო განქორწინების შემდეგ. სწორედ ამიტომ საკუთარი თავის შეცნობისათვის იგი ცდილობდა, გულმოდგინედ დაეხარისხებინა ის მიზეზები, რის გამოც აირჩიეს აქაურმა გოგოებმა ეს პროფესია.
თუმცა გამოკითხვის შედეგებმა ახალი არაფერი აჩვენა. მარიამ პასუხების შემდეგი ნუსხა შეადგინა:
ა) ქმარს უნდა მიეხმაროს („ხომ არ ეჭვიანობს? დაწესებულებაში მისი ამხანაგი რომ გამოჩნდეს, მაშინ?“ — უნდოდა ეკითხა მარიას, მაგრამ ვერ ბედავდა).
ბ) მშობლებს სახლი უნდა უყიდოს (თვითონ მარიას მოჰყავს ეს არგუმენტი. კეთილშობილურად ჟღერს, მაგრამ ძალიან გაცვეთილი ახსნაა).
გ) შინ დასაბრუნებელი ფული უნდა მოაგროვოს (კოლუმბიელებს, პერუელებს, ტაილანდელებს, ბრაზილიელებს ძალიან უყვართ ამის მომიზეზება, თუმცა მრავალჯერ ჰქონიათ ეს თანხა და მრავალჯერაც დაუხარჯავთ, რადგანაც ამ ოცნების განხორციელებისა თავადვე ეშინოდათ).
დ) მე ეს მომწონს (ეს ცუდად ეთანხმებოდა გარემოს და ყალბადაც ჟღერდა).

ე) სხვაგან ვერსად მოეწყო (არც ეს არის საბუთი: შვეიცარიაში მუდამ არის მზარეულების, ძიძების, მძღოლების ვაკანსიები).
და რადგან მარიამ ვერ იპოვა ვერც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი, მისი გარემომცველი სამყაროს ახსნას საბოლოოდ შეეშვა.
მალე იგი დარწმუნდა, რომ მილანი მართალი იყო: მისთვის აღარასოდეს შეუთავაზებიათ რამდენიმე საათში ათასი ფრანკი. მეორე მხრივ, როცა იგი ასახელებდა სამას ორმოცდაათ ფრანკს, ეს აღიქმებოდა როგორც მიღებული წესი. არავინ გამოხატავდა აღშფოთებას, არ ევაჭრებოდა, ხოლო თუ ვინმე ჩაეკითხებოდა, ისიც იმიტომ, რომ დაეზუსტებინა და თავიდან აეცილებინა უსიამოვნო სიურპრიზები, ან სულაც იმისათვის, რომ დაემცირებინა მარია.
— ჩვენი ხელობა განსხვავდება სხვა დანარჩენისაგან, — შენიშნა ერთხელ ერთ-ერთმა გოგონამ, — აქ ახალბედა უფრო მეტ ფულს აკეთებს, ვიდრე გამოცდილი მეძავი. ამიტომ მუდამ ისე მოაჩვენე თავი, თითქოს დამწყები ხარ.
მარიამ ჯერ ვერ მოასწრო იმის გაგება, რა არის „განსაკუთრებული კლიენტი“, რომელიც მილანმა პირველ საღამოს გაკვრით ახსენა, ამ თემაზე მეტი არავის ულაპარაკია. მალე მარიამ მტკიცედ დაიხსომა ძირითადი პროფესიონალური მცნებები: არასოდეს იკითხო, ცოლიანია თუ არა კლიენტი, ჰყავს თუ არა შვილები, აუცილებელია სახეზე ღიმილი და ცოტა ლაპარაკი, არასოდეს დაუნიშნო რიგგარეშე პაემანი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა ფილიპინელმა ნიამ მისცა:
— ბოლოს ისე უნდა იკვნესო, თითქოს არაამქვეყნიურ ნეტარებას განიცდი. მაშინ კლიენტი ყოველთვის შენ ამოგირჩევს.
— მაგრამ რატომ? კაცები ხომ თავისი სიამოვნებისათვის გვიხდიან.
— ცდები. კლიენტი თავის თავს უმტკიცებს, რომ ის ნამდვილი მამაკაცია, მაჩოა, არა მაშინ, როცა ერექცია აქვს, არამედ მაშინ, როცა შეუძლია პარტნიორს სიამოვნება მიანიჭოს. ისინი ფიქრობენ, თუ მეძავსაც კი ასე სიამოვნებს ჩემთან ყოფნა, ესე იგი, ყველაზე მაგარი ვარო.
* * *
გავიდა ნახევარი წელი. მარიამ ყველაფერი შეითვისა, რაც საჭირო იყო. მაგალითად ის, თუ როგორ იყო მოწყობილი „კოპაკაბანა“, რომელიც ბერნის ქუჩაზე ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ დაწესებულებას წარმოადგენდა. მისი კლიენტურა რესპექტაბელური ბატონებისაგან შედგებოდა, რომელთაც ცოლებისგან დაგვიანების ნებართვა ჰქონდათ მიღებული (მაგრამ არა უგვიანეს თერთმეტი საათისა), რადგან „დაგეგმილი იყო საქმიანი ვახშამი საქმიან პარტნიორებთან“. გოგონების უმრავლესობა თვრამეტიდან ოც წლამდე ასაკისა იყო და დაწესებულებაში საშუალოდ ორ წელს ჩერდებოდა, მერე მათ ადგილს ახლები იკავებდნენ. ძველები კი „ნეონში“ გადადიოდნენ, შემდეგ — „ქსენიუმში“. რაც უფრო ასაკოვანნი ხდებოდნენ, მით ნაკლებად ფასობდნენ და მით მეტი მუშაობა უწევდათ. ბოლოს თითქმის ყველანი „ტროპიკულ ექსტაზში“ ხვდებოდნენ, სადაც ოცდაათ წლამდე ქალებს იღებდნენ. იქ კი ერთი-ორი სტუდენტის მომსახურებაში მეპატრონის წილისა და ვახშმის ფულს ძლივს აკეთებდნენ. უარეს შემთხვევაში, პროგრამა ერთ ბოთლ იაფფასიან ღვინომდე იკვეცებოდა.
მარიამ ბევრი კაცი ნახა. მისი „ჰო“ ან „არა“ დამოკიდებული იყო არა ასაკზე ან ჩაცმულობაზე, არამედ სუნზე. მას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა თამბაქოსი, მაგრამ ვერ იტანდა, როცა კლიენტს იაფფასიანი ოდეკოლონის, დაუბანელი ტანის ან ბახუსის სუნი ასდიოდა. „კოპაკაბანა“ წყნარი ადგილი იყო და საერთოდ, მეძავობისათვის შვეიცარიაზე უკეთესი ადგილი მთელ ქვეყანაზე არ არსებობს იმ პირობით, თუ აქ ცხოვრების უფლება და მუშაობის ნებართვა გაქვს და თუ კეთილსინდისიერად იხდი სოციალური დაზღვევის გადასახადს. მილანი მუდამ ამბობდა, რომ არ სურს, მისმა ქალიშვილებმა მამის სახელი სკანდალების მოყვარული გაზეთების ფურცლებზე იხილონ. ამიტომ, როცა კი რომელიმე მისი ხელქვეითის

სტატუსის დამოწმებაზე მიდგებოდა საქმე, ის ნებისმიერ პოლიციელზე მკაცრი და შეუვალი ხდებოდა.
ხოლო მას შემდეგ, რაც პირველი ან მეორე საღამოს ფსიქოლოგიური ბარიერი დაიძლეოდა, ჩვეულებრივი სამუშაო იწყებოდა, ისეთივე, როგორიც ყველა სხვა: მძიმე შრომა, კონკურენცია, სწრაფვა გამოიყურებოდე „დონის“ შესაბამისად, ცხოვრება განრიგით, წუწუნი მეტისმეტად შემჭიდროებულ გრაფიკზე, კვირადღეს დასვენება. მეძავების უმრავლესობა მორწმუნე იყო და სხვადასხვა ეკლესიაში დადიოდა, ყველა თავის ღმერთს აღუვლენდა ლოცვას.
მარია კი სულის გადარჩენას დღიურის დახმარებით ცდილობდა. მეტად გაოცებული დარჩა, როცა აღმოაჩინა, რომ ყოველი მეხუთე კლიენტი სალაპარაკოდ მოდიოდა. ისინი იხდიდნენ დადგენილ და შეთანხმებულ თანხას, მიდიოდნენ ოტელში, მაგრამ როცა საქმე გახდაზე მიდგებოდა, ამბობდნენ, ეს არ არის აუცილებელიო. მათ სურდათ მოეყოლათ, რომ სამუშაომ მოქანცა, რომ ცოლი ღალატობს, რომ მარტო არიან და ხმის გამცემი არავინ ჰყავთ (მარიასათვის ხომ ეს ყველაფერი ნაცნობი იყო).
თავიდან ეს უცნაურად ეჩვენებოდა. მაგრამ ერთხელ ერთი ფრანგი გამოიჭირა, რომელიც მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობისათვის კანდიდატურებს არჩევდა (ამას ისეთი გატაცებით უხსნიდა მარიას, თითქოს უფრო საინტერესო ქვეყანაზე არაფერი ყოფილიყო). მან გაანდო:
— იცი, ვინ იტანჯება ყველაზე მეტად მარტოობისაგან? ის, ვინც კარგი სამსახურებრივი კარიერა გაიკეთა, ვისაც აქვს უზარმაზარი ხელფასი, სარგებლობს უფროსებისა და ხელქვეითების ნდობით, ჰყავს ოჯახი, რომელთან ერთადაც ატარებს შვებულებას, და ბავშვები, რომელთაც დავალებების შესრულებაში ეხმარება. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ვინმე ჩემნაირი მოევლინება და ჰკითხავს: „გინდა, სამსახური შეიცვალო და ორჯერ მეტი ხელფასი გქონდეს?“
და მაშინ ეს კაცი, რომელსაც ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ ბედნიერი იყოს, ყველაზე უბედური ხდება. რატომ? იმიტომ, რომ ხმის გამცემი არ ჰყავს. ის ფიქრობს ჩემს წინადადებაზე, მაგრამ გულს ვერავის უშლის. თანამშრომლებს ამაზე ვერ მოეთათბირება, რადგან ისინი ყველანაირად შეეცდებიან, გადააფიქრებინონ და ისევ ძველ ადგილზე დარჩენას ურჩევენ. აზრს ვერ გაუზიარებს ვერც ცოლს, მისი მრავალწლიანი აღმასვლის მოწმეს, რომელმაც იცის, რა არის სტაბილურობა, მაგრამ არ იცის, რა არის რისკი. ვერავის დაელაპარაკება მაშინ, როცა მთელი თავისი ცხოვრების რადიკალურად შეცვლა ელის. წარმოგიდგენია, რას გრძნობს ასეთი ადამიანი?
არა, მარიას არ მიაჩნდა, რომ ამ კაცს ყველაზე მეტად ტანჯავდა მარტოობა, იმიტომ, რომ იცნობდა სხვა ადამიანს, რომელიც ამ საკითხში ამ ტოპ-მენეჯერსაც აჯობებდა და ეს ადამიანი თვითონ იყო. მიუხედავად ამისა, მარიას კამათი არ დაუწყია, რადგანაც „ჰონორარზე“ სოლიდური დანამატის იმედი ჰქონდა და არც შემცდარა. მაგრამ იმ დღიდან მიხვდა: ისეთი რამ უნდა მოიგონოს, რომ კლიენტს მძიმე ტვირთი ჩამოხსნას მხრებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ გახდეს საუკეთესო თავის სფეროში და, შესაბამისად, მეტი ანაზღაურება მიიღოს.
როგორც კი აზრად მოუვიდა, რომ სულიერი დაღლილობისაგან დახსნა ხორციელი შიმშილის მოკვლაზე არანაკლებ შემოსავლიანი შეიძლება იყოს, მარიამ მაშინვე ბიბლიოთეკას მიაკითხა. იქ შეუკვეთა წიგნები ცოლქმრული ურთიერთობების ფსიქოლოგიასა და პოლიტიკაზე. ბიბლიოთეკარი აღფრთოვანებული დარჩა — აბა, როგორ, გოგონამ, რომლის მიმართაც ასეთ სინაზეს გრძნობდა, თავიდან ამოიგდო სექსი და უფრო მნიშვნელოვან საგნებს მიუბრუნდა. ამიერიდან მარია რეგულარულად კითხულობდა გაზეთებს. ეცნობოდა ეკონომიკურ განყოფილებებსაც კი, რადგანაც მისი კლიენტების უმრავლესობა ბიზნესით იყო დაკავებული. იღებდა ავტოტრენინგის სახელმძღვანელოებს, ვინაიდან კლიენტები რჩევას ეკითხებოდნენ მარიას. დაინტერესდა გამოკვლევებით ემოციების საკითხებზე, რადგანაც ისინი, უკლებლივ

ყველანი, ამა თუ იმ მიზეზის გამო იტანჯებოდნენ. ახლა მარია უბრალოდ ვიღაც ბოზანდარა აღარ იყო. ის ყველასაგან გამოირჩეოდა და პატივისცემით სარგებლობდა. და აი, ნახევარ წელიწადში უმაღლესი რანგის მუდმივი და სარფიანი კლიენტების წრე შემოიკრიბა, რაც სხვა გოგონებში შურს, ეჭვსა და აღფრთოვანებას იწვევდა.
რაც შეეხება სექსს, ამ მხრივ არაფერი იცვლებოდა: დაწვე, სთხოვო პრეზერვატივის გაკეთება, ცოტა წაიკვნესო, რომ დანამატის შანსები გაზარდო (ფილიპინელი ნიას წყალობით გაიგო, რომ ამ კვნესას დამატებითი ორმოცდაათი ფრანკი მოაქვს), მერე მიიღო შხაპი, ოღონდ — დაუყოვნებლივ, და მაშინ გეჩვენება, რომ არა მარტო სხეულს იბან, არამედ, რაღაც გაგებით, სულსაც. ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ შემოღებული რიტუალის მიხედვით ხდება. არავითარი კოცნა! მეძავისათვის კოცნა წმინდა რამ არის. ისევ და ისევ იმ ნიამ განუმარტა, რომ კოცნა სატრფოსათვის უნდა შემოინახო, სწორედ ისე, როგორც მძინარე მზეთუნახავის ზღაპარშია: ეს კოცნა გამოგაღვიძებს და ჯადოსნურ სამყაროში დაგაბრუნებს, რომელშიც შვეიცარია ისევ შოკოლადის, ძროხებისა და საათების ქვეყნად გადაიქცევა.
არავითარი ტკბობა, სიამოვნება ან თუნდაც აღგზნება. სრულყოფისაკენ სწრაფვის გზაზე რამდენიმე პორნოფილმიც კი ნახა, იქნებ რამე სასარგებლო გადმოვიღოო. ბევრი საინტერესო რამ გაიგო, მაგრამ საქმეში ვერ გამოიყენა, კლიენტები რომ არ შეეფერხებინა. მილანიც კმაყოფილი იყო, როცა ერთ საღამოს სამი „გასვლა“ გამოსდიოდა.
და როდესაც პირველი ექვსი თვე მიიწურა, მარიამ ბანკში სამოცი ათასი ფრანკი შეიტანა. სადილობდა ძვირფას რესტორნებში, შეიძინა ტელევიზორი (მართალია, არ რთავდა, მაგრამ ყოფილიყო, რას უშლიდა) და უკვე სერიოზულად ფიქრობდა უკეთეს ბინაში გადასვლაზე. უკვე შეეძლო წიგნების ყიდვა, თუმცა კვლავ ბიბლიოთეკაში დადიოდა, რომელიც რეალურ სამყაროსთან დამაკავშირებელ ხიდად გადაიქცა, და ეს ხიდი ყველაზე მყარი და გამძლე აღმოჩნდა. მარიას მოსწონდა ხანმოკლე საუბრები ბიბლიოთეკარ ქალთან, რომელიც, თავის მხრივ, კმაყოფილი იყო იმით, რომ ამ მშვენიერმა გოგონამ ბოლოს და ბოლოს პოვა ბედნიერება და, როგორც ჩანს, კარგი სამსახურიც, თუმცა, არაფერს ეკითხებოდა, ვინაიდან შვეიცარიელები მორიდებულნი და თავშეკავებულნი არიან (ტყუილია: „კოპაკაბანას“ მაგიდასთან ან ლოგინში ისინი არაფრით არ განსხვავდებიან სხვა ერის წარმომადგენლებისაგან).
კვირა საღამოს ჩანაწერი მარიას დღიურში:
ყველა მამაკაცს, როგორიც უნდა იყოს ის — მაღალი თუ დაბალი, კადნიერი თუ მორცხვი, ჩუმი თუ ყბედი, ერთი საერთო თვისება აქვს: ყველა შიშის დაძლევით მოდის „კოპაკაბანაში“. ყველაზე გამოცდილები ხმამაღალი ლაპარაკით მალავენ ამას. ყველაზე გაუწონასწორებლები, რომელთაც თვალთმაქცობა არ შეუძლიათ, სვამენ, რომ უსიამოვნო შეგრძნებებისაგან გათავისუფლდნენ. მაგრამ მე ჯერ არავინ მინახავს, არ ვგულისხმობ იდუმალ „განსაკუთრებულ კლიენტებს“, რომლებიც მილანს ჯერ არ უჩვენებია ჩემთვის, ვინც შიშს არ განიცდიდა.
მაგრამ რატომ? ეს ხომ მე უნდა მეშინოდეს, მე არ მივდივარ საღამოს უცნობ ადგილას? მე — სუსტი ქალი, რომელსაც იარაღიც კი არ მაქვს. საერთოდ, კაცები უცნაურები არიან: მარტო იმათზე კი არ ვამბობ, ვინც „კოპაკაბანაში“ მოდის, არამედ ყველაზე, ვინც კი შემხვედრია. დიახ, ისინი იმუქრებიან, ყვირიან, ცემაც შეუძლიათ, მაგრამ უკლებლივ ყველა მათგანი ქალის წინაშე შიშისაგან თრთის. შეიძლება არა იმის წინაშე, ვინც ცოლად მოიყვანეს, მაგრამ სულერთია, აუცილებლად გამოჩნდება ის, ვინც მათ დაიმორჩილებს და აიძულებს, ყველა ხუშტური შეუსრულონ. ზოგჯერ ეს საკუთარი დედა.
იმ დღიდან, რაც მარია ამ საქმეს მოეკიდა, მის თვალწინ უამრავმა მამაკაცმა ჩაიარა და უკლებლივ ყველა მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობდა, თავდაჯერებულებად და ცხოვრების ბატონ-პატრონად გამოჩენილიყო. თუმცა, მათ თვალებში მარია მუდამ შიშს

ხედავდა — შიშს ცოლის მიმართ, ბოლო მომენტში უკან დახევის შიშს, შიშს, რომ ვერ აღმოჩნდებოდნენ სათანადო სიმაღლეზე თუნდაც მეძავთან, ქალთან, ვისაც ფულს უხდიდნენ. აი, მაღაზიაში ფეხსაცმელი რომ ეყიდათ და მერე აღარ მოსწონებოდათ, ნუთუ არ ეყოფოდათ გამბედაობა, დაბრუნებულიყვნენ უკან ქვითრით ხელში და ფული მოეთხოვათ? აქაც ხომ ფულს უხდიან რომელიღაც ფირმას. მაგრამ ფიასკოს შემთხვევაში ისინი არაფრისდიდებით არ დაბრუნდებიან „კოპაკაბანაში“, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ამის შესახებ ყველამ გაიგო. და მათ რცხვენიათ.

„ეს ხომ მე უნდა მრცხვენოდეს, რომ ვერ შევძელი მამაკაცის აღგზნება. რცხვენიათ კი მათ?!“

და ამ ქენჯნისაგან მათი დახსნის მოსურნე მარია ცდილობდა, ყველაფერი ეღონა, რომ მათ თავი თავისუფლად ეგრძნოთ, და თუ ხედავდა, რომ კლიენტი ფორმაში არ იყო ან ძალიან ბევრი დალია, ცდილობდა, სრულფასოვანი სექსის გარეშეც იოლას გასულიყო და მხოლოდ ალერსითა და მასტურბაციით შემოფარგლულიყო, რაც მათ ძალიან მოსწონდათ. თუმცა, თუ ჩავუფიქრდებით, ეს სასაცილოდ და უაზროდ გამოიყურებოდა, რადგან ამისათვის მარია სულაც არ იყო საჭირო.

ყველა საშუალებით უნდა მიეღწია იმისათვის, რომ კლიენტს არაფრისა შერცხვენოდა. და ეს კაცები, სავსებით ყოვლისშემძლენი და ქედმაღალნი საკუთარ კაბინეტებში, სადაც ხელქვეითების, პარტნიორებისა და მომწოდებლების უწყვეტი ნაკადი გადიოდა, სადაც ყველაფერი გასაიდუმლოებული, თვალთმაქცური და დამთრგუნველი იყო, საღამოს „კოპაკაბანაში“ მოდიოდნენ და სამას ორმოცდაათ ფრანკს არ იშურებდნენ იმისთვის, რომ ერთი ღამით საკუთარ თავს გარიდებოდნენ.

„ერთი ღამით? ნუ აზვიადებ, მარია. სინამდვილეში, სეანსი ორმოცდახუთ წუთს გრძელდება. და თუ ამას გამოვაკლებთ დროს, რომელიც მიდის გახდა-ჩაცმაზე, ყალბ ალერსსა და ბანალურ ფრაზებზე, სუფთად სექსზე მხოლოდ თერთმეტი წუთი რჩება“.

თერთმეტი წუთი. ის, რაზეც ბრუნავს დედამიწა, მხოლოდ თერთმეტ წუთს გრძელდება.

და აი, ამ თერთმეტი წუთის გულისათვის, ოცდაოთხსაათიანი დღე-ღამის უმნიშვნელო ნაწილი რომ უკავია (თუ ვივარაუდებთ, რომ ეს კაცები სიყვარულს ეძლევიან თავიანთ ცოლებთან. ოღონდ არავითარი ვარაუდი არ არის საჭირო, რადგან ეს აბსოლუტური სისულელეა და სიცრუე), ისინი ქორწინდებიან, ოჯახებს ქმნიან, ითმენენ ჩვილების ღნავილს, დამცირებულები თავს იმართლებენ, როცა შინ დროზე უფრო გვიან ბრუნდებიან, ათვალიერებენ ათეულობით, ასეულობით ქალს, რომლებთანაც სიამოვნებით გაისეირნებდნენ ჟენევის ტბის პირას, ყიდულობენ ძვირფას ტანისამოსს თავიანთთვის და კიდევ უფრო ძვირფასს — მეუღლეებისათვის, უხდიან მეძავებს, რათა მიიღონ ის, რასაც მოკლებული არიან, ხელს უწყობენ კოსმეტიკის, დიეტის, მთელი ამ ფიტნესების და შეიპინგების, პორნოგრაფიის, ხელისუფლების გიგანტურ ინდუსტრიებს და თავისნაირებთან არასოდეს არ ლაპარაკობენ ქალებზე. ლაპარაკობენ მხოლოდ სამსახურზე, ფულსა და სპორტზე.

სადღაც სხვაგან მიდის ჩვენი ცივილიზაცია. და საქმე აქ სულაც არ ეხება ოზონის ხვრელს, ამაზონიის ტყეების განადგურებას, დათვი-პანდების გადაშენებას, მოწევას, კანცეროგენულ პროდუქტებსა და სასჯელაღსრულებითი ადგილების სისტემის კრიზისს, როგორც ამას გაზეთები აცხადებენ, არამედ ყოფიერების სწორედ იმ სფეროს, სადაც შრომობდა მარია — სექსს.

თუმცა, მარია კაცობრიობის გადარჩენისათვის კი არ იღვწოდა, არამედ საკუთარი საბანკო ანგარიშის გასაზრდელად. კიდევ ნახევარ წელს უნდა მოითმინოს, მარტოობისა და საკუთარი არჩევანის ნახევარ წელს. რეგულარულად უნდა უგზავნოს დედას ფული (რომელიც დაკმაყოფილდა იმ განმარტებით, რომ აქამდე ფული შვეიცარიული ფოსტის გამო არ მისდიოდა, რომელიც ბრაზილიურზე უარესად მუშაობს) და შეიძინოს თავისთვის ის, რაზეც ადრე ვერც კი იოცნებებდა. მარიამ იქირავა გაცილებით უფრო კომფორტაბელური ბინა

(ცენტრალური გათბობით, თუმცა უკვე ზაფხულმა მოუწია), რომლის ფანჯრებიდანაც მოჩანდა ეკლესია, იაპონური რესტორანი, სუპერმარკეტი და სიმპათიური კაფე, სადაც მას გაზეთების თვალიერება უყვარდა.
დადგენილი ვადის ამოწურვაღა რჩებოდა. სხვა დანარჩენში ყველაფერი უწინდებურად მიდიოდა და როგორც ყოველთვის: „კოპაკაბანა“, „ნება მომეცით, გაგიმასპინძლდეთ“, ცეკვა, „ბრაზილიიდან ბრძანდებით?“, ოტელი, ფული წინასწარ, საუბარი და უნარი, შეეხო სხეულისა და სულის (ძირითადად, სულის) საჭირო ადგილებს, დაეხმარო ინტიმურ პრობლემებში, დაუდაქალდე ოცდაათი წუთით, რომლიდანაც თერთმეტი მიდის ტანის მოძრაობასა და ვნების გამომხატველ კვნესაზე. გმადლობთ, იმედია, ერთ კვირაში შევხვდებით, შენ საოცარი მამაკაცი ხარ, დანარჩენს შემდეგი შეხვედრისას მიამბობ, უი, გმადლობ, როგორ მეუხერხულება, შენთან ისე კარგად ვიყავი.
და ყველაზე მთავარი — არ შეგიყვარდეს! ეს ყველაზე მთავარი, ყველაზე საჭირბოროტო იმ რჩევათაგან, რომელიც მას ბრაზილიელმა გოგონამ მისცა „კოპაკაბანადან“ წასვლამდე. სულაც იმიტომ ხომ არ გაქრა, რომ შეუყვარდა? ორი თვის მუშაობის მანძილზე მარიას რამდენჯერმე სთხოვეს ხელი, ამასთან, სამჯერ სავსებით სერიოზულად: პირველი ბანკის მაღალჩინოსანი კლერკი იყო, მეორე სწორედ ის მფრინავი, რომელთანაც დებიუტი ჰქონდა, მესამე კი — იარაღის მაღაზიის მეპატრონე. სამივე „ამ ცხოვრებიდან მოწყვეტას“ ჰპირდებოდა. ჰპირდებოდნენ, რომ ექნებოდა საკუთარი სახლი, ღირსეული მომავალი, შვილები და, შეიძლება, შვილიშვილებიც კი.
და ყველაფერი ეს დღეში თერთმეტი წუთისათვის? შეუძლებელია! „კოპაკაბანაში“ მუშაობისას მარიამ გაიგო, რომ მარტოობა მხოლოდ მისი ხვედრი არ არის. ადამის მოდგმის ნაშიერს შეუძლია ერთ კვირას მწყურვალი იყოს, ორ კვირას უჭმელი, წლობით იოლას გავიდეს საცხოვრისის გარეშე, მაგრამ მარტოობას ვერ აიტანს. მარტოობა ყველაზე სასტიკი წამებაა, ყველაზე მძიმე ტანჯვა. სამი პრეტენდენტი, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ვისაც მასთან ურთიერთობა სწადდა, ისევე, როგორც თვითონ მარია, განიცდიდა ამ დამანგრეველ გრძნობას, იმას, რომ ამქვეყნად არავის ენაღვლები.
ცდუნებისაგან თავის დასაღწევად მთელი თავისი გული დღიურში ჩააქსოვა. „კოპაკაბანაში“ მხოლოდ სხეული და ტვინი მიჰქონდა, რომელიც დღითი დღე სულ უფრო ფაქიზი და სხარტი ხდებოდა. მარიამ საკუთარი თავი დააჯერა, რომ „კოპაკაბანაში“ რაღაც უზენაესი მოსაზრებების გამო მოხვდა. და ყოველთვის, როცა ბიბლიოთეკიდან მორიგი წიგნი გამოჰქონდა, რწმუნდებოდა, რომ რიგიანად ვერავინ ვერ აღწერა ეს დღე-ღამეში ყველაზე მთავარი თერთმეტი წუთი. შესაძლოა, მისი დანიშნულება, მისი ხვედრი ამ სამყაროში, რაც უნდა ულმობლად ეჩვენებოდეს იგი ახლა, არის სწორედ იმ წიგნის დაწერა, სადაც მოუთხრობს ყველას თავის ისტორიას, თავის თავგადასავალს.
სწორედ რომ თავგადასავალს! შეიძლება მარია ცხოვრებაში თავგადასავლებს ეძებდა, მაგრამ ამ აკრძალული სიტყვის წარმოთქმასაც კი ვერ ბედავდა ხალხი. არადა, სხვის თავგადასავლებს სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს ტელეეკრანებზე და კინოში. რა საუცხოოდ ეხამება ეს სიტყვა უდაბნოებსა და მყინვარებს, მოგზაურობებს ველურ, შეუცნობელ ადგილებში იდუმალი ადამიანებით, კინოსტუდიებით, თვითმფრინავებით, ინდიელთა ტომებით, აფრიკით!
წიგნის დაწერა ჭკუაში დაუჯდა, სახელიც კი მოიფიქრა: — „თერთმეტი წუთი“.
მარიამ თავისი კლიენტები სამ ტიპად დაყო. პირველი — „ტერმინატორები“ (ფილმის გმირის პატივსაცემად, რომელიც ძალიან მოსწონდა): ესენი „კოპაკაბანაში“ უკვე ცოტა შეზარხოშებულები შემოდიოდნენ, თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ვერავის ამჩნევდნენ და ეგონათ, რომ ყველა მათ უყურებდა. ცეკვა არ უყვარდათ და მიკიბ-მოკიბვის გარეშე მიდიოდნენ მასთან ერთად ოტელში. მეორე ტიპს „ტურფები“ შეარქვა (ამასაც ფილმს

დაესესხა): ესენი იმდენად ელეგანტური, თავაზიანი და გულისხმიერი იყვნენ, თითქოს ამის გარეშე დედამიწა თავისი ღერძიდან ამოვარდებოდა. თავს ისე მოგაჩვენებდნენ, თითქოს თავისთვის ქუჩაში მიდიოდნენ და შემთხვევით დაინახეს ბარი „კოპაკაბანა“, რატომაც არ უნდა შეიხედონ? თავიდან ალერსიანები ოტელის ნომერში არც ისე თავდაჯერებული ხდებოდნენ და სწორედ ამიტომ „ტერმინატორებთან“ შედარებით ათასჯერ უფრო მომთხოვნი იყვნენ. მესამე ტიპს დაარქვა „დიდი ბოსი“ (ესეც კინოს წყალობით): ამათ ქალთან ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორც საქონელთან. მათ არ რცხვენოდათ და არც თვალთმაქცობდნენ. ცეკვავდნენ, ლაპარაკობდნენ, იხდიდნენ ზუსტად იმდენს, რამდენზეც მორიგებული იყვნენ, არც ერთი ფრანკით მეტს, რადგან თავიდანვე იცოდნენ, რას და რამდენად ყიდულობდნენ. ისინი გულს არასოდეს გადაგიშლიდნენ. აი, ესენი იყვნენ ერთადერთნი, ვისაც სრულად ესმოდა არსი სიტყვისა — „თავგადასავალი“.
ჩანაწერი მარიას დღიურში მენსტრუაციის დროს, როდესაც არ შეეძლო მუშაობა.

დღეს რომ მომენდომებინა ვინმესთვის ჩემი ცხოვრების შესახებ მომეთხრო, ამას ისე გავაკეთებდი, რომ დამოუკიდებელ, გამბედავ, ბედნიერ ქალად ჩამთვლიდნენ, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის: მე აკრძალული მაქვს იმ ერთადერთი სიტყვის წარმოთქმა, რომელიც თერთმეტ წუთზე უფრო მთავარია. ეს არის სიყვარული.
მთელი ცხოვრების მანძილზე სიყვარულს აღვიქვამდი, როგორც გაცნობიერებულ და ნებაყოფლობით მონობას... და ვტყუვდებოდი. თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც ის ხილულია. ის, ვინც უკანმოუხედავად მიეცემა გრძნობას, ის, ვინც გრძნობს, რომ თავისუფალია, სწორედ მას უყვარს მთელი ძალით.
და ის კი, ვისაც უყვარს მთელი ძალით, თავისუფალია.
და სწორედ ამიტომ, რაც უნდა ვაკეთო, როგორც უნდა ვიცხოვრო, რაც უნდა აღმოვაჩინო — ყველაფერი უაზროა. იმედი მაქვს, ეს დრო მალე გაივლის და მე დავუბრუნდები საკუთარ თავს, ვიპოვი მამაკაცს, რომელიც გამიგებს და ტანჯვასა და ტკივილს არ მომაყენებს.
რა სისულელეებს ვროშავ? შეყვარებული არასოდეს მიაყენებს ტკივილს შეყვარებულს. ყოველი ჩვენგანი პასუხისმგებელია გრძნობებზე, რომლებსაც განიცდის და ამაში სხვისი დადანაშაულების უფლება არ აქვს.
იმათი დაკარგვა, ვინც მყვარებია, ადრე გულს მტკენდა. ახლა დარწმუნებული ვარ: ვერავინ ვერავის დაკარგავს, იმიტომ, რომ არავინ არავის არ ეკუთვნის.
აი, ჭეშმარიტი თავისუფლება — გქონდეს ის, რაც შენთვის ყველაფერზე ძვირფასია, მაგრამ არ ფლობდე მას.

კიდევ სამმა თვემ ჩაიარა. ახლოვდებოდა შემოდგომა და მასთან ერთად — კალენდარში მონიშნული თარიღიც: ოთხმოცდაათ დღეში შინ დაბრუნება. რა სწრაფად მიქრის და თან რა გულსაკლავად მიიზლაზნება დრო, გაიფიქრა მარიამ, როცა შენიშნა, რომ სულის სიმხნევის გათვალისწინებით დრო მართლაც სხვადასხვაგვარად გადის სხვადასხვა დღეებში. ასეა თუ ისე, მარიას თავგადასავალი დასასრულს უახლოვდებოდა. რა თქმა უნდა, მას შეეძლო, კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ თვალიდან არ შორდებოდა ნაღვლიანი ღიმილი უხილავი ქალისა, რომელმაც მაშინ, ტბის ნაპირას სეირნობისას, უთხრა: „არც ისე მარტივადაა ყველაფერი...“ რა დიდიც არ უნდა ყოფილიყო დარჩენის ცდუნება, რა მზადაც არ უნდა ყოფილიყო მარია, ეპასუხა ნებისმიერ გამოწვევაზე, გადაელახა მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი წინაღობა, მარტოობის ეს თვეები მაინც ცხადად უკარნახებდა: დადგება წამი, როდესაც საჭირო გახდება „კოპაკაბანაში“ ჩვეული ცხოვრების შეწყვეტა. სამი თვის შემდეგ მარია დაბრუნდება ბრაზილიის მიყრუებულ პროვინციაში, იყიდის პატარა ფაზენდას (აღმოჩნდა, რომ უფრო

მეტი ფული დააგროვა, ვიდრე ელოდა), ძროხებს (ადგილობრივს და არა შვეიცარიულს), გადმოიყვანს თავისთან მშობლებს, იქირავებს ორ მუშას და წამოიწყებს საკუთარ საქმეს.
თუმცა მარია უწინდებურად ფიქრობდა, რომ თავისუფლება სხვა ყველაფერზე უკეთესად გვასწავლის სიყვარულის აუცილებლობას და არავინ არავის არ უნდა ეკუთვნოდეს, თავში ჯერ ისევ უტრიალებდა შურისძიების გეგმები, რომელთა შორისაც ძირითადი იყო ბრაზილიაში ძლევამოსილი დაბრუნება. მას შემდეგ, რაც ფაზენდას შეიძენს, წავა ქალაქში, შევა ბანკში, სადაც სწორედ ის ბიჭი მუშაობს, რომელმაც ოდესღაც მას მისივე საუკეთესო მეგობარი ამჯობინა და გახსნის სოლიდურ ანგარიშს.
„გამარჯობა, მარია, როგორა ხარ, ვერა მცნობ?“ — ჰკითხავს ის. მარია კი, თითქოს ვერ გაიხსენაო, უპასუხებს: „არა, რაღაც არ მახსენდები“, იტყვის, რომ მთელი წელი ევ-რო-პა-ში გაატარა (სწორედ ასე იტყვის — ნელა და დამარცვლით, რათა მისმა ყველა კოლეგამ გაიგონოს). არა, უმჯობესია ასე: „შვე-ი-ცა-რი-ა-ში“ (ეს უფრო ეგზოტიკური და რომანტიკული იქნება, ვიდრე „საფრანგეთში“), სადაც, როგორც ცნობილია, მსოფლიოში საუკეთესო ბანკებია.
„მაპატიეთ, თქვენ... ვინ ბრძანდებით?“ — იკითხავს თავის მხრივ მარია. ის უპასუხებს, რომ სკოლაში ერთად სწავლობდნენ. „ჰოო, — იტყვის მარია, — თითქოს რაღაც მახსენდება“, — და თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს ამას ზრდილობის გულისთვის ამბობს. აი, ისიც, ნანატრი შურისძიების განხორციელება. მერე ის გულმოდგინედ იმუშავებს და როცა საქმე აეწყობა, ამქვეყნად ყველაზე მთავარის — ნამდვილი სიყვარულის — ძებნას შეუდგება, იმ ერთადერთი მამაკაცის ძებნას, რომელიც მას მთელი ამ ხნის განმავლობაში ელოდა და რომლის გაცნობა, უბრალოდ, ვერ მოასწრო.
მარიამ თავიდან ამოიგდო წიგნის დაწერის იდეა, რომელსაც „თერთმეტ წუთს“ დაარქმევდა. ახლა მთელი ძალები მომავლის უზრუნველყოფას უნდა მოახმაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამგზავრების გადადება მოუწევს, ეს კი უზარმაზარი რისკია.

იმ დღეს, სადილის შემდეგ, მარიამ თავის საუკეთესო და ერთადერთ მეგობარს — ბიბლიოთეკარს — მიაკითხა და სთხოვა წიგნები მეცხოველეობაზე და ფერმერობაზე. ის, თავის მხრივ, გამოუტყდა მარიას:
— იცით, როდესაც რამდენიმე თვის წინ ჩვენთან ეძებდით წიგნებს სექსის შესახებ, ცოტა შევშფოთდი. რამდენ ახალგაზრდა, ლამაზ გოგონას უჩნდება იოლად ფულის შოვნის ილუზია. მათ ავიწყდებათ, რომ როდისმე დაბერდებიან და მაშინ კი ვეღარ შეხვდებიან თავის ერთადერთ რჩეულს.
— თქვენ პროსტიტუციას გულისხმობთ?
— ეს, ვგონებ, ცოტა ხმამაღალი ნათქვამია.
— მე ხომ გითხარით, რომ ვმუშაობ კომპანიაში, რომელიც ხორცის ექსპორტ-იმპორტით არის დაკავებული. და მაინც, დავუშვათ და მეძავი გავმხდარიყავი, ნუთუ შედეგები ასე სერიოზული იქნებოდა? ნუთუ არ შეიძლება შეჩერება, დროულად თავის დანებება? ბოლოს და ბოლოს, ყმაწვილობისას ვის არ დაუშვია შეცდომები?
— ყველა ნარკომანი ასე ამბობს: „საჭიროა დროულად თავის დანებება“, — მაგრამ ჯერ არავის გამოსვლია ეს.
— გეტყობათ, ახალგაზრდობაში ძალზე ლამაზი იყავით... თქვენ დაიბადეთ ქვეყანაში, რომელიც პატივს სცემს თავის მოქალაქეებს... მაგრამ ეს საკმარისია, რომ თავი ბედნიერად იგრძნო?
— მე ვამაყობ იმით, რომ გადავლახე ყველა წინაღობა ჩემს გზაზე, — თქვა ბიბლიოთეკარმა და ოდნავ შეყოვნდა, ფიქრობდა, გაეგრძელებინა თუ არა. დიახაც, მისი ისტორია ამ გოგონასათვის შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს.

— მე ბედნიერი ბავშვობა მქონდა, ვსწავლობდი ბერნის ერთ-ერთ საუკეთესო გიმნაზიაში, მერე გადავედი ჟენევაში, ვიშოვე სამსახური და ცოლად გავყევი კაცს, რომელიც შემიყვარდა. ყველაფერს ვაკეთებდი მისთვის, ის კი — ჩემთვის, მაგრამ დრო გადიოდა და მას პენსიაზე გასვლა მოუწია. და მაშინ, როცა მას მიეცა საშუალება, ყველაფერი ეკეთებინა, რაც მოეპრიანებოდა, მე შევნიშნე, რომ მას თვალები დღითიდღე უფრო ნაღვლიანი უხდებოდა. ალბათ იმიტომ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე თავის თავზე არასოდეს უფიქრია. ჩვენ სერიოზულად არასოდეს გვიჩხუბია, წყნარად ვცხოვრობდით, ქარიშხლებისა და კატაკლიზმების გარეშე. ის არასოდეს მღალატობდა, ყოველთვის პატივისცემით მეპყრობოდა. ჩვენ ნორმალური ცხოვრებით ვცხოვრობდით — იმდენად ნორმალურით, რომ სამუშაოს გარეშე თავი ყველასათვის უსარგებლოდ, უმაქნისად, არარაობად იგრძნო... ერთი წლის თავზე იგი კიბოთი გარდაიცვალა.

„ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ ამან შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს გოგონაზე“, — შეშფოთდა ბიბლიოთეკარი.

— ასეა თუ ისე, უმჯობესია, ცხოვრებამ უსიამოვნო სიურპრიზები არ შემოგთავაზოს, — დასძინა მან, — გამორიცხული არ არის, ჩემი ქმარი გაცილებით ადრე გარდაცვლილიყო, უფრო გაჯერებული ცხოვრებით რომ გვეცხოვრა.

მარია სახლიდან საადგილმამულო მეურნეობის მართვის სახელმძღვანელოს შოვნის განზრახვით გამოვიდა. თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა და ამიტომ გასეირნება გადაწყვიტა. ქალაქის ზემო ნაწილში მისი ყურადღება მიიპყრო აბრამ მზის გამოსახულებითა და წარწერით „წმინდა იაკობის გზა“. რა არის ეს? ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ბარი შენიშნა. მარია შევიდა ბარში და ვინაიდან ჩვეულებად ჰქონდა ცნობისმოყვარეობის უმალ დაკმაყოფილება, დახლთან მდგომ გოგონას ჰკითხა.

— წარმოდგენა არა მაქვს, — უპასუხა მან.

ეს ფეშენებელური უბანი იყო და ფინჯანი ყავა აქ სამჯერ მეტი ღირდა, მაგრამ რაკი შევიდა და თან ფულიც საკმაოდ ჰქონდა, ყავა შეუკვეთა და გზად ნაყიდი ცნობარების ფურცვლას შეუდგა. პირველი წიგნი გადაშალა, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, გული ვერ დაუდო, საშინლად მოსაწყენი რამ იყო, გაცილებით საინტერესო იქნებოდა, ამაზე რომელიმე კლიენტთან ესაუბრა. მათ ყოველთვის იციან კაპიტალის დაბანდებისა და გაზრდის საუკეთესო ხერხები. მარია ადგა, ფული გადაიხადა, ოფიციანტს მადლობა გადაუხადა, ფეხის ქირაც ბლომად დაუტოვა (ამ მხრივ მარია ცრუმორწმუნე იყო, სჯეროდა: ვინც უხვად გასცემს, უხვადაც მიიღებს), კარისაკენ გაემართა და უცებ, ისე, რომ არც უფიქრია, რა მნიშვნელოვანი იყო ეს წამი, გაიგონა ფრაზა, რომელმაც შეცვალა მთელი მისი გეგმები, მთელი მისი მომავალი, მისი წარმოდგენა ბედნიერებაზე, მისი სული და ქალური არსი, მისი დამოკიდებულება მამაკაცისადმი, მისი ადგილი სამყაროში.

— მოიცადეთ!

მარიას გაუკვირდა. ეს ხომ რესპექტაბელური კაფე იყო და არა „კოპაკაბანა“, სადაც კაცებს შეეძლოთ ასეთი ტონით მიემართათ, თუმცა მასაც სრული უფლება ჰქონდა, ეპასუხა: „მეტი საქმე არა მაქვს“.

მარიამ გადაწყვიტა, გზა გაეგრძელებინა და ამ თხოვნისათვის (ან იქნებ ბრძანებისათვის?) არავითარი ყურადღება არ მიექცია, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია: იმ მხარეს მიტრიალდა, საიდანაც ხმა მოესმა და უცნაური რამ დაინახა — ოცდაათიოდე წლის გრძელთმიანი მამაკაცი მუხლებზე დაჩოქილიყო, გარშემო ფუნჯები მიმოეფანტა და ერთ-ერთი კლიენტის პორტრეტს ხატავდა. ეს კლიენტი მაგიდასთან იჯდა და ხელში ანისული კოქტეილის ჭიქა ეჭირა. ბარში შესვლისას მარიამ ისინი ვერც კი შენიშნა.

— არ წახვიდეთ. ახლავე მოვრჩები. თქვენი დახატვაც მინდა.

მარიამ უპასუხა და ამ პასუხით საკუთარ თავს ხაფანგი დაუგო:

— მე ეს არ მჭირდება.
— თქვენგან შუქი მოდის. ესკიზის გაკეთება მაინც მაცალეთ.
რა არის „ესკიზი“? რა „შუქზე“ ლაპარაკობს? მარიას მედიდურობა არ აკლდა და უცნობის სიტყვებმა მოხიბლა, მით უფრო, რომ ის თითქოს არ ხუმრობდა. ერთიც ვნახოთ და მის წინ სახელგანთქმული მხატვარია? ის ტილოზე უკვდავყოფს მარიას სახეს და ამ სურათს გამოფენენ პარიზში ან სალვადორ-და-ბაიაში! ის სახელს გაითქვამს!
მეორე მხრივ, რატომ ზის ეს კაცი იატაკზე ფუნჯებითა და საღებავებით გარშემორტყმული? ეს ხომ ძვირი და პოპულარული ბარია.
თითქოს მისი აზრები გამოიცნოო, ოფიციანტმა ხმადაბლა უთხრა:
— ძალიან ცნობილი ვინმეა.
ინტუიციას არ უღალატია მისთვის. მარია სიმშვიდის შენარჩუნებას შეეცადა.
— დროდადრო მოდის ხოლმე ჩვენთან და ყოველთვის ვინმე ცნობილი ადამიანი მოჰყავს თან. ამბობენ, აქაური გარემო მასში შთაგონებას იწვევსო. იცით, ჟენევის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შექმნა პანო, რომელზეც ასახა ის ხალხი, ვინც სახელი გაუთქვა ქალაქს.
მარიამ მზერა იმ ადამიანზე გადაიტანა, რომელიც პოზიორობდა და ოფიციანტმა ამჯერადაც წაიკითხა მისი აზრები:
— ეს ქიმიკოსია, მეცნიერი. სენსაციური აღმოჩენა გააკეთა და ნობელის პრემია მიიღო.
— არ წახვიდეთ, — გაიმეორა მხატვარმა, — ხუთ წუთში გავთავისუფლდები. მანამდე ჩამოჯექით, შეუკვეთეთ, რაც გნებავთ, ყველაფერს ჩემს ანგარიშზე ჩაწერენ.
მარიამ, თითქოს მონუსხესო, უსიტყვოდ შეასრულა ბრძანება — დახლთან ჩამოჯდა და ანისულის კოქტეილი შეუკვეთა (სასმელებში ვერ ერკვეოდა და ამიტომ გადაწყვიტა, ნობელის პრემიის ლაურეატისაგან აეღო მაგალითი). თან მხატვრის საქმიანობას აკვირდებოდა. „მე ჟენევისათვის სახელი არ გამითქვამს, ესე იგი, რაღაც სხვამ დააინტერესა. მაგრამ ეს ჩემი ტიპი არ არის“, — ფიქრობდა მარია და ისევ და ისევ იმეორებდა სიტყვებს, რომლებსაც „კოპაკაბანაში“ მისვლის დღიდან ჩასჩიჩინებდა საკუთარ თავს: საშველი გულის მიერ დაგებულ ხაფანგზე ნებაყოფლობით უარის თქმაშია.
და ვინაიდან მისთვის ეს ჭეშმარიტებას წარმოადგენდა, შეეძლო ცოტა მოეცადა კიდეც. გამორიცხული არ იყო, რომ ოფიციანტი მართალს ამბობდა და სწორედ ეს ადამიანი გაუხსნიდა კარს უცნობ, მაგრამ ასე ნანატრ სამყაროში. განა მოდელობაზე არ ოცნებობდა?
ამასობაში მხატვარი სწრაფად და ოსტატურად ასრულებდა თავის საქმეს. ერთიც ვნახოთ და ამ კაცმა (მარიამ გადაწყვიტა, დაეძახა „კაცი“ და არა „ბიჭი“, რომ თავი დაბერებულად არ ეგრძნო) შანსი მისცეს. არ ეტყობოდა, რომ მას ეს ყველაფერი მარიას შესაბმელად მოეფიქრებინა. ხუთი წუთის შემდეგ მხატვარმა, დაპირებისამებრ, დაასრულა სამუშაო. მარია ფიქრებით ბრაზილიაში იყო, ბრწყინვალე მომავლით ტკბებოდა და ახალი ადამიანების გაცნობის არავითარი ინტერესი არ ჰქონდა, რადგან მათ შეეძლოთ მარიას გრანდიოზული გეგმების დამსხვრევა.
— გმადლობთ, შეგიძლიათ პოზა შეიცვალოთ, — უთხრა მხატვარმა გაუნძრევლად ჯდომისაგან გადაღლილ ქიმიკოსს. მერე მარიასაკენ შემობრუნდა და მბრძანებლურად წარმოთქვა, — აგერ იმ კუთხეში მიბრძანდით და მოხერხებულად დაჯექით. მშვენიერი განათებაა.
და აი, თითქოს ეს მისი ბედისწერის წიგნში ეწერა, თითქოს ყველაზე ჩვეული საქმე იყო, თითქოს ამ კაცს მთელი ცხოვრება იცნობდა, ან ისე, თითქოს ეძინა ან ოცნებობდა და სწორედ ახლა მიხვდა, თუ რა უნდა ეკეთებინა სინამდვილეში, მარიამ აიღო თავისი ჭიქა, ხელჩანთა, წიგნები, რომლებიც საკარმიდამო მეურნეობის წარმატებულ გაძღოლას ეხებოდა და ფანჯარასთან მდგომი მაგიდისაკენ გაემართა. მხატვარმა აკრიფა თავისი ფუნჯები, ტილო,

ფერად-ფერად საღებავიანი მინის ქილები, სიგარეტის კოლოფი და მის ფეხებთან მუხლებზე დაეშვა.
— ცოტა ხანს, ეცადეთ, არ გაინძრეთ.
— მეტისმეტი მოინდომეთ, მთელი ჩემი ცხოვრება მოძრაობაში გადის.
ეს ფრაზა მარიას ბრწყინვალედ მოეჩვენა, მაგრამ მხატვარმა ყურიც არ შეიბერტყა. მარია ცდილობდა, თავი უშუალოდ დაეჭირა და მხატვრის მზერას არ შეეკრთო. ფანჯარაში ის აბრა დაინახა, წეღან Aრომ მიიპყრო მისი ყურადღება:
— იცით, რა არის „წმინდა იაკობის გზა“?
— შუა საუკუნეებში მლოცველები მთელი ევროპიდან ამ ქუჩით მიდიოდნენ ესპანეთის ქალაქის სანტიაგო-დე-კომპოსტელასკენ, წმინდა იაკობის ქალაქისაკენ.
მან გადაწია ტილოს ნაწილი და ფუნჯები მოამზადა. მარიამ უწინდებურად არ იცოდა, რა ეკეთებინა, როგორ მოქცეულიყო.
— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს გზა პირდაპირ ესპანეთში მიმიყვანს?
— დიახ, ორ-სამ თვეში მიაღწევთ. ოღონდ, აი რა, არ შეგიძლიათ, ჩუმად იჯდეთ? სულ ხუთი წუთი. და კიდევ, მაგიდიდან თქვენი პაკეტი მოაშორეთ.
— ეს წიგნებია, — უპასუხა მარიამ, ამ უცერემონიო თხოვნით ცოტათი განაწყენებულმა. დაე, იცოდეს, რომ მის წინ ინტელიგენტი ქალია, რომელიც მაღაზიებში კი არ დარბის, არამედ ბიბლიოთეკაში დადის.
მაგრამ მაგიდიდან პაკეტი მაინც აიღო და იატაკზე დადო. ჯანდაბას, გაიფიქრა მარიამ, სულაც არ მინდა მასზე შთაბეჭდილების მოხდენა, სამუშაოზე ხომ არა ვარ. ასე რომ, ჯობია, ჩემი ხიბლი იმათთვის შემოვინახო, ვინც ამას უხვად აანაზღაურებს. რატომ უნდა გაისარჯოს ამ კაცისათვის, რომელსაც, ალბათ, ერთი ფინჯანი ყავის ფულიც არა აქვს. ოცდაათი წლის კაცს ამ სიგრძის თმები რად უნდა? — ეს ხომ სასაცილოა. ისე, საიდან დაასკვნა, რომ ამ კაცს ფული არა აქვს? ოფიციანტმა ხომ თქვა, რომ იგი ცნობილია. თუ ეს ქიმიკოსს ეხებოდა? მარიამ მისი ტანსაცმლის თვალიერება დაიწყო, მაგრამ საყურადღებო ვერაფერი შენიშნა. თუმცა გამოცდილება კარნახობდა, რომ მოკრძალებულად და დაუდევრად ჩაცმული კაცები ხშირად უფრო მდიდრები არიან, ვიდრე ისინი, ვინც რესპექტაბელურ კოსტიუმებსა და ჰალსტუხებს ატარებენ. მგონი, ეს სწორედ ასეთი შემთხვევაა.
„და საერთოდ, რა შუაშია მხატვარი?! მე ნახატი მაინტერესებს“.
ათი წუთი არც ისე დიდი საფასურია უკვდავებისათვის. მარიამ შენიშნა, რომ ის ტილოს იმ ნაწილზე ხატავდა, რომელზეც ნობელის პრემიის გვირგვინოსანი ქიმიკოსი იყო გამოსახული. მერე ფულიც ხომ არ მოსთხოვოს ამ მხატვარს? — დაეკითხა თავის თავს მარია.
— თავი ფანჯრისაკენ მიაბრუნეთ.
და მარია ისევ უსიტყვოდ დაემორჩილა, რაც სულაც არ იყო მისთვის დამახასიათებელი. ფანჯარაში დაიწყო ყურება. ათვალიერებდა გამვლელებს, აბრას ქუჩის დასაწყისში. წარმოიდგინა, რომ საუკუნეების წინ აქ უკვე არებობდა ეს ქუჩა, და მთელი ის ცვლილებები გადაიტანა, რომლსაც ადგილი ჰქონდა ამქვეყნად და თვით ადამიანებში. შესაძლოა, ეს კარგის მომასწავებელი იყოს და მის პორტრეტს მუზეუმში მოხვედრიდან ხუთასი წლის შემდეგ იგივე ბედი ელის.
მხატვარი გულმოდგინედ მუშაობდა. მარია კი თანდათანობით კარგავდა უწინდელ სიხალისეს და უსუსურობის გრძნობა ეუფლებოდა. ბარში შემოსვლისას საკუთარ თავში დარწმუნებული იყო, ეგონა, რომ ყველაზე რთული გადაწყვეტილებების მიღება შეეძლო — აი, მაგალითად, ფულიანი სამუშაოს მიტოვება და ფაზენდის მართვის მძიმე ტვირთის აკიდება. ახლა კი სამყაროს წინაშე დაბნეულობის უწინდელი გრძნობა დაუბრუნდა. გრძნობა, რომელსაც მეძავის ჯიბე ვერ გასწვდება — ეს მისთვის დიდი ფუფუნებაა.

და ის მიხვდა, რატომ გრძნობდა თავს უხერხულად: მრავალი თვის განმავლობაში პირველად უყურებენ არა როგორც ქალს, არამედ... ამას ზუსტად ვერ განსაზღვრავს, მაგრამ ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს ესაა: „ის ხედავს ჩემს სულს, ჩემს შიშებს, ჩემს სისუსტეს, ჩემს უუნარობას — წინ აღვუდგე სამყაროს, რომელსაც მგონია, თავი გავართვი, მაგრამ მის შესახებ სინამდვილეში არაფერი ვიცი".

— მე მინდოდა...

— ღვთის გულისათვის, გაჩუმდით, — თქვა მხატვარმა, — მე ვხედავ თქვენგან მომდინარე შუქს.

არავის არასოდეს მისთვის ასეთი რამ არ უთქვამს. ეუბნებოდნენ: „მე ვხედავ შენი თეძოს საოცარ მოყვანილობას" ან „მე ვხედავ რა საოცარი ფორმის ძუძუები გაქვს" ან უკეთეს შემთხვევაში — „მე ვხედავ, რომ გინდა გაწყვიტო კავშირი ასეთ ცხოვრებასთან, გთხოვ, ნება მომეცი, შენთვის ბინა ვიქირავო". დიდი ხანია ასეთ რეპლიკებს შეეჩვია, მაგრამ... შუქი? იქნებ მოახლოებულ საღამოს გულისხმობს?

— შუქი, რომელიც მხოლოდ თქვენ გაქვთ, — დასძინა მხატვარმა, როცა მიხვდა, რომ მარიამ ვერაფერი გაიგო.

შუქი, რომელიც მხოლოდ მე მაქვს. ძნელია იმაზე მეტად შეცდე, როგორც ეს მხატვარი შეცდა. ძნელია, ოცდაათი წლის ასაკში შეინარჩუნო ასეთი ბავშვური უმანკოება. როგორც ცნობილია, ქალების მომწიფება უფრო ადრე ხდება, ვიდრე მამაკაცებისა და მარიამ, თუმცა ღამეებს არ ათევდა თავისი ყოფიერების მეტაფიზიკურ პრობლემებზე ფიქრში, ერთი რამ ზუსტად იცოდა: მასში არ არის ის, რასაც მხატვარი „შუქს" ეძახდა. თვითონ ამას უფრო „ნათებას" დაარქმევდა. ჩვეულებრივი ქალია, უხმოდ იტანჯება მარტოობისაგან, ცდილობს მოუძებნოს ახსნა იმას, რასაც აკეთებს. თავი ძლიერად მოაქვს, სინამდვილეში კი სუსტია. უარყოფს ყოველგვარ ვნებას თავისი საშიში სამუშაოს გამო, აწყობს მომავლის გეგმებს, სინდისის ქენჯნას განიცდის წარსული იმედგაცრუებისა და შეცდომების გამო... ასე რომ, არავითარი შუქი ან ნათება მასში არ არის. ალბათ, ეს უბრალოდ ხერხია მის გასაჩუმებლად და გასამხნევებლად. ის ხომ ამდენი ხანია აქ სულელივით ზის სრულიად გაუნძრევლად.

„მხოლოდ ჩემთვის დამახასიათებელი შუქი. შეეძლო რამე სხვა მოეფიქრებინა, მაგალითად, „რა საოცარი პროფილი გაქვთ".

სახლში შუქი როგორ შედის? — ღია ფანჯრებიდან. ადამიანში? — თუ სიყვარულის კარი დახშული არ არის. მისი კარი ხომ ყველა საკეტით არის ჩარაზული. ალბათ, ძალიან ცუდი და უნიჭო მხატვარია, რახან ასეთ უბრალო რამეს ვერ ხვდება.

— ესეც ასე, — თქვა მხატვარმა და თავისი ნივთების აკრეფას შეუდგა.

მარია არ განძრეულა. ერთი პირობა დააპირა ეთხოვა, მაჩვენეთო, მაგრამ ეს შეიძლებოდა უზრდელობაში ან უნდობლობაში ჩათვლოდა. ბოლოს მაინც ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ნახვის ნებართვა ითხოვა.

კაცს მხოლოდ მისი სახე დაეხატა — მსგავსება იყო, ოღონდ, მარიას მოდელი რომ არ სცნობოდა, ამ სურათის შემხედვარე იტყოდა, რომ ქალი, რომელიც აქ არის აღბეჭდილი, მასზე გაცილებით ძლიერია და აღსავსეა რაღაც შუქით, შუქით, რომელსაც მარია სარკეში ჩახედვისას ვერ ამჩნევდა.

— მე რალფ ჰარტი მქვია. გნებავთ, თქვენთვის რამე დასალევი კიდევ შევუკვეთო?

— არა, გმადლობთ.

ისეთი პირი უჩანდა, რომ საუბარი გაკვალული გზით წარიმართებოდა და მამაკაცი ქალის „შებმას" ეცდებოდა.

— კიდევ ორი ანისული, გეთაყვა, — მოითხოვა მან, თითქოს ქალის სიტყვები არც კი გაუგიაო.

ისე, სხვა რა საქმე აქვს მარიას? მოყირჭებული წიგნი იკითხოს საკარმიდამო მეურნეობის მართვის შესახებ? მეორასედ გაისეირნოს ტბის პირას? არა! ისევ ჯობს, იმას ელაპარაკოს, ვინც

მასში ამოუცნობი შუქი დაინახა, თან სწორედ იმ დღეს, როცა ბოლო სამი თვის ათვლა დაიწყო...
— რას საქმიანობთ? — ეს შეკითხვა არ უყვარდა, გაგონებაც არ უნდოდა მისი. ამ შეკითხვამ ათქმევინა უარი რამდენიმე შეხვედრაზე, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო ვინმე დაუახლოვდებოდა (შვეიცარიაში ეს იშვიათად ხდება. აქაური ხალხი თავშეკავებული და ჩაკეტილია). რა უპასუხოს?
— კაბარეში ვმუშაობ.
არის! ამოისუნთქა! მარია საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან შვეიცარიაში გატარებულმა დრომ ასწავლა: უნდა იკითხო („ქურთები ვინ არიან?“, „რა არის წმინდა იაკობის გზა?“) და უპასუხო („კაბარეში ვმუშაობ“) და არ ინაღვლო, რას იფიქრებენ შენზე.
— მგონი, სადღაც მინახიხართ.
მარია მიხვდა, რომ მხატვარი საუბრის გაგრძელებას აპირებდა და თავისი პატარა გამარჯვებით გაიხარა: ეს ადამიანი, ხუთი წუთის წინ უცერემონიოდ რომ იძლეოდა ბრძანებებს და უაღრესად თავდაჯერებული ჩანდა, ახლა ყველა იმ მამაკაცივით უმწეო გახდა, უცნობი ქალის წინაშე რომ იბნევა.
— ეგ რა წიგნებია?
მარიამ ყდები უჩვენა — სოფლის მეურნეობის ცნობარი, ფაზენდის მართვის სახელმძღვანელო.
— სექს-ინდუსტრიაში მუშაობთ?
მეტისმეტად თამამი შეკითხვაა. ნუთუ ასე გამომწვევად აცვია, ნუთუ მიუხვდა მის პროფესიას? ასეა თუ ისე, დროის მოგებაა საჭირო. ეს ყველაფერი მის თვალში რაღაც სახალისო თამაშს დაემსგავსა. ისე კი, დასაკარგი რა აქვს?
— ყველა მამაკაცი მხოლოდ ამაზე რატომ ფიქრობს?
მან წიგნები ისევ პარკში ჩააწყო.
— სექსი და საკარმიდამო მეურნეობის მართვა. არ ვიცი, რომელია უფრო მოსაწყენი.
რაო-რაო? მარია ანაზდად განაწყენდა. როგორ ბედავს, აუგად მოიხსენიოს ის, რითაც მარია ლუკმაპურს შოულობს?! თუმცა, მან ეს ხომ ჯერ არ იცის, ეს მხოლოდ მისი ვარაუდია, თანაც საკმაოდ უტიფარი, მაგრამ ისიც კი არ შეიძლება დარჩეს უპასუხოდ.
— მე კი მიმაჩნია, რომ ფერწერაზე მოსაწყენი ამქვეყნად არაფერია. გაჩერებული წამი, შეწყვეტილი მოძრაობა, რაღაც გაქვავებული ფოტოსურათი, რომელიც ვერასოდეს დაემსგავსება ორიგინალს. მძორი, რომელიც თავად მხატვრის გარდა არავის აინტერესებს, ისინი კი თავს განსაკუთრებულ ადამიანებად, კულტურის მატარებლებად მიიჩნევენ და დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა დანარჩენ ადამიანზე მაღლა დგანან. ხოან მიროს შესახებ გსმენიათ რამე? აი, მე პირადად — არაფერი, სანამ ერთმა არაბმა რესტორანში არ ახსენა, თუმცა ამას სრულიად არაფერი შეუცვლია ჩემს ცხოვრებაში, — მარია დაეჭვდა, რომ ღრმად შეტოპა. ოფიციანტმა კოქტეილი მოიტანა და საუბარი შეწყდა. გარკვეული დროის მანძილზე ორივე უბრად იჯდა. მარია უკვე წასვლაზე ფიქრობდა. ეს აზრი ალბათ რალფ ჰარტსაც მოუვიდა, მაგრამ საზარელი სასმლით სავსე ორი ჭიქა ჯერ ისევ მათ წინ იდგა და საუბრის გაგრძელების მშვენიერ საბაბს წარმოადგენდა.
— რად გინდათ ეგ წიგნები?
— როგორ თუ რად?
— მე ვყოფილვარ ბერნის ქუჩაზე. როდესაც მითხარით, სად მუშაობთ, მე გამახსენდა, სად შემეძლო ადრე თქვენი ნახვა. იქ არის რაღაც ძალიან ძვირი დაწესებულება. უბრალოდ, სანამ გხატავდით, ეს აზრად არ მომივიდა, მეტისმეტად ძლიერი შუქი მოდის თქვენგან.
მარიას ფეხქვეშ იატაკი შექანდა. პირველად შერცხვა თავისი პროფესიის, თუმცა, ამისათვის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა. იგი მუშაობდა, რათა შეენახა საკუთარი თავი და მშობლები.

ეს მხატვარს უნდა რცხვენოდეს, ბერნის ქუჩაზე რომ დაიარება: მთელი ეს ხიბლი წუთი წუთზე უნდა გაქარწყლებულიყო.
— ყური მიგდეთ, ბატონო ჰარტ, თუმცა ბრაზილიიდან ვარ, აქ უკვე ცხრა თვეა ვცხოვრობ და ვიცი, შვეიცარიელები ძალიან თავშეკავებულები არიან იმიტომ, რომ პატარა ქვეყანაში ცხოვრობენ, რომელშიც, როგორც ახლა დამტკიცდა, ყველა ერთმანეთს იცნობს და სწორედ ამიტომ სხვის ცხოვრებაში ცხვირს არ ყოფენ. თქვენი სიტყვები უადგილო და არადელიკატურია და თუ მათი მიზანი ჩემი დამცირებაა, რომ თავი უფრო დამაჯერებლად იგრძნოთ, მაშინ იცოდეთ, დრო ტყუილად დაგიკარგავთ. მადლობელი ვარ ანისული კოქტეილისათვის — ამაზე დიდი საზიზღრობა ჯერ არ მინახავს, მაგრამ მაინც დავლევ. სიგარეტსაც მოვწევ. მერე კი ავდგები და წავალ. თქვენ კი შეგიძლიათ, ახლავე მიბრძანდეთ, რადგან სახელოვან მხატვარს არ ეკადრება მეძავთან ერთად ჯდომა. მე ხომ მეძავი ვარ. თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით ამას. მეძავი ვარ თავიდან ფეხის ფრჩხილამდე. და ამის სრულიად არ მრცხვენია. ასეთი თვისება მაქვს, არ მოვატყუო არც საკუთარი თავი და არც სხვა, ამ შემთხვევაში კი — თქვენ. იმიტომ, რომ თქვენ ჩემი ტყუილის ღირსიც არა ხართ. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ აგერ ის სახელგანთქმული ქიმიკოსი გაიგებს, ვინა ვარ მე?
მარიამ ხმას აუწია:
— მე მეძავი ვარ! და აი, კიდევ რას გეტყვით: ეს მე თავისუფლებას მანიჭებს! მე ვიცი, ზუსტად სამი თვის შემდეგ წავალ ამ წყეული ქვეყნიდან და თან დიდ ფულს წავიღებ. წავიღებ ფოტოსურათებს, სადაც თოვლში ვარ გადაღებული, წავალ ბევრად უფრო განათლებული, ვიდრე ჩამოვედი, ახლა უკვე ვერკვევი ღვინოებში და მამაკაცებში.
დახლთან მდგომი გოგონა ელდანაკრავივით უსმენდა მარიას. ნობელის პრემიის ლაურეატი კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმას, რაც ხდებოდა. იქნებ სასმელმა, იქნებ ბრაზილიის მიყრუებულ პროვინციაში ცხოვრების პერსპექტივამ, ან იქნებ რასაც ფიქრობ, იმისი თქმის შესაძლებლობით გამოწვეულმა სიხარულმა, როდესაც შეგიძლია დასცინო სხვების გამკიცხავ გამოხედვასა და აღშფოთებულ ჟესტებს, ვისაც ეს ეთაკილება, მარიას მისცა სტიმული, გაეგრძელებინა:
— გაიგეთ, ბატონო ჰარტ? თავიდან ბოლომდე, თავიდან ფეხამდე მეძავი ვარ! და ამაშია ჩემი სიამაყე და ჩემი ღირსება!
მხატვარი არ განძრეულა, სიტყვაც არ დასცდენია.
მარია განაგრძობდა:
— თქვენ კი, თუმცა მხატვარი ხართ, მაინც არაფერი გაგეგებათ მოდელებში. შეიძლება ის ქიმიკოსი, აქ რომ ზის და არაფერს არ აქცევს ყურადღებას და შეიძლება, სულაც სძინავს, სინამდვილეში რკინიგზელია. და ყველა დანარჩენი პერსონაჟი თქვენს ტილოზე ის არ არის, რაც სინამდვილეშია. სხვაგვარად თქვენ არასდროს იტყოდით, თითქოს ხედავთ, როგორ მომდინარეობს ჩემგან „განსაკუთრებული შუქი“, ჩემგან — ქალისაგან, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, უბრალოდ მეძავია!
ბოლო სიტყვები მარიამ ხმამაღლა და დამარცვლით წარმოთქვა. ქიმიკოსმა გამოიღვიძა, ოფიციანტმა ანგარიში მოიტანა. რალფს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მან ნელა, მკაფიოდ და ხმის აუმაღლებლად უპასუხა:
— ამას არავითარი კავშირი არა აქვს თქვენს საქმიანობასთან. მე ვხედავ შუქს, შუქს, გადმოსულს ადამიანისაგან, ქალისგან, რომელსაც შეუძლია მსხვერპლად ბევრი რამ გაიღოს იმისათვის, რასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ეს შუქი... ეს შუქი თვალებშია.
მარია განიარაღებული დარჩა — მხატვარი არ წამოეგო მის პროვოკაციას. მას სურდა ერწმუნა, რომ მხატვარს მისი შეცდენა სურდა და სხვა არაფერი. მან საკუთარ თავს აუკრძალა ფიქრი იმაზე (ყოველ შემთხვევაში უახლოესი ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში), რომ სადღაც არსებობენ საინტერესო ადამიანები.

— ხედავ შენ წინ ამ ჭიქას ანისულით? — შენობით განაგრძო ლაპარაკი მხატვარმა, — მაშ ასე, შენ მხოლოდ მას ხედავ. მე კი უნდა ჩავწვდე იმის არსს, რასაც ვაკეთებ. ამიტომაც ვხედავ, როგორ იზრდებოდა ეს ანისი, როგორ არხევდა მას ნიავი, ვხედავ ხელებს, მარცვლებს რომ აგროვებდნენ, ვხედავ გემს, რომელმაც ის სხვა კონტინენტიდან ჩამოიტანა, მე ვგრძნობ ყველა სუნს და ყველა ფერს, რაც ამ მარცვლის ნაწილი გამხდარა, რაც მასში აირია, მასში შეაღწია, ვიდრე ამ ნაყენის დასამზადებლად ივარგებდა. და თუ ოდესმე მის დახატვას გადავწყვეტდი, ამ ყველაფერს ტილოზე გადავიტანდი. თუმცა, შენ ამის შემხედვარე უწინდებურად იფიქრებდი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ანისულით სავსე ჭიქას ხედავ.

და ზუსტად ასევე, როცა შენ გაჰყურებდი ქუჩას და ფიქრობდი — მე ვიცი, რომ ფიქრობდი — წმინდა იაკობის გზაზე, მე დავხატე შენი ბავშვობა, შენი ყრმობა, შენი აუხდენელი, წარსულში დარჩენილი ოცნებები, შენი ახალი ოცნებები და შენი ნება. სწორედ ეს მაინტერესებდა ყველაზე მეტად... როდესაც ჩემს სურათს უყურებდი...

მარიამ ციხესიმაგრის კარი გააღო, თუმცა იცოდა, რომ ამიერიდან შეიძლება ვეღარც დაეკეტა.

— ...მე დავინახე ეს შუქი. თუმცა, ჩემ წინ მხოლოდ და მხოლოდ ის ქალი იყო, რომელიც შენ გგავდა.

ისევ ის დამამძიმებელი სიჩუმე ჩამოვარდა. მარიამ საათს შეხედა.

— რამდენიმე წუთში უნდა წავიდე. რატომ თქვი, რომ სექსი მოსაწყენია?

— ეს შენ უკეთ უნდა იცოდე.

— მე ეს ვიცი, იმიტომ, რომ ეს ჩემი სამუშაოა. ამას ყოველდღე ვაკეთებ. მაგრამ შენ — შენ კაცი ხარ, ოცდაათი წლის...

— ოცდაცხრის.

— შენ ახალგაზრდა ხარ, მიმზიდველი, სახელოვანი, ასეთი რამეები ჯერ კიდევ უნდა გაინტერესებდეს და მეგობრის საძებნელად ბერნის ქუჩაზე არ უნდა დადიოდე.

— რატომაც არა. მე ვწოლილვარ ზოგიერთ შენს კოლეგასთან, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეგობრის მოძებნაა ძნელი. რთულია საკუთარ თავთან დარჩენა.

მარიამ ანაზდად იგრძნო, როგორ გაჰკრა ეჭვმა და თვითონვე გაუკვირდა ეს. მაგრამ ახლა მართლაც მისი წასვლის დრო დადგა.

— ეს ჩემი ბოლო ცდა იყო. ახლა კი მორჩა, — თქვა მხატვარმა და იატაკზე გაბნეული ფუნჯებისა და საღებავების აკრეფა დაიწყო.

— ყველაფერი რიგზეა?

— ყველაფერი სრულ წესრიგშია. უინტერესოა.

დაუჯერებელია!

— გადაიხადე. მოდი გავისეირნოთ. ვფიქრობ, სინამდვილეში მრავალი განიცდის იმას, რასაც შენ. უბრალოდ, ამას ხმამაღლა არავინ ამბობს და მე მსურს ასეთ გულწრფელ ადამიანთან საუბარი.

მათ წმინდა იაკობის გზა აიარეს, შემდეგ კი ისევ უკან დაუყვნენ. გზას მდინარისაკენ მიჰყავდი, მდინარეს — ტბისაკენ, ტბას — მთებისაკენ, მთებს — ესპანეთში მიკარ¬გული დასახლებისაკენ. ქუჩა სავსე იყო გამვლე¬ლებით: კლერკები შესვენებიდან ბრუნდებოდნენ, დედები ბავშვებს ასეირნებდნენ ეტლით, ტურისტები ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ და ერთმანეთს ტბის შუაგულში წყლის დიდებული კასკადის ფონზე უღებდნენ სურათებს, მიმოდიოდნენ აღმოსავლელი თავსაბურავიანი ქალები, ძუნძულით დარბოდნენ ბიჭები და გოგონები... და ყველანი ამ მითიური ქალაქისაკენ, სანტიაგო-დე-კომპოსტელას¬კენ, მიემართებოდნენ, რომელიც, შესაძლოა, არც კი არსებობდა. შესაძლოა, ეს უბრალოდ ლეგენდა იყო, რომლისაც უნდა გჯეროდეს, რომ კაცობრიობის ცხოვრებას აზრი მიეცეს. და ხალხით სავსე წმინდა იაკობის გზას სხვებთან ერთად მიუყვებოდნენ გრძელთმიანი კაცი მხარზე გადაკიდებული მძიმე საეტიუდო ჩანთით და ახალგაზრდა ქალი პაკეტით, რომელშიც

საკარმიდამო მეურნეობის მართვის სახელმძღვანელოები ეწყო. და არც ერთ მათგანს აზრად არ მოსვლია ეკითხა, რატომ და რისთვის დაიწყეს ეს მოგზაურობა ერთად — ყველაფერი თავისთავად მოხდა, თითქოს ამაზე უფრო ბუნებრივი არაფერი იყო. კაცმა ყველაფერი იცოდა ქალზე, ქალმა კი კაცზე — არაფერი.
და სწორედ ამიტომ მარიამ კითხვის დასმა გაბედა. ახლა იგი უკვე ყველას ყველაფერს ეკითხებოდა. თავიდან მხატვარმა დუმილი ამჯობინა, სიტყვას ბანზე უგდებდა, მაგრამ ქალმა მშვენივრად იცოდა, როგორ უნდა გაეტანა თავისი მამაკაცთან და მიაღწია კიდეც საწადელს. კაცმა უამბო, რომ ოცდაცხრა წლისამ უკვე ორჯერ მოასწრო ქორწინება (განა რეკორდი არ არის?!), რომ ბევრს მოგზაურობდა, იცნობს მეფეებსა და კინოვარსკვლავებს, რომ დაიბადა ჟენევაში, ცხოვრობდა მადრიდში, ამსტერდამში, ნიუ-იორკში და ტარბში, საფრანგეთის სამხრეთის პატარა ქალაქში, რომელიც არც ერთ გზამკვლევში არ არის აღნიშნული, მაგრამ ძალიან უყვარს, რადგანაც მთების ძირში მდებარეობს და საოცრად გულითადი ხალხით არის დასახლებული. მისი ნიჭი ოცი წლის ასაკში გამომჟღავნდა. ერთი მსხვილი კოლექციონერი, როგორც ახლა ამბობენ, „არტ-დილერი“, მის მშობლიურ ქალაქში აღმოჩნდა და სადილად შემთხვევით შეუვლია იაპონურ რესტორანში, სადაც სწორედ ამ ჰარტის ნამუშევრები იყო გამოფენილი. მას მერე მან დიდი ფული იშოვა, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე იყო და შეეძლო ის ეკეთებინა, რაც უნდოდა. წასულიყო იქ, სადაც მოეპრიანებოდა, შეხვედროდა იმას, ვინც მოესურვებოდა. გამოცდილი ჰქონდა ყველა სიამე, საკუთარ თავს უარს არაფერზე არ ეუბნებოდა და მიუხედავად სახელისა, ფულისა, ქალებისა და მოგზაურობისა, მაინც ვერ იპოვა ბედნიერება. მხოლოდ ერთადერთი რამ ახარებდა ამ ცხოვრებაში — სამუშაო.
— ქალებმა ტანჯვა მოგაყენეს? — დაინტერესდა მარია და მაშინვე მიხვდა, რომ სრულიად იდიოტური შეკითხვა დასვა, რომელიც ალბათ ამოკითხული ჰქონდა ცნობარში „ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს ქალმა, რათა მამაკაცის გული დაიპყროს“.
— არასოდეს. ორივე ცოლთან ძალიან ბედნიერი ვიყავი. ისინი მე მღალატობდნენ, მე — იმათ, როგორც ნორმალურ ცოლქმრობაშია მიღებული. მერე კი ცოტა ხანი გამოხდა და სექსი უკვე აღარ მაინტერესებდა. მე ისევ მიყვარდა, ზოგჯერ ცხოვრების თანამგზავრი მაკლდა, მაგრამ სექსი... ერთი მითხარი, სექსზე რატომ დავიწყეთ ლაპარაკი?
— იმიტომ, რომ მე, როგორც მოგეხსენება, მემავი ვარ.
— ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული არაფერია. მერე რა, რომ მხატვარი ვარ და საკმაოდ ადრე მივაღწიე წარმატებას, — ეს იშვიათად ხდება, — თანაც ფერწერაში, რაც კიდევ უფრო იშვიათია. შემიძლია ვხატო, როგორც მომეპრიანება და ჩემი ტილოები ძვირად გავყიდო, დაე, იხმაურონ კრიტიკოსებმა — ისინი ხომ დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ მათ ესმით, რა არის ხელოვნება. ხალხს ჰგონია, რომ ყველა კითხვაზე მაქვს პასუხი და რაც უფრო დიდხანს ვდუმვარ, მით უფრო ჭკვიანი ვჩანვარ.
ჰარტი ისევ განაგრძობდა საკუთარ თავზე თხრობას: ყოველ კვირას რომელიმე ქვეყანაში იწვევენ რაღაც ღონისძიებაზე. ჰყავს აგენტი ბარსელონაში — იცი, ეს სად არის? დიახ, ესპანეთში. და სწორედ ეს აგენტი — სხვათა შორის, ქალია — დაკავებულია ყველაფრით, რაც შეეხება ჰონორარებს, მიწვევებს, გამოფენებს, ვერნისაჟებს. და არასოდეს აძალებს იმის კეთებას, რაც მას არ სურს, ვინაიდან მრავალწლიანი მუშაობის შედეგად ბაზარზე გარკვეულ სტაბილურობას მიაღწიეს.
— აბა, რას იტყვი, საინტერესო ისტორიაა? — მისი ხმა არადამაჯერებლად ჟღერდა.
— უფრო არატიპურია. ბევრი, ძალიან ბევრი ინატრებდა შენს ადგილზე ყოფნას.
ახლა რალფმა მოისურვა, რაიმე გაეგო მარიას შესახებ.
— მე, ცოდვაში არ ჩამითვალო, სამსახოვანი ვარ. ყოველთვის იმ სახეს ვაჩენ, რომელიც ჩემს მოსაუბრეს სჭირდება: ხან მიამიტი გოგო ვარ, რომელიც აღფრთოვანებით უყურებს მამაკაცს, თითქოს შეძრულია მისი ძალაუფლებით, მისი დიდებით. ხან საბედისწერო ქალი ვარ,

რომელიც თავს ესხმის მორიდებულ მამაკაცებს, თავის თავზე იღებს ინიციატივას, ისე, რომ მათ უკვე აღარაფრის გაკეთება, აღარაფერზე ზრუნვა აღარ უწევთ. ხანაც მოსიყვარულე დედა ვარ, რომელიც ზრუნავს იმათზე, ვისაც მისი რჩევა სჭირდება და მოთმინებით ისმენს ყველა ისტორიას, თუნდაც ეს სულაც არ აინტერესებდეს. ამ სამიდან რომლის გაცნობა გსურს?
— შენი.
და მარიამ ყველაფერი მოუთხრო. ეს ძალიან სჭირდებოდა მას, რადგან სამშობლოდან წამოსვლის შემდეგ პირველად გადაუშალა ვიღაცას გული. მან შენიშნა, რომ თუმცა არც ისე ჩვეულებრივ ხელობას მისდევდა, მაინც მის ცხოვრებაში ისეთი არაფერი მომხდარა, რისი გახსენებაც ღირდა, თუ არ ჩავთვლით რიოში გატარებულ კვირას და პირველ თვეს შვეიცარიაში. სახლი — სამსახური, სამსახური — სახლი... და სხვა არაფერი.
როცა თხრობა დაასრულა, ისინი ისევ კაფეში აღმოჩნდნენ, მაგრამ უკვე ქალაქის მეორე ბოლოში, წმინდა იაკობის გზიდან მოშორებით და თითოეული მათგანი იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოუმზადა ბედმა მის შემთხვევით თანამგზავრს.
— შენ რამე გადარდებს? — ჰკითხა მარიამ.
— ჰო. მიჭირს შენთან დამშვიდობება.
მარიაც იმავეს განიცდიდა. ეს დღეE სულ არ ჰგავდა სხვა დანარჩენ დღეებს. აფორიაქებული და შეწუხებული ჩანდა. კარი გაიღო და აღარ იცოდა, როგორ დაეკეტა.
— ნახატს როდის მაჩვენებ?
რალფმა თავისი ბარსელონური აგენტის სავიზიტო ბარათი გაუწოდა.
— ნახევარი წლის შემდეგ. თუ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იქნები ბრაზილიაში, ამ ნომერზე დარეკე. „ჟენევის სახეები“, სადაც გამოსახული იქნებიან სახელოვანი და უცნობი ადამიანები, პირველად ბერლინის სამხატვრო გალერეაში გამოიფინება, შემდეგ — მთელ ევროპაში.
მარიამ გაიხსენა თავისი კალენდარი, გამგზავრებამდე დარჩენილი ოთხმოცდაათი დღე, და ისიც, თუ რა სახიფათოა მისთვის ნებისმიერი გრძნობა, ნებისმიერი კავშირი.
„რა არის უფრო მთავარი — იცხოვრო თუ ითვალთმაქცო, რომ ცხოვრობ? გარისკო და უთხრა, რომ დღევანდელი დღე ყველაზე მშვენიერია იმ დღეებს შორის, რაც კი ამ ქალაქში გაუტარებია? მადლობა გადაუხადო მოსმენისათვის, გულისხმიერებისათვის? თუ ისევ ძლიერი ნებისყოფის, „განსაკუთრებული შუქით“ მოსილი ქალის ჯავშანში ჩაიკეტო და, უბრალოდ, წახვიდე?
ბედნიერი იყო, სანამ წმინდა იაკობის გზაზე მიდიოდა, სანამ საკუთარ თავზე ყვებოდა. ჰოდა, ამას დასჯერდი, ეს ხომ ისედაც ბედის საჩუქარია.
— მე მოვალ შენთან, — თქვა რალფ ჰარტმა.
— არა ღირს. მალე ბრაზილიაში მივემგზავრები. იმაზე, რაც იყო, მე და შენ აღარაფერი გვაქვს დასამატებელი.
— მე მოვალ, როგორც კლიენტი.
— ეს ჩემთვის დამამცირებელი იქნება.
— მე მოვალ იმისათვის, რომ შენ გადამარჩინო.
ჯერ კიდევ საუბრის დასაწყისში ახსენა მხატვარმა, რომ სექსი არ აინტერესებს. მეცო, სურდა ეპასუხა მარიას, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ახსოვდა, რომ დუმილი ოქროა.
რა გულსატკენი ამბავია. ისევ მოვიდა მასთან ბიჭი, ოღონდ ამჯერად კალამს კი არა, ცოტაოდენ ურთიერთობას სთხოვდა. მარიამ თვალი გადაავლო თავის წარსულს და ცხოვრებაში პირველად არ გაკიცხა საკუთარი თავი. მარია კი არ არის დამნაშავე, არამედ ის ბიჭი, რომელიც იმდენად მორიდებული იყო, რომ პირველივე ცდის შემდეგ უკან დაიხია. მაგრამ ისინი ხომ ბავშვები იყვნენ, ბავშვები კი ყოველთვის ასე იქცევიან. ასე რომ, არავინ არ არის დამნაშავე — არც მარია და არც ის. მარიამ უზარმაზარი შვება იგრძნო და მაშინვე კარგ

ხასიათზე დადგა. მას ხელიდან არ გაუშვია ცხოვრებაში პირველი შანსი. ეს ყველას ემართება, სწორედ ასე ეძებს ადამიანი თავის მეორე ნახევარს. სხვაგვარად არ ხდება.
თუმცა, ახლა ყველაფერი სწორედ რომ სხვაგვარადაა. რა მიზეზებიცა და არგუმენტებიც არ უნდა მოიყვანოს, რა დამაჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს ისინი (ბრაზილიაში ვბრუნდები, კლუბში ვმუშაობ, ჩვენ ვერ მოვასწრებთ ერთმანეთის ხეირიანად გაცნობას, სექსი არ მაინტერესებს, სიყვარულის გაგონებაც არ მინდა, ფაზენდას უნდა გავუძღვე, ფერწერისა არაფერი გამეგება, ჩვენ სხვადასხვა სამყაროდან ვართ), ცხოვრება გამოწვევას სთავაზობს. ის უკვე აღარ არის ბავშვი, არჩევანი უნდა გააკეთოს და გამოწვევა მიიღოს.
მარიამ გადაწყვიტა, საერთოდ არაფერი ეთქვა. ხელი ჩამოართვა, როგორც აქ, შვეიცარიაშია მიღებული, და შინისაკენ გაემართა. თუ მხატვარი ისეთია, როგორიც სურს, რომ იყოს, მას დუმილი არ დააფრთხობს.
იმავე დღის ჩანაწერი მარიას დღიურში:

დღეს, როდესაც ტბის ნაპირას, წმინდა იაკობის ამ უცნაურ გზაზე ვსეირნობდით, ჩემმა თანამგზავრმა (ის მხატვარია, სხვა სამყაროს ნაწილი) წყალში კენჭი ისროლა. წყლის ზედაპირზე წრეები გაჩნდა, რომლებიც თანდათან ისე გაფართოვდა და გადიდდა, რომ იხვამდე მიაღწია, რომელიც იქ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა და ამ კენჭთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. და აი, იმის მაგივრად, რომ ამ იხვს საიდანღაც მოვლენილი ტალღების შეშინებოდა, მათთან თამაში დაიწყო.
რამდენიმე საათით ადრე კი მე შევედი კაფეში, გავიგონე, როგორ მიხმობდა ვიღაცის უცნობი ხმა და — თითქოს თვით უფალმა ღმერთმა ისროლა კენჭი. დენმა გაიარა ჩემსა და იმ ადამიანს შორის, რომელიც კუთხეში დაჩოქილიყო და ისე ხატავდა. მან იგრძნო კენჭით გამოწვეული რხევები. მეც ვიგრძენი ეს. ახლა რა?
მხატვარმა იცის, როგორი მოდელი სჭირდება მას. მუსიკოსმა იცის, რამდენად კარგად არის აწყობილი მისი ინსტრუმენტი. ვავსებ ამ დღიურს და ვაცნობიერებ, რომ მასში არსებობს ფრაზები, რომლებიც ჩემ მიერ კი არ არის დაწერილი, არამედ იმ ქალის მიერ, რომლისგანაც ის ყბადაღებული „შუქი“ მომდინარეობს, სწორედ იმ ქალის მიერ, რომელიც მე ვარ, მაგრამ ეს ვერაფრით ვერ ვირწმუნე.
შეიძლება შემდგომშიც ვერ ვირწმუნო ან შეიძლება იმ ტბაში მოცურავე იხვივით გავიხარო, გავმხიარულდე იმით, რომ საიდანღაც გამომტყვრალმა კენჭმა წყლის ზედაპირის უძრაობა დაარღვია.
ამ კენჭს სახელი აქვს და ეს სახელია „ვნება“, რომლის წყალობითაც შესაძლებელია იმის გადმოცემა, თუ რა მშვენიერია ელვა, ორ ადამიანს შორის გაკლაკნილი, მაგრამ საქმე მხოლოდ ეს როდია. საქმე იმის რწმენაა, რომ ოცნება ასრულდება და შენ რაღაც შეუცნობლისა და მოულოდნელის წინაშე აღფრთოვანდები და ყველაფერს გზნებით გააკეთებ. ვნება მუდამ რაღაცას გვანიშნებს. ამ ნიშნებს მივყავართ ცხოვრების გზაზე და ჩვენი საქმეა, შევიცნოთ ისინი.
მინდა მჯეროდეს, რომ შეყვარებული ვარ. შეყვარებული მასზე, ვისაც არ ვიცნობ, ვის მიმართაც არავითარი სამომავლო გეგმები არა მაქვს. თავშეკავებისა და სიყვარულის უარყოფის მთელმა ამ თვეებმა უკუეფექტი გამოიწვია, გულმა პირველივე შემხვედრისაკენ გამიწია, იმისკენ, ვინც ყურადღება მომაქცია, ოღონდ არა ისე, როგორც სხვები მაქცევდნენ.
კიდევ კარგი, მისი ტელეფონის ნომერი არ ჩავიწერე, არც მისი მისამართი ვიცი და ისე შემიძლია დავკარგო, რომ საკუთარი თავი შანსის დაკარგვაში არ დავადანაშაულო.
და თუ სწორედ ასე მოხდა, თუ შანსი დავკარგე, ვიტყვი, რომ ჩემს ცხოვრებაში იყო ბედნიერი დღე. გაიხსენე, მარია, როგორია ჩვენი სამყარო და მიხვდები: თუნდაც ერთი ბედნიერი დღეE — ეს თითქმის სასწაულია.

საღამოს, როცა მარია „კოპაკაბანაში“ მივიდა, მხატვარი, ერთადერთი კლიენტი, უკვე იქ ელოდა. მილანი, რომელიც ინტერესით აკვირდებოდა ამ ბრაზილიელი გოგონას ცხოვრებას, მიხვდა, რომ მარიამ ბრძოლა წააგო.
— დალევ?
— მე აქ ვმუშაობ და სამუშაოს დაკარგვა არ მინდა.
— მე კი კლიენტი ვარ და გეკითხები, შეიძლება, დაგპატიჟო?
ეს ადამიანი, ასე თამამად რომ ეჭირა თავი, ასე მოხერხებულად რომ ხმარობდა ფუნჯს, უშუალო ურთიერთობა რომ ჰქონდა სახელოვან ადამიანებთან, ბარსელონაში საკუთარი აგენტი რომ ჰყავდა და, ეტყობა, დიდ ფულსაც აკეთებდა, ახლა სუსტი და სრულიად დაუცველი ეჩვენა: ის სხვა გარემოში მოხვდა, „კოპაკაბანა“ სულაც არ იყო რომანტიკული ბარი წმინდა იაკობის ქუჩაზე. ხიბლი გაიფანტა.
— აბა, რას იტყვი, შეიძლება დაგპატიჟო?
— სხვა დროს, დღეს უკვე დაკავებული ვარ.
მილანი, რომელმაც ფრაზის ბოლოს მოჰკრა ყური, მიხვდა, რომ მოტყუვდა — არა, ამ გოგოს ვერ შეაცდენ სიყვარულის დაპირებებით, ის არ გაებმება დაგებულ მახეში. მიუხედავად ამისა, მთელ საღამოს იმაზე იმტვრევდა თავს, რატომ არჩია მარიამ ვიღაც ბებრუხანა, უბრალო მოანგარიშე და სადაზღვევო აგენტი.
თუმცა, ეს მისი საქმეა. საკომისიოს იხდის? იხდის. ჰოდა, თვითონ გადაწყვიტოს, ვისთან დაწვეს და ვისთან — არა.
ჩანაწერი მარიას დღიურში, ბებრუხანასთან, უბრალო მოანგარიშესთან და სადაზღვევო აგენტთან გატარებული ღამის შემდეგ:

რა უნდა ჩემგან ამ მხატვარს? განა არ იცის, რომ ჩვენ სხვადასხვა ქვეყანას, სხვადასხვა კულტურას, სხვადასხვა სქესს ვეკუთვნით? მას, ალბათ, ჰგონია, რომ მე მეტი ვიცი ნეტარების შესახებ, ვიდრე მან, და უნდა, რამე ისწავლოს ჩემგან.
რატომ არაფერი მითხრა, გარდა ამისა: „მე კლიენტი ვარ“? განა ძნელი იყო, ეთქვა: „უშენოდ მოვიწყინე“ ან „რა მშვენიერი დღე გავატარეთ ერთად“. და მეც, ნამდვილი პროფესიონალი, ასეთივე ყაიდის პასუხს გავცემდი. თუმცა, ის ვალდებული იქნებოდა, მიმხვდარიყო ჩემს დაბნეულობას, მე ხომ სუსტი ქალი ვარ, აქ კი — „კოპაკაბანაში“ — სულ სხვა ადამიანი ვხდები. ის მამაკაცია, თანაც მხატვარი. ამიტომ არ შეიძლება, არ იცოდეს, რომ ყოველი ადამიანის უდიდესი მიზანი სიყვარულის შეცნობაა. სიყვარული სხვაში კი არა, ჩვენშია და ჩვენ თვითონ ვაღვიძებთ მას საკუთარ თავში. ხოლო იმისათვის, რომ სიყვარული გავაღვიძოთ, საჭიროა სწორედ ის სხვა. სამყარო აზრს მხოლოდ მაშინ იძენს, როცა ჩვენი გრძნობების ვინმესთვის გაზიარება შეგვიძლია.
ის სექსმა დაღალა? მეც. და მიუხედავად ამისა, არც მან და არც მე არ ვიცით, რა არის ეს სინამდვილეში. სიკვდილის დროს ჩვენ ვკარგავთ იმას, რაც, შესაძლოა, ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია ამქვეყნად. და განა მე იმისთვის არა ვარ მოვლენილი, რომ ვიხსნა რალფი და მან მიხსნას მე? მაგრამ მან არჩევანი არ დამიტოვა.

მარია შეშინდა. იგი აცნობიერებდა, რომ ხანგრძლივი თავშეკავების შემდეგ მისი სულის ვულკანი ამოფრქვევას დაიწყებდა და როგორც კი ეს მოხდებოდა, ის თავის გრძნობებს ვეღარ წარმართავდა. რას წარმოადგენს ეს სუბიექტი? იქნებ თავისი ცხოვრების შესახებ ყველაფერი მოჩმახა? სულ რამდენიმე საათი გაატარეს ერთად და არც კი მიჰკარებია, არც კი უცდია მისი მოხიბლვა, შეცდენა. ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს?

ასეთი მღელვარებით რატომ უძგერს გული? იმიტომ, რომ დარწმუნებულია, მხატვარიც იმავეს გრძნობს. მაგრამ აქ კი ძალიან ცდებოდა მარია. რალფ ჰარტს ისეთ ქალთან სურდა შეხვედრა, რომელიც მასში თითქმის მინავლებულ ალს გააღვივებდა. მას სურდა სექსის ქალღმერთად ექცია ქალი, რომელიც „განსაკუთრებულ შუქს“ ასხივებდა (ამაში ის გულწრფელი იყო) და რომელიც მზად იქნებოდა, მისთვის ხელი ჩაეკიდა და ცხოვრების გზაზე გაჰყოლოდა. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ მარიაც გულგრილი იყო ხორციელი სიყვარულისადმი, რომ მასაც თავისი პრობლემები ჰქონდა (ამდენ კაცთან ურთიერთობის მიუხედავად, ვერც ერთხელ ვერ განიცადა ნეტარება), რომ იმ დილით, როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, მარია მომავლის გეგმებს აწყობდა და სამშობლოში ტრიუმფალურ დაბრუნებაზე ოცნებობდა.
მაშ, რატომ ფიქრობდა მასზე მარია? რატომ ფიქრობდა იმაზე, ვინც, შესაძლოა, ახლა სხვა ქალს ხატავს, სხვას ეუბნება, რომ მისგან „განსაკუთრებული შუქი“ მოდის და რომ მას სექსის ჭეშმარიტ ქალღმერთად გახდომა შეუძლია?
„იმიტომ, რომ მასთან საუბარი შემეძლო“.
რა სისულელეა! იქნებ მარია ბიბლიოთეკარზეც ფიქრობდა?!
არაფერიც. იქნებ ფილიპინელ ნიაზე ფიქრობდა, ერთადერთ გოგონაზე „კოპაკაბანაში“, ვისთანაც აზრებისა და გრძნობების გაზიარება შეიძლებოდა? არა, მათზე არ ფიქრობდა. თუმცა ორივეს ხშირად ხვდებოდა და მათთან თავს კარგად გრძნობდა.
მარია შეეცადა, სხვა რამეზე გადართულიყო. საგრძნობლად დათბა... გუშინ სუპერმარკეტში შესვლა მაინც ვერ მოასწრო... მამას წერილი მისწერა, სადაც დაწვრილებით და საქმიანად აუხსნა, რომელი ნაკვეთის ყიდვას აპირებდა. დაე, მშობლებმა გაიხარონ. დაბრუნების თარიღი არ მიუთითა, მაგრამ მიანიშნა, რომ ეს სულ მალე მოხდებოდა. დაიძინა, გამოიღვიძა, ისევ დაიძინა, ისევ გამოიღვიძა. მიხვდა, რომ საკარმიდამო მეურნეობის სახელმძღვანელო კარგია შვეიცარიელებისათვის და არ გამოდგება ბრაზილიელებისათვის — ეს ორი სრულიად განსხვავებული სამყაროა.
დღისით ცოტა დამშვიდდა — არაფერი მიწისძვრის, ვულკანის ამოფრქვევის ან სხვა კატაკლიზმების მსგავსი, რაც სასწრაფო ზომების მიღებას მოითხოვდა. ცოტა მოეშვა, დაძაბულობამ იკლო. რას იზამ, ადრეც უგრძნია განცდების ასეთი მოზღვავება, მეორე დღეს კი ყველაფერს ჩაუვლია. ასე ჯობია — მისი სამყარო ხელუხლებელი დარჩა. არსებობს ოჯახი, რომელსაც ის უყვარს, არსებობს ადამიანი, რომელიც მას ელის, ხშირად სწერს წერილებს და ატყობინებს, რომ ფართლეულით ვაჭრობა მომგებიანია და საქმეც წინ მიიწევს. დღესვე რომ გადაწყვიტოს სახლში დაბრუნება, ფაზენდის სამყოფი ფული უკვე აქვს. ყველაზე უარესი უკვე წარსულში დარჩა: გადალახა ენობრივი ბარიერი, მარტოობა, არაბთან ვახშმობა, გადაეჩვია იმაზე წუწუნს, თუ რას უშვრებიან მის სხეულს. მარიამ ახლა მშვენივრად იცის, რაც უნდა და ამისათვის ყველაფერზე წავა. და მამაკაცებს აქ ადგილი არა აქვთ. ყოველ შემთხვევაში იმათ, ვინც მის მშობლიურ ენაზე არ ლაპარაკობს და მის მშობლიურ ქალაქში არ ცხოვრობს.
დიახ, მარია დამშვიდდა, მისი სული აღარ ბობოქრობს. მიხვდა, რომ ნაწილობრივ თვითონ არის დამნაშავე. რატომ არ უთხრა: „მეც ისევე ეული და უბედური ვარ, როგორც შენ. გუშინ მითხარი, რომ ჩემგან მომავალ შუქს ხედავ და ეს პირველი ალერსიანი და წრფელი სიტყვებია იმ ხნის მანძილზე, რაც აქ ვცხოვრობ“.
რადიოში ძველებური სიმღერა ჟღერდა: „...ჩემი სიყვარული კი ისე დაიღუპა, რომ დაბადებაც ვერ მოასწრო“. ეს ხომ მასზეა ზედგამოჭრილი, მის ბედზე.
ჩანაწერი მარიას დღიურში, ორი დღის შემდეგ, როცა ყველაფერი კალაპოტში ჩადგა:

ვნება არ აძლევს ადამიანს ჭამის, ძილისა და მუშაობის საშუალებას, სიმშვიდეს უკარგავს. ბევრს ეშინია მისი, რადგანაც იგი ამსხვრევს და ანადგურებს უწინდელ, ჩვეულ ცხოვრებას.

არავის სურს თავის მოწყობილ სამყაროში ქაოსის შეტანა. ბევრს ძალუძს განჭვრიტოს ეს საფრთხე და გაამაგროს დამპალი კოჭები, რომ ძველი ნაგებობა არ ჩამოინგრეს. ისინი ერთგვარად ინჟინრები არიან უზენაესი გაგებით.
სხვანი კი სწორედ რომ პირიქით იქცევიან: ვნების მორევში იმ იმედით გადაეშვებიან ხოლმე, რომ იქ თავიანთი პრობლემების გადაჭრა შეძლონ. სხვებს აკისრებენ პასუხისმგებლობას საკუთარ ბედნიერებაზე და უბედობაზე. სასწაულის მოლოდინში ან აღფრთოვანებულნი არიან, ან — სასოწარკვეთილნი, რადგანაც საქმეში გაუთვალისწინებელი გარემოებანი იჩენს თავს და ყოველივეს ანგრევს.
საინტერესოა, რა უფრო ნაკლებად დამანგრეველია — განერიდო ვნებას თუ ბრმად მიენდო მას?
არ ვიცი, არა.

მესამე დღეს, თითქოს მკვდრეთით აღდგაო, რალფ ჰარტი კვლავ გამოჩნდა „კოპაკაბანაში“. მარია უკვე კლიენტს ესაუბრებოდა, მაგრამ მხატვრის დანახვაზე ზრდილობიანად მოუბოდიშა და უთხრა, რომ უკვე დანიშნული აქვს პაემანი სხვასთან.
მარია მხოლოდ ახლა მიხვდა, რას ელოდა მთელი ამ დღეების განმავლობაში და მზად იყო, მშვიდად მიეღო ყველაფერი, რასაც ბედი არგუნებდა ან წაართმევდა.
ის ბედს არ უჩიოდა, კმაყოფილი იყო იმით, რომ ასეთი ფუფუნების უფლებას აძლევდა საკუთარ თავს. სულ ერთია, ერთ მშვენიერ დღეს სამუდამოდ დატოვებდა ამ ქალაქს. მან იცოდა, რომ ეს სიყვარული შეუძლებელია და თუ ასეა, თუ არაფერს არ ელის და არაფრის იმედი არა აქვს, მაშინ უპრიანია, მიიღოს ყველაფერი, რაც კი მისი ცხოვრების ამ მცირე მონაკვეთზე მოხდება.
რალფმა დაპატიჟა. მარიამ ხილის კოქტეილი შეუკვეთა. ბარის მეპატრონე თან ჭიქებს რეცხავდა და თან გაოგნებული უთვალთვალებდა მარიას — რატომ შეცვალა მან გადაწყვეტილება? მილანი იმედოვნებდა, რომ საქმე კოქტეილით არ შემოიფარგლებოდა და შვებით ამოისუნთქა, როცა კლიენტმა ქალი საცეკვაოდ გაიწვია. რიტუალი დაცულია, სანერვიულო არაფერია.
მარიამ წელზე პარტნიორის ხელი იგრძნო, სულ ახლოს გრძნობდა მის სახესაც და მადლობა ღმერთს, მუსიკა ისე ხმამაღლა გრიალებდა, რომ საუბარს შეუძლებელს ხდიდა. ხილის კოქტეილი ის სასმელი არ არის, რომელიც ადამიანს ათამამებს და ის რამდენიმე ფრაზა, ერთმანეთში რომ გადაცვალეს, წმინდა ფორმალური ხასიათისა იყო. ახლა კი რა? ოტელი? ლოგინი? წესით, სირთულეები არ უნდა წარმოიქმნას, რახან მხატვარს სექსი არ აინტერესებს. მარიას მხოლოდ თავისი პროფესიონალური მოვალეობების შესრულება მოუწევს და მეტი არაფერი. ეს კი ყოველგვარ გზნებას ჩანასახშივე მოსპობს — აბა, რაღას იტანჯებოდა და განიცდიდა პირველი შეხვედრის შემდეგ?!
ამ საღამოს ის მოსიყვარულე დედა იქნება, რალფ ჰარტი კი — უამრავ სასოწარკვეთილთაგან ერთ-ერთი. თუ მარია თავის როლს ღირსეულად შეასრულებს და თუ არ ასცდება „კოპაკაბანაში“ მოსვლის დღიდან არჩეულ გზას, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ცუდია, რომ ეს ადამიანი ასე ახლოა: ის გრძნობს მის შეხებას და ეს მოსწონს; გრძნობს მისი ოდეკოლონის არომატს და ესეც მოსწონს. მარია თურმე ელოდა მას — აი, ეს კი სულაც არ მოსწონს.
ორმოცდახუთმა წუთმა განვლო. ყველა წესი დაცული იყო და მხატვარმა მილანს მიმართა:
— მთელი ღამით მიმყავს. სამმაგს ვიხდი.
მეპატრონემ მხრები აიჩეჩა. ისევ გაუელვა აზრმა, რომ ბრაზილიელი გოგონა კაკანათში გაება. მარია გაოცდა, არ ეგონა, რომ რალფ ჰარტს ასე კარგად ეცოდინებოდა აქაური წესები.
— ჩემთან წავალთ.

რას იზამ, ალბათ ასე ჯობია და თუმცა ეს მილანის დარიგებებს ეწინააღმდეგება, ამ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია. ჯერ ერთი, გაიგებს ცოლიანია თუ არა, მეორეც — ნახავს, თუ როგორ ცხოვრობენ სახელგანთქმული მხატვრები. მერე კი ამის შესახებ პატარა ბრაზილიური ქალაქის გაზეთში დაწერს. დაე, ყველამ გაიგოს, რომ მარია ევროპის ელიტარულ წრეებში ტრიალებდა.

„რა სულელური საბაბია“.

ნახევარი საათის შემდეგ ჟენევის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ კოლინიში ჩავიდნენ. ეკლესია, საფუნთუშე, მუნიციპალიტეტი — ყველაფერი წესისამებრ და ორსართულიანი სახლი, ნაცვლად ბინისა. პირველი შეფასება: მას, ალბათ, მართლაც ოხრად აქვს ფული. მეორე შეფასება: ცოლიანი რომ იყოს, ქალის სახლში მიყვანას ვერ გაბედავდა, უცხო თვალისა მოერიდებოდა.

დასკვნა: მდიდარია და უცოლო.

შევიდნენ ჰოლში, საიდანაც კიბე ადიოდა მეორე სართულზე, მაგრამ ზევით არ ასულან: რალფი სახლის უკანა ნაწილისაკენ გაეშურა. იქ ბაღში გამავალი ორი ოთახი იყო. ერთში — სასადილო მაგიდა, სურათებით დაფარული კედლები, მეორეში კი — დივანი, სავარძლები, წიგნის თაროები, ნამწვებით სავსე საფერფლეები, დიდი ხნის გაურეცხავი ჭიქები.

— შემიძლია, ყავა მოვადუღო.

მარიამ თავი გააქნია. არა, არ შეგიძლია. განსაკუთრებული მოპყრობაც არ შეგიძლია. მე ვიბრძვი საკუთარ დემონებთან, ისინი მგონი მჯობნიან. იმას ვაკეთებ, რაც ჩემს თავს მკაცრად ავუკრძალე. მაგრამ არაფერია, არაფერი... დღეს შევასრულებ მეძავის ან მეგობრის, ან სულაც მოსიყვარულე დედის როლს. თუმცა, გულის სიღრმეში შვილად ვგრძნობ თავს, რომელსაც ალერსი სჭირდება. აი მერე, როცა ყველაფერი დამთავრდება, ყავაც შეიძლება.

— იქ, ბაღის სიღრმეში, ჩემი სტუდიაა, ჩემი სული. აქ კი, ამ წიგნებსა და სურათებს შორის, ჩემი ტვინია. აქ ვფიქრობ.

მარიას თავისი ჟენევის ბინა მოაგონდა. იქ ფანჯრები ბაღს არ გადაჰყურებს. იქ არ არის წიგნები, ბიბლიოთეკიდან გამოტანილს თუ არ ჩავთვლით: რა საჭიროა ფულის ხარჯვა იმაში, რაც შეიძლება მუქთად მიიღო? სურათებიც არ არის. კედელს შანხაის აკრობატების ცირკის პლაკატი ამშვენებს, რომელთა წარმოდგენის ნახვასაც მარია მუდამ ნატრობდა.

რალფმა ვისკი შესთავაზა.

— არა, გმადლობთ.

მან თავისთვის დაისხა და ყინულისა და სოდიანი წყლის გარეშე სულმოუთქმელად დალია. მერე რაღაც საინტერესოზე ალაპარაკდა და რაც უფრო საინტერესო იყო მისი მონათხრობი, მით უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ახლა, როდესაც ისინი პირისპირ დარჩნენ, მხატვარს ეშინოდა იმის, რაც უნდა მომხდარიყო. მდგომარეობის ბატონ-პატრონი ისევ მარია გახდა.

რალფმა ისევ შეავსო თავისი ჭიქა და ისე, სხვათა შორის თქვა:

— შენ მე მჭირდები.

და დადუმდა. დიდხანს დუმდა. არა, მარიაც არ ამოიღებს ხმას. ვნახოთ, რა მოხდება.

— შენ მე მჭირდები, მარია. შენგან შუქი მოდის. დაე, გეგონოს, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ შენი შეცდენა, ტკბილი სიტყვებით მოხიბვლა მინდა. არ მკითხო: „რატომ მაინცდამაინც მე? რა ნახე ჩემში განსაკუთრებული?“ დიახ, არაფერი, არაფერი ისეთი, რისი ახსნაც შემიძლია, თუნდაც საკუთარი თავისათვის. მაგრამ სწორედ ამაშია ცხოვრების საიდუმლო, შენ გარდა არაფერზე ფიქრი არ შემიძლია.

— ამის კითხვას სულაც არ ვაპირებ, — იცრუა მარიამ.

— ამის ახსნა რომ მსურდეს, ვიტყოდი: ჩემ წინაშე მდგარმა ქალმა შეძლო, დაეძლია ტანჯვა, გადაედნო ის და შემოქმედებით, ნათელ რამედ ექცია. მაგრამ ამით ყველაფერს ვერ ახსნი. ხოლო მე? — განაგრძობდა რალფი, — მე დაჯილდოებული ვარ შემოქმედებითი ნიჭით,

ვხატავ სურათებს, რომლებსაც მთელი მსოფლიოს მუზეუმები იტაცებენ. ბედის ნებიერი ვარ, არასოდეს გადამიხდია ფული ქალისათვის, ჯანმრთელი ვარ, არც თუ ისე ულამაზო, მაქვს ყველაფერი, რაზეც შეიძლება კაცმა იოცნებოს... და აი, მე ვეუბნები კაფეში გაცნობილ ქალს, რომელთანაც სულ რამდენიმე საათი მაქვს გატარებული: „შენ მე მჭირდები". იცი, რა არის მარტოობა?

— ვიცი.

— ეს სულ სხვაა. შენ არ იცი, რა არის მარტოობა, როდესაც მთელი სამყარო შენს განკარგულებაშია, როდესაც ყოველდღე იღებ მოსაწვევს პრემიერაზე, ვერნისაჟზე, მიღებაზე, როდესაც ტელეფონი არ ჩუმდება: რეკავენ ქალები და გეუბნებიან, რომ ჭკუას კარგავენ შენს ნახატებზე და შენთან ვახშმობას ნატრობენ, და ეს ქალები ლამაზები, განათლებულები და ჭკვიანები არიან, მაგრამ რაღაც ძალა გაკავებს, ყურში ჩაგჩურჩულებს: „არ წახვიდე! კარგი არაფერი იქნება. მთელი საღამოს განმავლობაში ისევ მათზე შთაბეჭდილების მოხდენას შეეცდები, მთელ ენერგიას შეალევ საკუთარი თავისათვის იმის მტკიცებას, რომ მთელი ქვეყნის დაპყრობა შეგიძლია". მაშინ სახლში ვრჩები, მივდივარ სახელოსნოში და ვეძებ შუქს, რომელიც შენში დავინახე, მისი დანახვა კი მხოლოდ მაშინ შემიძლია, როდესაც ვმუშაობ.

— რა შემიძლია მოგცე ისეთი, რაც არა გაქვს? — ჰკითხა სხვა ქალების ხსენებით ცოტათი შემცბარმა მარიამ, მაგრამ უმალ გაახსენდა: ბოლოს და ბოლოს, რალფმა ფული გადაიხადა იმაში, რომ მარია მასთან ყოფილიყო.

მხატვარმა ვისკის მესამე პორცია გადაჰკრა. მარიამაც იგივე გაიმეორა, მხოლოდ — გონებაში. წარმოიდგინა, როგორ დაუარა ალკოჰოლის მწველმა ბურთულამ მთელ ტანში და სულს მხნეობა შემატა. იგრძნო, რომ დათვრა, თუმცა ერთი წვეთიც არ დაულევია. რალფ ჰარტის ხმა ახლა უფრო მტკიცედ ჟღერდა:

— კეთილი, მე შენი სიყვარულის ყიდვა არ შემიძლია, მაგრამ შენ ამბობდი, რომ ყველაფერი იცი სექსის შესახებ. მასწავლე სექსი ან თუნდაც რა არის ბრაზილია. მასწავლე რამე ისეთი, რომ შენ გვერდით ვიგრძნო თავი.

რა უნდა უპასუხო?

— ბრაზილიაში მხოლოდ ორი ქალაქი ვიცი — ის, რომელშიც დავიბადე და რიო. რაც შეეხება სექსს, არა მგონია, რომ შეიძლება რამე გასწავლოს კაცმა. მალე ოცდასამისა ვხდები, შენ სულ რაღაც ექვსი წლითა ხარ უფროსი, მაგრამ მილიონჯერ უფრო საინტერესოდ ცხოვრობდი, ვიდრე მე. ვიცნობ მხოლოდ იმ მამაკაცებს, რომლებიც ფულს იმაში იხდიან, რომ აკეთონ ის, რაც უნდათ მათ და არა მე.

— ყველაფერი, რაზეც შეიძლება იოცნებოს მამაკაცმა, მაგალითად, ლოგინში ერთ, ორ ან სამ ქალთან ერთად წარმოიდგინოს თავი, მე სინამდვილეში გამოვცადე. მაგრამ არ ვიცი, ვისწავლე კი რამე?

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ამჯერად იგი მარიას უნდა დაერღვია. და რალფი არ დაეხმარა მას, როგორც წეღან მარია არ დაეხმარა რალფს.

— გინდა... ჩემი პროფესიონალური ჩვევებით ისარგებლო?

— მე შენ, უბრალოდ, მსურხარ.

არა, მას არ შეეძლო ეს წარმოეთქვა, რადგან სწორედ ამ სიტყვების გაგონებას ნატრობდა მარია. და ისევ — მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ქარიშხალი. მარია თავს ვეღარ დააღწევს ხაფანგს, რომელიც თვითონვე დაუგო საკუთარ თავს. მარია დაკარგავს ამ ადამიანს ისე, რომ ვერც კი მოასწრებს მის დაუფლებას.

— შენ იცი, მარია. მასწავლე. შესაძლოა, ამან გადამარჩინოს. შენც გადაგარჩინოს. ორივე სიცოცხლისაკენ მოგვაბრუნოს. მართალი ხარ, სულ რაღაც ექვსი წლით ვარ შენზე უფროსი, მაგრამ თითქოს რამდენიმე სიცოცხლე გამეთავებინოს. ჩვენ სრულიად განსხვავებული

ცხოვრებისეული გამოცდილება გვაქვს, მაგრამ ორივემ დავკარგეთ იმედი. ერთადერთი, რასაც შეუძლია, სიმშვიდე შემოიტანოს სულებში, ჩვენი ერთად ყოფნაა.
რისთვის ამბობს ყოველივე ამას? ეს წარმოუდგენელია, და, მიუხედავად ამისა, სიმართლეა. სულ ერთხელ შეხვდნენ და მაინც ასე სჭირდებათ ერთმანეთი. წარმოდგენაც კი ძნელია, რა შეიძლება მოხდეს, თუ მათი შეხვედრები გაგრძელდა. მარია ჭკვიანი გოგო იყო, ამასთან, ბევრს კითხულობდა, ადამიანის ბუნებას აკვირდებოდა. მას ცხოვრებაში მიზანი ჰქონდა, მაგრამ ჰქონდა ასევე სული და იმისათვის, რომ მისგან მომდინარე „შუქი“ შეგემჩნია, ამ სულში უნდა ჩაგეხედა.
იგი დაიღალა ისეთად ყოფნით, როგორიც იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში და თუმცა ბრაზილიაში დაბრუნება ბევრ სიახლეს, სიძნელესა და საინტერესოს ჰპიდებოდა, მას ჯერ არ ჰქონდა შეცნობილი ყველაფერი ის, რისი შეცნობაც შეეძლო. და აი, ახლა რალფ ჰარტი, იმ ჯურის ადამიანი, ვინც ბედის ნებისმიერ გამოწვევას იღებს, ვინც ყველაფერი იცის, ამ გოგოს, ამ მეძავს, ამ მოსიყვარულე დედას სთხოვს შველას. რა უაზრობაა!
მის პრაქტიკაში იყვნენ კაცები, რომლებიც მსგავსად იქცეოდნენ: ერთნი აღგზნებას ვერ ახერხებდნენ, მეორენი მოითხოვდნენ, რომ მათ ისე მოქცეოდნენ, როგორც პატარა ბავშვებს, მესამენი ცოლქმრულ მოვალეობებს განასახიერებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ აღეგზნებიან, როცა ცოლს ბევრი საყვარელი ჰყავს. თუმცა „განსაკუთრებულ კლიენტთან“ ჯერ საქმე არ ჰქონია, მარია უკვე დარწმუნდა, რომ ადამიანის სულში უამრავი ფანტაზია ბუდობს. და მაინც ადრინდელი კლიენტებიდან ყველა თავის სამყაროში ცხოვრობდა, მაგრამ არც ერთს არ უთხოვია: „აქედან გამიყვანეო“. პირიქით, ცდილობდნენ, მარიაც თავიანთ სამყაროში ჩაეთრიათ.
მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს მამაკაცი ფულს უხდიდა მარიას ისე, რომ არავითარ ენერგიას არ ანიჭებდა, ვერ იტყოდი, რომ მან სულ ვერაფერი ისწავლა. რომელიმე მათგანს მართლა რომ სწყურებოდა სიყვარული და სექსი მხოლოდ ამისი ნაწილი ყოფილიყო, როგორ მოპყრობას ისურვებდა მარია?
რა მოეწონებოდა?
— საჩუქრის მიღება, — თქვა მან.
რალფ ჰარტი ვერ მიხვდა. საჩუქარი? მან ისედაც უკვე გადაუხადა წინასწარ ერთი ღამის საფასური და ტაქსის ფული, რადგან რიტუალი ცნობილი იყო მისთვის. მაშ, ამით რისი თქმა უნდა?
უეცრად მარიას რაღაც აზრმა გაუელვა. იგი მიხვდა, ქალი და მამაკაცი რას უნდა გრძნობდნენ. რალფს ხელი ჩაჰკიდა და ოთახში გაიყვანა.
— საძინებელში არ ავალთ.
მარიამ შუქი ჩააქრო, ხალიჩაზე დაჯდა და რალფსაც იგივე მოსთხოვა. მერე ბუხარს მოჰკრა თვალი და უბრძანა:
— გააჩაღე!
— ახლა ხომ ზაფხულია...
— გააჩაღე ბუხარი. შენ ხომ თვითონ გინდოდა, რომ ამაღამ მე ვყოფილიყავი წარმმართველი.
მისი გამოხედვა მტკიცე იყო. მარია იმედოვნებდა, რომ რალფი შენიშნავდა მისგან მომავალ შუქს. მან მართლაც შენიშნა, იგი ბაღში გავიდა და უკან წვიმისაგან დასველებული რამდენიმე შეშის ნაჭრით დაბრუნდა, ძველ გაზეთებთან ერთად ბუხარში შეაწყო და ცეცხლი გააჩაღა. მერე ვისკის მოსატანად გაემართა, მაგრამ მარიამ შეაჩერა:
— მკითხე, რა გინდაო?
— არა, არ მიკითხავს.
— მაშ, იცოდე: შენ გვერდით ადამიანი არსებობს. იფიქრე მასზე. იფიქრე, ხომ არ ნებავს მას ვისკი, ჯინი ან ყავა. ჰკითხე.

— რას დალევ?
— ღვინოს. შენთან ერთად.
რალფმა ბოთლით ღვინო მოიტანა. ამ დროისათვის ბუხარიც გახურდა: მარიამ ბოლო ნათურაც ჩააქრო, ახლა ოთახს მხოლოდ ცეცხლი ანათებდა. ისე იქცეოდა, თითქოს ყოველთვის იცოდა: სწორედ ასეთი უნდა იყოს პირველი ნაბიჯი — გაიცნო ის, ვინც შენ გვერდითაა, დარწმუნდე, რომ ის მართლაც გვერდითაა.
ჩანთა გახსნა და იქიდან სუპერმარკეტში ნაყიდი კალამი ამოიღო. სულ ერთი არ არის? — კალამიც გამოდგება.
— აიღე. ეს მე იმ შემთხვევისათვის ვიყიდე, ვინიცობაა საკარმიდამო მეურნეობის შესახებ რამის ჩაწერა დამჭირდეს-მეთქი. ორ დღესE ვხმარობდი, შეიძლება ითქვას, თავაუღებლად ვშრომობდი. ის ჩემი გულმოდგინების ნაწილს შეიცავს, ჩემი ყურადღების, ჩემი ნებისყოფის ნაწილს. ახლა მას შენ გაძლევ.
მარიამ ნაზად ჩაუდო ხელში კალამი.
— იმის ნაცვლად, რომ რამე ისეთი მეყიდა, რაც მოგეწონებოდა, მე გაძლევ იმას, რაც მე მეკუთვნის. ეს საჩუქარია. ეს პატივისცემის ნიშანია იმ ადამიანის მიმართ, ვინც ჩემ გვერდითაა. ეს თხოვნაა, გაიგოს, რა მნიშვნელოვანია, რომ ის ჩემ გვერდითაა. მე ნებით, ალალი გულით გჩუქნი ნივთს, რომელშიც ჩემი ნაწილია მოქცეული.
რალფი წამოდგა, წიგნების თაროსთან მივიდა, რაღაც აიღო და დაბრუნდა.
— ეს კი სათამაშო რკინიგზის ვაგონია... ბავშვობაში მის დამოუკიდებლად გაშვებას მიკრძალავდნენ: მამა ამბობდა, რომ სათამაშო ძალიან ძვირფასია, ამერიკული... და მე ისღა დამრჩენოდა, დავლოდებოდი, როდის ისურვებდა ამ ყველაფრის გაშლას ოთახის შუაგულში... მაგრამ კვირაობით ის, ჩვეულებისამებრ, ოპერაში დადიოდა. ბავშვობა წავიდა, მატარებელი კი დარჩა ისე, რომ არანაირი სიხარული არ მოუტანია ჩემთვის. მე შენახული მაქვს რელსებიც, ორთქმავალიც, სადგურის შენობებიც, ინსტრუქციაც კი. მქონდა მატარებელი. თითქოს ჩემი იყო და არც იყო. როგორღა იყო ჩემი, თუ იმით თამაში არ შემეძლო? ჯობდა, დამტვრეულიყო, როგორც სხვა სათამაშოები, რომლებსაც მე მჩუქნიდნენ და რომლებიც დიდი ხანია დავივიწყე... ბავშვური მისწრაფება მტვრევისადმი სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს შეცნობის მცდელობა. მაგრამ ის გადარჩა და ახლა ყოველთვის მახსენებს ბავშვობას, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, არა მქონია... მეტისმეტად ძვირფასი იყო ეს სათამაშო... მაგრამ მამას მისი გამართვის თავი არ ჰქონდა. ან იქნებ ყოველთვის, როცა რთავდა მატარებელს, მას ეშინოდა გაემჟღავნებინა, თუ როგორ ვუყვარდი.
მარია დაჟინებით მისჩერებოდა ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს. რაღაცა მოხდა... არა, ეს ღვინის ბრალი არ არის, არც მომთენთავი სითბოსი. მათ საჩუქრები გაცვალეს — აი, რაში იყო საქმე.
რალფიც ცეცხლისაკენ შეტრიალდა. ორივენი დუმდნენ და შეშის ტკაცატკუცს უსმენდნენ. სვამდნენ ღვინოს და გრძნობდნენ, რომ არაფრის თქმა, არაფრის კეთება არ იყო საჭირო, უბრალოდ გვერდიგვერდ ისხდნენ და ერთსა და იმავე რაღაცას უყურებდნენ.
— ჩემს ცხოვრებაშიც არსებობს ასეთი ხელშეუხებელი ვაგონები, — წარმოთქვა ბოლოს მარიამ, — აი, მაგალითად, გული... მის ამოქმედებას მხოლოდ მაშინ ვახერხებდი, როცა გარემომცველი სამყარო მისთვის რელსებს დააგებდა... სამყარო კი ამისათვის ყოველთვის შესაფერის დროს როდი არჩევდა.
— მაგრამ შენ გიყვარდა...
— დიახ, მიყვარდა. ძალიან მიყვარდა. ისე ძალიან, რომ როდესაც სიყვარულმა საჩუქარი მთხოვა, მე შემეშინდა და გავიქეცი.
— ვერ მივხვდი.
— არც არის საჭირო. მე შენ გასწავლი, რადგან აღმოვაჩინე ის, რაც შენ არ იცი. ეს საჩუქარია. როდესაც შენსას გასცემ, გასცემ რაღაც მნიშვნელოვანს, რაღაც ძვირფასს ჯერ კიდევ მანამ, სანამ

გთხოვენ. ახლა შენ ფლობ ჩემს განძს — კალამს, რომლითაც ქაღალდზე ჩემი სიზმრები გადამქონდა. მე კი — შენსას: მე მაქვს შენი ვაგონი, შენი ბავშვობის ის ნაწილი, რომლითაც არ გიცხოვრია. ამიერიდან თან ვატარებ შენი წარსულის ნაწილს, შენ კი — ჩემი აწმყოს ნაწილს. ამას რა სჯობია.

მარიამ ეს ყველაფერი სრულიად მშვიდად წარმოთქვა და სულ არ აკვირვებდა ის, რასაც ამბობდა და აკეთებდა, თითქოს ეს ერთადერთი შესაძლო სიტყვები და ქმედებები ყოფილიყო. შემდეგ მოქნილი და ნარნარი მოძრაობით წამოდგა, ჟაკეტი საკიდზე ჩამოკიდა და რალფს ლოყაზე აკოცა. ის არ განძრეულა, უწინდებურად მონუსხულივით იჯდა, ცეცხლის ენებს უცქერდა და, შესაძლოა, მამას იხსენებდა.

— არასდროს მესმოდა, რისთვის ვინახავდი ამ ვაგონს... ახლა კი უცებ მივხვდი, იმისათვის, რომ შენთვის მომეცა, აი, ასე, საღამოს, ბუხართან... ახლა სახლი უფრო მსუბუქი გახდება.

და დასძინა, რომ ხვალვე სხვა დანარჩენს — რელსებს, ორთქლმავალს, შუქნიშნებს — რომელიმე ბავშვთა თავშესაფარს მისცემს.

— დაფიქრდი, შეიძლება ასეთ სათამაშოებს აღარც უშვებენ და იგი ქვეყნის ფული ღირდეს, — გააფრთხილა მარიამ და უმალ ენაზე იკბინა: ამაზე ხომ არ არის ლაპარაკი, არამედ იმაზე, რომ გათავისუფლდე გულისათვის ძვირფასი ნივთისაგან.

ზედმეტი რომ არ წამოეროშა, მარიამ ერთხელ კიდევ აკოცა რალფს და კარისაკენ გაემართა. რალფი ისევ არ გაინძრა, ისევ ისე მიშტერებოდა ცეცხლს, და მაშინ ქალმა კარის გაღება სთხოვა.

რალფი წამოდგა. მარიამ აუხსნა, რომ სულაც არ უნდოდა მისი შეწუხება. მაგრამ მასთან, ბრაზილიაში, ასეთი უცნაური ჩვეულებაა: როდესაც გადიხარ სახლიდან, სადაც პირველად ხარ, კარი შენ არ უნდა გააღო, თორემ იქ ვეღარასოდეს დაბრუნდები.

— მე კი მინდა დაბრუნება.

— თუმცა არ გაგვიხდია, თუმცა არ დაგეუფლე, არც კი მოგკარებივარ, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი.

მარიას გაეცინა. რალფმა სახლამდე გაცილება შესთავაზა. მან იუარა.

— ხვალ „კოპაკაბანაში“ გნახავ.

— არა, არ მოხვიდე. ერთი კვირა შეიცადე. კარგად ვიცი: ლოდინი ყველაზე ძნელია. მეც მინდა შევეგუო და შევეჩვიო იმას, რომ შენ ჩემთან ხარ, თუნდაც ჩემ გვერდით არ იყო.

და ისევ (უკვე მერამდენედ იმ ხნის განმავლობაში, რაც ჟენევაში გაატარა) მარია ნესტიან წყვდიადში აღმოჩნდა. ადრე ეს გასეირნებები სევდიან ფიქრებს აღუძრავდა მარტოობაზე, მშობლიურ ენაზე, რომელიც უკვე რა ხანია აღარ სმენია, იმაზე, თუ როგორ უნდა ბრაზილიაში დაბრუნება, ან აიძულებდნენ ეფიქრა იმაზე, თუ რამდენი ფული იშოვა და კიდევ რამდენს იშოვის.

მაგრამ დღეს იგი საკუთარ თავთან შესახვედრად მიაბიჯებდა. იმ ქალთან შესახვედრად, რომელმაც ორმოცი წუთი მოგიზგიზე ბუხართან გაატარა მამაკაცთან ერთად. შუქით, სიბრძნით, გამოცდილებით, მომხიბლველობით აღსავსე ქალთან შესახვედრად. რა ხანია მისი სახე არ უნახავს. მგონი, ეს ბოლოს მაშინ მოხდა, როდესაც ტბის ნაპირას სეირნობდა და იმაზე ფიქრობდა, ხომ არ მიეძღვნა თავისი თავი ამ მისთვის უცხო ცხოვრებისათვის. და, როგორც ახსოვს, იგი ძალიან ნაღვლიანად უღიმოდა. მეორედ მისი სახე ტილოზე დახატული იხილა. და აი, ახლა ისევ იგრძნო მისი იდუმალი არსებობა. როცა დარწმუნდა, რომ რალფი აღარ ჩანდა, რომ ის ისევე, როგორც ყოველთვის, მარტო დარჩა, ტაქსი გააჩერა.

ჯობია, მომხდარზე არ იფიქროს, რომ არ გააფუჭოს, არ მისცეს სევდას უფლება, შეცვალოს ყველა ის ნათელი წამი, რაც იმ საღამოს განიცადა. თუ ის მეორე მარია მართლა არსებობს, ის დაბრუნდება ოდესმე, როცა საჭირო იქნება.

იმ საღამოს ჩანაწერი მარიას დღიურში, როცა საჩუქრად სათამაშო ვაგონი მიიღო:

ყველაზე ღრმა, ყველაზე წრფელი სურვილი ეს არის სურვილი, იყო ვინმესთვის ახლობელი. შემდეგ მოდის რეაქციები: ქალი და მამაკაცი თამაშში ებმებიან, მაგრამ იმის ახსნა, რაც ამას წინ უსწრებს — ურთიერთმიზიდულობისა — შეუძლებელია. ეს არის ყველაზე წრფელი სურვილი.
და სანამ ის ასეთია, ქალი და მამაკაცი ხარობენ ცხოვრებით და ყოველ წამს შეგნებითა და აღფრთოვანებით ატარებენ. მუდამ ელიან საჭირო მომენტს, როდესაც შესაძლებლობა ექნებათ, ახალი კურთხევა იზეიმონ.
ისინი გაუაზრებელი ქმედებებით მოვლენათა სვლას არ აჩქარებენ, რადგან იციან: გარდაუვალი გამჟღავნდება, ჭეშმარიტი აუცილებლად იპოვის გამოვლინების გზასა და ხერხს. როცა დრო მოვა, ისინი არ იყოყმანებენ და ხელიდან არ გაუშვებენ მას — ამ წარმტაც წამს. რადგანაც უკვე ისწავლეს, თუ რა მნიშვნელოვანია ყოველი ასეთი წამის შეცნობა.
კიდევ რამდენიმე დღემ განვლო და მარიამ იგრძნო, რომ, მიუხედავად ძალისხმევისა, მაინც ხაფანგში გაება, მაგრამ ეს სრულიად არ აფიქრებდა და არ ადარდებდა. პირიქით, ახლა, როცა დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, თავისუფლება მოიპოვა.
მარიამ გააცნობიერა, რომ, რაც არ უნდა რომანტიკულად განვითარებულიყო მისი ურთიერთობა რალფ ჰარტთან, ერთ მშვენიერ დღეს ის იფიქრებდა: მარია მხოლოდ და მხოლოდ მეძავია, რალფი კი — ცნობილი მხატვარი. მარია ცხოვრობს შორეულ ქვეყანაში, სადაც წელი ისე არ გავა, რომ რამე თავზარდამცემი არ მოხდეს, ის კი — ამქვეყნიურ სამოთხეში, სადაც ადამიანის ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე მოწესრიგებული და დაცულია. რალფი სწავლობდა საუკეთესო აკადემიებში და მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებს სტუმრობდა, მარიამ კი სიმწიფის ატესტატს ძლივს მიაწია. ასე რომ, რა კარგიც არ უნდა იყოს სიზმარი, ადრე თუ გვიან მოუწევს გამოფხიზლება. მარიამ საკმარისად იცხოვრა საიმისოდ, რომ მიმხვდარიყო: სინამდვილე ცუდად თანხვდება ოცნებებს. მაგრამ მისთვის სიხარული იმაში მდგომარეობდა, რომ სწორედ ამ სინამდვილისათვის ეთქვა: „შენ არ მჭირდები, ჩემი ბედნიერება დამოკიდებული არ არის იმაზე, რაც გარშემო ხდება“.
„ღმერთო, რა რომანტიკული ვარ“.
მთელი კვირის მანძილზე ცდილობდა მიმხვდარიყო, რისი გაკეთება შეეძლო მას რალფ ჰარტის ბედნიერებისათვის: ეს ხომ მან დაუბრუნა ღირსება და „შუქი“, რომელიც სამუდამოდ დაკარგული ეგონა. მადლიერების გამოხატვის ერთადერთი საშუალება იყო ის, რასაც რალფი მის სპეციალობად მიიჩნევდა — სექსი. რადგან „კოპაკაბანაში“ ყველაფერი ჩვეული და რუტინული იყო, მარიამ შემეცნების სხვა წყაროების მოძიება გადაწყვიტა.
მან რამდენიმე პორნოგრაფიული ფილმი ნახა, მაგრამ ამჯერადაც ვერაფერი საინტერესო ვერ აღმოაჩინა, გარდა ზოგიერთი პოზისა და პარტნიორების რაოდენობისა. როცა ფილმებმაც ვერ უშველა, ლიტერატურას მიმართა: ჟენევაში ყოფნის მანძილზე პირველად გახდა საჭირო წიგნების ყიდვა, თუმცა ეს არაპრაქტიკულად მიაჩნდა. სულ ერთია, წაიკითხავს და გადაყრის. მარია გაემართა წიგნის მაღაზიისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ იმ დღეს შენიშნა, როცა ისინი წმინდა იაკობის გზას მიუყვებოდნენ, და იკითხა, აქვთ თუ არა რაიმე იმ საკითხზე, რომელიც მას აინტერესებს.
— როგორ არა! — წამოიძახა გამყიდველმა, — ამის შესახებ ქვეყნის წიგნები გვაქვს! გეგონება, ხალხს ამის მეტი საქმე არა ჰქონდეს. აი, სპეციალური განყოფილება. ამას გარდა, ყველა რომანში — ხედავთ რამდენია? — თითო სექსუალური სცენა მაინც არის. ხალხი მხოლოდ სექსზე ფიქრობს, თუნდაც ის ნატიფ სასიყვარულო ისტორიებში ან ადამიანის ქცევის შესახებ დაწერილ სერიოზულ სამეცნიერო ტრაქტატში იყოს მოხსენიებული.
გამყიდველი ცდებოდა. მარიამ საკუთარი გამოცდი¬ლებით იცოდა, რომ ხალხს, უბრალოდ, უნდა სჯეროდეს, თითქოს მთელი ქვეყანა მხოლოდ ამით არის დაკავებული. ისინი იცავენ

რეჟიმს, ატარებენ პარიკებს, საათობით სხედან კოსმეტიკურ კაბინეტებში ან ტანვარჯიშის დარბაზებში, იცვამენ იმას, რაც მათ სილამაზეს გაუსვამს ხაზს და ნაკლს დაფარავს, ცდილობენ ნაპერწკლის გამოკვესვას. ბოლოს რა? ბოლოს წვებიან ლოგინში და ეს მხოლოდ თერთმეტ წუთს გრძელდება. თერთმეტი წუთი და მორჩა. არაფერი ისეთი, რაც ცად აგამაღლებს. მერე გავა კიდევ ცოტა ხანი და ვერავითარი ნაპერწკლით ვეღარ გააღვივებ მინავლებულ ცეცხლს.

სისულელეა, ეკამათო გამყიდველს, რომელსაც ჰგონია, თითქოს წიგნს შეუძლია ახსნას, როგორ არის მოწყობილი სამყარო. მარიამ მხოლოდ ის დააზუსტა, თუ სად არის ეს სპეციალური განყოფილება და სტელაჟებზე იპოვა რამდენიმე წიგნი ჰომოსექსუალისტებზე, ლესბოსელებზე, ვიღაც მონაზვნების უხამსი მემუარები და რაღაც სახელმძღვანელოები აღმოსავლური სექსის ტექნიკაზე. წიგნები სავსე იყო ილუსტრაციებით, რომლებზეც უაღრესად უხერხული პოზები იყო გამოსახული. მარიას ყურადღება მიიპყრო მხოლოდ ერთმა წიგნმა, სახელწოდებით — „წმინდა სექსი“. ეს რაღაც განსხვავებული მაინც იყო.

მარიამ იყიდა ეს წიგნი, მიიტანა სახლში, ჩართო რადიო, მოძებნა პროგრამა, რომელიც ყოველთვის ეხმარებოდა ფიქრის დროს (რადგან ხმადაბალ და მელოდიურ მუსიკას გადმოსცემდნენ), შეუდგა ფურცვლას და პოზების თვალიერებას. ასე შერწყმას აკრობატები თუ მოახერხებდნენ. ტექსტიც მოსაწყენი აღმოჩნდა.

მარია საკმარისად ერკვეოდა თავის პროფესიაში, რათა სცოდნოდა, ცხოვრებაში ყველაფერი როდია იმაზე დამოკიდებული, თუ რომელ პოზაში ეძლევი სიყვარულს. უმრავლეს შემთხვევაში მოძრაობების მთელი ეს მონაცვლეობა ბუნებრივად ხდება, გაუაზრებლად, თავისთავად, როგორც ცეკვის დროს. და მაინც, შეეცადა, ყურადღება გაემახვილებინა ტექსტზე.

ორი საათის შემდეგ ორი რამ დაასკვნა:

პირველი — უნდა ივახშმოს და „კოპაკაბანაში“ გაიქცეს.

მეორე — ადამიანს, რომელმაც ეს წიგნი დაწერა, არაფერი გაეგებოდა იმ საგნისა, რომელსაც იკვლევდა, სრულიად ა-რა-ფე-რი. უამრავი თეორია, რაღაც აღმოსავლური სიბრძნეები, უაზრო რიტუალები, სულელური რეკომენდაციები. ავტორი მედიტაციებს ეძლეოდა ჰიმალაებში (საინტერესოა, ეს სად არის?), მისდევდა იოგას (ამაზე მარიას რაღაც სმენოდა), შეისწავლა ზღვა ლიტერატურა და ხან რომელს მიუთითებდა, ხან რომელს, მაგრამ ყველაზე მთავარს მაინც ვერ მიხვდა: სექსი ეს არ არის თეორია, გუნდრუკის კმევა, ეროგენული ზონები და ღრმაზროვანი განსჯა. როგორ შეუძლია ადამიანს (ავტორი, მგონი, ქალია) ხელი მოჰკიდოს ასეთ თემას, თუ ამ სფეროში მომუშავე მარიაც კი ხეირიანად ვერ გარკვეულა მასში? ჰიმალაების ბრალი ხომ არ არის? თუ საგნის გართულებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვისა? საგნისა, რომლის მთელი ხიბლი სიმარტივესა და გზნებაშია? ამ დეიდამ თუ მოახერხა თავისი წიგნის გამოცემა (თან იყიდება კიდეც), მარიასაც ხომ არ ეფიქრა სერიოზულად თავის „თერთმეტ წუთზე“? მასში სიყალბე მაინც არ იქნებოდა. უბრალოდ, თავის ამბავს მოყვებოდა ისე, როგორც არის, შეულამაზებლად.

მაგრამ, ჯერ ერთი, არა სცალია, და მეორეც, უინტერესოა. მარიამ მთელი თავისი ენერგია უნდა მიმართოს იმისაკენ, რომ ბედნიერება მიანიჭოს რალფ ჰარტს და ფაზენდის მართვა ისწავლოს.

ზოგჯერ ცხოვრება საოცრად ძუნწია. მთელი დღეების, კვირების, თვეების, წლების განმავლობაში ადამიანი ახალ შეგრძნებებს მოკლებულია, მერე კარს გამოაღებს და მოულოდნელად მთელი ზვავი დაატყდება თავს. სწორედ ასე დაემართათ რალფსა და მარიას. ერთი წუთის წინ არაფერი არ იყო, მეორე წუთში კი იმდენი, რომ ვერც კი მოერევი.

ჩანაწერი მარიას დღიურში, მას მერე, რაც მოსაწყენ წიგნს თავი დაანება:

მე შევხვდი მამაკაცს და შემიყვარდა. მე მივეცი ჩემს თავს ამ პატარა სისუსტის უფლება ერთი უბრალო მიზეზის გამო: მე არაფერს ველოდები და არაფრის იმედი არა მაქვს. ვიცი, სამი თვის შემდეგ აქედან შორს ვიქნები და ის ჩემთვის მოგონებად დარჩება, მაგრამ უსიყვარულოდ ცხოვრება აღარ შემიძლია, ისედაც ზღვარზე ვარ.
ვწერ რალფ ჰარტისათვის — მას ასე ჰქვია, არა ვარ დარწმუნებული, რომ ის კიდევ ერთხელ მოვა იმ დაწესებულებაში, სადაც მე ვმუშაობ, მაგრამ კიდეც რომ მოვიდეს, პირველად ცხოვრებაში ამით არაფერი შეიცვლება. მე ისიც მეყოფა, რომ მიყვარს, ფიქრებში მასთან ვარ და ვამკობ ამ მშვენიერ ქალაქს მისი ალერსით, მისი სიტყვებით, მისი ნაბიჯების გამოძახილით... შვეიცარიიდან რომ წავალ, იგი შეიძენს იერსახეს, სახელს. მომაგონდება, როგორ იწვოდა ცეცხლი ბუხარში. ყველაფერი, რაც აქ განვიცადე, ყველა შეჭირვება, რაც თავს გადამხდა, ვერასოდეს შეედრება ამ მოგონებას, მასთან ახლოც ვერ მივა.
მე მსურს, მისთვის გავაკეთო ის, რაც მან ჩემთვის გააკეთა. დიდხანს ვიფიქრე და მივხვდი, რომ იმ კაფეში შემთხვევით არ შევსულვარ. ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრებს აწყობენ სულები გაცილებით ადრე, ვიდრე მათი ხორციელი გარსი.
როგორც წესი, ეს შეხვედრები მაშინ ხდება, როცა ჩვენ ზღვარზე ვართ, როცა განვიცდით სიკვდილისა და შემდგომი აღორძინების მოთხოვნილებას. შეხვედრები გველის, მაგრამ ძალიან ხშირად ჩვენ თვითონ ვარიდებთ მათ თავს! და როდესაც სასოწარკვეთას ვეძლევით და ვხვდებით, რომ დასაკარგი არაფერი გვაქვს, ან პირიქით, მეტისმეტად ვხარობთ ცხოვრებით, გამოვლინდება შეუცნობელი და ჩვენი გალაქტიკა ორბიტას იცვლის.
ყველას შეუძლია სიყვარული, რადგან ეს ნიჭი დაბადებისას ეძლევა ადამიანს. ზოგი ამ ნიჭს ოსტატურად იყენებს, უმრავლესობას კი ხელახლა უხდება სწავლა გონებაში სხვადასხვა ხერხის აღდგენით. მაგრამ ყველა, — უკლებლივ ყველა! — წარსულ ვნებათა ალში უნდა დაიდაგოს, გონებაში აღიდგინოს განვლილი სიხარული და მწუხარება, დაცემა და აღზევება... და ასე მანამ, სანამ არ მიაგნებს გზამკვლევ ძაფს, ყოველი ახალი შეხვედრის უკან რომ იმალება... დიახ, ეს ძაფი არსებობს.
და აი, მაშინ გახდება საცნაური ხორცისათვის ენა სულისა. სწორედ ამას ეწოდება „სექსი“. სწორედ ეს შემიძლია მივცე ადამიანს, რომელმაც სიცოცხლისაკენ შემომაბრუნა, თუმცა თვითონ ვერც კი აცნობიერებს, რა დიდია მისი როლი ჩემს ბედისწერაში. იგი მთხოვს ამას; მიიღებს კიდეც; მე მინდა, რომ იგი ბედნიერი იყოს.

დღიურში ბოლო ჩანაწერის შეტანიდან ორი საათის შემდეგ მარია „კოპაკაბანაში“ მივიდა. ზღურბლზე ფეხი არ ჰქონდა გადადგმული, რომ მილანმა მიაძახა:
— ესე იგი, იმ მხატვართან იყავი.
ეტყობა, რალფი ამ დაწესებულების ხშირი სტუმარი იყო. მარია ამას მაშინ მიხვდა, როცა მან ადგილობრივი წესების შესაშური ცოდნა გამოამჟღავნა, როცა სამმაგი ისე გადაიხადა, რომ არც უკითხავს, თუ რა ღირს ერთი ღამე.
პასუხად მარიამ მხოლოდ თავი დაუქნია და რაღაც იდუმალი გამომეტყველება მიიღო, მაგრამ მილანმა ეს აინუნშიაც არ ჩააგდო, რადგან აქაურ ცხოვრებას უკეთესად იცნობდა.
— მე მგონი, უკვე გამოდგები შემდგომი ნაბიჯისათვის. არის აქ ერთი განსაკუთრებული კლიენტი, რომელიც ყოველთვის შენ გკითხულობდა. მე ვეუბნებოდი, რომ ჯერ გამოუცდელი ხარ და მასაც სჯეროდა. ახლა უკვე დროა ვცადოთ.
„განსაკუთრებული კლიენტი“?
— მხატვარი რა შუაშია?
— იმ შუაშია, რომ ისიც „განსაკუთრებული კლიენტია“.

ესე იგი ყველაფერი, რასაც მარია აკეთებდა, რალფ ჰარტს უკვე გამოუცდია სხვა გოგოსთან? მარიამ ტუჩზე იკბინა და აღარაფერი უთქვამს — მან არ ჩაწერა დღიურში, რომ მშვენიერი კვირა გაატარა?
— და ამ ახალთან ის უნდა გავაკეთო, რასაც მხატვართან ვაკეთებდი?
— მხატვართან რას აკეთებდი, არ ვიცი, მაგრამ თუ დღეს შენი დაპატიჟება მოუნდებათ, უარი უთხარი. განსაკუთრებული კლიენტები კარგად იხდიან, ასე რომ, არ წააგებ.
ამ საღამოსაც ყველაფერი თავის რიგს მიჰყვებოდა: ტაილანდელი გოგონები, როგორც ყოველთვის, ერთად ისხდნენ, კოლუმბიელებს ჩვეული ყოვლისმცოდნე იერი ჰქონდათ, სამ ბრაზილიელს (მათ შორის მარიასაც) თავი ისე ეჭირა, თითქოს თავიანთ ფიქრებში იყვნენ გართულნი და ამქვეყნად სხვა აღარაფერი აინტერესებდათ. იყო კიდევ ავსტრიელი და ორი გერმანელი. დანარჩენ კონტინგენტს აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოსულები შეადგენდნენ — ყველანი დარჩეულები, მაღლები, ლამაზები, ქერები: სლავები რატომღაც ყოველთვის სხვებზე ადრე თხოვდებოდნენ. გამოჩნდნენ კლიენტებიც: რუსები, შვეიცარიელები, გერმანელები — ყველანი წარმატებულები და მდიდრები. მათ შეეძლოთ გადაეხადათ ყველაზე ძვირი მეძავების საფასური მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძვირ ქალაქში. მის მაგიდასთანაც მოდიოდნენ, მაგრამ მარიას მილანისაკენ გადაჰქონდა მზერა, ის კი ოდნავ შესამჩნევად თავს აქნევდა უარის ნიშნად. მარია კმაყოფილი იყო: იქნებ დღეს არც მოუწიოს ლოგინში ჩაწოლა, სხვისი სუნის შეგრძნება, შხაპის მიღება აბაზანაში, სადაც ზოგჯერ ძალიან ცივა. მას სულ სხვა რამ სურდა, სურდა ესწავლებინა მოყირჭებული ადამიანისთვის, როგორ უნდა... არა, სექსი კი არა, სიყვარული. კაცმა რომ თქვას, ამას ჩემზე უკეთ ვერავინ გააკეთებს, — დაასკვნა მარიამ.
ამასთან, თავის თავს ეკითხებოდა: „რატომ უნდათ ადამიანებს, რომელთაც ყველაფერი გამოსცადეს, ყველაფერი გასინჯეს, სათავესთან, საწყისთან დაბრუნება?“ თუმცა, ეს მისი საქმე არ არის: კარგად გადაიხადეთ და მე თქვენს განკარგულებაში ვარ.
კარში გამოჩნდა მამაკაცი. შესახედავად რალფ ჰარტზე ახალგაზრდა იქნებოდა, ლამაზი, შავთმიანი, იღიმოდა და მშვენიერი თეთრი კბილები მოუჩანდა. ეცვა კოსტიუმი, რომლის ტარებაც ჩინელებს უყვართ: პიჯაკი კი არა, რაღაც მაღალყელიანი ქურთუკის მსგავსი, რომლის ქვეშაც უზადო, ქათქათა პერანგი მოუჩანდა. ის დახლთან მივიდა, მილანს გადახედა და მერე მარიასკენ გამოემართა:
— ნება მომეცით, დაგპატიჟოთ.
მილანის თავის დაქნევაზე მარიამ სკამი შესთავაზა. შეუკვეთა თავისი ხილის კოქტეილი და საცეკვაოდ გაწვევას დაელოდა.
— ტერენსი მქვია, — თავი წარუდგინა კლიენტმა, — მე ბრიტანულ ფირმაში ვმუშაობ, რომელიც ჩD-ს უშვებს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი: მე მოვედი იქ, სადაც შეიძლება ადამიანებს ენდო. იმედია, ეს ჩვენს შორის დარჩება.
მარიამ, ჩვეულებისამებრ, რაღაცის მოყოლა დაიწყო ბრაზილიაზე, მაგრამ მან გააწყვეტინა:
— მილანმა მითხრა, რომ თქვენ იცით, მე რა მინდა.
— თქვენ რა გინდათ, ჯერ არ ვიცი, მაგრამ მივხვდები.
რიტუალი დაირღვა. ტერენსმა ანგარიში გაასწორა, ხელი ჩაჰკიდა, გარეთ გაიყვანა, ტაქსიში ჩასვა და ათასი ფრანკი გაუწოდა. მარიას წამით ის არაბი გაახსენდა, რომელთანაც რესტორანში ივახშმა. მას აქეთ ამდენი ფული კლიენტისაგან აღარასოდეს მიუღია და ახლა ამან კი არ გაახარა, პირიქით — შეაკრთო.
მანქანა ჟენევის ერთ-ერთი ყველაზე ფეშენებელური ოტელის შესასვლელთან გაჩერდა. ტერენსი პორტიეს მიესალმა და მარიას პირდაპირ აპარტამენტებში შეუძღვა. ეს იყო ერთმანეთთან შეერთებული რამდენიმე ნომერი მდინარის მხარეს. მან რომელიღაც იშვიათი ღვინის ბოთლი გახსნა და ჭიქა შესთავაზა.

მარია თან ღვინოს წრუპავდა, თან კლიენტს ათვალიერებდა და მარჩიელობდა: რა უნდა უნდოდეს მეძავისგან ასეთ ახალგაზრდა, ლამაზ, რესპექტაბელურ ბატონს? ტერენსი ცოტას ლაპარაკობდა. მარიაც უმეტესად დუმდა და ცდილობდა, მიმხვდარიყო, „განსაკუთრებული კლიენტის“ რომელი ხუშტურების შესრულება მოუწევდა. გუმანით გრძნობდა, რომ ინიციატივის გამოვლენა არა ღირს და გარემოებების შესაბამისად უნდა მოიქცეს. ბოლოს და ბოლოს, ყოველ ღამეში ხომ არ უხდიან ათას ფრანკს.

— დრო ბევრი გვაქვს, — თქვა ტერენსმა, — დრო თავზე საყრელადაა. თუ მოისურვებ, შეგიძლია, ღამე აქ გაათიო.

მარიას ეს არ ეპიტნავა. კლიენტი სხვებივით მორიდებული სულაც არ იყო, წყნარად, დამაჯერებლად ლაპარაკობდა. მან იცოდა, რაც უნდოდა: მშვენიერ ნომერში, რომლის ფანჯრიდანაც ტბის ულამაზესი ხედი მოჩანდა, მშვენიერ ქალაქში — არც გვიან და არც ადრე, არამედ სწორედ მაშინ, როცა საჭირო იყო, აჟღერდა მშვენიერი მუსიკა. კარგად შეკერილი კოსტიუმი მასზე ჩამოსხმულივით გამოიყურებოდა, კუთხეში მდგარი პატარა ჩემოდანი კი იმას მოწმობდა, რომ მის პატრონს შეეძლო საკუთარი თავისთვის მსუბუქად მგზავრობის უფლება მიეცა ან შეიძლება სულაც ერთი ღამით იყო ჩამოსული ჟენევაში.

— არა, ღამეს სახლში გავათევ, — უპასუხა მარიამ.

მის წინ მჯდომი კაცი უცებ შეიცვალა, სახის თავაზიანი გამომეტყველება სადღაც გაქრა, თვალებში ცივი, ყინულოვანი სხივი აელვარდა.

— იქ დაჯექი, — თქვა მან და პატარა საწერ მაგიდასთან მდგომ სავარძელზე მიუთითა.

ეს იყო ბრძანება, ნამდვილი ბრძანება! მარია დაემორჩილა და რა უცნაურიც არ უნდა იყოს, საკუთარმა მორჩილებამ აღაგზნო.

— სწორად დაჯექი! ნუ იკაკვები! ზურგი დაიჭირე! თუ მოიკუზები, დაგსჯი!

„დაგსჯი“? განსაკუთრებული კლიენტი! მარია უმალ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს, ჩანთიდან ათასი ფრანკი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— მე ვიცი, შენ რა გინდა, — თქვა მარიამ და მისი ყინულოვანი მოცისფრო თვალების სიღრმეში ჩაიხედა, — მაგრამ მე არა ვარ საამისოდ განწყობილი.

ტერენსი მიხვდა, რომ მარია არ ხუმრობდა და მოლბა.

— ღვინო დალიე. ძალას არ დაგატან. ცოტა ხანს დარჩი ან წადი, თუ გინდა.

ამ სიტყვებმა მარია ცოტათი დაამშვიდა.

— მე მეპატრონისთვის ვმუშაობ, ის მე მიცავს და მენდობა. მასთან ნურაფერზე ილაპარაკებ, გთხოვ, — თქვა მარიამ. ამასთან, მისი ხმა საწყალობლად როდი ჟღერდა: მას, უბრალოდ, საქმის კურსში შეჰყავდა ტერენსი.

ის კი ისევ ისეთად გადაიქცა, როგორიც „კოპაკაბანაში“ მოსვლისას იყო — ჩვეულებრივ, არც ძალიან ნაზ და არც ძალიან უხეშ კლიენტად. უბრალოდ სხვებისაგან განსხვავებით, ტერენსმა ზუსტად იცოდა, რაც უნდოდა. ჩანდა, რომ ტრანსიდან გამოვიდა, შეეშვა როლის თამაშს იმ სპექტაკლში, რომელიც არც კი დაწყებულა.

ახლა რა ქნას? — ისე წავიდეს, რომ ვერ გაიგოს, რა არის „განსაკუთრებული კლიენტი“?

— მაშ, რა გინდა?

— შენ თვითონ ვერ ხვდები? ტკივილი, ტანჯვა და უზარმაზარი სიამოვნება.

„ტკივილი და ტანჯვა ცუდად ერწყმის სიამოვნებას“, — გაიფიქრა მარიამ, თუმცა ძალიან სურდა, რომ ერთიც და მეორეც განუყოფელი ყოფილიყო — და მაშინ მწარე ცხოვრებისეული გამოცდილება სასიხარულო და ნათელ მოგონებად გადაიქცეოდა.

ტერენსმა ხელი ჩაჰკიდა და ფანჯარასთან მიიყვანა. ტბის მოპირდაპირე ნაპირას ტაძრის სამრეკლო აღმართულიყო. მარიას გაახსენდა, რომ ის მაშინ ნახა, როცა რალფ ჰარტთან ერთად წმინდა იაკობის გზით მიდიოდა.

— ხედავ ამ მდინარეს, ამ ტბას, ამ სახლებს, ამ ტაძარს? ხუთასი წლის წინ ეს ყველაფერი ისეთივე იყო, როგორიც ახლაა. ქალაქი სრულიად ცარიელი იყო: უცნობი სენი მძვინვარებდა ევროპაში და არავინ იცოდა, რისგან იხოცებოდა ამდენი ხალხი. მას შავი ჭირი შეარქვეს, ქვეყნისათვის თავს დამტყდარი ღვთის რისხვა, მაცხოვრებელთა ცოდვების გამო მოვლენილი. და მაშინ გამოჩნდნენ ისინი, ვინც თავის გაწირვა გაბედა დანარჩენი კაცობრიობის გადასარჩენად. მათ აირჩიეს ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდათ — ფიზიკური ტკივილი. ისინი დღედაღამ დადიოდნენ ამ ქუჩებში, ხიდებზე, მოედნებზე და თავიანთ თავს მათრახებს უტყლაშუნებდნენ, ჯაჭვებს იცემდნენ. ისინი იტანჯებოდნენ ღვთის გულისათვის და ამ ტანჯვაში ადიდებდნენ ღმერთს. და მალე მიხვდნენ, რომ საკუთარი სხეულის ჯიჯგნა უფრო მეტად სიამოვნებდათ, ვიდრე პურის ცხობა, ხვნა, საქონლის მოვლა. ტკივილი უკვე ტანჯვას კი არა, სიამოვნებას ანიჭებდათ, რადგან გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ამით კაცობრიობას ცოდვებისაგან იხსნიდნენ. ტკივილი გადაიქცა ზეიმად, ცხოვრების სისრულის შეგრძნებად, ნეტარებად!

ტერენსის თვალებში ისევ სუსხი გაკრთა. მან მარიას მიერ მაგიდაზე დადებული ფული აიღო, იქიდან ას ორმოცდაათი ფრანკი გადათვალა, ჯიბეში ჩაიდო, დანარჩენი კი მას გაუწოდა.

— მეპატრონის დარდი არა გქონდეს. ეს მისი წილია. პირობას გაძლევ, რომ არაფერს ვეტყვი. შეგიძლია, წახვიდე.

მარიამ მექანიკურად გამოართვა ფული.

არა!

რა იყო ეს — ღვინო, არაბი რესტორანში, სევდიანად მომღიმარი ქალი, იმის ფიქრი, რომ აღარასოდეს დაბრუნდება ამ წყეულ ადგილას, სიყვარულის შიში, რომელიც კაცის იერით უახლოვდებოდა მას, წერილი დედას, სადაც აღწერილი იყო მშვენიერი ცხოვრება და მშვენიერი სამუშაოს შოვნის უამრავი შესაძლებლობა, ბიჭი, რომელმაც ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა მას ზედმეტი კალამი, საკუთარ თავთან ჭიდილი, დანაშაულის გრძნობა, ცნობისმოყვარეობა, იმისი გაგების წყურვილი, თუ სად მდებარეობს უკიდურესი ზღვარი, რომლის იქითაც გადაბიჯება არ შეიძლება, ხელიდან გაშვებული შანსები, განუხორციელებელი შესაძლებლობანი? აქ სხვა მარია იჯდა, ის არ არიგებდა საჩუქრებს, მას საკუთარი თავი მიჰქონდა მსხვერპლად.

— მე აღარ მეშინია. დაიწყე. თუ საჭიროა, დამსაჯე იმისათვის, რომ არ გაგიგონე. მე არასწორად მოვიქეცი იმასთან, ვინც მიცავდა, ვისაც ვუყვარდი. მე მოვატყუე ის. მე ვუღალატე მას.

მარია თამაშში ჩაება. ის ამბობდა იმას, რაც უნდა ითქვას ასეთ დროს.

— მუხლებზე! — ჩუმად და მრისხანედ წარმოთქვა ტერენსმა.

მარია დაემორჩილა. მას ჯერ არასოდეს მოპყრობოდნენ ასე და ამიტომ არ იცოდა, კარგი იყო ეს თუ ცუდი. მხოლოდ და მხოლოდ გაგრძელება სურდა: ყველაფრისთვის, რაც ცხოვრებაში უკეთებია, იმსახურებდა იმას, რომ დაემცირებინათ. იგი ელვის სისწრაფით შედიოდა როლში, სხვა ადამიანი ხდებოდა — სრულიად უცნობი ქალი.

— შენ დაისჯები. შენ უვარგისი არსება ხარ, რომელმაც არ იცის წესები, წარმოდგენა არა აქვს სექსზე, ცხოვრებაზე, სიყვარულზე.

ტერენსი, თითქოს გაორებულიაო, ორ სხვადასხვა ადამიანად გადაიქცა: ერთი მშვიდად უხსნიდა წესებს, მეორე აიძულებდა, თავი არარაობად ეგრძნო.

— იცი, რისთვის მინდა ეს ყველაფერი? იმისთვის, რომ არ არსებობს ამქვეყნად იმაზე დიდი სიამოვნება, ვიდრე ვინმეს შეუცნობელი სამყაროს კარი გაუღო, უმანკოება წაართვა არა სხეულს, არამედ სულს, ხვდები?

მარია ხვდებოდა.

— დღეს შეკითხვის უფლებას გაძლევ. შემდეგ შეხვედრაზე, როცა ჩვენი თეატრის ფარდა გაიხსნება, სპექტაკლის შეწყვეტის უფლება აღარ გექნება. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყდება, თუ ჩვენი სულები არ დაემთხვევიან ერთმანეთს. გახსოვდეს — ეს სპექტაკლია. შენ უნდა შეასრულო როლი ადამიანისა, რომლად გახდომასაც ვერასოდეს ბედავდი. თანდათანობით შენ გაიგებ, რომ ეს ადამიანი თვით შენ ხარ. მაგრამ საNMნამ მთელი სიცხადით არ გააცნობიერებ ამას, იძულებული იქნები, ითვალთმაქცო, ითამაშო, განასახიერო.
— მაგრამ თუ ტკივილს ვერ გავუძელი, მაშინ?
— ტკივილი არ არსებობს. არის მხოლოდ ის, რაც იდუმალ სიამოვნებად გადაიქცევა. ამ როლში არის ასეთი სიტყვები: „რატომ ხარ ასეთი სასტიკი?! რისთვის მტანჯავ?! შეჩერდი, ველარ გავუძლებ“. და ამიტომ, თუ გინდა საფრთხეს თავი დააღწიო... თავი ჩაღუნე და არ მიყურო!
მუხლებზე მდგომმა მარიამ თავი ჩაღუნა და იატაკს მიაშტერდა.
— სერიოზული ფიზიკური ზიანი რომ არ მოგაყენო, ჩვენ კოდურ სიტყვებს გამოვიყენებთ. თუ ერთ-ერთი ჩვენგანი იტყვის „ყვითელი“, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საჭიროა სიმხურვალის შენელება, სიტყვა „წითელი“ დაუყოვნებლივ გაჩერებას ნიშნავს.
— „ერთ-ერთი ჩვენგანი“? — ჩაეკითხა მარია.
— როლები იცვლება. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. ვერავინ შეძლებს დამცირებას, სანამ თვით არ იქნება დამცირებული.
რა საშინელი სიტყვებია! ეს სიტყვები რომელიღაც შეუცნობელი, ბნელი, მყრალი, ლპობადი სამყაროდან მოდის. და თუმცა მარია შიშისაგან კანკალებდა, მაინც წინ წასვლა ამჯობინა.
ტერენსი მოულოდნელი სინაზით თავზე შეეხო.
— მორჩა.
მან სთხოვა, წამომდგარიყო. ჯერ ისევ აკანკალებული მარია წამოდგა, ჟაკეტი მოიცვა. ტერენსმა შენიშნა მისი ასეთი მდგომარეობა.
— წასვლის წინ სიგარეტი მოწიე.
— რომ არაფერი ყოფილა?
— არც არის საჭირო. ყველაფერი შენს სულში მოხდება და შემდეგი შეხვედრისათვის მზად იქნები.
— ნუთუ ეს ყველაფერი ათასი ფრანკი ღირს?
მან სიგარეტს მოუკიდა ისე, რომ პასუხი არ გაუცია. მერე ღვინო დალიეს, დაელოდნენ, სანამ მშვენიერი მელოდია დასრულდებოდა და ერთად დატკბნენ ჩამოწოლილი სიჩუმით. მაგრამ აი, დადგა წამი, როცა რაღაც უნდა თქმულიყო და მარიას თვითონვე გაუკვირდა თავისი სიტყვების:
— არ მესმის, რატომ მინდა ამ ლაფში ამოთხვრა.
— ათასი ფრანკი.
— არა, საქმე ეს არ არის.
ტერენსი, ეტყობოდა, პასუხით კმაყოფილი დარჩა.
— მეც ვეკითხები საკუთარ თავს. მარკიზ დე სადი ამტკიცებდა, რომ ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია, შეიცნოს საკუთარი არსი, როდესაც უკანასკნელ ზღვარს მიაღწევს. ამისათვის მთელი ჩვენი სიმამაცის მოხმობა გვესაჭიროება. მხოლოდ ასე ვსწავლობთ რაიმეს. როდესაც უფროსი ამცირებს ხელქვეითს ან ქმარი — ცოლს, ეს ან სიმხდალეა, ან ცხოვრებაზე შურისძიების მცდელობა. ეს ადამიანები ვერ ბედავენ საკუთარი სულის სიღრმეში ჩახედვას და ამიტომ ვერასდროს გაიგებენ, საიდან მოდის ველური მტაცებელი მხეცის გალიიდან გამოშვების სურვილი, ვერ გაიგებენ, რომ სექსი, ტკივილი და სიყვარული ადამიანს ადამიანურობის ზღვარზე აყენებს. და მხოლოდ მან, ვინც განიცადა ეს ზღვარი, იცის ცხოვრება. დანარჩენი, უბრალოდ, დროსტარებაა, ერთი და იმავე ამოცანის გამეორება.

ნაპირზე მიუსვლელად, უფსკრულში ჩაუხედავად ადამიანი ისე დაბერდება და მოკვდება, რომ ვერც კი გაიგებს, რას აკეთებდა ამ ქვეყანაზე.
და აი, მარია კვლავ მიუყვება ქუჩას სუსხიან ქარში. არა, ის ცდება. იმისათვის, რომ ღმერთი ჰპოვო, საჭირო არ არის საკუთარი დემონების შეცნობა. ბარიდან სტუდენტთა ჯგუფი გამოვიდა, მხიარული, ოდნავ შეზარხოშებული, ლამაზი, ჯანმრთელი სტუდენტების ჯგუფი. მალე ისინი უნივერსიტეტს დაამთავრებენ და დაიწყება ის, რასაც „ნამდვილი ცხოვრება“ ჰქვია. შეუდგებიან სამსახურს, შექმნიან ოჯახებს, დაზრდიან შვილებს, უცქერენ ტელევიზორს, დაბერდებიან და მიხვდებიან, რა ბევრი დაკარგეს და რა ცოტა აუსრულდათ. შემდეგ — იმედგაცრუება, ავადმყოფობა, უძლურება, სხვაზე დამოკიდებულება, მარტოობა, სიკვდილი.
მაშ, რა მოხდა? ის ხომ თვითონ ეძებდა სიმშვიდეს, რომ „ნამდვილი ცხოვრებით“ ეცხოვრა? ხოლო ყველაფერი, რასაც შვეიცარიაში აკეთებდა და რაც არასოდეს არც კი უვარაუდია, ეს — ისე, დროებითი სიძნელეების, არახელსაყრელი გარემოებების გადალახვაა, რომლებიც ადრე თუ გვიან ყველას ემართება. დიახ, ამ დროებითი სიძნელეების პერიოდში მარია დადის „კოპაკაბანაში“, მრუშობს ფულის გულისათვის და, კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად, ხან მიამიტი გოგონაა, ხან — საბედისწერო ქალი, ხან კი — მოსიყვარულე დედა.
საბოლოო ჯამში ეს მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოა, რომელშიც მარია რაც შეიძლება მეტი პროფესიონალიზმის ჩადებას ცდილობს, იმიტომ რომ პროფესიონალიზმს კარგი ანაზღაურება მოსდევს, და რაც შეიძლება ნაკლები სული, რადგან ეშინია, ჩათრეული არ აღმოჩნდეს და არ შეეჩვიოს მას. მარია ცხრა თვის განმავლობაში ცდილობდა, დაემორჩილებინა მისი გარემომცველი სამყარო და აი, სწორედ შინ დაბრუნების წინ აღმოაჩინა საკუთარ თავში უნარი, ჰყვარებოდა ისე, რომ სამაგიეროდ არაფერი მოეთხოვა და ეს სიყვარული თვითონ მას სტანჯავდა. ისეთი გრძნობაა, თითქოს ცხოვრებას ასეთი უცნაური, მტკივნეული ხერხით სურს, მოუთხროს მარიას საკუთარ თავზე, საკუთარ საიდუმლოებებზე, ბნელსა და ნათელზე.
იმ საღამოს ჩანაწერი მარიას დღიურში, როცა ტერენსი გაიცნო:

მან ახსენა მარკიზ დე სადი, რომლის შესახებ მე არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რაც საყოველთაოდ ცნობილია. „საკუთარი თავი შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ შეიცნო, რაც აღმოაჩენ მისი შესაძლებლობების ზღვარს“. ეს სიმართლეა და ამავე დროს არ არის სიმართლე: სულაც არ არის მნიშვნელოვანი, საკუთარ თავზე გაიგო ყველაფერი ან რაც შეიძლება ბევრი. ადამიანი ხომ მხოლოდ სიბრძნის მოსაპოვებლად არ არის შექმნილი, არამედ იმისთვისაც, რომ მოხნას მიწა, დაელოდოს წვიმას, დათესოს ხორბალი, აიღოს მოსავალი, გამოაცხოს პური.
ჩემში ორი ქალია: ერთს სურს, ცხოვრებისაგან მიიღოს გზნება, სიხარული, თავგადასავლები, როგორის მოცემაც კი მას შეუძლია. მეორეს სურს, გახდეს მშვიდი ყოველდღიურობის, ოჯახური ცხოვრების მონა, იმ ყველაფრის მონა, რაც შეიძლება დაგეგმო და განახორციელო. მე ერთდროულად მეძავიცა ვარ და ოჯახის დედაც; ორივე ცხოვრობს ჩემს სხეულში და ერთმანეთს ებრძვის.
ხოლო ქალის საკუთარ თავთან შეხვედრა საინტერესო თამაშია, მაგრამ, ამავე დროს, სახიფათოც. ეს ღვთაებრივი ცეკვაა. როდესაც ჩვენ შევხვდებით, ორი გალაქტიკა, ღვთიური ენერგიის ორი კოლტი შეეჯახება ერთმანეთს. და თუ ეს შეხვედრა ისე არ მოაწყვე, როგორც საჭიროა, შეიძლება, ერთმა გალაქტიკამ მეორე გაანადგუროს.

და აი, მარია კვლავ რალფ ჰარტთან ერთადაა. მისი მისაღების იატაკზე, ბუხართან, ღვინოს სვამს და ყველაფერი, რაც ამას წინათ იმ ბრიტანელ მენეჯერთან განიცადა, ხან წარმტაც და ხანაც კოშმარულ — განწყობას გააჩნია — სიზმრად ეჩვენება. ახლა ის ისევ ეძებს თავისი ყოფიერების არსს, უფრო სწორედ ყველაზე უგუნურ, ყველაზე გიჟურ ხერხს, რათა თავისი თავი ამ ადამიანს მიანდოს, მისცეს მას თავისი გული და სამაგიერო არ მოითხოვოს.

როგორ გაიზარდა მარია ამის მოლოდინში! ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ნამდვილ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რაც მას წარმოედგინა, — სასიყვარულო ენერგიით გამოწვეულ მოვლენათა ჯაჭვთან, გარიგებასთან და ნიშნობასთან, ჯვრისწერასთან და ქორწინებასთან, ბავშვებთან და სამზარეულოსთან, ქმრის მოლოდინთან და საკვირაო ატრაქციონებთან, ახალ მოლოდინთან, ერთმანეთს შებერებასთან, — და აი, მთავრდება მოლოდინი და მის ადგილს იკავებს ქმრის პენსია, სნეულებები და უქეიფობა, იმის შეგრძნება, რომ ახლა უკვე ძალიან გვიანია იმის აღსრულება, რაზეც ოცნებობდი.

მარიამ შეხედა ადამიანს, რომელსაც ისე უნდა მინდობოდა, რომ არაფერი მოეთხრო თავისი გრძნობების შესახებ, რადგანაც მისი ამჟამინდელი გრძნობების სიტყვით გამოხატვა შეუძლებელი იყო. რალფს თავი უშუალოდ ეჭირა, თითქოს უხაროდა, რომ მის ცხოვრებაში ახალი საინტერესო ეტაპი იწყებოდა. ღიმილით ყვებოდა თავის ბოლოდროინდელ მგზავრობაზე მიუნხენში, სადაც მსხვილი სამხატვრო გალერეის დირექტორს ხვდებოდა.

— მან მკითხა, მზად თუა სურათი „ჟენევის სახეები“ და მე ვუპასუხე, რომ მხოლოდ ახლახან შევხვდი ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, ქალს, რომლის გამოსახვაც მსურს ამ ტილოზე. ის შუქს ასხივებს. მაგრამ მე არ მინდა საკუთარ თავზე ლაპარაკი. მე მინდა ვაკოცო მას. მე ის მსურს.

„მსურს. მსურს? მსურს!“ — აი, დღევანდელი საღამოს საწყისი პუნქტი. ეს მაინც კარგად იცის მარიამ.

აი, მაგალითად, როგორ უნდა გააღვიძო სურვილი.

— მაშ ასე: შენ გსურს მარია. აი, სწორედ ამ მომენტში. შენ ჩემგან ერთ მეტრში ზიხარ, შენ წამომიყვანე „კოპაკაბანადან“, გადაიხადე მომსახურების საფასური და იცი, რომ უფლება გაქვს, შემეხო, მაგრამ ვერ ბედავ. მიყურებ. მიყურებ და ფიქრობ, რომ მე, შესაძლოა, სულაც არ მინდა, რომ მიყურო. წარმოიდგინე, რა იმალება ჩემი ტანსაცმლის ქვეშ.

მარია მუდამ შავებს ატარებდა და ვერაფრით ვერ ხვდებოდა, რატომ ცდილობდნენ „კოპაკაბანას“ სხვა გოგონები კლიენტების მიზიდვას მეტისმეტად გახსნილი და ჭყეტელა სამოსით. გაცილებით ეფექტურია ისეთი ჩაცმულობა, როგორსაც კლიენტი შეიძლება წააწყდეს თავის ოფისში, მატარებელში, სტუმრად თავისი ცოლის მეგობართან.

რალფი უყურებდა მას და მარია გრძნობდა, როგორ ხდიდა ტანსაცმელს მზერით. მას მოეწონა ასეთი „უკონტაქტო“ სურვილი, რომელიც შეიძლებოდა რესტორნის მაგიდასთან ან კინოთეატრის დარბაზში გაჩენილიყო.

— ჩვენ ვაგზალზე ვართ, — განაგრძო მარიამ, — ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს და ერთად ველოდებით მატარებელს. მაგრამ აი, შემთხვევით ჩვენი მზერა შეხვდა ერთმანეთს და მე თვალი არ აგარიდე. შენ არ იცი, რისი თქმა მინდა, თუმცა ჭკვიანი ხარ და შეგიძლია, ადამიანისგან გამომავალი შუქი დაინახო, მაგრამ არასაკმარისად მგრძნობიარე ხარ, რომ დაინახო, თუ რას ანათებს ეს შუქი.

ინგლისელის გაკვეთილები აშკარად გამოადგა. მარიას სურდა, რაც შეიძლება მალე დაევიწყებინა ტერენსის სახე, მაგრამ ის უხილავად მასთან იმყოფებოდა და მის წარმოსახვას მართავდა.

— ჩემი თვალები შენკენაა მომართული და, შესაძლოა, მე ვეკითხები საკუთარ თავს: „სად შეიძლებოდა შევხვედროდი ამ ადამიანს?“ ან შეიძლება უბრალოდ დაბნეული ვარ. ან შეიძლება მეშინია, რომ არ მოგეწონები. მე გეხმარები, საშუალებას გაძლევ, ცოტა ხანს იორჭოფო და გადაწყვიტო, როგორ მოიქცე. შეიძლება, ყველაფერი მარტივადაა — მე მინდა, შევხვდე მამაკაცს. შეიძლება, სიყვარულს გავურბივარ, რომელსაც მხოლოდ ტანჯვა მოაქვს. შეიძლება, ორგულობისათვის, წეღანდელი ღალატისათვის შურისძიება მსურს. და აი, წავედი ვაგზალზე და ვეძებ უცნობ მამაკაცს. შეიძლება მსურს, ერთი ღამით მეძავად ვიქცე, რათა სიახლე შევიტანო მობეზრებულ ყოფიერებაში. ან იქნებ მართლაც მეძავი ვარ, ყოველდღიურ საშოვარზე გამოსული.

უეცრად მარია დადუმდა, ფიქრებით გუშინდელ ოტელში გადაინაცვლა, სადაც უნდა მიეღო დამცირება, ტკივილი და უზარმაზარი ნეტარება. ეს ყველაფერი უცებ ამოტივტივდა მის სულში და უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.
რალფმა შენიშნა, რომ მარია სხვა რაღაცაზე ფიქრობდა და შეეცადა, ისევ „ვაგზალზე“ დაებრუნებინა:
— აი, ჩვენ შევხვდით. გულმა შენც ჩემკენ გამოგიწია?
— არ ვიცი. შენც არ იცი. ჩვენ ხომ ჯერ არ დავლაპარაკებივართ ერთმანეთს.
მარია რამდენიმე წამით ისევ ჩაფიქრდა. ასეა თუ ისე, „თეატრი“ მაინც დაეხმარა: ის გაიძულებს, სცენაზე ნამდვილი პერსონაჟი გამოიყვანო, უამრავი მოგონილი, მაგრამ ჩვენს სულებში არსებული კი თავიდან მოიცილო.
— მე თვალს არ გარიდებ და შენ არ იცი, როგორ მოიქცე. მომიახლოვდე? გამომელაპარაკო? ვაითუ, უხეშად გიპასუხონ ან პოლიციელს დაუძახონ? ან იქნებ ყავაზე დაგპატიჟონ?
— მე მიუნხენიდან ვბრუნდები... — თქვა რალფ ჰარტმა. ახლა მისი ხმა სულ სხვაგვარად ჟღერდა. მათ თითქოს მართლა პირველად ნახეს ერთმანეთი, — მე ვფიქრობ ჩემი ნახატების სერიაზე სექსის სახის შესახებ. ურიცხვ ნიღაბზე, რომელსაც ხალხი იკეთებს, რათა არასოდეს განიცადოს ნამდვილი შეხვედრა.
მრავალმა იცის, რა არის „თეატრი“. მილანი ამბობდა, რომ ეს მხატვარიც „განსაკუთრებული კლიენტების“ რიცხვს ეკუთვნის. განგაშის ზარმა ჩამოჰკრა — მარიას აზრების მოსაკრებად დრო სჭირდება.
— გალერეის დირექტორმა მკითხა, რა დაედება საფუძვლად ამ ჩემს ნამუშევარს. მე ვუპასუხე: „ქალები, რომლებიც საკმარისად თავისუფლად გრძნობენ თავს, რომ ფულის გულისათვის იმრუშონ“. „ასეთ ქალებს ჩვენ მეძავებს ვეძახით“, — თქვა მან. „კეთილი, ასე იყოს, — ვუპასუხე, — მე შევისწავლი მათ ისტორიას და რაღაც უფრო მეტად დახვეწილს შევქმნი. ისეთს, როგორიც მოეწონებათ ცოლქმრულ წყვილებს, რომლებიც თქვენს მუზეუმში მოვლენ. ბოლოს და ბოლოს, ამქვეყნად ყველაფერი ოსტატობისა და განსჯის საკითხია, ასე არ არის? ოსტატობაც სწორედ ის არის, რომ მადისაღმძვრელ საწებელთან ერთად ძნელად მოსანელებელიც მიართვა. „თუმცაღა სექსი სულაც არ არის აკრძალული, — შემომედავა დირექტორი, — პირიქით, ეს თემა ისეა გაცვეთილი, რომ ძნელია ახლებურად მიუდგე მას“. მე ვკითხე: „თქვენ იცით, სად იღებს სათავეს სექსუალური სურვილი?“ — „ინსტინქტში“. „სწორია, მაგრამ ეს ხომ ყველასათვის ცნობილია. როგორ მოვაწყობთ კარგ გამოფენას, როცა მე და თქვენ მხოლოდ მეცნიერულ მატერიებზე ვმსჯელობთ?! მე იმაზე მინდა ვისაუბრო, თუ როგორ ხსნის ამ ლტოლვას ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც ფილოსოფიისაკენ ოდნავი მიდრეკილება აქვს“. „მაგალითი მოიყვანეთ“, — თქვა დირექტორმა. მე ვუპასუხე, რომ როდესაც მატარებელში ჩავჯდები, შინისაკენ გავემგზავრები და თუ რომელიმე ქალი შემომხედავს, მე გამოველაპარაკები მას და ვეტყვი, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის უცნობები ვართ და ამიტომ შეგვიძლია, გავაკეთოთ ყველაფერი, რაზეც გვიოცნებია, განვახორციელოთ ნებისმიერი ფანტაზია და შემდეგ სახლებში წავიდეთ, ქალი — ქმართან, მე — ცოლთან. დავშორდეთ, რათა აღარასოდეს შევხვდეთ ერთმანეთს. და აი, რკინიგზის ამ სადგურზე მე გხედავ შენ.
— შენი ისტორია იმდენად საინტერესოა, რომ სურვილს კლავს.
რალფ ჰარტი სიცილით დაეთანხმა. მერე ღვინო დალიეს და მხატვარმა სამზარეულოდან ახალი ბოთლი მოიტანა. მარია დაჟინებით მისჩერებოდა ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს. მან იცოდა, როგორი იქნებოდა შემდეგი ნაბიჯი, ტკბებოდა მომაჯადოებელი სითბოთი და სიმყუდროვით, აღარ ახსოვდა ბრიტანელი ტერენსი და მზად იყო, ამ მხატვარს მინდობოდა.
რალფმა ჭიქები შეავსო.
— ძალიან მაინტერესებს, როგორ დაასრულებდი საუბარს დირექტორთან?

— რადგანაც შენ წინ ასეთი ინტელექტუალია, პლატონს დავესესხები. ის ამტკიცებდა, რომ დასაბამიდან ქალი და კაცი ისეთებად არ შექმნილან, როგორებიც ახლა არიან. ორივე მათგანი ერთიანი არსება იყო, მაგრამ ორი სახით, რომელიც სხვადასხვა მხარეს იყურებოდა. ერთი ტანი, ერთი კისერი, მაგრამ ოთხი ხელი, ოთხი ფეხი და ორივე სქესის ნიშანი. ისინი თითქოს ზურგებით იყვნენ შეზრდილნი.
მაგრამ საბერძნეთის ეჭვიანმა ღმერთებმა შენიშნეს, რომ ოთხი ხელის წყალობით ეს არსება უფრო მეტს მუშაობდა, ორი სახის საშუალებით უფრო ყურადღებიანი იყო და მოულოდნელად თავს ვერ წაადგებოდი, ოთხ ფეხზე კი შეეძლო დიდხანს დგომა და შორს სიარული. მაგრამ ყველაზე სახიფათო ის იყო, რომ ორსქესიან არსებას აღარავინ სჭირდებოდა თავის მსგავსთა გასაჩენად.
და ზევსმა, ოლიმპოს უზენაესმა ღმერთმა, მაშინ თქვა: „მე ვიცი, როგორ მოვიქცე, რომ ამ მოკვდავებმა თავიანთი ძალა დაკარგონ“.
მან ელვის დაკვრით ორად გააპო არსება და შექმნა ქალი და კაცი. ასე გაიზარდა დედამიწის მოსახლეობა, მაგრამ ამავე დროს დასუსტდა და დაიბნა. ამიერიდან თითოეულს უნდა მოეძებნა დაკარგული მეორე ნახევარი და მასთან შეერთებით დაებრუნებინა უწინდელი ძალა, ღალატისთვის თავის არიდების უნარი, დიდხანს მუშაობისა და დაუღალავი სიარულის თვისება. აი, სწორედ ასეთ შეერთებას, როდესაც ორი სხეული შეერწყმება ერთმანეთს, ჩვენ ვუწოდებთ სექსს.
— მართლა ამას?
— ასე მიაჩნდა ძველ ბერძენ ფილოსოფოსს — პლატონს.
მარია აღფრთოვანებით შესცქეროდა რალფს. გასული ღამის მოგონებები სრულიად წაიშალა მის მეხსიერებაში. ამ ადამიანში მარიამ სწორედ ის შუქი შენიშნა, რომელიც, მხატვრის თქმით, მარიასგანაც მოდიოდა. ამ ლეგენდასაც ცოცხლად და მხიარულად მოუყვა და მისი თვალები სიხარულისაგან ბრწყინავდა და არა ვნებიანი სურვილისგან.
— შეიძლება, რაღაც გკითხო?
რალფმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.
— ამიხსენი, მას მერე, რაც ღმერთებმა ორად გაყვეს ეს ოთხფეხა და ოთხხელა არსებები, რატომ გადაწყვიტა რომელიღაც მათგანმა, რომ ახალი შეერთება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გარიგება ყოფილიყო — ისეთივე, როგორიც ნებისმიერი სხვა გარიგება, — რომელიც კი არ ამრავლებს, არამედ აკნინებს ადამიანის ძალას?
— შენ მრუშობაზე ლაპარაკობ?
— დიახაც. შენ იცი, როდის აღარ იყო სექსი წმინდა?
— თუ გაინტერესებს, შემიძლია, გავიგო, — უპასუხა რალფმა, — ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ, მაგრამ არა მარტო მე, არამედ — საერთოდ არავინ. მეეჭვება, რომ ამის შესახებ სადმე ცნობები მოიპოვებოდეს.
— მოგსვლია ოდესმე თავში, — არ ცხრებოდა მარია, — რომ ქალებს (უმთავრესად მეძავებს) სიყვარული შეუძლიათ?
— მომსვლია. ჩვენი პირველი შეხვედრის დღეს, ბარში, როცა შენგან მომავალი შუქი დავინახე. მაშინ გადავწყვიტე, ყავაზე დამეპატიჟებინე და ვირწმუნე, რომ შენ შეძლებდი ჩემს დაბრუნებას სამყაროში, რომელიც დიდი ხანია დავტოვე.
უკან დასახევი გზა აღარ არსებობდა. მარია-დამრიგებელს უნდა ეჩქარა მისი გადარჩენა ან... ან მოჰხვეოდა, ეკოცნა, ეთხოვა, რომ რალფს არ მიეტოვებინა იგი...
— დავბრუნდეთ ვაგზალზე, — თქვა მარიამ, — უფრო სწორედ, დავუბრუნდეთ ამ ოთახს და იმ დღეს, როდესაც პირველად მოვედი აქ, როდესაც შენ აღიარე, რომ მე ვარსებობ და საჩუქარი გადმომეცი. ეს იყო ჩემს სულში შემოღწევის პირველი ცდა და შენ არ იცოდი, გეტყოდნენ თუ არა — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. თუ შენს პლატონს დავუჯერებთ, მას მერე, რაც

ადამიანური არსებები გაყვეს, ისინი ხელახლა შერწყმას ცდილობენ. ეს ინსტინქტია. და, ამავე დროს, გონიც. განა მის გარეშე შევძლებდით ყველა იმ წინაღობის გადალახვას, რომელიც ამ პაემანზე მიმავალთ წინ შეგვხვდა?

მე მსურს, მიყურებდე, და, ამასთან, ისე მიყურებდე, რომ მე ეს ვერ შევამჩნიო. პირველი სურვილი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ღრმად არის დამალული, აკრძალულია და მიუწვდომელი. შენ ხომ არ იცი, იპოვე თუ არა დაკარგული მეორე ნახევარი. ეს არც ქალმა იცის, რომელიც შენ ისურვე. რაღაც გიზიდავთ ერთმანეთისაკენ — ესე იგი, გჯერა, რომ იპოვე.

საიდან მომაქვს ეს ყველაფერი? — გულის სიღრმიდან. იმიტომ, რომ მინდა, ყველაფერი სწორედ ასე იყოს, — ჩემი სიზმრებიდან, იქიდან, რაც ყველა ქალს ენატრება.

მან შეიხსნა კაბა და მხრებზე ჩამოიცურა ისე, რომ კერტით დამშვენებული მკერდის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოუჩნდა.

— სურვილი ის კი არ არის, რასაც ხედავ, არამედ ის, რასაც წარმოიდგენ.

რალფ ჰარტი უყურებდა შავთმიან ქალს შავ კაბაში, რომელიც მის მისაღებში იჯდა და ერთი შეხედვით სულელურ სურვილებს გამოთქვამდა — მაგალითად, ბუხრის გახურება გაგანია ზაფხულში. დიახ, მას სურდა, წარმოედგინა, რა იმალება ამ შავი კაბის ქვეშ, დიახ, მან შეაფასა მისი მკერდის ფორმა და სიდიდე. მან იცოდა, რომ მარიას არ სჭირდებოდა ლიფი და მას მხოლოდ იმიტომ ატარებდა, რომ ამას მისი პროფესია მოითხოვდა. მკვრივი და ქორფა ძუძუები არც დიდი ჰქონდა და არც პატარა. მზერა — არაფრის გამომხატველი. მართლაცდა, რას აკეთებს აქ ეს ქალი? ან თვითონ რალფი რატომ აგრძელებს ამ უცნაურ და სახიფათო ურთიერთობებს? მას ხომ იოლად შეეძლო ნებისმიერის მოხიბვლა? მდიდარია, ახალგაზრდა, სახელოვანი, უშნოც არ ეთქმის, უზომოდ უყვარს თავისი სამუშაო, უყვარდა ისინი, ვისზეც იქორწინა, მათაც უყვარდათ იგი. მოკლედ, რალფ ჰარტისათვის რომელი მხრიდანაც არ უნდა შეგეხედა, ბედნიერი ადამიანი უნდა ყოფილიყო.

ის კი უბედურია. მაშინ, როდესაც ადამიანების უმრავლესობა იბრძოდა ლუკმაპურისათვის, ჭერისა და სამუშაოსათვის, რაც მცირედით მაინც უზრუნველყოფდა მათ ცხოვრებას, რალფ ჰარტს შეეძლო, ამ ყველაფერზე არც ეფიქრა. მაგრამ ეს უფრო უბედურს ხდიდა მას. თავისი არც ისე ხანგრძლივი ცხოვრებისათვის თვალი რომ გადაევლო, ორ-სამ დღეზე მეტს ძნელად თუ გაიხსენებდა ისეთს, როდესაც დილით გაღვიძებულს მზის ან თუნდაც წვიმის დანახვა მოჰგვრიდა სიხარულს და ეს სიხარული არავითარ სურვილებთან და გეგმებთან არ იქნებოდა დაკავშირებული, გაიხარებდა უმიზეზოდ და უანგაროდ. მაშ ასე, ამ ორი-სამი დღის გამოკლებით, მთელი მისი ცხოვრება წარმოადგენდა აუხდენელი და ახდენილი ოცნებების რიგს, საკუთარი თავის დაძლევის, საკუთარ თავზე მაღლა ახტომის დაუოკებელ სურვილს. მუდამ ვიღაცას რაღაცას უმტკიცებდა და თვითონაც ვერ აეხსნა, სახელდობრ ვის ან რას უმტკიცებდა.

იგი უცქერდა ამ ლამაზ, მოკრძალებულად ჩაცმულ ქალს, რომელსაც შემთხვევით შეხვდა (თუმცა ადრეც ენახა „კოპაკაბანაში“) და ხედავდა, რომ მისი ადგილი აქ არ არის. ქალმა სთხოვა, მისურვეო და მასაც ძლიერ სურდა იგი, უფრო ძლიერ, ვიდრე შეეძლო წარმოედგინა, მაგრამ ეს არ იყო მარიას მკერდით მოხიბვლა, მისი სხეულისადმი ვნებიანი ლტოლვა. უბრალოდ, სურდა მის გვერდით ყოფნა, სურდა მოხვეოდა და ჩუმად ეყურებინა ცეცხლის ალისათვის, ეწრუპა ღვინო, მოეწია... და ეს მისთვის საკმარისი იყო. ცხოვრება უბრალო რამეებისგან შედგება, ის კი ასე დაიღალა რაღაც გაურკვეველის მრავალწლიანი ძებნით.

მაგრამ თუ შეეხება მას, ყველაფერი დამთავრდება. იმიტომ რომ, მიუხედავად მისგან მომდინარე შუქისა, მარია თითქმის ვერ აცნობიერებს, რა კარგად გრძნობს რალფი მის გვერდით თავს. ფულს იხდის? დიახ. და კვლავაც გადაიხდის, რამდენ ხანსაც ეს საჭირო იქნება, სანამ არ შეძლებს მის გვერდით ტბის პირას ჩამოჯდომას და სიყვარულზე საუბარს —

სანამ მისგანაც არ იგრძნობს სიყვარულს. ჯობია, არ გარისკოს, არ იჩქაროს. ჯობია, არაფერი თქვას.
რალფ ჰარტი შეეშვა ამ ფიქრებით საკუთარი თავის გატანჯვას და ყურადღება გაამახვილა თამაშზე, რომელიც ახლახან წამოიწყეს. მის წინ მჯდომი ქალი მართალია — არ კმარა არც ღვინო, არც სიგარეტი, არც ცეცხლი, არც ურთიერთობა. საჭიროა სხვაგვარი თრობა, სხვაგვარი ცეცხლი.
ბრეტელებიან კაბაში გამოწყობილმა ქალმა თავისი მკერდის პატარა ნაწილი აჩვენა — და მან დაინახა მისი სხეული, უფრო შავგვრემანი, ვიდრე თეთრი. და რალფმა ისურვა ქალი, გატაცებით, ვნებით ისურვა.
მარიამ შენიშნა, როგორ შეეცვალა რალფს თვალების გამომეტყველება. იმის შეგნება, რომ ის სასურველია, უფრო მეტად აღაგზნებდა. ამ ყველაფერს არავითარი საერთო არ ჰქონდა კლიენტის ჩვეულ მიღებასთან, კლიენტისა, რომელიც უმტკიცებდა: „მინდა დაგეუფლო... მინდა ცოლად მოგიყვანო... მინდა გაათავო... მინდა ჩემგან ბავშვი გააჩინო... მინდა ჩვენი შეხვედრები რეგულარული გავხადო...“ არა, ეს ვნება თავისუფალი და თითქოს დაღვრილი იყო ჰაერში და ამ უკანასკნელს მუხტს აძლევდა. იგი ცხოვრებას რამედ…ყოფნის სურვილით ავსებდა. და ეს სრულიად საკმარისი იყო, მას ყველაფერი მოძრაობაში მოჰყავდა, შეეძლო მთები შეეძრა და ეს საშოს უსველებდა მარიას.…
ვნება იყო ყველაფრის წყარო, ვნებამ აიძულა, დაეტოვებინა მშობლიური მხარე და აღმოეჩინა ახალი სამყარო, ესწავლა ფრანგული, დაეძლია ცრურწმენები, ეოცნება საკუთარ ფაზენდაზე, ჰყვარებოდა და სამაგიერო არ მოეთხოვა, ამ ადამიანის ერთ შემოხედვაზეც კი თავი ქალად ეგრძნო. გააზრებული სიზანტით მეორე ბრეტელიც ჩამოიგდო, კაბა ერთიანად ჩამოუცურდა, მერე ლიფი შეიხსნა. ასე იდგა წელამდე შიშველი და მარჩიელობდა: მივარდება ახლა ხვევნა-კოცნითა და სიყვარულის ფიცი-მტკიცით, თუ იმდენად მგრძნობიარე აღმოჩნდება, რომ თვით სურვილში შეიგრძნობს სიამოვნებას.
სამყარომ ამ წყვილის გარშემო დაიწყო შეცვლა — ფანჯრის იქიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, სადღაც გაქრა ბუხარი, სურათები და წიგნები. ვნებიანი ლტოლვის გარდა აღარაფერი დარჩა, ყველაფერს მნიშვნელობა დაჰკარგვოდა.
კაცი არ განძრეულა, ადგილიდან არ დაძრულა. თავიდან მარიამ მის თვალებში მორიდებულობის ნაპერწკალი შენიშნა, მაგრამ ამ ნაპერწკალმა მხოლოდ გაიელვა და სადღაც გაქრა. რალფი თვალს არ აცილებდა და იქ, თავის წარმოსახვით სამყაროში, ეფერებოდა, ეხვეოდა, ერთმანეთში ურევდა გზნებასა და სინაზეს, ყვირილსა და კვნესას.
რეალურ სამყაროში კი სიჩუმე სუფევდა. არც ერთი და არც მეორე ხმას არ იღებდა. ეს კიდევ უფრო მეტად აღაგზნებდა მარიას, მისი ფიქრებისა და ფანტაზიების თავისუფალ ნავარდს ხელს არაფერი არ უშლიდა. მარიას შეეძლო, ეთხოვა ნაზად შეჰხებოდა მას, შეეძლო, ბარძაყები გადაეშალა, თავის თავს თვითონ მოჰფერებოდა რალფის თვალწინ, ელაპარაკა უხამსობები და რომანტიკული აღიარებანი ისე, თითქოს ეს ერთი და იგივე ყოფილიყო, შეეძლო, ორგაზმის ტალღებში ჩაძირულიყო და მის გაშმაგებულ ყვირილს მეზობლები გაეღვიძებინა, მთელი სამყარო გაეღვიძებინა. მის წინ მისი რჩეული იდგა, მამაკაცი, რომელიც განცხრომასა და სიხარულს ანიჭებდა, მასთან შეეძლო, თავისთავადი ყოფილიყო, სხვას ვის ეტყოდა, რომ მასთან სურს დარჩეს ერთი ღამე, ერთი კვირა, მთელი ცხოვრება.
ორივეს შუბლი ოფლით დაეცვარა, „ეს ბუხრის გამოა,“ — გაიფიქრა ორივემ, მაგრამ საქმე მოგიზგიზე ცეცხლი როდი იყო. უბრალოდ, ქალმა და მამაკაცმა ზღვარს მიაღწიეს, ამოწურეს ფანტაზია, მშვენიერი წამების მთელი მარადისობა იცხოვრეს ერთად. უპრიანი იქნებოდა შეჩერება, იმიტომ, რომ ერთი წამიც და სინამდვილე ულმობლად გაანადგურებდა ამ საოცრებას.

ნელ-ნელა, რადგან დასრულება ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე დაწყება, მარიამ მაქმანიანი ქსოვილის ქვეშ დამალა ძუძუები. სამყარო თავის ადგილზე დაბრუნდა, ყველაფერი, რაც გაუჩინარებული იყო, კვლავ გამოჩნდა და მარიამ კაბა ჩაიცვა, გაიღიმა და ნაზად შეეხო რალფს ლოყაზე. მან მარიას ხელში სახე ჩარგო. თან არ იცოდა, რამდენად ძლიერ ჩაჰკვროდა მას, რამდენ ხანს ყოფილიყო ამ მდგომარეობაში.

მარიას მოუნდა ეთქვა, რომ ის უყვარს, მაგრამ ამ სიტყვებს ყველაფრის გაფუჭება შეეძლო, შეეძლო დაეფრთხო ის ან, კიდევ უფრო უარესი, საპასუხო აღიარება გამოეწვია. მარიას ეს არ სჭირდებოდა: მისი სიყვარულის თავისუფლება სწორედ ის იყო, რომ არაფერს ელოდა, არაფერს ითხოვდა.

— ვისაც შეგრძნების უნარი აქვს, იცის, შეიძლება ისიამოვნო ისე, რომ არც კი მიეკარო იმას, ვინც გიყვარს. სიტყვებიცა და მზერაც შეიცავს საიდუმლოს, რომელიც ცეკვაში ვლინდება. მაგრამ მატარებელი დანიშნულების ადგილას ჩამოდგა და ახლა თითოეული თავისი გზით წავა. იმედი მაქვს, შევძლებ, ამ მოგზაურობაში გამოგყვე... სადამდე გამოგყვე?

— სანამ ჟენევაში არ დავბრუნდებით, — უპასუხა რალფმა.

— იმან, ვინც თვალს ადევნებს შეყვარებულს და თავისთვის აღმოაჩენს მას, იცის, რომ სექსუალური ენერგია სექსისგან დამოუკიდებლად ჩნდება. ის კი არ განიჭებს სიამოვნებას, არამედ ფლობისაგან განუყოფელი გზნება. როცა გზნება ძლიერია, მას სექსი მოსდევს. მაგრამ სწორედ ამ თანმიმდევრობით.

— შენ ისე მსჯელობ სიყვარულზე, თითქოს საპროფესორო კათედრაზე იდგე.

მარიამ გადაწყვიტა, დალაპარაკებოდა, რადგან ეს იყო მისი დაცვა და ეს იყო ხერხი, გამოეთქვა ყველაფერი ისე, რომ არავითარი ვალდებულებები არ აეღო.

— შეყვარებული მუდამ ეძლევა სიყვარულს, მაშინაც კი, როცა სხვა რამით არის დაკავებული. როდესაც სხეულები ერთდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჭურჭEელი აივსო და გადმოვიდა. მათ შეუძლიათ, საათობით, დღეების განმავლობაშიც კი დარჩნენ ერთმანეთთან. შეუძლიათ, შერწყმა დღეს დაიწყონ და ხვალ დაასრულონ, შეუძლიათ, არც დაასრულონ, რადგან მეტისმეტად დიდია სიამოვნება. ამას არაფერი აქვს საერთო თერთმეტ წუთთან.

— რა?

— მე შენ მიყვარხარ.

— მეც მიყვარხარ.

— მაპატიე. თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ.

— მეც არ ვიცი.

მარია ადგა, აკოცა და გავიდა. ამჯერად თვითონ გააღო კარი, რადგან ბრაზილიური ჩვეულება მხოლოდ პირველ ჯერზე მოითხოვდა მასპინძლისაგან სტუმრის გაცილებას.

მეორე დილის ჩანაწერი მარიას დღიურში:

გუშინ საღამოს, როცა რალფ ჰარტი მიყურებდა, მან თითქოს კარი გააღო, როგორც ქურდმა, მაგრამ ისე წავიდა, რომ თან არაფერი წაუღია, პირიქით, ვარდების სურნელი დატოვა. არა, ის ქურდი კი არა, საქმრო იყო, რომელიც ჩემს მოსანახულებლად მოვიდა.

თითოეულ ადამიანს აქვს თავისი საკუთარი სურვილი, რომელიც დამარხული განძეულის ნაწილი ხდება და, თუმცა მას შეუძლია დააფრთხოს ვინმე, ჩვეულებრივ იზიდავს იმას, ვინც მნიშვნელოვანია ამ ადამიანისათვის. სწორედ ეს გრძნობა აირჩია ჩემმა სულმა, და იგი იმდენად მძლავრია, რომ შეუძლია, ჩემ გარშემო ყველას და ყველაფერს გადაედოს.

ყოველდღე ვირჩევ ჭეშმარიტებას, რომლითაც მინდა ცხოვრება. ვცდილობ, ვიყო პრაქტიკული, პროფესიონალური, ეფექტური. მაგრამ ყოველთვის მირჩევნია, სურვილი ავირჩიო თანამგზავრად. არა მოვალეობის გულისათვის, არა მარტოობისაგან თავის დასაღწევად, არამედ იმიტომ, რომ ეს კარგია. დიახ, ეს ძალიან კარგია.

იმ ოცდათვრამეტი ქალიდან, რეგულარულად რომ დადიოდა „კოპაკაბანაში“, მხოლოდ ერთის, ფილიპინელი ნიას მიმართ გაუჩნდა მეგობრობის მსგავსი გრძნობა. იქ საშუალოდ ექვსი თვიდან სამ წლამდე მუშაობდნენ. ამ ხნის განმავლობაში ქალი ან თხოვდებოდა, ან მუდმივ საყვარელს პოულობდა, ან, როგორც ამბობენ, ტირაჟში გადიოდა, ანუ კლიენტებს ვეღარ იზიდავდა. ასეთ შემთხვევაში მილანი დელიკატურად სთხოვდა მას, სხვა სამუშაო მოეძებნა.

და რადგან მეგობრობა არავისთან არ აკავშირებდა, არ შეიძლებოდა კოლეგებისათვის გზა გადაეჭრა და მათთვის მუდმივი კლიენტები წაერთმია, რომლებიც შემოსვლისთანავე წინასწარ არჩეული გოგონასკენ მიემართებოდნენ. ეს არა მარტო უწესობა იქნებოდა, არამედ საშიშიც: სულ რაღაც ერთი კვირის წინ ერთი კოლუმბიელი გოგონა მიუჯდა იუგოსლავიელ კოლეგას, ჩანთიდან სამართებლის პირი ამოიღო, კოხტად ჩამოდო მისი ჭიქის პირზე და უნაზესი ხმით აუწყა, რომ სახეს დაუსერავს, თუ კიდევ ერთხელ მიიღებს მიწვევას ვინმე ბანკის დირექტორისაგან, რომელიც შესაშურად ხშირად დადიოდა „კოპაკაბანაში“. იუგოსლავიელმა მიუგო, რომ ბანკირი თავისუფალი ადამიანია და თუ ის აირჩია, უარს ვერ ეტყვის.

იმავე საღამოს დირექტორი შემოვიდა „კოპაკაბანაში“, კოლუმბიელს თავი დაუკრა, მაგრამ იუგოსლავიელის მაგიდას მიუჯდა. მათ დალიეს, იცეკვეს და (მარიამ ჩათვალა, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო) იუგოსლავიელმა თვალი ჩაუკრა მეტოქეს, თითქოს ამბობდა: „ხედავ? მან მე ამირჩია!“

სინამდვილეში ეს თვალის ჩაკვრა კიდევ მრავალი შინაარსის მატარებელი იყო: მე იმიტომ ამირჩია, რომ უფრო ლამაზი ვარ, იმიტომ, რომ წინა კვირასაც ჩემთან იყო და ძალიან მოეწონა. კოლუმბიელმა არაფერი არ უპასუხა. როცა იუგოსლავიელი გოგონა ორიოდე საათის შემდეგ უკან დაბრუნდა, კოლუმბიელი გვერდით მიუჯდა, სამართებელი იშიშვლა და ლოყაზე, ყურთან ახლოს დაუსვა. ჭრილობა ღრმა არ იყო, სიცოცხლისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, მაგრამ პატარა შრამს კი დაუტოვებდა, სწორედ ისეთს, როგორც ამ საღამოს სამუდამოდ დაამახსოვრებდა. სისხლმა იფეთქა, ქალები ერთმანეთს სწვდნენ, დამფრთხალი კლიენტები წამოიშალნენ და გასასვლელს მიაშურეს.

პოლიცია საქმის გასარკვევად მოვიდა, მაგრამ სერბმა უთხრა, რომ დახლიდან გადმოვარდნილი ჭიქის ასხლეტილმა ნამსხვრევმა გაუჭრა სახე. ასეთი იყო დუმილის კანონი ან, როგორც იტალიელი მეძავები ეძახდნენ, — „ომერტა“. ბერნის ქუჩაზე წამოჭრილი ყველა დავა და ჩხუბი შინაურ წრეში უნდა მოგვარებულიყო, ხელისუფლების ჩაურევლად. ხელისუფლებას და კანონს აქ თვითონ წარმოადგენენ.

პოლიციელები ამის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ და ხვდებოდნენ, რომ სერბი გოგონა ტყუოდა, მაგრამ გამოძიება აღარ დაუწყიათ, რადგანაც ბოროტმოქმედის დაკავება და ციხეში მისი შენახვა ძალიან ძვირი დაუჯდებოდათ შვეიცარიელ გადასახადების გადამხდელებს.

მილანმა მადლობა გადაუხადა პოლიციელებს ოპერატიულობისათვის, აუხსნა, რომ გაუგებრობა მოხდა, თუმცა რომელიმე კონკურენტის მიერ დაგეგმილი ინტრიგაც არ გამორიცხა.

როგორც კი პოლიციელები წავიდნენ, მეტოქეებს მიუბრუნდა და უთხრა, რომ ამიერიდან ორივესთვის „კოპაკაბანას“ კარი დაკეტილია, რომ ეს ოჯახური დაწესებულებაა (მარიას ეს პირველად არ სმენოდა, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენლად ეჩვენებოდა), რომელიც საგულდაგულოდ უფრთხილდება თავის რეპუტაციას (ესეც ფრიად დამაფიქრებელი იყო) და აქ არ უნდა იმართებოდეს არავითარი ჩხუბი, რადგან პირველი წესი გვამცნობს: არჩევანი კლიენტზეა, კლიენტი კი ყოველთვის მართალია.

მეორე წესი სრულ კონფიდენციალობას მოითხოვს (მილანის სიტყვებით — „როგორც შვეიცარიულ ბანკში“). „კოპაკაბანას“ კლიენტები მისი სრული ნდობით სარგებლობენ, რადგან

ისეთსავე გადარჩევას გადიან, როგორსაც — ბანკში, რომელიც შეისწავლის კლიენტის არა მარტო მიმდინარე ანგარიშს, არამედ მთელ მის საკრედიტო ისტორიას.
დროდადრო უსიამოვნებებიც ხდებოდა: ზოგი ფულს არ იხდიდა, ზოგი გოგონებს ემუქრებოდა, ზოგი აგრესიული იყო, მაგრამ მთელი იმ წლების მანძილზე, როცა მილანი რუდუნებით ქმნიდა „კოპაკაბანას“ პატიოსან სახელს, მან ისწავლა, ერთი შეხედვით ამოეცნო ისინი, ვისაც დაწესებულებაში არაფერი ესაქმებოდა. ვერავინ ხვდებოდა, თუ რა კრიტერიუმებით სარგებლობდა იგი. არაერთხელ ყოფილა, რომ რომელიღაც შესახედავად რესპექტაბელურ ბატონს ეუბნებოდნენ, დღეს თავისუფალი ადგილები არ არის (თუმცა ადგილები თავზე საყრელად იყო) და ხვალაც არ იქნებაო (ეს ასე უნდა გაგეგო: „წადით და აღარ დაბრუნდეთ“), იმ დროს, როცა დაუდევრად ჩაცმულ, გაუპარსავ ადამიანს, როგორც ახლობელს, ისე იღებდნენ და არაჩვეულებრივი გულითადობით ჭიქა შამპანურით უმასპინძლდებოდნენ. „კოპაკაბანას“ პატრონი ხალხს გარეგნობით არ აფასებდა და, საბოლოო ჯამში, ყოველთვის მართალი აღმოჩნდებოდა ხოლმე.
ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა ერთმანეთით. კლიენტების უმრავლესობა ცოლიანი იყო და საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. „პერსონალიდანაც“ ზოგი გათხოვილი იყო, ზოგს შვილები ჰყავდა, ასე რომ, დროდადრო მშობელთა კრებებსაც ესწრებოდა და სულაც არ ეშინოდა, რომ იქ შეიძლებოდა, კლიენტი შეხვედროდა, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ ის ხმას არ ამოიღებდა, საკუთარი თავის კომპრომეტირებას ვერ გაბედავდა. აი, ასეთი ურთიერთთავდებობის სისტემა მოქმედებდა.
გოგონებს შორის სავსებით ამხანაგური ურთიერთობა არსებობდა, მაგრამ განსაკუთრებული სიახლოვე არ შეინიშნებოდა. საკუთარ თავზე ძუნწად ყვებოდნენ. კოლეგებთან იშვიათი საუბრების დროს მარიამ ვერც ერთხელ ვერ შენიშნა სიმწრის, ბრალეულობის ან სევდის ნოტი, გოგონები თავიანთ ცხოვრებას, როგორც მოცემულობას, ისე აღიქვამდნენ და უდრტვინველად ხვდებოდნენ მას. ამას გამოწვევის მსუბუქი ელფერიც დაჰკრავდა — ისინი თითქოს ამაყობდნენ საკუთარი ბედით, იმით, რომ წინ აღუდგნენ სამყაროს, რომ თავისუფლები და საკუთარ თავში დარწმუნებულები იყვნენ. ერთი კვირის მუშაობის შემდეგ „ახალბედა“ „პროფესიონალების“ თანრიგში გადადიოდა და იღებდა მითითებებს იმაზე, რომ ყოველნაირად უნდა გაამყაროს ცოლქმრული კავშირები (მეძავი საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ოჯახის სიწმინდეს), რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „არასამუშაო საათებში“ მიწვევის მიღება, რომ კლიენტს საუბარი არ უნდა შეაწყვეტინო და შენი განსჯით არ შეაწუხო, რომ კულმინაციურ მომენტში უნდა იკვნესო (მარიამ შეიტყო, რომ ყველა ასე იქცევა, მას კი ამის შესახებ მაშინვე იმიტომ არ უთხრეს, რომ ეს პროფესიულ საიდუმლოს წარმოადგენს), რომ ქუჩაში პოლიციელებს უნდა მიესალმო, დროულად და მოწესრიგებულად გაიგრძელო მუშაობის ნებართვა, დადგენილ ვადებში გაიარო სამედიცინო შემოწმება. და ბოლოს, არ ღირს მეტისმეტი ფიქრი იმაზე, როგორ გამოიყურება შენი საქმიანობა მორალისა და კანონის თვალსაზრისით: სამუშაო სამუშაოა. მორჩა და გათავდა.
კლიენტების მოლოდინში მარია მუდამ წიგნს კითხულობდა და ამიტომ სულ მალე „ინტელექტუალი“ შეარქვეს. თავიდან ეკითხებოდნენ, ეს წიგნები სიყვარულზე ხომ არ არისო, მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, რომ ისეთ მოსაწყენ და მშრალ საგნებს ჩასჩიჩინებდა, როგორებიცაა ფსიქოლოგია, ეკონომიკა და ბოლოს — საკარმიდამო მეურნეობა, თავი დაანებეს და ამის მერე მას თავისუფლად შეეძლო კითხვა და ამონაწერების გაკეთება.
იმის წყალობით, რომ მარია, რომელსაც მუდმივი კლიენტების მრავალრიცხოვანი წრე გაუჩნდა, ყოველდღე Eმოდიოდა „კოპაკაბანაში“. მან მილანის კეთილგანწყობა და კოლეგების შური დაიმსახურა. ისინი მარიას ზურგს უკან ქირქილებდნენ იმაზე, რომ ის პატივმოყვარეა, ქედმაღალია და მხოლოდ ბევრი ფულის მოხვეჭაზე ფიქრობს. ეს ბოლო პუნქტი ნაწილობრივ მართალი იყო, მაგრამ მარიას ყოველთვის უნდოდა ეკითხა: „თქვენ თვითონ აქ განა ამისათვის

არა ხართ?“ ბოლოს და ბოლოს, ხატოვნად რომ ვთქვათ, ლანძღვა საყელოზე არ მოგვეკრება, შური და არაკეთილგანწყობა წარმატების უცვლელი თანამგზავრებია. ჯობია, საერთოდ არ მიაქციო ყურადღება ამ ქირქილს და ორი ამოცანის შესრულებაზე გაამახვილო ყურადღება: დადგენილ დროს ჩახვიდე ბრაზილიაში და იყიდო ფაზენდა.

ახლა რალფ ჰარტი არც დღისით და არც ღამით თავიდან არ ამოსდიოდა და მარია, პირველად ცხოვრებაში, ბედნიერი იყო თავისი დაუსწრებელი სიყვარულით. თან საკუთარ თავს საყვედურობდა ამის აღიარებისათვის, რაც ყველაფრის დაკარგვით ემუქრებოდა. დაკარგვით? რა აქვს დასაკარგი, თუკი სამაგიეროდ არაფერს ითხოვს?! მას გაახსენდა, როგორ აუძგერდა გული, როცა მილანმა რალფ ჰარტი „განსაკუთრებული კლიენტების“ რიცხვში მოიხსენია. რას ნიშნავდა ეს? მარია ღალატის შეგნებით და ეჭვიანობით იტანჯებოდა.

რა თქმა უნდა, ეჭვიანობა ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, თუმცა ის არ უნდა იფიქრო, რომ ვინმე შეიძლება ვინმეს ეკუთვნოდეს. ის, ვინც ასე ფიქრობს, უბრალოდ, თავს იტყუებს. და კიდევ, მას არ შეუძლია, ეჭვს სძლიოს და ამ ეჭვს სისუსტის გამოვლინებად არ მიიჩნევს.

ყველაზე ძლიერი ის სიყვარულია, რომელსაც სისუსტის გამოვლენისა არ ეშინია. როგორც არ უნდა იყოს, თუ ეს ნამდვილი სიყვარულია (და არა თავის მოტყუება, გართობისა და დროსტარების საშუალება, რადგან დრო ამ ქალაქში უსასრულოდ გრძელდება), მაშინ ადრე თუ გვიან თავისუფლება სძლევს ეჭვს, გააყუჩებს მიყენებულ ტკივილს, იმიტომ, რომ ტკივილიც ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ყველამ, ვინც სპორტს მისდევს, იცის, თუ გინდა, კარგ შედეგს მიაღწიო, მზად უნდა იყო ტკივილის ყოველდღიური დოზისათვის, იმისათვის, რომ ცუდად იქნები. თავიდან გეჩვენება, რომ ეს კუნთების ტკივილი და სახსრებში ტეხა სრულიად ზედმეტია, მაგრამ დროთა განმავლობაში ხვდები, რომ ეს პროგრამის ნაწილია. თუ არ გამოსცადე ეს ტკივილი და ტეხა, ვერ მოიპოვებ ძალასა და სიმსუბუქეს. და დგება წამი, როცა გრძნობ — ტკივილის გარეშე ვერ მიაღწევ სასურველ შედეგს.

საშიშროებას ის წარმოადგენს, რომ ზოგჯერ ჩვენ ვაღმერთებთ ტკივილს, სახელს ვარქმევთ მას, მუდამ მასზე ვფიქრობთ. მადლობა ღმერთს, მარიამ უკვე ისწავლა ამისგან თავის დაღწევა. სწავლით კი ისწავლა, მაგრამ მაინც ხშირად ფიქრობდა იმაზე, თუ სად იყო რალფი, რატომ აღარ მოდიოდა მასთან, სისულელედ ხომ არ ჩათვალა მისი ფანტაზიები მატარებელსა და დათრგუნულ ვნებაზე? იქნებ იმან დააფრთხო, რომ მარია სიყვარულში გამოუტყდა? და აი, იმისათვის, რომ მშვენიერი გრძნობების ტანჯვად გადაქცევა არ დაეშვა, მარიამ საკუთარი მეთოდი შეიმუშავა: როცა თავში რალფ ჰარტთან დაკავშირებული რაიმე ნათელი და სასიხარულო აზრი მოუვიდოდა (იქნებოდა ეს ცეცხლი ბუხარში, ღვინო, ან რაიმე მისთვის სათქმელი, ან ახალი შეხვედრის მოლოდინი), წამით შეჩერდებოდა, ზეცას გაუღიმებდა და მადლობას სწირავდა იმისათვის, რომ ცოცხლობს და არაფერს ელის სატრფოსგან. ხოლო როდესაც განშორების სევდა შემოაწვებოდა ან საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ბოლო შეხვედრისას ისე არ მოიქცა, როგორც საჭირო იყო, მაშინ თავის მეორე „მეს“ ეუბნებოდა:

„აჰა, შენ ამაზე ფიქრი გსურს? ჰოდა იფიქრე, რამდენიც გენებოს, მე კი საქმეებს მივხედავ“.

მაშინ ან საკითხავს გამოიჩენდა, ან, თუ ქუჩაში იყო, ყურადღებით აკვირდებოდა და უსმენდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა: ფერებს, ხმებს, სახეებს, საკუთარი ფეხსაცმლის ქუსლების ბაკუნს, გადაფურცლული გვერდების შრიალს, გვერდით ჩავლილ მანქანებს, იჭერდა ნაწყვეტებს საუბრებიდან. და უსიამოვნო ფიქრებიც ილეოდა და ქრებოდა. ხოლო თუ ხუთი წუთის შემდეგ ისევ გაჩნდებოდა, მარია ყველაფერს ხელახლა იმეორებდა და მაშინ, არა გაგდებული, არამედ რბილად მოცილებული მოგონებები დიდი ხნით სცილდებოდა მას.

მარიას მოსვენებას არ აძლევდა იმაზე ფიქრი, რომ ვეღარასოდეს ნახავდა რალფს, მაგრამ ახლადშეძენილი მოთმინების უნარის წყალობით მასაც რაღაც სასიხარულოდ გარდაქმნიდა ხოლმე: მე წავალ, ფიქრობდა მარია, და ჟენევა სამუდამოდ განსხეულდება ამ ადამიანში, რომელსაც ბავშვური ღიმილი, დაბალი ხმა და არამოდურად გრძელი თმა ჰქონდა. მარია

წარმოიდგენდა ხოლმე, რომ როდესაც მრავალი წლის შემდეგ ჰკითხავენ, თუ როგორ მოეწონა ქალაქი, რომელსაც ახალგაზრდობისას სტუმრობდა, ის უპასუხებდა: „კარგი ქალაქია. იქ შეიძლება გიყვარდეს და უყვარდე“.
იმ დღის ჩანაწერი მარიას დღიურში, როცა „კოპაკაბანაში“ ცოტა კლიენტი იყო:

ნანახისა და გაგონილის წყალობით იმ დასკვნამდე მივედი, რომ ხალხი სექსს უმეტესწილად როგორც ნარკოტიკს, ისე იყენებს, რათა გაექცეს სინამდვილეს, დაივიწყოს პრობლემები, მოეშვას. და როგორც ყველა ნარკოტიკი, ისიც დამანგრევლად და დამღუპველად მოქმედებს.
და როდესაც ადამიანი თავს იბრუებს, — არა აქვს მნიშვნელობა, სექსით თუ სხვა ნარკოტიკით, — ეს მისი საქმეა: შედეგი უარესი ან უკეთესი იქნება იმის მიხედვით, თუ რა აირჩია თავისთვის. მაგრამ თუ ცხოვრებისეულ წარმატებაზეა ლაპარაკი, საჭიროა ესმოდეს: „ურიგო არ არის“ — ეს იგივე არ არის, რაც „კარგია“.
ტყუილად ჰგონიათ ჩემს კლიენტებს, თითქოს სექსი შესაძლებელია დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. ყოველ ჩვენგანში ბიოლოგიური საათი წიკწიკებს და ჰარმონიული შერწყმისათვის საჭიროა, რომ ორივე პარტნიორის ისრები ერთდროულად მიუახლოვდეს ერთსა და იმავე ციფრს. ასეთი დამთხვევები კი ყოველთვის როდი ხდება. მას, ვისაც უყვარს, ბედნიერი თვითშეგრძნებისათვის არ სჭირდება სქესობრივი აქტი. ქალმა და მამაკაცმა, თუ ისინი ერთად არიან, თუ მათ უყვართ ერთმანეთი, ერთ დროზე უნდა გაასწორონ თავიანთი საათის ისრები, იმოქმედონ მოთმინებით და დაჟინებით, გამოიყენონ თამაში და რაღაც „თეატრალური წარმოდგენები“ მანამ, სანამ არ მიხვდებიან, რომ მათი აღრევა უბრალოდ მექანიკური შეერთება კი არ არის, არამედ „ჩაკონება“, რომელშიც შეერწყმებიან არა მარტო მათი სასქესო ორგანოები.
აქ ყველაფერი მნიშვნელოვანია. ადამიანი, რომელიც ინტენსიური ცხოვრებით ცხოვრობს, ყოფიერების ყოველი წუთით ტკბება და სექსის ნაკლებობას ვერ გრძნობს. ხოლო თუ აკეთებს კიდეც ამას, მხოლოდ ძალებისა და გრძნობების სიჭარბისაგან. როცა ღვინო გაავსებს ჭიქას, უცილობლად გადმოიღვრება. ის ცხოვრების ძახილსა და მოწოდებას ემორჩილება, რადგან ამ — და მხოლოდ ამ — მომენტში შეძლებს ის, საკუთარ თავზე ძალაუფლება დაკარგოს.
P. S. გადავიკითხე ეს ნაწერი. ო, ღვთისმშობელო, მე უბრალოდ ჭკვიანი კი არა, ჭკუამიღმიური ვარ!!!

რამდენიმე წუთის შემდეგ, რაც მარიამ ეს სტრიქონები დაწერა და მოემზადა, კიდევ ერთი ღამით ყოფილიყო მოსიყვარულე დედა ან მიამიტი გოგონა, კარი გაიღო და „კოპაკაბანაში“ შემოვიდა ინგლისელი ტერენსი, ერთ-ერთი განსაკუთრებულ კლიენტთაგანი.
ბარის დახლთან მდგომ მილანს აშკარად გაუხარდა, ბრაზილიელმა გოგონამ იმედი არ გაუცრუა. მარიას კი უმალ გაახსენდა სიტყვები, რომლებიც, შესაძლოა, ბევრ რამეს ნიშნავდა, შესაძლოა, სულაც არაფერს: „ტკივილი, ტანჯვა და უზარმაზარი სიამოვნება“.
— შენს სანახავად სპეციალურად ჩამოვფრინდი ლონდონიდან. ბევრს ვფიქრობდი შენზე, — თქვა ტერენსმა.
მარიამ გაუღიმა, თან ცდილობდა, ღიმილი იმედისმომცემი და წამახალისებელი არ ყოფილიყო. ტერენსმა, ისევე, როგორც მაშინ, რიტუალი არ შეასრულა: არც დასალევი შეუთავაზებია, არც საცეკვაოდ გაუწვევია, უბრალოდ, მაგიდასთან მიუჯდა.
— როცა ვინმეს რამეს ასწავლი, რაღაცას შენც სწავლობ.
— არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ, — უპასუხა მარიამ. თან რალფ ჰარტი აგონდებოდა და ამაზე უფრო ბრაზობდა. მის წინ სხვა კლიენტია, უნდა მოემსახუროს და ყველაფერი გააკეთოს, რომ ის კმაყოფილი დარჩეს.
— წავიდეთ?

ათასი ფრანკი, იდუმალი სამყარო, მილანის გამოხედვა დახლს იქიდან. რწმენა, რომ ნებისმიერ დროს შეძლებს შეჩერებას. ის სხვა მამაკაცი, რომელიც დაიკარგა და აღარსად ჩანს.
— შენ გეჩქარება? — ჰკითხა მარიამ.
— არა... რა იყო? — უპასუხა ტერენსმა.
— ის, რომ მინდა ჩემი კოქტეილის დალევა, ცეკვა და კიდევ ის, რომ ჩემს პროფესიას პატივისცემით მოეპყრონ.
ტერენსი თითქოს შეყოყმანდა, მაგრამ მერე ჩათვალა, რომ ბოლოს და ბოლოს, ეს ნაწილია სპექტაკლისა, სადაც ერთი ბატონობს, მეორე კი ემორჩილება, ხოლო შემდეგ როლები იცვლება. მან კოქტეილი შეუკვეთა მარიასათვის, აცეკვა, ტაქსი გამოაძახებინა და მგზავრობისას ფულიც გადასცა. ისევ იმ ოტელში აღმოჩნდნენ. შესვლისას ტერენსმა იტალიელ პორტიეს მაშინდელივით თავი დაუკრა და იმავე ნომერში ავიდნენ, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა.

ტერენსმა ასანთი გაჰკრა და მარიამ ახლაღა დაინახა მთელ ნომერში ჩამორიგებული ათობით სანთელი. ტერენსი მათ სათითაოდ ანთებას შეუდგა.
— აბა, რისი ცოდნა გსურს? ასეთი რატომ ვარ? რატომ იყავი, თუ არ ვცდები, აღფრთოვანებული იმ ღამით, რომელიც ერთად გავატარეთ? შენ გინდა იცოდე, თვითონ რატომ ხარ ასეთი?
— არა, უბრალოდ, ჩვენთან, ბრაზილიაში ამბობენ: ერთი ასანთით სამ სანთელზე მეტი არ აანთოო, ცუდის ნიშანია. მაგრამ შენ, გეტყობა, ცრუმორწმუნე არა ხარ?
ტერენსმა ყურიც არ ათხოვა.
— შენ ისეთივე ხარ, როგორიც მე და აქ ათასი ფრანკის გულისათვის კი არა ხარ, არამედ იმისთვის, რომ განიცდი დანაშაულისა და სხვაზე დამოკიდებულების გრძნობას, იმიტომ რომ შენივე კომპლექსები, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა გტანჯავს. და ეს არც კარგია და არც ცუდი: ასეთია შენი ბუნება.
მან ტელევიზორის პულტის ღილაკები ააწკაპუნა. ბოლოს შეჩერდა ახალი ამბების პროგრამაზე, სადაც ომს გამოქცეულ ლტოლვილებს უჩვენებდნენ.
— ხედავ? შენ, ალბათ, გინახავს გადაცემები, სადაც ადამიანები თავიანთ პირად პრობლემებზე მთელი მსოფლიოს თვალწინ ბჭობენ. გინახავს გაზეთის სათაურები და ჟურნალის ყდები? მსოფლიო სიამოვნებას იღებს ტანჯვისა და ტკივილისაგან. ერთი შეხედვით სადიზმია, სინამდვილეში კი, თუ გავიაზრებთ, რომ ბედნიერებისთვის სულ არ გვჭირდება ამ ყველაფრის ცოდნა, ჩვენ კი თვალს არ ვაცილებთ სხვისი ტრაგედიის სანახაობას და ზოგჯერ ვიტანჯებით კიდეც მის გამო, ეს მაზოხიზმია.
მან ორი ფუჟერი შამპანურით შეავსო, გამორთო ტელევიზორი და ისევ სანთლების ანთება გააგრძელა ბრაზილიური ცრურწმენების უგულებელყოფით.
— ვიმეორებ: ეს ადამიანის ბუნებაშია, ეს მისი არსია. მას მერე, რაც სამოთხიდან განგვდევნეს, ან ვიტანჯებით, ან სხვას ვტანჯავთ, ან ამ ტანჯვას თვალს ვადევნებთ. ვერაფერს შეცვლი.
გარედან ჭექა-ქუხილის ხმა მოისმა, დიდი თავსხმა ახლოვდებოდა.
— არ შემიძლია, — უპასუხა მარიამ, — მე მგონი, სისულელეა, თავი შენს მხევლად წარმოვიდგინო, შენ კი — მასწავლებლად და მბრძანებლად. არავითარი „თეატრი“ არ არის საჭირო იმისათვის, რომ ტანჯვა იგემო. ცხოვრება ამის საშუალებას თითქმის ყოველდღე გვაძლევს.
ამასობაში ტერენსმა ყველა სანთელი აანთო. ერთი მათგანი შუა იატაკზე დადგა, მერე შამპანური დაასხა, ხიზილალა მოიტანა. მარიამ სულმოუთქმელად დალია, თან იმაზე ფიქრობდა, რომ ათასი ფრანკი უკვე ჩანთაში ედო, ფიქრობდა იმ ადამიანზე, რომელიც კიდეც

იზიდავდა და კიდეც აშინებდა. და იმაზე, თუ როგორ მორეოდა ამ შიშს. მან იცოდა, ეს ღამე ტერენსთან ყველა დანარჩენისაგან განსხვავებული იქნებოდა.
— დაჯექი.
„ეს სპექტაკლია, მე როლს ვთამაშობ“.
რა კარგია ბრძანების შესრულება. არაფერზე ფიქრი არ არის საჭირო, მხოლოდ უნდა დაემორჩილო. მარიამ საბრალოდ ითხოვა კიდევ ცოტა შამპანური, მაგრამ ტერენსმა არაყი მოიტანა. იგი უფრო სწრაფად ათრობდა, უფრო ძლიერ მოქმედებდა და ხიზილალასაც უფრო უხდებოდა.
მან ბოთლი გახსნა, მაგრამ თვითონ თითქმის არ მიჰკარებია. მარია მარტო სვამდა ჭექა-ქუხილის აკომპანემენტით. თავსხმა ისეთ დროს დაიწყო, თითქოს ცასაც და დედამიწასაც თავისი შმაგი ბუნების გამოხატვით ამ სპექტაკლში მონაწილეობა გადაუწყვეტიათო.
რაღაც მომენტში ტერენსმა კარადიდან პატარა ჩემოდანი გამოიღო და საწოლზე დადო.
— არ გაინძრე.
მარია გაშეშდა. ტერენსმა ჩემოდნიდან ორი წყვილი მეტალის ქრომირებული ხელბორკილი ამოიღო.
— ფეხები გადაშალე.
მარია დაემორჩილა. მან თავისი ნებით დაკარგა წინააღმდეგობის გაწევის უნარი. დაემორჩილა, რადგან თვითონ სურდა ეს. მარია ხვდებოდა, რომ ტერენსი ხედავდა გრძელი წინდებით შემოტმასნილ მის ბარძაყებს, შავ ტრუსებს და შეუძლია წარმოიდგინოს ის, რაც მათ ქვეშ იმალება.
— ადექი.
მარია სავარძლიდან წამოხტა, წაბარბაცდა და მიხვდა, რომ იმაზე მეტად დათვრა, ვიდრე ეგონა.
— არ გაბედო შემოხედვა! თავი ჩაღუნე! შენ არა გაქვს უფლება, შენს ბატონს თვალი გაუსწორო.
მანამდე, სანამ თავის დახრას მოასწრებდა, წვრილმა შოლტმა, თითქოს თვითონ გამოსხლტაო ჩემოდნიდან, ჰაერში გაიტკაცუნა.
— დალიე, მაგრამ თავი არ ასწიო.
მარიამ ერთმანეთის მიყოლებით სამი ჭიქა დალია. ახლა ეს უკვე სპექტაკლი კი არა, ცხოვრებისეული სინამდვილე იყო. მან საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა. ის თავს უსულო საგნად, იარაღად გრძნობდა, მაგრამ, რაც არ უნდა ძნელი იყოს ამის დაჯერება, მორჩილება სრული თავისუფლების შეგრძნებას ანიჭებდა. ახლა მარია აღარ იყო დამრიგებელი და ნუგეშისმცემელი, რომელიც მოწოდებულია, მოისმინოს საიდუმლო აღსარებანი და აღაგზნოს. ის ხელახლა გადაიქცა მამაკაცის მეტისმეტი ძალაუფლების ქვეშ გასრესილ გოგონად ბრაზილიის მიყრუებული ქალაქიდან.
— გაიხადე.
ეს სიტყვა იყო მშრალი, ყოველგვარ ვნებიან სურვილს მოკლებული და ამიტომაც, შესაძლოა, დაუჯერებელ ეროტიზმს შეიცავდა. მარიამ თავი დახარა, კაბა შეიხსნა, რომელიც იატაკზე ჩამოსრიალდა.
— იმედია ხვდები, რომ ცუდად მოიქეცი?
შოლტმა ისევ გაიტკაცუნა ჰაერში.
— შენ დაისჯები. როგორ გაბედე ჯიბრით მოქცევა? შენს ასაკში?! შენ ჩემ წინაშე მუხლებზე უნდა იდგე!
მარიამ მუხლებზე დაშვება დაიწყო, მაგრამ შოლტმა დაასწრო. ის მის სხეულს შეეხო და აიძულა გარინდულიყო. კანი აეწვა, მაგრამ კვალი თითქმის არ დააჩნდა.
— განა მე გიბრძანე მუხლებზე დადგომა? გიბრძანე თუ არა?

— არა.
ახალი დარტყმა.
— უნდა თქვა „არა, ჩემო ბატონო“.
კიდევ დარტყმა. კიდევ შოლტის მწველი შეხება. წამით თავში გაუელვა, რომ შეუძლია, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს. მაგრამ იქნებ ასე სჯობს, იქნებ ბოლომდე მიჰყვეს, და არა ფულის გულისათვის, არამედ იმისათვის, რაც უთხრა ტერენსმა პირველი შეხვედრისას: „ადამიანი მხოლოდ ბოლო ზღვრამდე მისვლისას შეიცნობს თავის არსს“.
ეს ყველაფერი ახალი იყო და დღემდე უცნობ შეგრძნებებს ჰპირდებოდა. სწორედ ეს იყო თავგადასავალი. მერე გადაწყვეტს, გააგრძელებს თუ არა. ამ წუთში კი მარია აღარ იყო ის, ვინც საკუთარი სხეულით შოულობდა ფულს, ვინც იცნობდა მხატვარს, რომელსაც მისაღებში ბუხარი აქვს და თავის შესაქცევ ამბებს ყვება. აქ მარია აღარაფერს წარმოადგენდა. ეს კი სწორედ ის იყო, რაზეც ოცნებობდა.
— გაიხადე ყველაფერი და ოთახში იარე ისე, რომ გიყურო. მარია თავაუწევლად და ხმის ამოუღებლად დაემორჩილა.
მამაკაცი, რომელიც მას შესცქეროდა, არ იხდიდა და სრულიად გულგრილი იყო. ვინ შეიცნობდა ახლა მასში იმ ბრიტანელს, რომელთან ერთადაც ის ტკბილად საუბრობდა „კოპაკაბანადან“ ოტელში მიმავალი. არა, ახლა მის წინ იდგა ლონდონიდან ჩამოსული ულისე, ციდან ჩამოსული თეზევსი, ქვეყნად ყველაზე საშიშ ქალაქში, ყველაზე ჩაკეტილ სულში შეჭრილი დამპყრობელი. მარიამ ლიფი და ტრუსი გაიხადა. ახლა ის ერთდროულად დაუცველად და დაცულად გრძნობდა თავს. შოლტმა ისევ გაიტკაცუნა Hჰაერში ისე, რომ არ შეჰხებია.
— თავი დაბლა! შენ დამცირებული იქნები, მე ყველაფერს გაგიკეთებ, რაც მომესურვება, გაიგე?
— დიახ, ბატონო.
ტერენსმა ხელები დაუკავა და მაჯებზე ხელბორკილები დაადო.
— შენ სრულად მიიღებ სასჯელს. ეს გასწავლის წესიერად მოქცევას.
გაშლილი ხელი ტყლაშუნით მოხვდა დუნდულზე და მარიამ ტკივილისაგან წამოიყვირა.
— აჰა, არ მოგწონს? ჯერ სადა ხარ!
სანამ მომხდარს გაიაზრებდა, პირი ტყავის ალიკაპმა აუკრა. ის ისე იყო მოწყობილი, რომ ლაპარაკში ხელს არ უშლიდა, მარიას შეეძლო ეძახა „ყვითელი“ ან „წითელი“. მისმა ბედისწერამ ინება, უფლება მიეცა ამ კაცისათვის, ეკეთებინა ყველაფერი, რაც მოეპრიანებოდა. შიშველს, ხელბორკილდადებულს და პირაკრულს ეჩვენებოდა, რომ მის ძარღვებში სისხლის ნაცვლად არაყი ჩქეფდა.
ახალი მჭექარე დარტყმა დუნდულებზე.
— ნუ დგახარ ხესავით! იმოძრავე!
მარია ოთახში ამოძრავდა, თან მის ბრძანებებს ასრულებდა, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით ჭექდა — „სდექ“, „მარჯვნივ“, „დაჯექი“, „ფეხები გადაშალე“. დროდადრო სრულიად უმიზეზოდ უმოწყალო დარტყმებს იღებდა. განიცდიდა ტკივილსა და დამცირებას, რომელიც ტკივილზე ძლევამოსილი და ძლიერი იყო, და რაღაც სხვა სამყაროში ხვდებოდა, სადაც სხვა არაფერი არსებობდა, ამის გარდა. ამ თვითდამცირებაში, საკუთარი „მე“-ს დაკარგვაში, საკუთარი სურვილებისა და ნების დაკარგვაში იყო რაღაც რელიგიური ექსტაზის მსგავსი. იმავდროულად მისი აღგზნებაც ძლიერდებოდა და მარიას თვითონაც ვერ გაეგო, რატომ იყო ასეთი სველი.
— მუხლებზე!
რადგან მარიას თავი უწინდებურად მორჩილად დაეხარა, მას არ შეეძლო დაენახა, თუ რა ხდებოდა ირგვლივ, მაგრამ მაინც შენიშნა, უფრო სწორად, შეიგრძნო, რომ სადღაც იქ, სხვა

გალაქტიკაში, სხვა პლანეტაზე ეს ადამიანი სულ უფრო მძიმედ და წყვეტილად სუნთქავდა. ალბათ, შოლტის ქნევამ და გაშლილი ხელისგულით დუნდულებზე ტყლაშუნმა დაღალა, მაშინ, როდესაც მარია ყოველ წუთს გრძნობდა ძალების უჩვეულო მოზღვავებას. ბოლოს მორიდება სრულიად დაკარგა, თავი დაანება იმის დამალვას, რომ ეს ყველაფერი სიამოვნებას ანიჭებდა, აკვნესდა, მოფერებას, ნაზად შეხებას ითხოვდა, მაგრამ ტერენსმა ამის ნაცვლად აიტაცა და საწოლზე დააგდო.

მკვეთრი, უხეში მოძრაობით (მაგრამ მარიამ იცოდა, რომ იგი არავითარ ზიანს არ მიაყენებდა) ფეხები გადაუშალა და საწოლზე მიაბა. ზურგსუკან შებორკილი ხელები, გადაშლილი ბარძაყები, პირში ალიკაპი — ბოლოს და ბოლოს, როდისღა შევა მასში? ნუთუ ვერ ხედავს, რომ მარია დნება სურვილისაგან, უკვე მზად არის, ემსახუროს მას, გააკეთოს ყველაფერი, რასაც კაცი მოისურვებს, გახდეს მისი მხევალი, შინაური ცხოველი, უსულო საგანი?!

— გინდა, შუაზე გაგხლიჩო?

ტერენსმა შოლტის ტარი საშოზე მიადო და ზევით-ქვევით აატარ-ჩაატარა. იმ წამს, როგორც კი ტარი კლიტორს შეეხო, მარიამ საბოლოოდ დაკარგა საკუთარ თავზე კონტროლი. აღარ იცოდა, რამდენი დრო გავიდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ნეტარი წამება და უცაბედად მოხდა ის, რასაც მთელი ამ თვეების მანძილზე ვერ მიაღწია ათობით, ასობით მამაკაცთან. ორგაზმმა უწია, ორგაზმმა დაფარა იგი. შუქმა იფეთქა, მარიამ იგრძნო, რომ რაღაც შავ ხვრელში მიფრინავს (საკუთარი სულის ხვრელში ხომ არა?). მწვავე ტკივილი და შიში ყოვლისშთანმთქმელ სიამოვნებას შეერია, რომელსაც შორს, ნანახისა და შეუცნობელის მიღმა მიჰყავდა. მარია აკვნესდა, აყვირდა, საწოლზე აფართხალდა. ვერც კი გრძნობდა მაჯებში ჩაჭერილ ხელბორკილებს და კოჭებზე ტყავის ღვედებს, ერთიანად აკანკალდა, სწორედ იმიტომ, რომ დაბმული იყო; აყვირდა ისე, როგორც არასოდეს უყვირია, სწორედ იმიტომ, რომ ალიკაპი ახშობდა მის ყვირილს და ვერავინ გაიგებდა მას. ტკივილთან ერთად სიამოვნებაც გრძელდებოდა, შოლტის ტარი სულ უფრო მაგრად ეხებოდა კლიტორზე და ორგაზმმა გადმოხეთქა მისი სხეულის ყველა ხვრელიდან — პირიდან, თვალებიდან, საშოდან, მისი კანის ყოველი ფორიდან.

მარია თითქმის უგონოდ იწვა. გრძნობდა, როგორ დაეშვა ნელ-ნელა ქვევით. შოლტის ტარი გაქრა, ოფლმა თმები დაუსველა. ვიღაცის მზრუნველმა თითებმა მაჯებზე ხელბორკილი მოხსნა, კანჭებიდან კი — ტყავის ღვედები.

რაღაც დროის მანძილზე გაუნძრევლად იწვა. ძრწოლამ აიტანა და ვერ ბედავდა ტერენსისათვის შეეხედა, რცხვენოდა საკუთარი თავის, თავისი ყვირილის, თავისი ორგაზმის გამო. ტერენსი თმაზე ხელს უსვამდა, ისიც მძიმედ სუნთქავდა, თუმცა, მან მარიას სიამოვნება არ გაიზიარა და წამითაც არ დაუკარგავს თავშეკავების უნარი.

მარია მთელი თავისი შიშველი სხეულით შემოეხვია მას, ისევ ჩაცმულს და ერთიანად გატანჯულს ყვირილით, ბრძანებებითა და სიტუაციის მუდმივი კონტროლით. მარიამ აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ თავს ისე გრძნობდა, თითქოს ვიღაცა საიმედოდ იცავდა და მფარველობდა. ეს ადამიანი, რომელმაც მისი ბუნების უხილავი მხარე გაუხსნა და დაანახვა, მასწავლებელიც იყო და მფარველიც.

მარია ატირდა, ტერენსი კი მოთმინებით იცდიდა.

— ეს რა გამიკეთე?

— ის, რაც გინდოდა, რომ გაეკეთებინათ შენთვის.

მარიამ თავი ასწია, შეხედა ტერენსს და მიხვდა, როგორ სჭირდებოდა ის.

— მე არაფერი დამიძალებია, იძულებით არაფერი გამიკეთებინებია, არც ერთხელ არ გამიგონია სიტყვა „ყვითელი“; შენ თვითონ ჩამაბარე შენს თავზე ძალაუფლება. არავითარი ძალადობა, არავითარი შანტაჟი. არაფერი, შენი ნების გარდა! და თუმცა მხევალი იყავი, მე კი

— შენი მბრძანებელი, ჩემი ძალაუფლება ის იყო, რომ შენი საკუთარი თავისუფლების მიმართულებით წამეყვანე.
ხელბორკილები, ტყავის ღვედები, აწითლებული დუნდულები, ალიკაპი, დამცირება, რომელიც ტკივილზე უფრო მწვავე და ძლიერი იყო. და მაინც — ის მართალია! — მარიას ადრე არასოდეს უგრძნია საკუთარ თავში ასეთი ენერგია, ასეთი სასიცოცხლო ძალა. უცნაურია, რომ მის გვერდით მყოფი ადამიანი სრულიად ქანცგაწყვეტილად გამოიყურება.
— შენ? შენ კი... მიაღწიე ორგაზმს?
— არა, — უპასუხა მან, — მბრძანებელი იმისთვის არსებობს, რომ თავისი ნება თავს მოახვიოს მონას. მონის სიამოვნება მბრძანებლისათვის სიხარულია.
ასეთი რამ მარიას ჯერ არ სმენოდა, ცხოვრებაშიც და წიგნებშიც ყველაფერი პირიქით იყო. მაგრამ ის ფანტასტიკურ სამყაროში იმყოფებოდა, მარიასაგან შუქი მოდიოდა, ხოლო მამაკაცი მის გვერდით მკრთალი და ჩამქრალი ჩანდა.
— თუ გინდა, წადი, — თქვა ტერენსმა.
— არ მინდა წასვლა, მინდა მივხვდე.
— აქ მისახვედრი არაფერია.
მარია წამოდგა სიშიშვლის მთელი ძალითა და სილამაზით, ორი ჭიქა ღვინით გაავსო, ორ სიგარეტს მოუკიდა და ერთი მას გაუწოდა. ახლა მათ როლები გაცვალეს: ქალბატონი ემსახურებოდა მონას მინიჭებული სიამოვნებისათვის.
— ახლავე ჩავიცვამ და წავალ. მაგრამ მე მინდოდა, გვესაუბრა.
— რა გვაქვს სალაპარაკო? მე ეს მინდოდა და შენც შესანიშნავი იყავი. დავიღალე, ხვალ კი ლონდონში უნდა დავბრუნდე.
ტერენსი საწოლზე გაიჭიმა და თვალები დახუჭა. მარიამ აღარ იცოდა, მართლა დაიძინა, თუ თავს იმძინარებდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მან სიამოვნებით მოსწია სიგარეტი, ნელ-ნელა გამოწრუპა ღვინო, თან ფანჯარასთან იდგა და ტბას გასცქეროდა. უნდოდა, მეორე ნაპირიდან ვინმეს დაენახა ასეთი: შიშველი, დაკმაყოფილებული და საკუთარ თავში დაჯერებული.
მერე ჩაიცვა და გამოვიდა ისე, რომ არც დამშვიდობებია. არც იმაზე უდარდია, რომ თვითონ გააღო კარი, რადგან ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, ოდესმე აქ დაბრუნება თუ მოუნდებოდა.
ტერენსმა გაიგონა კარის ჯახუნი, ცოტა შეიცადა, სანამ არ დარწმუნდა, რომ მარია ხელახლა არ დაბრუნედებოდა იმ საბაბით, თითქოს რაღაც დარჩა, და მხოლოდ ამის შემდეგ წამოდგა სიგარეტის მოსაკიდებლად.
„ამ გოგოს გემოვნება აქვს“, — გაიფიქრა მან. შოლტს გაუძლო, თუმცა ეს ყველაზე ბანალური, ყველაზე ძველთაძველი და ყველაზე უწყინარი რამ არის ყველა სხვა წამებას შორის. წამით გაახსენდა, პირველად როგორ შევიდა მეორე ადამიანთან ამ საიდუმლო კავშირში, რომელიც მაშინ წარმოიქმნება, როცა ორ არსებას ერთმანეთთან მიახლოება სურს, მაგრამ ამას სხვაგვარად ვერ აკეთებენ, თუ ერთმანეთს ტანჯვა არ მიაყენეს.
იქ, ამ სასტუმროს კედლებს მიღმა, მილიონობით ცოლქმრული წყვილი ყოველდღიურად ეძლევა სადომაზოხიზმის საიდუმლოებას ისე, რომ თვითონაც ვერ აცნობიერებს ამას. დილაობით ქმრები მიდიან სამსახურში, საღამოს ბრუნდებიან შინ, ბუზღუნებენ და ჩივიან, არაფერი არ მოსწონთ, ტირანებივით ექცევიან ცოლს ან ისმენენ მის საყვედურებს, თავს ძალიან უბედურად გრძნობენ, მაგრამ, ამავე დროს, მყარად არიან მიჯაჭვულნი თავიანთ უბედურებას და ვერ ხვდებიან, რომ საკმარისია ერთი მოძრაობა, ერთი პატარა ფრაზა „აღარ მინდა“, რომ მისი ჩაგვრისაგან გათავისუფლდნენ. ტერენსმა ეს თავის ცოლთან, ცნობილ ინგლისელ მომღერალთან გამოსცადა. საშინლად ეჭვიანობდა მასზე, სცენებს უმართავდა. დღისით მუჭა-მუჭა იყრიდა პირში ტრანკვილიზატორებს, საღამოობით კი თვრებოდა. ცოლს

უყვარდა იგი და ვერ გაეგო, რატომ იქცეოდა ასე, მასაც უყვარდა ცოლი და ვერ გაეგო, რა უნდოდა. გეგონებოდა, ეს ტანჯვა, რომელსაც ერთმანეთს აყენებდნენ, აუცილებელი იყო მათი ერთობლივი ცხოვრებისათვის.
და აი, ერთხელაც ვიღაც მუსიკოსს (ტერენსი მას ცოტა უცნაურად მიიჩნევდა, რადგან მათ ექსტრავაგანტურ გარემოში მეტისმეტად ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა) მათ სტუდიაში დარჩა წიგნი, რომლის ავტორი ლეოპოლდ ფონ ზახერ-მაზოხი იყო. წიგნს „დამსჯელი ვენერა“ ერქვა. ტერენსი ჩაუჯდა წიგნს, ინტერესით დაიწყო კითხვა და აღმოაჩინა, რომ მისი წყალობით უკეთ გაუგო საკუთარ თავს.
„მშვენიერმა ქალმა ტანთ გაიხადა და აიღო მოკლეტარიანი შოლტი. ტარზე ყულფი ჰქონდა, რომლითაც იგი მაჯაზე მაგრდებოდა. „შენ მთხოვე, — თქვა მან, — მე შენ გაგროზგავ“. „მიდი, გააკეთე ეს, — ჩაიჩურჩულა მისმა საყვარელმა, — გევედრები“.
ამ დროს ცოლი მინის ტიხარს იქით რეპეტიციას გადიოდა. მისი თხოვნით მიკროფონები, რომელთა მეშვეობით ხმის ოპერატორებს შეეძლოთ ყველაფერი მოესმინათ, გამორთული იყო. ტერენსმა გადაწყვიტა, რომ მისი ცოლი პაემანს უნიშნავს კონცერტმეისტერს, მკაფიოდ შეიგრძნო ეს. ცოლმა ის სიგიჟემდე მიიყვანა, მაგრამ უკვე იმდენად მიეჩვია ტანჯვას, რომ ველარ ძლებდა მის გარეშე.
„— მე შენ გაგროზგავ, — ამბობდა გაშიშვლებული ქალი რომანის ფურცლებზე, — მიდი, გააკეთე ეს, გევედრები“.
ტერენსი ლამაზი კაცი იყო, კომპაქტ-დისკების გამომშვებ კომპანიაშიც თვალსაჩინო მდგომარეობა ეკავა, მაშ, რატომ იყო განწირული ასეთი ცხოვრებისათვის?
იმიტომ, რომ მას ეს მოსწონდა. მას მიაჩნდა, რომ იმსახურებდა ტანჯვას თუნდაც იმიტომ, რომ არ დაუმსახურებია ის მოწყალება, რომლითაც ასე უხვად აჯილდოებდა მას ბედისწერა: არ იმსახურებდა არც ფულს, არც სახელს, არც პატივისცემას. და როცა გააცნობიერა, რომ თავის კარიერაში ზღვარს მიაღწია, რომლის იქითაც სრულად იქნებოდა დამოკიდებული წარმატებაზე, შეშინდა, რადგან ბევრჯერ უნახავს, როგორ ცვივიან ადამიანები მათ მიერ დაპყრობილი სიმაღლეებიდან.
მან წაიკითხა ეს წიგნიც და სხვა დანარჩენიც, სადაც ლაპარაკი იყო ტკივილისა და სიამოვნების ურთიერთკავშირზე. ცოლი წააწყდა ამ წიგნებს, იპოვა გაქირავებიდან გამოტანილი კასეტები და ჰკითხა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ავად ხომ არა ხარო? არა, უპასუხა ტერენსმა, ეს მხოლოდ მასალაა ახალი სამუშაოსათვისო. და ისე, სხვათა შორის, დასძინა:
„იქნებ ჩვენც გვეცადა?“
და მათ სცადეს. თავიდან მორიდებით და გაუბედავად, სექს-შოპებში მოძიებული სახელმძღვანელოს მონური მიბაძვით. შემდეგ უფრო თამამად და გამომგონებლურად, რისკით და თავისუფლად. ამავე დროს, ორივენი გრძნობდნენ, რომ მათი ოჯახი სულ უფრო მყარი ხდებოდა. ამიერიდან უბრალოდ ცოლი და ქმარი კი არ იყვნენ, არამედ თანამზრახველები რომელიღაც საიდუმლო, აკრძალულ, საძრახის საქმეში.
მათი ექსპერიმენტები ხელოვნებაშიც გამოვლინდა. ისინი იგონებდნენ მეტალითა და ტყავით გაწყობილ ახალ კოსტიუმებს. ცოლი ესტრადაზე მაღალყელიან ჩექმებში, საკვართულებიანი წინდებით, შოლტით ხელში გამოდიოდა და პუბლიკა ექსტაზამდე მიჰყავდა. ახალ კომპაქტ-დისკს უცვლელად ეკავა პირველი ადგილები ჰიტ-აღლუმებში თავიდან ინგლისში, შემდეგ კი მთელ ევროპაში. ტერენსს უკვირდა, რატომ აღმოჩნდა ახლობელი სრულიად ახალგაზრდა ადამიანებისათვის მისი საკუთარი, ბოდვის ზღვარზე მყოფი ფანტაზიები და ერთადერთ ახსნას პოულობდა: მხოლოდ ასე შეიძლება მისცე გზა დამთრგუნველ სწრაფვას ძალადობისკენ; მშფოთვარე, ხმაურიანი, მაგრამ უვნებელი გზა.
შოლტი გახდა მათი ჯგუფის სიმბოლო: მას გამოსახავდნენ მაისურებზე, საფოსტო ბარათებზე, აფიშებზე, ნაწებებზე, მათი თაყვანისმცემლები მას სხეულზე ისვირინგებდნენ. ტერენსს

მიღებულმა კარგმა განათლებამ უბიძგა, ეძებნა ამ ყველაფრის საწყისები და ფესვები. ამ მოვლენის ახსნით მას უკეთ ესმოდა საკუთარი თავისა.
არა, ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ამ მეძავს უამბო პირველი შეხვედრისას, — არა, მომნანიებლები არ ცდილობდნენ მსოფლიო სენის განდევნას. დასაბამიდან ადამიანმა გაიგო, რომ უდრტვინველად ტანჯვის მიღება არის თავისუფლების საშვი.
ეგვიპტეშიც, რომშიც, სპარსეთშიც არსებობდა რწმენა, რომ თუ ადამიანი თავს გაწირავს, მაშინ ის შეძლებს თავისი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს გადარჩენას. როდესაც ჩინეთში რაიმე სტიქიური უბედურება ხდებოდა, სჯიდნენ იმპერატორს, რადგანაც სწორედ ის იყო დედამიწაზე ღვთიური ძალების წარმომადგენელი. ძველ სპარტაში საუკეთესო მეომრებს წელიწადში ერთხელ დილიდან საღამომდე როზგავდნენ ქალღმერთ არტემიდეს პატივსაცემად, ბრბო კი შეძახილებით ამხნევებდა და მოუწოდებდა მეომრებს, ღირსეულად მოეთმინათ ტკივილი, რადგანაც ის წარმართავდა მათ ბრძოლებისა და ლაშქრობებისაკენ. რიტუალის დასრულებისას ქურუმები მეომრებს უთვალიერებდნენ ზურგზე იარებს და მათი განლაგების მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ მომავალს.
„მეუდაბნოე მამები“, წევრები ადრექრისტიანული თემისა, რომელიც IV საუკუნეში წარმოიქმნა, იკრიბებოდნენ ალექსანდრიის მონასტერში და მათრახებით როზგავდნენ ერთმანეთს. ამით განაგდებდნენ დემონებს და ამტკიცებდნენ ხორცის არარაობას სულიერების ძიებაში. წმინდანთა ცხოვრება აჭრელებულია მსგავსი მაგალითებით: წმინდა როზა ბაღში დარბოდა და ეკლები უღადრავდა სხეულს, წმინდა დომინიკო ყოველ საღამოს ძილის წინ იშოლტავდა ხორცს, წამებულნი ნებაყოფლობით იღებდნენ ნელ სიკვდილს ჯვარზე გაკვრით ან გარეული მხეცების ბრჭყალებისა და ეშვებისაგან გამოწვეულს. ყველა ამბობდა, რომ დაძლეულ ტანჯვას შეუძლია, მიანიჭოს ადამიანს რელიგიური ექსტაზი.
სულ ახლანდელი, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუდასტურებელი გამოკვლევები მოწმობს, რომ სოკოს გარკვეულ ჯიშს ჰალუცინოგენური თვისებები აქვს: ადამიანს აიძულებს, ცხადშიც იოცნებოს. ეს ისეთი სიამოვნების მომნიჭებელია, რომ მალე მსგავსი ცდები მონასტრის კედლებს გასცდა და მთელი მსოფლიო დაიპყრო.
1718 წელს გამოვიდა „ტრაქტატი თვითგვემის შესახებ“, რომელშიც აღწერილი იყო, როგორ უნდა მიიღო სიამოვნება ფიზიკური ტკივილის გზით ისე, რომ ზიანი არ მიაყენო საკუთარ თავს. XVIII საუკუნის დასასრულს ევროპაში არსებობდა ათობით ადგილი, სადაც ადამიანები ტანჯვით აღწევდნენ ნეტარებას. შემონახულია ცნობები მეფეებსა და სეფექალებზე, რომლებიც უბრძანებდნენ მსახურებს, გაეროზგათ საკუთარი თავი. მერე კი ხვდებოდნენ, სიამოვნება მხოლოდ იმაში კი არ არის, რომ აიტანო ტკივილი, არამედ იმაშიც, რომ მიაყენო ის სხვას, თუმცა ეს უფრო მომქანცველია და ნაკლებად სასარგებლო.
ტერენსი სიგარეტს აბოლებდა და გარკვეულ კმაყოფილებას განიცდიდა იმის გაფიქრებაზე, რომ კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ვერასდროს გაუგებდა მას.
ის თავს რომელიღაც დახურული კლუბის წევრად გრძნობდა, სადაც მხოლოდ რჩეულნი დაიშვებიან. ტერენსი ისევ და ისევ იხსენებდა, როგორ გარდაიქმნა მისი ურთიერთობა ცოლთან მუდმივი წამებიდან ჭეშმარიტ სასწაულად. ცოლმა იცოდა, რისთვის დადიოდა იგი დროდადრო ჟენევაში, მაგრამ ეს სრულიად არ ანაღვლებდა. პირიქით, მას უხაროდა, რომ ქმარი მთელი კვირის მომქანცველი შრომის შემდეგ იქ სასურველ განმუხტვას იღებდა.
ტერენსმა სავსებით გაუგო გოგონას, რომელმაც ეს წუთია დატოვა მისი ნომერი. შეიგრძნო, როგორ დაახლოვდნენ მათი სულები, თუმცა გააცნობიერა, რომ ჯერ კიდევ არ არის მზად, შეიყვაროს იგი, რადგანაც თავისი ცოლი უყვარს. თუმცა მას მოსწონდა, წარმოედგინა თავისი თავი უცოლოდ და თავისუფლად. ეს ახალ კავშირებზე ოცნებაში ეხმარებოდა.

ახლა დარჩა ყველაზე ძნელი: მან მარია უნდა გადააქციოს დამსჯელ ვენერად, მბრძანებლად, ქალბატონად, რომელსაც შესწევს უნარი, უმოწყალოდ დაამციროს და შეუბრალებლად დასაჯოს. თუ შეძლებს ამ გამოცდის ჩაბარებას, მაშინ ტერენსი მას გულს გადაუხსნის.
ჩანაწერი არყისაგან და სიამოვნებისაგან ჯერ ისევ მთვრალი მარიას დღიურში:

იმ წამს, როდესაც დასაკარგი აღარაფერი მქონდა, ყველაფერი მივიღე. იმ წამს, როდესაც უკვე აღარ ვიყავი ისეთი, როგორიც უწინ, საკუთარი თავი ვპოვე.
იმ წამს, როდესაც შევიცანი დამცირება და სრული მორჩილება, თავისუფლება მივიღე. არ ვიცი, იქნებ გონება დამებინდა, იქნებ ეს სიზმარია, იქნებ ეს აღარასოდეს განმეორდება. დიახ, მე ვიცი, რომ უამისოდაც შევძლებ ცხოვრებას, მაგრამ მსურს, კვლავ შევხვდე ტერენსს, გავიმეორო განცდილი და უფრო შორს წავიდე.
ტკივილი მაშინებდა, მაგრამ ის უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე დამცირება და მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა. იმ წამს, როცა მრავალი თვის განმავლობაში პირველად — არადა რამდენი კაცი მყოლია ამ ხნის მანძილზე და რაღას არ უშვრებოდნენ ჩემს სხეულს! — განვიცადე ორგაზმი, ვიგრძენი, — რაც არ უნდა მკრეხელურად ჟღერდეს, — უფრო დავუახლოვდი ღმერთს. მე გამახსენდა მისი მონათხრობი შავი ჭირის შესახებ, როდესაც მონანიე ფლაგელანტები თავიანთი ტანჯვით გამოისყიდიდნენ ადამიანთა მოდგმას და ამაში პოვებდნენ სიამოვნებას. მე არ მინდა კაცობრიობის ან ამ ინგლისელის, ან საკუთარი თავის გადარჩენა! მაგრამ მე ვიყავი იქ!
სექსი — ეს აულაგმავის ალაგმვის ხელოვნებაა.

არა, ახლა ეს უკვე არავითარი თეატრი არ იყო. ისინი მართლა ისხდნენ ვაგზალზე. მარიას უნდოდა იმ საკვების გასინჯვა, რომელსაც მხოლოდ აქ ყიდიდნენ. ზოგჯერ შეიძლება, ცოტა იჭირვეულო. რალფი ერთი დღით ადრე უნდა ჩამოსულიყო, როცა მარია ჯერ კიდევ სიყვარულის მაძიებელი ქალი იყო, როცა ბუხარი, ღვინო, სურვილი მისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო. თუმცა ცხოვრებამ სხვაგვარად გადაწყვიტა და დღეს მან მთელი დღის განმავლობაში მოახერხა, იოლად გასულიყო ასე ჩვეული ვარჯიშის გარეშე — არ გაემახვილებინა ყურადღება ხმებზე და იმაზე, რაც სინამდვილეში არსებობს. საამისოდ კი მარტივი მიზეზი ჰქონდა: ის აღარ ფიქრობდა რალფზე, რადგანაც რაღაც უფრო საინტერესო გამოჩნდა.
რა უყოს ამ კაცს, რომელიც ახლა მის გვერდით ზის და საჭმელს შეექცევა? თან, ეტყობა, ეს საჭმელი სულაც არ მოსწონს. დრო მოკლას, სანამ არ დამდგარა მასთან წასვლის საათი? როდესაც ის „კოპაკაბანაში“ შემოვიდა და ჰკითხა, შეიძლება თუ არა მისი დაპატიჟება, მარიამ დააპირა ეთქვა: არა, მასთან ყოფნა მისთვის უინტერესოა, მან სხვა იპოვა, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან უნდოდა ვინმესთვის გაეზიარებინა გასული ღამის შთაბეჭდილებები.
მარია შეეცადა, ამაზე „კოპაკაბანას“ იმ გოგონებთან ესაუბრა, რომლებიც „განსაკუთრებულ კლიენტებს“ ემსახურებოდნენ, მაგრამ არც ერთი არ დაინტერესდა ამით. მარია გამოცდილი იყო, ყველაფერს სწრაფად ითვისებდა და „კოპაკაბანაში“ ცოტა ვინმე თუ გაუწევდა მეტოქეობას. რალფ ჰარტი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც შეეძლო, გაეგო მისი, ტყუილად ხომ არ ეძახდა მილანი „განსაკუთრებულ კლიენტს“, — მაგრამ მის თავალებში სიყვარული კიაფობდა და ეს ართულებდა საქმეს. ასე რომ, გაჩუმება ჯობდა.
— რა იცი ტკივილის, ტანჯვისა და უზარმაზარი სიამოვნების შესახებ?
აი, ისევ ვერ მოითმინა.
რალფმა თეფში განზე გასწია.
— ყველაფერი. და ეს მე არ მაინტერესებს.

მან დაუყოვნებლივ უპასუხა, თითქოს მზად იყო ამ შეკითხვისთვის. მარია გაოგნდა: გამოდის, რომ ამის შესახებ მის გარდა მთელმა ქვეყანამ იცის. ღმერთო დიდებულო, ეს რა ქვეყანა ყოფილა!
— მე შევიცანი დემონები, რომლებიც მჯაბნიდნენ. შევიცანი ჩემ გარშემო მოქუფრული წყვდიადიც, — განაგრძობდა რალფი, — მე დავეშვი ფსკერზე, მე გამოვცადე ყველაფერი — და არა მარტო ამ სფეროში, არამედ ბევრ სხვაშიც. ჩვენი ბოლო შეხვედრისას მე შევძელი უკანასკნელი ზღვრისათვის მიმეღწია, მაგრამ არა ტანჯვის, არამედ სურვილის გზით. მე დავეშვი საკუთარი სულის ფსკერზე და ახლა ვიცი, რომ არის ამქვეყნად კიდევ ბევრი, ბევრი მშვენიერი რამ.
მას სურდა, დაემატებინა: „და შენც მათ შორის, ამიტომაც გადაუხვიე ამ გზიდან, გეთაყვა“, მაგრამ ვერ გაბედა. მან ტაქსი გამოიძახა და ტბის სანაპიროზე წაყვანა სთხოვა, სადაც ოდესღაც — მთელი საუკუნის წინ — გაცნობის დღეს, ერთად სეირნობდნენ. მარიას გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს: ქვეცნობიერად მიხვდა, რომ მას რაღაც აქვს დასაკარგი, თუმცა წინადღით მომხდარისაგან გონება უწინდებურად უბრუოდა.
ამ განცხრომისაგან მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც ტბის პირას, ბაღში აღმოჩნდნენ. ჯერ ისევ ზაფხული იდგა, მაგრამ ღამით მაინც ციოდა.
— აქ რისთვის მოვედით? — ჰკითხა მარიამ, — გრძნობ, როგორ მაგრად უბერავს? გავცივდები.
— მე ბევრი ვიფიქრე იმაზე, რაც ვაგზალზე მკითხე ტანჯვასა და სიამოვნებაზე. ფეხსაცმელი გაიხადე.
მარიამ გაიხსენა, როგორ სთხოვა იგივე მისმა ერთ-ერთმა კლიენტმა და როგორ აღეგზნო ის ქალის შიშველი ტერფების დანახვაზე. ნუთუ ვერასოდეს დააღწევს თავს თავგადასავლებს?
— გავცივდები, — გაჯიუტდა მარია.
— გააკეთე, რასაც გეუბნებიან, — არანაკლები სიჯიუტით მიუგო რალფმა, — აქ დიდხანს არ დავრჩებით, ასე რომ, გათოშვას ვერ მოასწრებ. დამიჯერე ისე, როგორც საკუთარი თავისა გჯერა.
მარია მიხვდა, რომ რალფს მისი დახმარება უნდოდა — იმიტომ ხომ არა, რომ სრულად გამოსცალა ბალღამით სავსე თასი და ახლა არ უნდა, რომ მანაც იგემოს იგი? მაგრამ მარია არ საჭიროებდა ვინმეს დახმარებას, მას მოსწონდა ახლად მოპოვებული სამყარო, სადაც არც ტანჯვა იყო და არც სიმწარე და უბედურება. მარიამ ფიქრებით ბრაზილიაში გადაინაცვლა: იქ შეუძლებელი იქნება ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც მასთან ერთად ამ ახალ სამყაროს გაიზიარებს და რადგანაც ბრაზილია სხვა ყველაფერზე უფრო მთავარი იყო, მარია დაემორჩილა და ფეხსაცმელი გაიძრო. მიმოფანტულმა წვრილ-წვრილმა კენჭებმა უმალ დაუფლითა წინდები. ჯანდაბას, ახალს ვიყიდი.
— ჟაკეტიც.
ამჯერადაც შეეძლო ეთქვა „არა“, მაგრამ წუხანდელს აქეთ მასში ჩასახლდა უცნაური სიხარული, გამოწვეული შესაძლებლობით ეთქვა „ჰო“ ყველაფერზე, რაც გზაზე შეხვდებოდა. მარია დაემორჩილა. სიცივე მაშინვე ვერ შეიგრძნო, მაგრამ რამდენიმე წუთში გაითოშა.
— წამოდი, ვილაპარაკოთ.
— სიარული არ შემიძლია. აქ ყველგან წვეტიანი ქვაა.
— სწორედ ამიტომ უნდა წამოხვიდე: მე მინდა იგრძნო, როგორ გესობა ქვები ფეხისგულებში, და განიცადო ტკივილი, იმიტომ, რომ უნდა განიცადო — როგორც ეს მე განვიცადე ოდესღაც — სიამოვნებისაგან გამოცალკევებული ტანჯვა. მე მინდა ამოვგლიჯო იგი შენი სულიდან.
„არაფერიც არ გინდა. მე იგი მომწონს“, — კინაღამ წამოსცდა მარიას, მაგრამ გაჩუმდა და ნელ-ნელა წავიდა წინ. მალე სიცივემ და წვეტიანმა ქვებმა ერთიანად აუწვა ტერფები.
— ერთ-ერთი ჩემი გამოფენა იაპონიაში მოაწყვეს და იქ სწორედ მაშინ ჩავედი, როცა სრულად ვიყავი ჩაფლული იმაში, რასაც შენ „ტანჯვას, დამცირებასა და უდიდეს სიამოვნებას“ უწოდებ.

მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ უკანდასახევი გზა არ მქონდა, რომ უფრო და უფრო ღრმად ჩაფლობა მიწერია და რომ მხოლოდ ისღა დამრჩენოდა, ვაწამო და თავადაც ვეწამო. ბოლოს და ბოლოს, ყველანი საკუთარი დანაშაულის განცდით ვიბადებით, ვფრთხებით, როცა ბედნიერება სრულიად შესაძლო რამ აღმოჩნდება, და ვკვდებით, როცა გვინდა სხვისი დასჯა, რადგანაც მთელი ცხოვრება თავს უძლურად, უბედურად და არასათანადოდ დაფასებულად ვგრძნობდით. საკუთარი ცოდვების გამოსყიდვა და ცოდვილების დასჯის შესაძლებლობა — განა ეს არ არის უდიდესი სიამოვნება? დიახ, ეს შესანიშნავია.

მარია გვერდით მიჰყვებოდა მას, ცდილობდა, ყური დაეგდო, მაგრამ ტკივილი და სიცივე ხელს უშლიდა, ჩასწვდომოდა მისი სიტყვების არსს.

— დღეს შენს მაჯებზე ხელბორკილების კვალი შევნიშნე.

ხელბორკილები! მათი დაფარვის მიზნით რამდენიმე სამაჯური გაიკეთა — არ უშველა: გამოცდილი თვალი აუცილებლად შეამჩნევს ყველაფერს, რაც მას სჭირდება.

— და აი, რას გეტყვი: თუ ყველაფერი, რაც ცოტა ხნის წინ გამოსცადე, გაიძულებს, ეს ნაბიჯი გადადგა, მე ვერ შეგაჩერებ, მაგრამ იცოდე, ამ ყველაფერს საერთო არაფერი აქვს ჭეშმარიტ ცხოვრებასთან.

— რაზე ლაპარაკობ?

— ტკივილსა და სიამოვნებაზე. სადიზმსა და მაზოხიზმზე. რაც გინდა დაარქვი. მაშ ასე, თუ უწინდებურად დარწმუნებული ხარ, რომ სწორედ ეს არის შენი გზა, მე დავიტანჯები. მე მომაგონდება ჩემი სურვილი, ჩვენი შეხვედრები, როგორ მივუყვებოდით წმინდა იაკობის გზას, მომაგონდება ის შუქი — შენგან რომ მოდიოდა. მე შევინახავ სადმე შენს კალამს და ბუხრის ყოველი დანთებისას გაგიხსენებ. და, რა თქმა უნდა, შენთან შეხვედრას თავს ავარიდებ.

მარია შეშინდა, მიხვდა, რომ უკან დახევის დრო იყო, დრო იყო, სიმართლე ეთქვა და აღარ ეთვალთმაქცა, თითქოს მასზე მეტი იცის.

— ცოტა ხნის წინ, უფრო სწორად, გუშინ მე გამოვცადე ისეთი რამ, რაც ცხოვრებაში არასოდეს გამომიცდია. მე მეშინია, რომ ვარდნის უკიდურეს ზღვრამდე მისვლისას შეიძლება, საკუთარ თავს შეხვდე.

მარიას ლაპარაკი უჭირდა, სიცივისაგან კბილებს აკაწკაწებდა და შიშველი ფეხებიც სტკიოდა.

— ჩემს გამოფენაზე, რომელიც ქალაქ კუმანოში გაიმართა, გამოჩნდა ვინმე ტყისმჭრელი, — განაგრძო რალფმა, თითქოს მისი ნათქვამი არც გაუგიაო, — მას ჩემი ნახატები არ მოეწონა, მაგრამ მათი მეშვეობით გამოიცნო ის, რითაც მე ვცოცხლობ, რასაც ვგრძნობ. მეორე დღეს ჩემთან სასტუმროში მოვიდა და მკითხა, ბედნიერი ვარ თუ არა. თუ ვარ, შემიძლია, გავაგრძელო იმის კეთება, რაც მომწონს, თუ არა — უნდა წავყვე და მასთან რამდენიმე დღე გავატარო.

მან მაიძულა, ისევე, როგორც ახლა მე გაიძულებ შენ, ფეხშიშველს გამევლო წვეტიან ქვებზე. მაიძულა, სიცივისაგან გავტანჯულიყავი. მაიძულა, გამეგო ტკივილის მშვენიერება, რომელსაც გაყენებს ბუნება და არა ადამიანი. ამ ათასწლოვან გამოცდილებას შუგენ-დო ჰქვია.

კიდევ მითხრა, რომ ცხოვრობდა ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც ტკივილისა არ ეშინოდა, და ეს კარგი იყო, რადგანაც იმისათვის, რომ ფლობდე სულს, ჯერ უნდა ისწავლო საკუთარი სხეულის ფლობა. კიდევ მითხრა, რომ მე ტკივილს არასწორად ვიყენებ და ეს ცუდია, ძალიან ცუდი.

ის რომ, გაუთლელი ტყისმჭრელი ფიქრობდა, რომ უკეთ მიცნობს, ვიდრე მე ვიცნობდი საკუთარ თავს, ძალიან მაღიზიანებდა და იმავდროულად სიამაყით მავსებდა. ესე იგი, ჩემს ნახატებს შეუძლიათ, სრულად გადმოსცენ ის, რასაც მე ვგრძნობ.

ბასრმა კენჭმა ფეხზე კანი გადაუსერა, მაგრამ სიცივე ტკივილზე ძლიერი იყო და მარიას სხეულმა თითქოს მიიძინა, ის ძლივსღა ადევნებდა გულისყურს რალფის აზრთა მსვლელობას.

ამქვეყნად ყველას რატომ აინტერესებს მხოლოდ ტკივილი, რომელსაც ისინი მარიას აყენებენ?! წმინდა ტკივილი... სიამოვნების ტკივილი... ტკივილი განმარტებებით და მათ გარეშე, მაგრამ უცვლელად და მუდამ მხოლოდ ტკივილი, ტკივილი, ტკივილი...

გაჭრილ ფეხში ახლა სხვა ქვა შეესო და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ დაეყვირა. თავიდან მთელი ძალით ცდილობდა, სიმტკიცე შეენარჩუნებინა, შეენარჩუნებინა ძალაუფლება საკუთარ თავზე — ყველაფერი ის, რასაც რალფი „შუქს“ ეძახდა. მაგრამ თანდათან სულ უფრო უჭირდა სიარული, თავბრუ ეხვეოდა და გული ერეოდა. ხომ არ გავჩერდე, ეს ყველაფერი ხომ უაზრობაა, გაიფიქრა მან, მაგრამ არ გაჩერებულა.

არ გაჩერდა, იმიტომ, რომ თავმოყვარე იყო. იმდენს ივლიდა ფეხშიშველი, რამდენიც საჭიროა. უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდებოდა ეს გზა.

უეცრად კიდევ ერთმა აზრმა გაუელვა: რა იქნება, ხვალ რომ ვერ შეძლოს „კოპაკაბანაში“ მისვლა, დასისხლიანებული ფეხების ან სულაც გაციების გამო? და წარმოიდგინა კლიენტები, რომლებიც ტყუილად დაუწყებენ ლოდინს, მილანი, რომელიც ასე ენდობა, ფული, რომელსაც ვერ მიიღებს, ფაზენდა და მისით ამაყი მშობლები. მაგრამ ტანჯვამ დაჩრდილა ეს ფიქრები და მარია ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ, მხოლოდ ერთს ნატრობდა, იქნებ რალფ ჰარტს შეემჩნია, რა არაადამიანურ ძალისხმევად უჯდებოდა ეს და ეთქვა: აბა, გეყოფა, ჩაიცვი ფეხსაცმელი.

მაგრამ რალფი გულგრილი და შორეული ჩანდა, ის თითქოს ფიქრობდა, რომ მხოლოდ ასე შეძლებდა მარიას გათავისუფლებას იმისგან, რამაც ასე მიიზიდა და მოხიბლა. მოხიბლა და თან გაცილებით მკვეთრი კვალი დააჩნია, ვიდრე ფოლადის ხელბორკილებმა. მარია კი, თუმცა იცოდა, რომ რალფს დახმარება უნდოდა, ცდილობდა დაეძლია საკუთარი თავი, არ დანებებოდა და დაენახვებინა ნათელი თავისი ნებისყოფისა, თავისი ძალისა, ისე იტანჯებოდა ტკივილისაგან, რომ არაფერი, ტკივილის გარდა, უკვე აღარ რჩებოდა. ტკივილმა დაჩრდილა ყველა აზრი, ამაღლებულიც და მდაბალიც, შეავსო მთელი სივრცე, თან აშინებდა მას და აიძულებდა ეფიქრა, რომ არსებობს ზღვარი, რომლის მიღწევასაც მარია ვერ შეძლებდა.

და მაინც გადადგა ნაბიჯი.

კიდევ ერთი ნაბიჯი.

ეჩვენებოდა, რომ ტკივილი სულში ჩაეღვარა, აავსო და დაასუსტა, ერთია პატარა სპექტაკლის გათამაშება ჩინებული ოტელის ნომერში, სადაც მაგიდაზე ხიზილალა და არაყი აწყვია, ხოლო შენს გადაშლილ ფეხებს შორის შოლტის ტარი დასრიალებს და სულ სხვაა სიცივეში წვეტიან კენჭებზე ფეხშიშველა სიარული. მარია გაოგნებული იყო. მას რალფისათვის ერთი სიტყვის თქმის ძალაც კი არ შესწევდა, ახლა მთელი მისი სამყარო შედგებოდა ამ პატარა ბასრი კენჭებისაგან, რომლითაც მოფენილი იყო ბილიკი.

და როდესაც ფიქრობდა, რომ მეტს ვეღარ გაუძლებდა და დანებდებოდა, საოცარმა გრძნობამ მოიცვა: ის აღმოჩნდა ნაპირზე, ზღვარზე, რომლის იქითაც ცარიელი სივრცე იყო და სადაც ის ირაოს უვლიდა საკუთარ თავს. მას თავისი გრძნობებისა აღარა ესმოდა რა. მაგრამ განა ამას განიცდიდნენ თვითგვემის დროს „მონანულნი“? ტკივილის საპირისპირო პოლუსზე გაიხსნა სხვა გასასვლელი, ცნობიერებისაგან განსხვავებულ დონეზე, და აღარ დარჩა ადგილი სხვა რამისათვის, გარდა ულმობელი ბუნებისა და თვითონ მისი, დაუძლეველი მარიასი.

მის გარშემო ყველაფერი სიზმრად გადაიქცა: ეს მქრქალად განათებული ბაღი, ტბის მუქი ზედაპირი, მისი მდუმარე თანამგზავრი და რამდენიმე გამვლელი, რომლებმაც ყურადღებაც კი არ მიაქციეს იმას, რომ ფეხშველაა და ძლივს მიაბიჯებს. სიცივისაგან თუ ტანჯვისაგან — მარიამ უეცრად სხეულის შეგრძნება დაკარგა, აღმოჩნდა მდგომარეობაში, სადაც არ არსებობს არც სურვილები, არც შიში, საერთოდ არაფერი, გარდა რაღაც იდუმალი... დიახ, იდუმალი სიმშვიდისა. თურმე, ტკივილი — ეს არ არის ბოლო ზღვარი: მას უფრო შორს წასვლაც შესძლებია.

მარიამ გაიფიქრა იმათზე, ვისაც არ უნდოდა ტანჯვა და მაინც იტანჯებოდა. ის კი პირიქით მოიქცა, მაგრამ ამას ახლა აღარ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა. მარია გამოიჭრა თავისი ხორციელი ფარგლებიდან, სხეულის საზღვრებს გადააბიჯა და მას დარჩა მხოლოდ სული, „შუქი", გარკვეული სივრცე, ოდესღაც ვიღაცის მიერ სამოთხედ წოდებული. არსებობს ისეთი ტანჯვა, რომლის დავიწყება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოახერხებ აუტანელი ტკივილის დაძლევას, უფრო სწორად, მასზე ამაღლებას.
ბოლოს ისღა ახსოვდა, რომ რალფმა თავისი პიჯაკი მოახვია და ხელში აიტაცა. ეტყობა, სიცივისაგან გრძნობა დაკარგა, მაგრამ ამასაც არ ჰქონდა მნიშვნელობა. მარია კმაყოფილი იყო, მას არაფრის ეშინოდა. მან გაიმარჯვა. მან თავი არ დაიმცირა ამ ადამიანის წინაშე.

წუთები საათებად იქცა და მარიას მის მკლავებში დაეძინა. როცა გაიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თეთრ, ცარიელ საწოლზე იწევა და კუთხეში მდგარი ტელევიზორის გარდა სხვა არაფერი არ იყო ოთახში.
გამოჩნდა რალფი ცხელი შოკოლადით სავსე ფინჯნით ხელში.
— ყველაფერი კარგადაა, — თქვა მან, — შენ მოხვედი იქ, სადაც გინდოდა დაბრუნება.
— არ მინდა შოკოლადი, ღვინო მინდა. და იქ მინდა, ქვევით, ჩვენს ოთახში, სადაც წიგნებია მიმოფანტული და ბუხარი ანთია.
როგორ წამოსცდა, თითქოს თავისთავად აღმოხდაო — „ჩვენი ოთახი".
ტერფებზე დაიხედა — პატარა ჭრილობა და რამდენიმე ნაკაწრი. ორიოდე საათში მათი კვალიც კი აღარ იქნებოდა. მარია გაჭირვებით ჩამოდიოდა საფეხურებზე. თავისი კუთხისაკენ მიიწევდა, ხალიჩაზე, ბუხრის წინ. ის ხვდებოდა, რომ ყველაზე კარგად თავს სწორედ აქ გრძნობდა: აი, მისი ადგილი ამ სახლში.
— იმ ტყისმჭრელმა კიდევ ის მითხრა, რომ, როდესაც რაღაც ფიზიკური ვარჯიშის მსგავსს აკეთებს, როდესაც თავისი სხეულისგან ყველაფერს ითხოვს, რისი მოცემაც მას შეუძლია, ამ დროს ის რაღაც უცნობ სულიერ ძალას ჰპოვებს, სწორედ იმ შუქს, რომელიც შენში შევნიშნე. შენ რა იგრძენი?
— რომ ტკივილი ქალის თანამგზავრია.
— ეს სახიფათოა.
— რომ ტკივილს ზღვარი აქვს.
— ეს ხსნაა. არ დაივიწყო ეს.
მარიას გონება ჯერ ისევ დაბინდული ჰქონდა, ამ „სამყარომ" მაშინ გაუნათა გონება, როდესაც ის მისთვის დაწესებული ფარგლებიდან გავიდა. რალფმა მას ტანჯვის სხვა სახეობა აჩვენა და მანაც უცნაური სიამოვნება მიანიჭა.
რალფმა დიდი საქაღალდე აიღო და მარიას წინ გადაშალა. საქაღალდეში მისი ნახატები ეწყო.
— მეძავობის ისტორია. აი ის, რის შესახებაც მეკითხებოდი ჩვენი პირველი შეხვედრისას.
Hჰო, გეკითხებოდი, მაგრამ ეს ხომ დროის მოკვლისა და მოსაუბრის დაინტერესების საშუალება იყო. ახლა ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.
— მთელი ამ დღეების მანძილზე ზღვაში დავცურავდი. ვფიქრობდი, რომ არავითარი ისტორია არ არსებობს, არსებობს მხოლოდ უძველესი პროფესია, როგორც ამ ხელობას უწოდებენ. თუმცა ისტორია არსებობს და თანაც ორი.
— ეს რა ნახატებია?
რალფ ჰარტმა იმედგაცრუება იგრძნო იმის გამო, რომ მარიამ ვერ გაუგო მას, მაგრამ არ შეიმჩნია, თავი შეიკავა და განაგრძო:
— ეს მონახაზები მაშინ გავაკეთე, როცა წიგნებში ვიქექებოდი, ვკითხულობდი, ამონაწერებს ვაკეთებდი.

— ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. დღეს მე მინდა გავიგო, რა არის ტკივილი.
— შენ ეს გუშინ იგემე და აღმოაჩინე, რომ მას სიამოვნებისაკენ მივყავართ. შენ იგემე ის დღეს და იპოვე სამყარო. და ამიტომაც მე გეუბნები: არ მიეჩვიო, მასთან ძალიან ადვილია შეგუება, ეს კი სახიფათო წამალია. იგი დამალულია ჩვენს ყოველდღიურობაში, ფარულ ტანჯვაში, ჩვენს უარყოფაში, რომლის შედეგადაც ჩვენ ბრალს ვდებთ სიყვარულს იმაში, რომ ჩვენი ოცნებები არ ასრულდა. როცა ტკივილი თავის ჭეშმარიტ სახეს გვაჩვენებს, გვაშინებს და გვხიბლავს. ის გვევლინება ზვარაკისა და თვითგანდგომის საფარქვეშ. თვითგანდგომისა და სიმხდალის. რაც არ უნდა ამტკიცოს ადამიანმა, რაც არ უნდა უარყოს ტკივილი, ის მაინც ყოველთვის მონახავს საშუალებას, რOMომ ჰპოვოს იგი, შეიყვაროს იგი, მოაწყოს ისე, რომ ტკივილი გახდეს მისი ცხოვრების ნაწილი.
— არ მჯერა. ტანჯვა არავის არ უნდა.
— თუ შენ შეძლებ გაიგო, რომ შეგიძლია იცხოვრო ტანჯვის გარეშე, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ არ იფიქრო, რომ სხვები გაგიგებენ. დიახ, შენ მართალი ხარ: ტანჯვა არავის სურს და, მიუხედავად ამისა, ყველა ეძებს ტკივილსა და მსხვერპლს. ხოლო როცა მიაგნებენ, იგრძნობენ, რომ მათი ყოფიერება გამართლებულია, რომ სუფთანი არიან და ბავშვების, მეუღლეების, მეზობლებისა და უფლის პატივისცემას იმსახურებენ. ახლა ნუ ვიფიქრებთ ამაზე. მხოლოდ ის მინდა, იცოდე, რომ სამყაროს მართავს არა სიამოვნების წყურვილი, არამედ ყველაფრისაგან განდგომა, რაც მნიშვნელოვანი და ძვირფასია.
განა ჯარისკაცი ომში მტრის დასახოცად მიდის? არა, ის მიდის იმისთვის, რომ თავისი ქვეყნისათვის მოკვდეს. განა ქალი აჩვენებს ქმარს, როგორი კმაყოფილია? არა, მას სურს, რომ ქმარმა შეაფასოს მისი ერთგულების ხარისხი, მისი მზადყოფნა, იტანჯოს ქმრის ბედნიერებისათვის. განა ადამიანი სამსახურს თავისი პოტენციალის რეალიზების იმედით იწყებს? არა, ის თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის ღვრის ოფლსა და ცრემლს. და ასე გრძელდება: შვილები უარს ამბობენ ოცნებაზე, რათა მშობლები გაახარონ, მშობლები უარს ამბობენ თვით ცხოვრებაზე, რათა შვილები გაახარონ, ტკივილი და ტანჯვა ამართლებს იმას, რასაც მხოლოდ სიხარული უნდა მოჰქონდეს, — სიყვარულს.
— შეჩერდი!
და რალფი შეჩერდა. ეს საუკეთესო მომენტი იყო თემის შესაცვლელად. მან ნახატების ჩვენება დაიწყო. თავიდან ყველაფერი ერთ ლაქაში იყო შერწყმული, ხაზების აბლაბუდაში, რომელიც გეომეტრიულ ქარგას ან ანატომიური ატლასის ფურცლებზე გამოსახული ნერვების ხლართებს ჰგავდა. უსმენდა მის ხმას და მარია ნელ-ნელა ხვდებოდა, ყოველ სიტყვას მოძრაობა ახლდა, ყოველ ფრაზას შეჰყავდა სამყაროში, რომლის შემადგენელ ნაწილად ყოფნაზეც იგი აქამდე უარს ამბობდა, რადგან თავის თავს ჩასჩიჩინებდა, რომ ეს მისი ცხოვრების მხოლოდ ხანმოკლე ნაწილი იყო, ფულის შოვნის საშუალება და მეტი არაფერი.
— დიახ, მე აღმოვაჩინე, რომ არსებობს მეძავობის არა ერთი, არამედ ორი ისტორია. პირველი შენც კარგად მოგეხსენება, იმიტომ რომ ეს შენი ისტორიაცაა: ლამაზი გოგონა, — მოძებნის ამა თუ იმ მიზეზს ან, შესაძლოა, მიზეზი პოულობს მას, — მიდის დასკვნამდე, რომ თავის გატანას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ საკუთარ სხეულს გაყიდის. ზოგიერთი მათგანი ხალხების მბრძანებელიც კი გამხდარა, გავიხსენოთ თუნდაც მესალინა რომის მმართველი. სხვები ლეგენდარულ ფიგურებად ქცეულან, მაგალითად, გრაფინია დიუბარი. მესამენი თანაბრად უხდიდნენ ხარკს უნამუსობას და ავანტიურიზმს, როგორც სახელგანთქმული ჯაშუში მატა ჰარი. თუმცა უმრავლესობას არ უწერია სახელის მოხვეჭა. ისინი ყოველთვის დარჩებიან პროვინციელ გოგონებად, რომლებიც ეძებენ სახელს, ქმარს, მძაფრ განცდებს. სხვა რეალობის აღმოჩენისას რაღაც დროის მანძილზე ეჩვევიან მას და ჰგონიათ, რომ სიტუაციას აკონტროლებენ, მაგრამ არაფრის გაკეთება აღარ შეუძლიათ.

აგერ უკვე სამი ათას წელზე მეტია, რაც მხატვრები ნახატებს ხატავენ, მოქანდაკეები ქანდაკებებს ქმნიან, მწერლები ნაწარმოებებს თხზავენ. ზუსტად ასევე მეძავები დროთა უკუნეთში აგრძელებენ თავიანთ ხელობას, თითქოს ამქვეყნად არაფერი შეცვლილაო. უფრო დაწვრილებით გინდა?
მარიამ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. მას დროის მოგება სჭირდებოდა ტანჯვისა და ტკივილის არსის გასაცნობიერებლად. ამასთან, სულ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ სანამ ფეხშიშველი დადიოდა კენჭებზე, სიბილწისგან განწმენდა შეძლო.
— ცნობები მეძავების შესახებ გვხვდება ანტიკურ ტექსტებში, ძველ აღთქმასა და სახარებაში; მათზე წერდნენ ეგვიპტური იეროგლიფებითა და შუმერული ლურსმულით. თუმცა, ეს პროფესია ჩამოყალიბდა მხოლოდ ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში, როცა ძველბერძენმა კანონმდებელმა სოლონმა ბრძანა, გაეხსნათ საროსკიპოები, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექციათ ისინი და ბაჟი აეკრიფათ „საკუთარი სხეულით მოვაჭრეთაგან“. ათენელმა კაცებმა — ახლა მათ ბიზნესმენებს დავარქმევდით — გაიხარეს, რადგან ის, რაც ადრე აკრძალული იყო, ახლა ლეგალური გახდა. მეძავები კი იმ შენატანების მიხედვით, რომლებსაც ისინი იხდიდნენ, რამდენიმე კატეგორიად დაიყვნენ. ყველაზე იაფს — მხევალს, რომელიც დაწესებულების მეპატრონის საკუთრება იყო — „პორნაი“ ერქვა. ერთი საფეხურით ზევით იდგა „პერიპათეტიკა“, რომელიც კლიენტებს ქუჩაში ეძებდა. და ბოლოს, ყველაზე მაღლა იდგნენ ყველაზე ძვირფასები და ლამაზები — მათ „ჰეტერებს“ ეძახდნენ, რაც ბერძნულად „თანამგზავრს“ ნიშნავს, რადგანაც ისინი თან ახლდნენ ვაჭრებს მგზავრობისას, სტუმრობდნენ ძვირფას დუქნებს. მათ განკარგულებაში საკმაოდ დიდი ფული იყო. იძლეოდნენ რჩევებს და აქტიურად ერეოდნენ ათენის პოლიტიკაში. როგორც ხედავ, დღემდე არაფერი შეცვლილა.
შუა საუკუნეებში კი იმ დაავადებებისაგან, რომლებიც სქესობრივი გზით გადადის...
მარია დუმდა, შიშობდა ამ სეირნობის გადამკიდე ავად არ გამხდარიყო, შესცქეროდა ცეცხლს, რომელიც ამჯერად მართლა საჭირო იყო, იგი მის ხორცსა და სულს ათბობდა. მას აღარ სურდა ამ ისტორიის მოსმენა, რომელიც ძალაუნებურად გაფიქრებინებდა, რომ სამყარო გაჩერდა, რომ ყველაფერი მეორდება და რომ ადამიანი ვერასოდეს განეწყობა სექსის მიმართ სათანადო პატივისცემით.
— არ გაინტერესებს?
მარიამ თავს ძალა დაატანა: ბოლოს და ბოლოს, მას ხომ გადაწყვეტილი ჰქონდა ამ კაცისთვის მიეძღვნა თავისი გული, თუმცა ახლა უკვე ორჭოფობდა.
— არ მაინტერესებს, იმიტომ რომ ეს ისედაც ვიცი. უინტერესოა და სევდიანი. შენ ამბობდი, რომ არის კიდევ მეორე ისტორიაც.
— მეორე ისტორია პირველის სრულიად საპირისპიროა: ეს არის წმინდა მეძავობა.
მარიამ თავისი მთვლემარე განცხრომა ჩამოიბერტყა და ყური დაუგდო. წმინდა მეძავობა? ფულის შოვნა სექსით და მიუხედავად ამისა ღმერთთან მიახლოება?
— ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ბაბილონის შესახებ წერდა: „იქ არის უცნაური ჩვეულება: შუმერში დაბადებული ყოველი ქალი ვალდებულია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც წავიდეს ქალღმერთ იშთარის ტაძარში და სტუმართმოყვარეობის ნიშნად თავისი თავი სიმბოლურ ფასად შესთავაზოს პირველივე შემხვედრს“.
კარგი, მოგვიანებით გამოჰკითხავს ამ ქალღმერთის შესახებ. ალბათ, სწორედ ეს იშთარი დაეხმარა მას აღედგინა ის, რაც სამუდამოდ დაკარგული ეგონა. სირცხვილია, არაფერი იცოდე მის შესახებ.
— ქალღმერთ იშთარის გავლენა გავრცელდა მთელ შუა აღმოსავლეთზე, მიაღწია სარდინიას, სიცილიას და ხმელთაშუა ზღვის პორტებს. მოგვიანებით, როცა აღმოცენდა რომის იმპერია, სხვა ქალღმერთი, სახელად ვესტა, თავის განდობილთაგან ითხოვდა ან უბიწო ქალწულობას, ან აღვირახსნილ მრუშობას. წარმოიდგინე, ვესტას ტაძარში წმინდა ცეცხლის

შესანარჩუნებლად ქურუმები სამეფო გვარის ყმაწვილებს ხორციელ სიყვარულს ასწავლიდნენ: მღეროდნენ ეროტიკულ სიმღერებს, ტრანსში ვარდებოდნენ და თავის ექსტაზს სამყაროს გადასცემდნენ. ასე ვთქვათ, ასრულებდნენ ქალღმერთთან ზიარების რიტუალს.
რალფ ჰარტმა უძველესი წარწერის ქსეროასლი ამოიღო და მისი გერმანული თარგმანის ხმამაღლა წაკითხვა დაიწყო:
მე, დუქნის კარში მჯდომი, ქალღმერთი იშტარი ვარ,
მე ვარ მრუში, დედა, ცოლი, ღვთაება.
ის, ვისაც ეძახიან სიცოცხლეს,
თუმც თქვენ ეძახით სიკვდილს.
ის, ვისაც ეძახიან კანონს,
თუმც თქვენ ეძახით უკანონობას.
მე ვარ ის, ვისაც თქვენ ეძებთ,
და ის, რასაც ჰპოვებთ.
მე ვარ ის, რაც თქვენ გაფლანგეთ,
ახლა კი ამაოდ ცდილობთ მოგროვებას.
მარია ასლუკუნდა, რალფ ჰარტს კი გაეცინა: ცხოვრებისეული ძალა უბრუნდებოდა, აკიაფდა უწინდებური „სხივი“. უნდა გავაგრძელო თხრობა, ვაჩვენო ნახატები, უნდა მივახვედრო, რომ ის უყვართ.
— არავინ იცის, რატომ გაქრა წმინდა მეძავობა ისე, რომ ორი საუკუნეც კი არ უარსებია. შეიძლება, დაავადებების გავრცელების გამო ან იმიტომ, რომ რელიგია შეიცვალა და საზოგადოებამაც შეცვალა თავისი წესები და კანონები. ასეა თუ ისე, ის აღარ არსებობს და არც აღარასოდეს იარსებებს. დღეს მსოფლიოს მართავენ მამაკაცები. თვით ეს სიტყვა დამღად არის გადაქცეული და მეძავს არქმევენ ყველა ქალს, რომელიც სხვას არა ჰგავს.
— დღეს შეძლებ „კოპაკაბანაში“ მოსვლას?
რალფი ვერ მიხვდა ამ კითხვის დასმის მიზანს, მაგრამ უმალვე დასტური მისცა.
ჩანაწერი მარიას დღიურში რამდენიმე საათის შემდეგ, რაც ფეხშიშველმა იარა ჟენევის ინგლისური ბაღის ბილიკებზე:

სულაც არ მენაღვლება, ითვლებოდა თუ არა ოდესმე ჩემი ხელობა წმინდად, მაგრამ მე იგი მეჯავრება. ის არღვევს ჩემს სულს, მაიძულებს კავშირი დავკარგო საკუთარ თავთან, შთამაგონებს, რომ ტანჯვა ჯილდოა, რომ ფულს ყველაფრის ყიდვა და ყველაფრის გამართლება შეუძლია.
ჩემ გარშემო ბედნიერები არ არსებობენ; ჩემმა კლიენტებმა იციან, რომ მათ ფული უნდა გადაიხადონ იმაში, რაც უფასოდ უნდა მიეღოთ და ეს თრგუნავს მათ. ჩემმა დაქალებმა იციან, რომ მათ უნდა გაყიდონ ის, რასაც უფასოდაც მისცემდნენ სინაზისა და სიამოვნების სანაცვლოდ და ეს უმძიმებთ სულს. გაცილებით ადრე, ვიდრე ეს სიტყვები დაიწერებოდა, მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი, შევგუებოდი იმას, რომ უბედური და ცხოვრებით უკმაყოფილო ვარ. თავს ვინუგეშებდი, რომ კიდევ რამდენიმე კვირა უნდა გავძლო.
მაგრამ აღარ შემიძლია საკუთარი თავის ამით დამშვიდება, თვალთმაქცობა, თითქოს ყველაფერი ნორმალურად არის, რომ ეს უბრალოდ ასეთი ზოლია ჩემს ცხოვრებაში, ასეთი პერიოდია, ასეთი ეტაპი. მე მინდა, დავივიწყო ეს ყველაფერი. მე მჭირდება სიყვარული. მე უნდა მიყვარდეს და მეტი არაფერი. მე უნდა მიყვარდეს!
ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა (ან მეტისმეტად ხანგრძლივი) იმისათვის, რომ თავს ცუდად ცხოვრების უფლება მისცე.

არა, ეს მისი სახლი არ არის, არც მარიასია. არც ბრაზილიაა და არც შვეიცარია. ეს არის ოტელი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ერთნაირად მოწყობილი ნომრებით, რომელთაც ოჯახური ატმოსფეროს პრეტენზია აქვთ და ამით უფრო უცხო და უსახურები ხდებიან.
მაგრამ ეს ის ოტელი არ არის, რომლის ფანჯრებიდანაც ტბის მშვენიერი ხედი იშლება და რომელთანაც დაკავშირებულია მოგონებები ტკივილზე, ტანჯვასა და აღფრთოვანებაზე. არა, აქ ფანჯარა წმინდა იაკობის გზაზე გადის, ვედრების და არა მონანიების გზაზე. ეს არის ადგილი, სადაც გზისპირა კაფეებში ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს, აღმოაჩენენ „შუქს“, საუბრობენ, მეგობრები ხდებიან, ერთმანეთი უყვარდებათ. ახლა, ამ წვიმიან საღამოს, არავინ მიდის ამ გზაზე ისე, როგორც დადიოდნენ მრავალი წლის, ათწლეულის, ასწლეულის მანძილზე. ეგებ გზასაც სჭირდება სულის მოთქმა, ურიცხვი ფეხისგან დასვენება, დღე და ღამე რომ დაფრატუნებენ მასზე.
საჭიროა შუქის ანთება და ფარდების ჩამოფარება.
უნდა სთხოვოს, რომ მან გაიხადოს, მერე თვითონაც გაიხდის. სიბნელე ფიზიკური თვალსაზრისით არასოდეს არის აბსოლუტური და როცა თვალი შეეჩვევა მას, მკრთალ შუქში შეიძლება დაინახო მამაკაცის სილუეტი. აი, ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.
უნდა ამოიღოს საგულდაგულოდ გარეცხილი და რამდენჯერმე გაუთოებული (საპნისა და სუნამოს სუნი რომ არ შერჩეს), დიაგონალზე დაკეცილი ორი ცხვირსახოცი. მიუახლოვდეს მას და თვალების ახვევა სთხოვოს. მცირე ყოყმანის შემდეგ ის უპასუხებს, რომ ნამყოფია სხვადასხვა სახის ჯოჯოხეთში. მარია ეტყვის, რომ ამაზე არ არის ლაპარაკი. უბრალოდ, მას სრული, უკუნი სიბნელე სჭირდება და რომ ახლა მისი ჯერი დადგა, რაღაც-რაღაცები ასწავლოს. ეს იქნება მადლობაც და შურისძიებაც იმისათვის, რაც გუშინ გაიგო ტკივილის შესახებ. რალფი გაუგონებს, თვალებს აიხვევს. მარიაც აიხვევს თვალებს. და აი, ახლა შუქის ნატამალიც აღარ დარჩა, სწორედ ამას ჰქვია, ალბათ, უკუნი სიბნელე. ახლა ერთმანეთისათვის ხელის ჩაკიდება მოუწევთ საწოლამდე მისაღწევად.
არა, არ დავწვებით. დავსხდებით ისე, როგორც ადრე, პირისპირ, ოღონდ უფრო ახლო-ახლო, ისე, რომ ჩემი მუხლები შენსას ეხებოდეს.
მარიას ყოველთვის უნდოდა ამის გაკეთება, მაგრამ არ ჰყოფნიდა მთავარი რამ — დრო. არც პირველ შეყვარებულთან, არც იმასთან, ვინც უმანკოება წაართვა. არც არაბთან, რომელმაც ათასი ფრანკი გადაუხადა და ალბათ უფრო მეტს ელოდა, ვიდრე მას შეეძლო მიეცა, თუმცა ეს ათასიც არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ეყიდა, რაც სურდა, რაზეც ოცნებობდა. არც სხვა დანარჩენ, ურიცხვ კაცთან, ვის ხელშიც მის სხეულს გაუვლია და რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ, ხოლო მასზე — იშვიათად. ასე იმიტომ ხომ არ იქცეოდნენ, რომ დიდი ხნის წინანდელი რომანტიკული ოცნებების ასრულება სწადდათ? ან იმიტომ ხომ არა, რომ ინსტინქტს ემორჩილებოდნენ? ან იქნებ იმიტომ, რომ გაგონილი ჰქონდათ, სწორედ ასე იქცევიან ნამდვილი მამაკაცები, ხოლო ვინც სხვაგვარად იქცევა, ღირსი არ არის, ასეთად იწოდებოდესო?
მარიას აგონდება თავისი დღიური. ყველაფერი მობეზრდა, ნეტავ როდის გავა დარჩენილი კვირები, გულის გამაწვრილებლად რომ მიიზლაზნება. იგი ეძლევა ამ კაცს, რადგანაც აქ მისი ფარული სიყვარულის ნაპერწკალი ღვივის. პირველშობილი ცოდვა ის კი არ არის, რომ ევამ აკრძალული ხილი იგემა, არამედ ის, რომ მიხვდა — ადამსაც უნდა გაეზიარებინა მასთან ეს ხილი. ევას ეშინოდა ამ ბილიკზე მარტო სიარულის, დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებოდა, ვინმესთვის უნდა გაეზიარებინა ის, რასაც გრძნობდა.
მაგრამ არსებობს ამქვეყნად ისეთი რამ, რისი გაზიარებაც შეუძლებელია. არ უნდა გვეშინოდეს ოკეანის სიღრმეებისა, რომელშიც ნებაყოფლობით ვეშვებით. შიში აფუჭებს თამაშს. ადამიანი გაივლის ჯოჯოხეთს, რომ შეიცნოს იგი. ჩვენ გვეყვარება ერთმანეთი, მაგრამ ერთმანეთის დასაკუთრებას არ ვეცდებით.

მე მიყვარს ჩემ წინ მჯდომი მამაკაცი იმიტომ, რომ ის მე არ მეკუთვნის, არც მე ვეკუთვნი მას. ჩვენ თავისუფლად ვეძლევით ერთმანეთს და მე გავიმეორებ ამას ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ... გავიმეორებ მანამ, სანამ თავად არ ვირწმუნებ საკუთარ ნათქვამს.
წამით სხვა მეძავებზე დაფიქრდა. ფიქრობდა დედაზე, მეგობრებზე. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კაცს სხვა არაფერი უნდა, გარდა ამ თერთმეტწუთიანი სუფთა სექსისა და ამაში უზარმაზარ თანხას იხდის. მაგრამ ეს ასე არ არის; მამაკაცი თავისი არსით არაფრით განსხვავდება ქალისაგან: მასაც სჭირდება, შეხვდეს ვინმეს და ცხოვრების არსი იპოვოს.
დედამისის შემთხვევაში როგორ იყო? როგორ იქცეოდა იგი? თვალთმაქცობდა, თითქოს სიამოვნებას ღებულობდა? თუ ბრაზილიის მიყრუებულ პროვინციაში სიამოვნება ქალისათვის აკრძალულ რამედ ითვლება? რა ცოტა რამ იცის მარიამ ცხოვრებასა და სიყვარულზე. მაგრამ ახლა, როდესაც თვალები ახვეული აქვს, როდესაც მთელი დრო, რაც კი არსებობს ამქვეყნად, მას ეკუთვნის, მარია მოძებნის საწყისსა და ფესვს და ყველაფერი დაიწყება იქ და იმგვარად, სადაც და როგორც თავად ისურვებს.
შეხება. მარია ივიწყებს მეძავებს და კლიენტებს, მამას და დედას, ახლა ის უკუნ სიბნელეშია. მთელი დღე გაატარა იმის ძიებაში, თუ რისი მიცემა შეეძლო იმ ადამიანისათვის, რომელმაც ღირსება დაუბრუნა, რომელმაც აიძულა გაეგო, რომ სიხარულისადმი სწრაფვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტანჯვის შეგრძნება.
მე ვისურვებდი, რომ მას ესწავლებინა ჩემთვის რამე ახალი, თუნდაც ისე, როგორც გუშინ, როცა ამიხსნა, რა არის ტანჯვა, ვინ არიან ქუჩის მეძავები და წმინდა მეძავები. მე ვხედავდი, ის ბედნიერი იყო, როცა მასწავლიდა და ჭკუას მარიგებდა. ვისურვებდი მცოდნოდა, როგორ ხდება ხორცთან მიახლოება, სანამ მიუახლოვდებიან სულს, შერწყმას, ორგაზმს.
მარიამ ხელი წინ გაიშვირა და მასაც იგივე სთხოვა. ამაღამ, ოტელის ამ ნეიტრალურ ზოლში, — ჩურჩულებდა ის, — მე მინდა, რომ მან იპოვოს ზღვარი ჩემსა და სამყაროს შორის. სთხოვა, შეჰხებოდა, ისე მოქცეულიყო, რომ შეეგრძნო იგი, რადგანაც ხორცი ყოველთვის გაუგებს ხორცს, თუნდაც სულები ვერ შეთანხმდნენ. ისინი ერთმანეთს შეეხნენ, მაგრამ, თითქოს წინასწარ დათქვესო, ორივენი მოერიდნენ სხეულის იმ ნაწილებს, სადაც ყველაზე მძაფრად იღვიძებს სექსუალური ენერგია.
რალფმა თითები შეახო სახეზე და მარიამ საღებავის სუსტი სუნი შეიგრძნო. ეს სუნი სამუდამოდ ჩასჭდობოდა მხატვრის ხელებს და მრავალი ათასი, მრავალი მილიონი დაბანაც ვერ მოაცილებდა. ის ამ სურნელით დაიბადა, რომ ცხოვრებაში პირველი ხე ენახა, პირველი სახლი, და ისინი თავის სიზმრებში აღებეჭდა. ალბათ, რალფიც გრძნობდა მარიას ხელების სურნელს, მაგრამ სახელდობრ რომელს, მარიამ არ იცოდა და არც უნდოდა, რომ სცოდნოდა, რადგანაც ამ დროს მხოლოდ ხორცი ლაპარაკობს, სხვა ყველაფერი დუმს.
მარია ეფერება და მასაც ეფერებიან. ასე შეიძლება მთელი ღამის გატარება, რადგანაც ეს სიამოვნებას განიჭებს და სულაც არ არის აუცილებელი ყველაფრის სექსით დასრულება, — ფიქრობდა მარია. და სწორედ ამ დროს, სწორედ იმიტომ, რომ სექსი აუცილებელი არ იყო, ლაჯებს შორის ნოტიო სითბო შეიგრძნო. დადგება წამი, როცა მას რალფი შეეხება და აღიქვამს, რა აგზნებულია. მარიას არ სჭირდება იმის ცოდნა, კარგია ეს თუ ცუდი. ასე ეხმიანება ამას მისი სხეული და აუცილებელი არ არის, იძახოს: „ცოტა ზევით... ცოტა ქვევით... ცოტა ნელა... ახლა კი მაგრად...“ კაცის ხელები იღლიებში შეუცურდა, მარიას ბეწვები ყალყზე დაუდგა. მოუნდა, დაეწიწკნა ისინი. ალბათ, რა ტკბილი იქნებოდა ეს ტკივილი. მარიაც ეფერება მის იღლიებს, თითები სულ სხვა სტრუქტურას გრძნობენ — ეს ალბათ დეზოდორის მრავალწლიანი გამოყენების ბრალია... ღმერთო, რაზე ფიქრობს? მან არ უნდა იფიქროს. მხოლოდ უნდა შეეხოს და სხვა არაფერი.
რალფის თითები ისე დასრიალებდნენ მისი ძუძუების გარშემო, თითქოს მტაცებელი ცხოველი ეპარებაო მსხვერპლს. მარიას სურდა, რომ თითებს უფრო სწრაფად ემოძრავათ, რომ

მის კერტებს შეჰხებოდნენ. მისი ფიქრები თითებს უსწრებდა. მაგრამ რალფი, თითქოს გამოიცნოო მისი გამოუთქმელი სურვილი, უფრო ანელებს, ახელებს და ახანგრძლივებს სიამოვნებას. მთელი საუკუნე გადის, ვიდრე შეხება, ბოლოს და ბოლოს, განხორციელდება. კერტები ეძაბება. ის კი თამაშს განაგრძობს. მარიას ბურძგლავს, საზარდულში სისველე და სიცხე მატულობს. ახლა რალფის ხელები მუცელზე მისრიალებენ, შემდეგ — თეძოებისაკენ, ჩადიან წვივებისა და ტერფებისაკენ, აუყვებიან ბარძაყების შიდა მხარეს, გრძნობენ მხურვალებას, მაგრამ არ უახლოვდებიან, აგრძელებენ მოძრაობას ნაზად და ოსტატურად, თითქოს ფარფატებენ და რაც უფრო მსუბუქად ეხებიან, მით უფრო ძლიერ ათრობენ.
მარიაც იმავეს აკეთებს, მსუბუქად ეხება თმის ბოლოებს და გრძნობს მისი ასოდან მომდინარე სიმხურვალეს. და, თითქოს რაღაც ჯადოსნური გზით უმანკოება დაიბრუნაო, თითქოს პირველად აღმოჩნდაო მის წინ საპირისპირო სქესის სიმბოლო, შეეხო მას. ო, ეს უსამართლობაა: მარია უკვე წყლად იღვრება, ის კი ჯერ სათანადოდ არ გამაგრებულა. იქნებ მამაკაცს მეტი დრო სჭირდება ასაგზნებად, რას გაუგებ მათ...
მარია შეუდგა მის მოალერსებას ისე, როგორც ეს მხოლოდ ქალიშვილებმა იციან, იმიტომ რომ გამოცდილ მეძავებს ეს უკვე დაავიწყდათ. ასო რეაგირებს მის შეხებაზე, იძაბება, იზრდება და თრთის მის თითებში. და ისიც ნელ-ნელა აწვება, უფრო მაგრად აჭდობს გარშემო ხელს, გუმანით ხვდება, რომელ ადგილს — ქვემოთ და არა ზემოთ — უნდა შეეხოს და ჩუჩს უწევს ასოზე. ახლა ის აგზნებულია, ძალიან აგზნებული და საშოს ტუჩებს ეხება, მაგრამ უწინდებურად მეტისმეტად ფრთხილად და ნაზად. მარია ძლივს იკავებს თავს, რომ არ იყვიროს „მაგრად! ღრმად!“, სთხოვოს, რომ შეუყვანოს თითები შიგნით და ზემოთ, მაგრამ რალფი არ აკეთებს ამას, მისივე სისველეში ავლებს თითებს და, ისეთივე წრიული მოძრაობებით, როგორითაც კერტები გაუმაგრა, კლიტორის გასწვრივ უსვამს. ეს კაცი ისე ეფერება მარიას, როგორც თვითონ მარია ეფერება მას.
აი, მისი ხელი კვლავ მარიას მკერდისკენ ადის. რა კარგია, როგორ უნდა რომ წაავლოს. მაგრამ არა, ის უბრალოდ ეცნობა მის სხეულს, მათ აქვთ დრო... დრო თავზე საყრელად აქვთ. შეუძლიათ პირდაპირ ახლა შეერთდნენ და ეს სრულიად ბუნებრივი იქნება, ეს კარგი იქნება, მაგრამ ყველაფერი იმდენად ახალია, იმდენად უჩვეულო! მარიას თავისი თავის მოთოკვა უწევს, რომ ყველაფერი არ გააფუჭოს. მას ახსენდება, როგორ სვამდნენ პირველი შეხვედრისას ღვინოს, ნელ-ნელა, დაგემოვნებით, გრძნობდნენ, როგორ იღვრება იგი სისხლში, როგორ ათბობს და აიძულებს, სხვაგვარად დაინახონ სამყარო, ათავისუფლებს ცხოვრების ჩაგვრისაგან და უფრო მჭიდროდ აკავშირებს მასთან.
აი, ასევე წრუპვა-წრუპვით იგემებს ამ მამაკაცს და მაშინ შეძლებს, დაივიწყოს ის უვარგისი ღვინო, რომელსაც სულმოუთქმელად სვამდა: დიახ, მისგან თვრები, მაგრამ მეორე დილით საძაგელი გემო გაქვს პირში, უფრო მეტ სისაძაგლეს კი სულში გრძნობ.
მარია ჩერდება, რბილად გადააჭდობს თავის თითებს მისას, ესმის კვნესა და თვითონაც უნდა წაიკვნესოს, მაგრამ თავს იკავებს, გრძნობს, როგორ ეღვრება მთელ სხეულში სიმხურვალე. როგორც ჩანს, რალფსაც იგივე ემართება. ორგაზმი არ დამდგარა და ენერგია გაიფანტა, მხურვალე ტალღა ტვინში ადის, აზრებს ურევს, ვერაფერზე ვერ ფიქრობს, გარდა მთავრისა, მაგრამ მას ხომ სწორედ ეს სურს: გაჩერდეს, შუა გზაზე გაშეშდეს, ისე გააკეთოს, რომ სიამოვნება მთელ სხეულს მოედოს, დატბოროს მისი თავი, განაახლოს თვით ცნება „სურვილი“, კვლავ ქმედითი გახადოს იგი.
მარიამ თვალიდან სახვევი მოიხსნა, მერე ასეთივე ნაზი მოძრაობით მასაც მოხსნა, თავთით მდგომი ლამფა აანთო. ორი შიშველი ადამიანი შესცქერის ერთმანეთს, მაგრამ არ იღიმებიან, უბრალოდ, უცქერიან. „მე ვარ სიყვარული, მე ვარ მუსიკა, — ფიქრობს მარია, — მოდი ვიცეკვოთ“.

მაგრამ ხმამაღლა არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს: ისინი საუბრობენ რაღაც ბანალურზე, მორიგ შეხვედრაზე თანხმდებიან. რალფმა თარიღიც დათქვა — ორი დღის შემდეგ. მას სურს, რომ მარია ვერნისაჟზე გაჰყვეს. ის კი ორჭოფობს. ვერნისაჟზე რომ მივიდეს, ესე იგი უნდა გაეცნოს მის სამყაროს, მის მეგობრებს. რას იტყვიან ისინი? რას იფიქრებენ?
და მან უარი უთხრა, მაგრამ რალფმა შეატყო ორჭოფობა და აღარ მოეშვა. არაერთი არგუმენტი მოიყვანა და მარიაც დაეთანხმა, რადგანაც სულის სიღრმეში სწორედ ეს უნდოდა. რალფმა შესთავაზა, სწორედ იმ კაფეში შეხვედროდნენ, სადაც პირველად ნახეს ერთმანეთი. არა, მიუგო მარიამ, ბრაზილიელებს სწამთ, რომ თუ საწყისს დაუბრუნდები, წრე შეიკვრება და ყველაფერი დამთავრდება.
მიხარია, რომ არ გინდა წრე შეიკრას, — უთხრა რალფმა. გადაწყდა, ისინი ეკლესიაში შეხვდებიან, რომლის სამრეკლოდანაც მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანს. ის წმინდა იაკობის გზაზე დგას, საიდანაც იწყება იდუმალი მომლოცველობა, რომელსაც ასრულებენ მარია და რალფი იმ წუთიდან, რაც ერთმანეთი გაიცნეს.
ჩანაწერი მარიას დღიურში ერთი დღით ადრე, ვიდრე ბრაზილიაში დასაბრუნებელ თვითმფრინავის ბილეთს აიღებდა:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტი ძლიერი ფრთებითა და მოელვარე ჭრელი ბუმბულით. არსება, რომელიც გაჩენილი იყო ცაში თავისუფალი ნავარდისათვის.
ერთხელ ქალმა დაინახა ის და შეუყვარდა. გული გამალებით უძგერდა, თვალები მღელვარებისაგან უბრწყინავდა, როცა მის ფრენას ადევნებდა თვალს. ჩიტმა ქალს უხმო და ისინი შეხმატკბილებულად გაიჭრნენ ცის ლაჟვარდში. ქალი აღფრთოვანებული იყო მისით, პატივს სცემდა და ადიდებდა მას.
მაგრამ ერთხელაც თავში გაუელვა, ჩიტი ოდესმე აუცილებლად მოისურვებს შორეთში, შეუცნობი მთებისაკენ გაფრენასო. და ქალი შეშინდა. შეშინდა, რომ სხვა ჩიტთან ვეღარ იგემებს ასეთ სიამეს. მას შეშურდა. შეშურდა ბუნებისაგან ბოძებული ფრენის ნიჭისა.
და კიდევ მარტოობისა შეეშინდა.
და მოიფიქრა: „მოდი, კაკანათს დავუგებ, მეორედ რომ მოფრინდება“.
ჩიტსაც უყვარდა ქალი და მეორე დღეს მოფრინდა, მაგრამ კაკანათში გაება.
ქალი მთელი დღეების განმავლობაში ტკბებოდა მისი ცქერით, მეგობრებსაც აჩვენებდა, რომლებიც ეუბნებოდნენ: „ახლა შენ ყველაფერი გაქვს“. მაგრამ ქალის სულში უცნაური რამ ხდებოდა: რაც ჩიტი ხელში ჩაიგდო და რაც მისი მოტყუება და მოშინაურება აღარ იყო საჭირო, მის მიმართ ინტერესი ნელ-ნელა გაუქრა. ჩიტი კი, მას შემდეგ, რაც აღარ დაფრინავდა, არადა მისი ყოფის არსი სწორედ ეს იყო, გახუნდა, პეწი დაკარგა, დაუშნოვდა და ქალი საერთოდ აღარ აქცევდა ყურადღებას. მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, საკენკი არ გამოლეოდა და გალია დასუფთავებული ჰქონოდა.
ერთ მშვენიერ დღეს ჩიტი მოკვდა. ქალი დაღონდა. მხოლოდ მასზე ფიქრობდა, დღედაღამ აგონდებოდა, ოღონდ არა გალიაში გამომწყვდეული, არამედ ღრუბლებში მონავარდე, სწორედ ისეთი, როგორიც პირველად ნახა.
ამ ქალს თავის სულში რომ ჩაეხედა, მიხვდებოდა, რომ ჩიტის სილამაზემ კი არ მოხიბლა, არამედ მისმა თავისუფლებამ და მისი გაშლილი ფრთების სიძლიერემ.
ჩიტის გარეშე ცხოვრებამ აზრი დაკარგა და სიკვდილმაც მიუკაკუნა კარზე. „რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა მას ქალმა.
„იმისათვის, რომ შენ კვლავ იფრინო ცაში შენს ჩიტთან ერთად, — მიუგო სიკვდილმა, — მისთვის შენი დატოვებისა და უკან დაბრუნების ნება რომ მიგეცა, ახლა უწინდელზე მეტად გეყვარებოდა და აღფრთოვანებული იქნებოდი. ახლა კი მის კვლავ ხილვას ჩემს გარეშე ვეღარაფრით შეძლებ“.

დღე მარიამ იმითი დაიწყო, რისთვისაც მთელი ამ ხანგრძლივი თვეების მანძილზე ემზადებოდა: წავიდა ტურისტულ სააგენტოში და იყიდა ბილეთი ბრაზილიაში სწორედ იმ დღეს მიმავალ თვითმფრინავზე, რომელიც კალენდარში ჰქონდა აღნიშნული.
მხოლოდ ორი კვირა რჩებოდა ევროპაში საცხოვრებლად. ეს ორი კვირაც მალე გავა და ჟენევა იმ კაცის სახედ დარჩება, რომელიც მარიას უყვარდა და რომელსაც უყვარდა მარია. ბერნის ქუჩა გადაიქცევა უბრალოდ შვეიცარიის დედაქალაქის პატივსაცემად სახელდებულ ქუჩად. გაიხსენებს თავის ბინას, ტბას, ფრანგულ საუბარს და ყველა იმ გიჟობას, რაც კი შეიძლება დაატრიალოს Ѳოცდასამი წლის (ხვალ შეუსრულდება) გოგომ, სანამ არ მიხვდება, რომ ყველაფერს აქვს საზღვარი.
არა, ის არ შეუდგება ჩიტის დაჭერას, მის შეტყუებას ბრაზილიაში. რალფ ჰარტი — ეს არის ის ერთადერთი, ჭეშმარიტად სუფთა, რაც მას შეემთხვა. ეს ფრინველი ლაღად ფრენისთვის არის გაჩენილი. დაე, ტკბილი სევდით გაიხსენოს მან ის დრო, როცა მის გვერდით ვიღაცის გაშლილი ფრთებიც მიაპობდნენ სივრცეს. მარიაც ხომ ფრინველია და თუ რალფ ჰარტი გვერდით ეყოლება, არასოდეს დაავიწყდება „კოპაკაბანაში“ გატარებული დღეები. ამ დღეებმა ხომ ჩაიარა, გაქრა, წარსულს ჩაბარდა. მარიამ გადაწყვიტა, რომ, როდესაც განშორების ჟამი დადგება, მხოლოდ ერთხელ იტყვის „მშვიდობით“ და ყოველ წუთს არ დაიტანჯავს თავს, როცა კი მოაგონდება, რომ მალე აქ აღარ იქნება. და ამიტომაც, ფიქრების გასაქარვებლად, დილიდანვე ჟენევის ქუჩებს გაუყვა, ვითომც აქ არაფერიაო, თითქოს მეორედ მოსვლამდე წმინდა იაკობის გზაზე, მონბლანის ხიდზე, ამ ქუჩებსა და მოედნებზე სიარული უწერიაო. უცქერდა, როგორ დასრიალებდნენ წყლის თავზე თოლიები, როგორ ალაგებდნენ დახლებზე საქონელს მოვაჭრეები, როგორ მიდიოდნენ კანტორებიდან გამოსული მომსახურეები სასადილოდ. ვაშლს მიირთმევდა. ტკბებოდა გემოთი და ფერით. ხედავდა, როგორ ეშვებოდნენ თვითმფრინავები, როგორ ამოდიოდა ტბის შუაგულიდან ცისარტყელას ფერებით მოელვარე წყლის სვეტი, როგორ მოიცავდა ხოლმე მორიდებული, ფარული სიხარული ყველას, ვინც გვერდზე ჩაუვლიდა, ვინც მისკენ მიემართებოდა. იჭერდა მისკენ მიმართულ დაინტერესებულ ან გულგრილ მზერას, ანდა არაფრის გამომხატველ მზერას. თითქმის მთელი წელი იცხოვრა ამ პატარა ქალაქში, რომელიც ნებისმიერ სხვა ქალაქს ჰგავს. რამდენი ასეთი ქალაქია მსოფლიოში? რომ არა მისი შენობების უცნაური არქიტექტურა და უთვალავი ბანკის აბრები, სავსებით შესაძლებელი იყო, თავი ბრაზილიის პროვინციაში ჰგონებოდა. რა, არა? ბაზრობა არის. ბაზარი არის. ოჯახის დიასახლისები გამყიდველებს ევაჭრებიან. სკოლიდან გამოპარული მოსწავლეები, რომლებმაც მოიტყუეს, რომ დედა-მამა ჰყავთ ავად და ახლა მდინარის პირას კოცნაობენ. აქ არის ხალხი, რომელიც ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. არის უცხო ხალხიც. არის გაზეთები, რომლებიც სხვადასხვა სკანდალურ ამბავს გვაუწყებს და არის რესპექტაბელური ჟურნალები საპატიო ბიზნესმენთათვის, რომლებიც, როგორც ეტყობა, მხოლოდ იმ გაზეთებს კითხულობენ, სკანდალურ ამბებს რომ აშუქებენ.
მარია ბიბლიოთეკისაკენ გაემართა საკარმიდამო მეურნეობის სახელმძღვანელოს ჩასაბარებლად. ამ წიგნიდან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო, მაგრამ ეს არ იყო მთავარი იმ წუთებში, როცა ეჩვენებოდა, რომ საკუთარ თავზე და თავის ბედზე კონტროლი დაკარგა; წიგნი ახსენებდა იმ მიზანს, რომელსაც ესწრაფოდა. სურათების გარეშე, გრაფიკებითა და სქემებით აჭრელებული, მაგარ ყვითელ ყდაში ჩასმული წიგნი მისი უტყვი თანამგზავრი იყო, უფრო მეტიც, გასული კვირების წყვდიადში მოკიაფე გზამკვლევი ვარსკვლავი.
შენ სულ მომავლის გეგმებს აწყობდი, — ეუბნებოდა ის თავის თავს, — და სინამდვილე მუდამ თავზარს გცემდა. მარიას აზრით, საკუთარი თავი ჰპოვა დამოუკიდებლობის, სასოწარკვეთის, ტანჯვის წყალობით, ჰპოვა და უმალ სიყვარულს შეეჯახა. კარგი იქნებოდა — ეს ბოლო ყოფილიყო.

ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ მისი კოლეგები ზოგჯერ ჰყვებოდნენ, როგორ ისიამოვნეს ამა თუ იმ კაცთან, ლაპარაკობდნენ რაღაც არამიწიერ ნეტარებაზე, რომელსაც ხანდახან განიცდიდნენ, მაშინ როცა მარია ბოლომდე გულგრილი დარჩა სექსის მიმართ. მან ვერ გადაჭრა ეს პრობლემა და ჩვეულებრივი შერწყმისას ორგაზმს ვერა და ვერ მიაღწია. ამიტომაც სქესობრივი აქტი მისთვის იმდენად უფერულ და გულგრილ საქმედ იქცა, რომ საეჭვოა, ოდესმე მასში ეპოვა ის სიფიცხე, სიმხურვალე და სიხარული, რომელსაც ეძებდა და რომელიც სწყუროდა.

მაგრამ დროდადრო მარია მაინც ფიქრობდა, იქნებ არ ტყუიან მისი მშობლები და რომანტიკული წიგნები, უსიყვარულოდ არავითარი სიამოვნება ლოგინში არ არსებობსო.

ბიბლიოთეკარი ქალი, რომელიც მარიას თავის ერთადერთ მეგობრად მიაჩნდა, თუმცა ამის შესახებ არასოდეს უთქვამს, კარგ გუნებაზე დახვდა. სწორედ შესვენების დრო იყო, მაგრამ მარიამ უარი თქვა შეთავაზებულ სენდვიჩზე, სულ ახლახან ვისაუზმეო.

— საკმაოდ დიდხანს სწავლობდით ამ წიგნს.

— და მაინც ვერაფერი გავიგე.

— გახსოვთ, ერთხელ რა მთხოვეთ?

მარიას, ცხადია, არ ახსოვდა, მაგრამ ბიბლიოთეკარის სახეზე აღბეჭდილმა ეშმაკურმა ღიმილმა მიახვედრა, რაზე იყო საუბარი. რა თქმა უნდა, სექსზე.

— ოდესღაც ამ სახის ლიტერატურისათვის მოხვედით. მე გადავწყვიტე მომეძია ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნდა ამ თემაზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრი არაფერი გვქონდა და გავაგზავნე შეკვეთა, რადგანაც ჩვენ ვალდებული ვართ, ვიზრუნოთ ახალგაზრდების განათლებაზე. მაშინ მათ ამის სწავლა არ მოუწევთ ყველაზე უარესი ხერხით — მეძავებისაგან.

ბიბლიოთეკარმა კუთხეში მოქუჩებულ ყავისფერ ქაღალდში საგულდაგულოდ შეფუთულ წიგნების შეკვრაზე მიუთითა.

— ჯერ გარჩევა ვერც კი მოვასწარი. მხოლოდ გადავათვალიერე და გამაოგნა იმან, რაც ვნახე.

აჰა, დაიწყო, შემიძლია წინასწარ ვთქვა, რაზე იქნება საუბარი — აკრობატულ პოზებზე, სადომაზოხიზმზე და სხვაზე. ჯობია, მოუბოდიშოს, თქვას, ვითომ სამსახურში ეჩქარება (თუმცა ჯერ არ მოუფიქრებია სამუშაო ადგილი — ბანკი ან რომელიმე მაღაზია; მოტყუება მომქანცველი საქმეა, აქ მთავარია, არაფერი აგერიოს).

მარიამ მადლობა გადაუხადა და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ბიბლიოთეკარი არ ეშვებოდა:

— თქვენც გაოგნებული დარჩებით. აი, მაგალითად, იცით, რომ კლიტორი სულ ახლახან აღმოაჩინეს?

აღმოაჩინეს? ახლახან? წინა კვირას არ იყო, რომ ვიღაც ეხებოდა მისი სხეულის ამ ნაწილს და სიბნელის მიუხედავად ისე სწრაფად და ოსტატურად იპოვა, რომ ეჭვგარეშეა: ეს ადგილი მისთვის კარგად იყო ცნობილი.

— მისი არსებობა ოფიციალურად 1559 წელს აღიარეს, მას მერე, რაც ექიმმა რეალდო კოლუმბომ გამოსცა წიგნი „Dე რე ანატომიკა“. მანამდე კი, ჩვენი წელთაღრიცხვის ათას ხუთასი წლის განმავლობაში, მის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. კოლუმბომ აღწერა იგი თავის გამოკვლევაში და მას „ლამაზი და სასარგებლო ორგანო“ უწოდა.G წარმოგიდგენიათ?

ორივეს გაეცინა.

— ხოლო ორი წლის შემდეგ, 1561 წელს, Gმეორე მედიკოსმა, გაბრიელე ფალოპიომ, განაცხადა, რომ ამ აღმოჩენის პატივი მას ეკუთვნის. არა, წარმოგიდგენიათ, რა ხდება?! ორი მამაკაცი (რა თქმა უნდა, იტალიელები, ბურთიც და მოედანიც მათია!) დაობს იმაზე, თუ პირველმა ვინ გახადა საზოგადოებისთვის ცნობილი კლიტორის არსებობა.

საუბარი სახალისო იყო, მაგრამ მარიას მისი გაგრძელება არ უნდოდა. თუნდაც იმიტომ, რომ ახვეული თვალების, მის სხეულზე მოსრიალე ხელების, რომლებიც უშეცდომოდ პოულობდნენ ყველაზე მგრძნობიარე წერტილებს, მხოლოდ ერთ გახსენებაზეც კი მან, როგორც „კოპაკაბანაში“ ამბობდნენ, „წყალი გაუშვა“, თანაც მაგრად. გამოდის, რომ ის სექსისთვის არ მომკვდარა, ამ ადამიანმა, რაღაც ჯადოქრობით, მკვდრეთით აღადგინა იგი. რა კარგია სიცოცხლე!

ამასობაში ბიბლიოთეკარი უფრო მეტად გახალისდა:

— მაგრამ მას მერეც კი, რაც კლიტორი აღმოაჩინეს, მას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ, პირიქით, — განაგრძობდა ის და თვალსა და ხელს შუა ემსგავსებოდა უმაღლესი რანგის სპეციალისტს კლიტოროლოგიაში თუ რა ჰქვია კიდევ ამ სამეცნიერო დისციპლინას, — თურმე, რასაც გაზეთებში ვკითხულობთ აფრიკულ ტომებზე, რომლებთანაც მიღებულია კლიტორის ამპუტირება, რათა ქალს სიამოვნების მიღების უფლება წაართვან, ახალი სულაც არ არის. ჩვენთან, ევროპაში, XX საუკუნეში ტარდება მსგავსი ოპერაციები, რადგანაც ფიქრობენ, რომ ეს პატარა ანატომიური დეტალი, რომელსაც არანაირი სასარგებლო ფუნქცია არ აკისრია, წარმოადგენს ისტერიის, ეპილეფსიის, ცოლქმრული ღალატისა და უნაყოფობის წყაროს.

მარიამ, დამშვიდობების ნიშნად, ხელი გაუწოდა ბიბლიოთეკარს, მაგრამ მისი დაოკება არა და არ იქნა.

— ეს რაა! ჩვენი საყვარელი ფროიდი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი, ამტკიცებდა, თითქოს ნორმალურ ქალში ორგაზმი კლიტორიდან საშოსკენ უნდა იხრებოდეს, ხოლო მისი ყველაზე თავგადაკლული მიმდევრები ავითარებენ თავიანთი მასწავლებლის დებულებებს და პირზე დუჟმომდგარნი ამტკიცებენ, რომ კლიტორისმიერი აგზნება ინფანტილიზმის მანიშნებელია, ან კიდევ უფრო უარესის — ბისექსუალობისა.

ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა ძნელია ორგაზმის მიღება მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი სქესობრივი აქტის მეშვეობით. სასიამოვნოა, როცა კაცი გეუფლება, მაგრამ სიამოვნების ცენტრი ვიღაც იტალიელის მიერ აღმოჩენილ პატარა ბორცვშია.

მარია ცალი ყურით უსმენდა და ბიბლიოთეკარის სიტყვებიდან ის დაასკვნა, რომ ფროიდს სწორედ ის ჰყავდა მხედველობაში. ალბათ, მარია ინფანტილურია, თუკი მისი ორგაზმი საშოსკენ არ არის გადახრილი, ან იქნებ ფროიდი ცდებოდა?

— რას იტყვით „G“ წერტილზე?

— უკაცრავად, ეგ სადღაა?

ბიბლიოთეკარი გაწითლდა, ხველება აუტყდა, მაგრამ გამბედაობა მოიკრიფა და უპასუხა:

— შესვლისთანავე, პირველ სართულზე, სარკმელი, უკანა ეზოზე რომ გადის.

გენიალურია! ის საშოს ისე აღწერს, როგორც სახლს. ალბათ ეს განმარტება გოგონების სქესობრივი აღზრდის სახელმძღვანელოში ამოიკითხა. მას მერე, რაც ვინმე დააკაკუნებს და შევა, თავის სხეულში მთელ სამყაროს აღმოაჩენს. როდესაც მარია მასტურბაციას ეწეოდა, უპირატესობას ყოველთვის „G“ წერტილს ანიჭებდა, რადგანაც კლიტორის მასტურბაციისას რაღაცნაირი გაორებული შეგრძნებები ეუფლებოდა: სიამოვნება თითქმის მტანჯველი იყო და მას თან მოჰყვებოდა ბუნდოვანი სევდა და ილაჯის გაწყვეტა.

არა, ისევ პირველ სართულსა და უკანა ეზოზე გამავალ სარკმელს გაუმარჯოს!

ბიბლიოთეკარი ისევ არ აპირებდა გაჩერებას. ალბათ, ფიქრობდა, რომ მარიას სახით თანამოაზრე იპოვა. ბოლოს მან ხელი დაუქნია, გარეთ გამოვიდა და საკუთარი თავი აიძულა, ნებისმიერ სხვა თემაზე ეფიქრა, რადგან დღეს ის დღე არ იყო, რომ ეფიქრა დამშვიდობებაზე, განშორებაზე, კლიტორზე, აღორძინებულ ქალიშვილობაზე ან „G“ წერტილზე. მარიამ ხმებს მიაყურადა: ზარები რეკდნენ, ყეფდნენ ძაღლები, ტრამვაი რელსებზე მისრიალებდა,

ტროტუარზე ქუსლები მიბაკუნებდნენ, ისმოდა სუნთქვა, აბრები ყველაფერს გპირდებოდნენ, რასაც კი მოისურვებდი.
მარიას სულაც არ უნდოდა „კოპაკაბანაში“ დაბრუნება, მაგრამ თავს ვალდებულად თვლიდა, საქმე ბოლომდე მიეყვანა, ოღონდ არავინ იცოდა, რატომ: ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი თანხა უკვე მოგროვილი ჰქონდა. ამ დღეს შეეძლო მაღაზიებში გაევლო, ბანკის მმართველს გასაუბრებოდა, — სხვათა შორის, ისიც მარიას კლიენტი იყო, — რომელმაც მიმდინარე ანგარიშის საქმეში დახმარება აღუთქვა, ყავა დაელია, ნივთებიდან ზოგი რამ, რაც ჩემოდნებში არ ეტეოდა, ფოსტით გაეგზავნა. საოცარია, მაგრამ გულის სიღრმეში დარდობდა და ვერ გაეგო, რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ მხოლოდ ორი კვირა რჩებოდა. ურიგო არ იქნებოდა, ქალაქში გაევლო, ახლებურად შეეხედა მისთვის, გაეხარა იმით, რომ ყველაფრის გადატანა და გადალახვა შეძლო.
მარია შეჩერდა გზაჯვარედინზე, რომელზეც ათასჯერ იყო ნამყოფი. აქედან იშლებოდა ხედი ტბაზე წყლის სვეტით შუაში, ქუჩის მეორე მხარეს კი ბაღი მიუყვებოდა. იქ ყვავილნარზე ყვავილებითვე იყო მოწყობილი საათი, ქალაქის ერთ-ერთი სიმბოლო, და მისი ისრები ტყუილის თქმის საშუალებას არ მისცემენ, რადგანაც...
უეცრად დრო შეჩერდა და სამყაროც გაირინდა.
ეს აღდგენილი ქალწულობა რაღა დოზანაა, დილიდან რომ მოსვენებას არ აძლევდა?
სამყარო თითქოს გაიყინა და ეს წამი ვერა და ვერ დამთავრდა, ვერ გავიდა. მარია რაღაც მნიშვნელოვანისა და სერიოზულის წინაშე იდგა. მას არ შეეძლო ამის დავიწყება, იმ სიზმრებისაგან განსხვავებით, რომელთა ჩაწერაც ყოველთვის გვინდა გამოღვიძებისას, მაგრამ არ გამოგვდის...
„ნურაფერზე იფიქრებ. სამყარო შეჩერდა. რა მოხდა?“
კმარა!
ნუთუ მის მიერ შეთხზული ლამაზი ზღაპარი ჩიტის შესახებ რალფ ჰარტზეა?
არა! ეს მარიაზეა!
მორჩა!
საათი 11:11 უჩვენებდა და ამ წამს მარია გაირინდა. ის თავს უცხოდ გრძნობდა საკუთარ სხეულში. ხელახლა აღმოაჩინა ახლახან აღდგენილი ქალწულობა, მაგრამ ეს აღორძინება იმდენად ამაღლებული იყო, რომ მარია აქ ცოტა ხანს კიდევ რომ შეყოვნებულიყო, სამუდამოდ დაიღუპებოდა. ალბათ მარია ზეცაში იყო ნამყოფი, ჯოჯოხეთი ხომ მოიარა და მოიარა. თავგადასავალი დასასრულს უახლოვდებოდა. მას აღარ შეეძლო კიდევ ორ კვირას ლოდინი, თუნდაც ათ დღეს, თუნდაც ერთ კვირას. ახლავე უნდა გაიქცეს თავქუდმოგლეჯილი, იმიტომ რომ როგორც კი ამ საათს შეხედა, რომელსაც გარს ეხვევნენ ფოტოაპარატებით შეიარაღებული ტურისტები და ბავშვები, ბოლოს და ბოლოს მიხვდა თავისი დარდის მიზეზს.
მიზეზი კი ის იყო, რომ მარიას არ უნდოდა ბრაზილიაში დაბრუნება.
და საქმე სულაც არ იყო რალფ ჰარტში ან შვეიცარიაში, ან თავგადასავლებში. ყველაფერი მარტივად იყო, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად მარტივად. საქმე ფულს შეეხებოდა.
ფული! მკვრივი, სადად მოხატული ქაღალდის ნაგლეჯი, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, ერთ რამედ ღირს. და მარიას სწამდა ამისა, იმიტომ რომ ყველას სწამდა, სწამდა მანამდე, სანამ ამ ქაღალდების მთელი გროვა არ დააზვინა, სანამ არ მივიდა ბანკში, საიმედო ბანკში, რომელიც წმინდად იცავდა ტრადიციებს და ანაბრების საიდუმლოს, და იკითხა: „შემიძლია, თქვენთან ცხოვრების რამდენიმე საათი ვიყიდო?“ და პასუხად მიიღო: „არა, მადმუაზელ, ჩვენ ამას არ ვყიდით, ჩვენ ამას მხოლოდ ვყიდულობთ“.
ძილ-ბურანიდან მუხრუჭების ღრჭიალმა გამოაფხიზლა. გაბრაზებულმა მძღოლმა რაღაც მიაძახა, გვერდით მდგომმა მოღიმარმა მოხუცმა კი ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა სთხოვა. ფეხით მოსიარულეთათვის „წითელი“ ენთო.

„კეთილი, მგონი, იმას მივხვდი, რაც ყველამ უნდა იცოდეს“.
არა, არ იციან. მარიამ მიიხედ-მოიხედა: ხალხი თავჩაღუნული მიიჩქაროდა სამსახურში, სკოლაში, შრომითი მოწყობის ბიუროში, ბერნის ქუჩისაკენ და ყველა იმეორებდა: „არაფერია, ცოტას კიდევ მოვიცდი. მე მაქვს ოცნება. მაგრამ რა აუცილებელია, მაინც და მაინც დღეს განვახორციელო ის. დღეს ფული უნდა ვაკეთო“. რა თქმა უნდა, მარია ცუდ საქმეს მისდევს, მაგრამ თუ დაუფიქრდები, როგორც ყველა, ისიც მხოლოდ თავის დროს ყიდის. როგორც ყველა, ისიც იმას აკეთებს, რაც არ მოსწონს. როგორც ყველას, ურთიერთობა უწევს იმ ადამიანებთან, რომლებსაც ვერ იტანს. როგორც ყველა, ყიდის თავის სხეულსა და სულს მომავლის გულისათვის, რომელიც არასოდეს დადგება. როგორც ყველა, ამბობს, რომ ფული საკმარისად ვერ დააგროვა. როგორც ყველა, კიდევ ცოტას მოგროვებას აპირებს. დააგროვოს, მოიცადოს, გამოიმუშაოს, მომავლისათვის გადადოს სურვილების ასრულება, რადგანაც ახლა ძალიან დაკავებულია... მუდმივი კლიენტები, რომელთაც შეუძლიათ, ერთ ღამეში სამას ორმოცდაათი ათასი ფრანკი დახარჯონ.
და აი, ცხოვრებაში პირველად, ჩაიქნია ხელი ყველა იმ მშვენიერ ნივთზე, რომლის ყიდვაც შეეძლო დაგროვილი ფულით, — იქნებ კიდევ ერთი წლით დარჩენილიყო? მარიამ სრულიად შეგნებულად, გაცნობიერებულად და მტკიცედ გადაწყვიტა ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება.
მარია დაელოდა მწვანე შუქს. ქუჩა გადაჭრა, შეჩერდა საათთან, რალფზე გაიფიქრა, გაიხსენა, როგორი ვნებიანი სურვილით აენთო თვალები, როცა ის კაბას იხდიდა. ხელახლა შეიგრძნო, როგორ ეჭდობოდნენ მისი ხელები ძუძუებს, როგორ მისრიალებდნენ თეძოებზე, როგორ თამაშობდნენ ფეხებს შორის. იგრძნო, რომ ისევ გზნების ტალღებში ინთქმებოდა, შეხედა წყლის უზარმაზარ სვეტს ტბის შუაგულში და, ისე, რომ შეხების არავითარი აუცილებლობა არ უგრძნია, პირდაპირ აქ, ყველას თვალწინ განიცადა ორგაზმი.
მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია; ყველა დაკავებული იყო, ძალიან დაკავებული.

როგორც კი „კოპაკაბანას“ კარის ზღურბლს გადააბიჯა, ფილიპინელმა ნიამ დაუძახა. ის ერთადერთი იყო, ვისთანაც ასე თუ ისე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ვიღაც აღმოსავლური იერის კაცთან ერთად მაგიდასთან იჯდა და ორივენი რაღაცაზე იცინოდნენ.
— არა, გესმის, რას ითხოვენ ჩემგან?! — წამოიძახა ნიამ.
ეშმაკურად მომღიმარმა კლიენტმა სიგარეტის ფუტლიარის მსგავსი კოლოფი ამოიღო. დახლს იქით მდგარმა მილანმა მახვილი მზერა მიაპყრო, შპრიცები და ამპულები ხომ არ არისო. არა, კოლოფში გაუგებარი დანიშნულების ნივთი აღმოჩნდა, რომელსაც ნარკოტიკებთან საერთო არაფერი არ ჰქონდა.
— წინა საუკუნისა გეგონება, — თქვა მარიამ.
— სწორედ ასეა! — დაეთანხმა მისი უმეცრებით ცოტა განაწყენებული კლიენტი, ას წელზე მეტი ხნისაა და კოლოსალური ფული ღირს.
ის, რაც მარიას წინ იდო, ადამისდროინდელ მინიატურულ რადიომიმღებს წააგავდა: ლამპები, სახელური, ელექტრული ბატარეა, კლემები და კიდევ გარეთ გამომავალი ორი მავთული პატარა თითის სიგრძე შუშის ბუნიკებით. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იგი ძვირად ღირებული ყოფილიყო.
— როგორ მოქმედებს?
ეს შეკითხვა ნიას არ მოეწონა. ის, რა თქმა უნდა, ენდობოდა მარიას, მაგრამ ადამიანები, როგორც ცნობილია, ცვალებადნი არიან. ერთიც ვნახოთ და ბრაზილიელმა თვალი დაადგა მის კლიენტს, მაშინ?

— მან უკვე ამიხსნა. ამ ნივთს „ლილისფერი კვერთხი“ ჰქვია, — მერე კლიენტს მიუბრუნდა და წასვლა შესთავაზა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ წინადადებაზე დათანხმდა, მაგრამ იგი ამ სათამაშოთი გამოწვეული ინტერესით ტკბებოდა.
— 900-იან წლებში, როდესაც პირველად გამოჩნდა გასაყიდად აკუმულატორული ბატარეები, ექიმებმა ელექტრობაზე ცდების ჩატარება დაიწყეს. მისი დახმარებით ისინი იმედოვნებდნენ გონებრივი აშლილობის ან ისტერიის განკურნებას. მას აგრეთვე იყენებდნენ კანის გასაჯანსაღებლად, მეჭეჭებისა და ლაქების მოსაცილებლად. ხედავთ ამ შუშის ბუნიკებს? მათ საფეთქლებზე იდებენ და ბატარეა ისეთივე სტატიკურ განმუხტვას იძლევა, როგორსაც მაშინ განვიცდით, როცა ჰაერი ძალიან მშრალია.
ასეთი რამ ბრაზილიაში არასოდეს ხდება. აქ კი, შვეიცარიაში, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ეს მოვლენა მარიამ მაშინ აღმოაჩინა, როცა ერთხელ ტაქსის კარის გაღებისას გაიგონა ტკაცანი და დენმა დაარტყა. მაშინ მან დაასკვნა, რომ ეს მანქანის გაუმართაობის ბრალი იყო, აღშფოთდა, განაცხადა, რომ ფულს არ გადაიხდიდა. არც მძღოლი დარჩენილა ვალში და მარია სრულ უმეცრებაში დაადანაშაულა. ის მართალი აღმოჩნდა, ყველაფერი ჰაერის საოცრად დაბალი ტენიანობის ბრალი იყო. მას მერე, რაც რამდენჯერმე იგემა დენის დარტყმა, ნებისმიერ მეტალის საგანთან შეხებას უფრთხოდა, სანამ სუპერმარკეტში არ შეიძინა სამაჯური, რომელიც მასში დაგროვილ სტატიკურ ელექტრობას განმუხტავდა.
მარია აღმოსავლელ კაცს მიუბრუნდა:
— მაგრამ ეს ხომ საშინლად უსიამოვნოა!
ნიას სულ უფრო და უფრო ნაკლებად მოსწონდა ეს დიალოგი, მაგრამ არც თავის ერთადერთ მეგობართან სკანდალის გამართვა უნდოდა. ის კლიენტს მხრებზე მოეხვია, რომ ყველა მიმხვდარიყო, ვის ეკუთვნოდა იგი.
— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სად მიიდებ! — გაეცინა კლიენტს.
ამ სიტყვებით მან რეგულატორი მოატრიალა და ბუნიკებმა რაღაც ლილისფერი მიიღეს. მერე სწრაფი მოძრაობით ერთი ნიას მიადო ხელზე, მეორე კი — მარიას მხარს. გაისმა ტკაცანი, მაგრამ შეგრძნება სრულიად უმტკივნეულო იყო. იგი უფრო ღიტინს წააგავდა.
მათ მილანიც მიუახლოვდა.
— მოაშორეთ, გეთაყვა.
კლიენტმა მორჩილად ჩადო თავისი აპარატი შალითაში. ამით ისარგებლა ნიამ და ოტელში წასვლა შესთავაზა. კლიენტი, ცოტა არ იყოს, გულგატეხილი ჩანდა. გოგონა, რომელიც მოგვიანებით გამოჩნდა, უფრო მეტად დაინტერესდა ლილისფერი კვერთხით, ვიდრე ის, ვინც თავისთან ეპატიჟებოდა. მან პიჯაკი ჩაიცვა, ხელსაწყო ტყავის ხელჩანთაში ჩადო და თქვა:
— ამჟამად ამ ხელსაწყოების გამოშვება განაახლეს. ისინი მოსწონთ იმათ, ვინც უჩვეულო შეგრძნებებს ეძებს. მაგრამ აი ეს ეგზემპლარი შეიძლება მხოლოდ მუზეუმში ან ანტიკვარებთან ნახო და ესეც სათუოა.
მარტოდ დარჩენილი მილანი და მარია დაბნეულები შესცქეროდნენ ერთმანეთს.
— ადრე მსგავსი რამ თუ გინახავს?
— ამ სუბიექტთან არა. ალბათ, მართლაც ბევრი ფული ღირს, მაგრამ მას ამის შეძლება ნამდვილად აქვს, იმიტომ რომ ნავთობის კომპანიაში მნიშვნელოვანი პოსტი უკავია. მე სხვანაირები, უფრო თანამედროვეები მინახავს.
— და რაში იყენებენ მათ?
— შეიტენიან... სადმე და სთხოვენ, რომ ქალმა რეგულატორი ატრიალოს. მათ დენი ურტყამთ.
— თვითონ არ შეუძლიათ?
— შეუძლიათ, როგორ არა. ყველაფერი, რაც სექსთან არის დაკავშირებული, შეგიძლია მარტომ აკეთო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ხალხი ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ ამისათვის პარტნიორია საჭირო. ასე რომ არ იყოს, მე გავკოტრდებოდი, შენ კი ქორფა მწვანილის გამყიდველი

იქნებოდი. ჰო, მართლა, შენმა განსაკუთრებულმა კლიენტმა გამაფრთხილა, რომ ამ საღამოს შემოივლის. ასე რომ, კეთილი ინებე და მიწვევა არავისგან მიიღო.
— არ მივიღებ. არც მისგან მივიღებ. საქმე ისაა, რომ აქ მხოლოდ გამოსამშვიდობებლად მოვედი.
მილანმა ერთი შეხედვით ვერ შეაფასა დარტყმის სერიოზულობა.
— მხატვარი?
— არა. „კოპაკაბანა“. ყველაფერს აქვს საზღვარი და ამ დილით, როცა ტბასთან ყვავილნარის საათს ვუყურებდი, მივხვდი, რომ ზღვრამდე მივედი.
— რა ზღვარზე ლაპარაკობ?
— მე საკმაო თანხა მოვაგროვე, რომ ბრაზილიაში ფერმა ვიყიდო. ვიცი, რომ შემიძლია უფრო მეტი ფულის მოგროვება, შემიძლია კიდევ ერთ წელს ვიმუშაო. თითქოსდა რა განსხვავებაა? მაგრამ მე ვიცი, რაც — თუ დავრჩი, ვეღარასოდეს დავაღწევ თავს იმ ხაფანგს, რომელშიც გაბმულნი ხართ შენცა და შენი კლიენტებიც — ეს მენეჯერები, ტალანტებზე მონადირენი, ხმის ჩამწერი კომპანიების დირექტორები — ყველა, ვისაც ვიცნობდი, ვინც ყიდულობდა ჩემს დროს, დროს, რომელსაც მთელი მსოფლიოს ოქროთიც ვეღარ გამოვისყიდი. ერთი დღითაც რომ შევყოვნდე, მთელი წლით ჩავრჩები, ხოლო თუ ერთი წლით ჩავრჩი, კუბოს კარამდე ვეღარ დავაღწევ თავს.
მილანმა როგორღაც გაურკვევლად აიჩეჩა მხრები, თითქოს ანიშნებდა, რომ ყველაფერს ხვდება, ყველაფერს ეთანხმება, მაგრამ ვერაფერს იტყვის, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდოს მასზე მომუშავე გოგონები. მილანი გულკეთილი კაცი იყო და, თუმცა მარიას გადაწყვეტილებას არ იწონებდა, არ უცდია მისი გადარწმუნება.
მარიამ მადლობა გადაუხადა და შამპანური შეუკვეთა, რადგანაც ხილის კოქტეილი ყელში ჰქონდა ამოსული. ახლა სამსახურში აღარაა და შეუძლია იმდენი დალიოს, რამდენიც მოეპრიანება. დამშვიდობებისას მილანმა უთხრა, რომ თუ რამე პრობლემა შეექმნება, შეუძლია, ნებისმიერ დროს მოურიდებლად დარეკოს „კოპაკაბანაში“, მას ყოველთვის სიხარულით შეხვდებიან.
მარიამ გადახდა დააპირა, მაგრამ მილანმა შეაჩერა: „ეს დაწესებულების ხარჯზე იყოს“. მარიასაც თავი არ გამოუდია — მან გაცილებით მეტი მისცა ამ დაწესებულებას, ვიდრე ერთი ჭიქა შამპანური ღირს.
ჩანაწერი მარიას დღიურში შინ დაბრუნების შემდეგ:

ზუსტად აღარ მახსოვს, როდის, მაგრამ ერთ კვირა დღეს ეკლესიაში წირვაზე წასვლა გადავწყვიტე. იქ საკმაოდ დიდი დრო დავყავი და უეცრად მივხვდი, რომ სხვაგან შევედი, ეს პროტესტანტული ეკლესია იყო.
წამოსვლა დავაპირე, მაგრამ პასტორი უკვე შეუდგა მსახურებას და მომეჩვენა, რომ უხერხული იქნებოდა, უცებ ავმდგარიყავი და გამოვსულიყავი. თვით უფალმა შემაჩერა, რათა გამეგონა სიტყვები, რომლებიც აქ გაისმა.
პასტორი ამბობდა:
„ყველა ხალხს აქვთ ასეთი ანდაზა: „თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო“. მე კი ვამტკიცებ, რომ ამაზე დიდი ტყუილი ქვეყნად არ არსებობს. რაც უფრო შორია თვალთაგან, მით უფრო ახლოა გულთან. დევნილობასა და უცხო მხარეში ყოფნისას სიყვარულით ველოლიავებით ყოველ წვრილმანს, რაც სამშობლოს მოგვაგონებს. ვნაღვლობთ იმათთან განშორებას, ვინც გვიყვარს და ყოველ გამვლელში ჩვენთვის ძვირფას ნაკვთებს ვხედავთ.
ჩვენი სახარებაც და ყველა სხვა რელიგიების წმინდა ტექსტებიც დაწერილა უცხო მხარეში ღვთისა და რწმენის გაგების მცდელობაში. იმის შეცნობისას, თუ რატომ დაეხეტებიან

მიუსაფარი სულები დედამიწის ზურგზე. არ იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და არც ჩვენ ვიცით, რას ელის ჩვენგან და ჩვენი ცხოვრებისაგან უზენაესი ძალა. და სწორედ ამ დროს იწერება წიგნები, იქმნება ნახატები, რამეთუ არ გვსურს და არც შეგვიძლია დავიწყება იმისა, თუ „რანი ვართ“.
როდესაც ქადაგება დაამთავრა, მივედი მასთან და მადლობა გადავუხადე. ვუთხარი, რომ უცხო ვიყავი უცხო მხარეში, მან კი შემახსენა, რომ ანდაზა ტყუის. თვალთაგან შორს არ ნიშნავს გულიდან ამოგდებას და როცა ეს შევიგრძენი, ვტოვებ აქაურობას.

მარიამ საწოლის ქვეშიდან ორი ჩემოდანი გამოიღო. ჩემოდნები აქ იმ დღის მოლოდინში დაეწყო, როცა ყველაფერი უნდა დასრულებულიყო. სწამდა, რომ დადგებოდა დღე, როდესაც ამ ჩემოდნებს პირამდე გაავსებდა საჩუქრებით, ახალი კაბებით, თოვლისა და ევროპული ღირსშესანიშნაობების ფონზე გადაღებული თავისი ფოტოსურათებით, რომლებიც მოაგონებდნენ იმ ბედნიერ დროს, როცა იგი მსოფლიოში ყველაზე მშვიდი და დიდსულოვანი ქვეყნის სტუმარი იყო. დიახ, ზოგი რამ ტანსაცმლიდან შეიძინა, ხოლო იმ დღეს, როცა ჟენევაში თოვლი მოვიდა, სურათებიც გადაიღო. ეს იყო და ეს. სხვა ვერაფერი შეისრულა თავისი ნაოცნებარიდან.
აქ იმის იმედით ჩამოვიდა, რომ ბევრ ფულს იშოვიდა, შეიცნობდა ცხოვრებას და თავის შესაძლებლობებს, იპოვიდა ქმარს, მშობლებს ფერმას უყიდიდა, ჩამოიყვანდა შვეიცარიაში და აჩვენებდა, სად ცხოვრობდა. და აი, ბრუნდება შინ. ოცნების აღსრულებისათვის ფული საკმარისად აქვს, მთებში კი ვერა და ვერ მოხვდა. და უფრო უარესი — საკუთარი თავისთვის უცხო გახდა. და მაინც კმაყოფილია, რადგანაც ზუსტად განსაზღვრა ის წამი, როცა უნდა შეჩერებულიყო.
ამას კი ცოტა ვინმე თუ ახერხებს.
დიახაც, იყო მის ცხოვრებაში ოთხი თავგადასავალი: ცეკვავდა კაბარეში, ისწავლა ფრანგული, გახდა მეძავი და შეუყვარდა სასოწარკვეთით და უიმედოდ. განა ბევრის ცხოვრებაში ხდება ამდენი მოვლენა ერთ წელიწადში?! იგი ბედნიერი იყო, თუმცა ამ ბედნიერებას სევდაც ერია. ამ სევდას სახელად ერქვა არა მეძავობა, არა შვეიცარია, არა ფული, არამედ რალფ ჰარტი. მარიას, თუმცა ამაში საკუთარ თავს არასოდეს გამოუტყდებოდა, გულის სიღრმეში სურდა ამ კაცზე გათხოვება, რომელიც ახლა ეკლესიაში ელოდება, რომ გააცნოს თავისი მეგობრები, თავისი ნახატები, თავისი სამყარო.
მარიამ გაიფიქრა: იქნებ არ წავიდე? იქნებ გადავიდე რომელიმე ოტელში აეროპორტის მახლობლად? ხვალ ხომ მიფრინავს, რალფთან გატარებული ყოველი წუთი კი მთელი წლის წამებას უქადის მომავალში, რადგანაც დატანჯავს იმაზე ფიქრი, თუ რისი თქმა შეეძლო და არ უთხრა. დატანჯავს მისი ხელების შეხების, მისი ხმის, მისი საუბრის გახსენება.
მარიამ კვლავ გახსნა ჩემოდანი, ამოიღო სათამაშო ვაგონი, რომელიც რალფმა პირველი შეხვედრისას თავის სახლში აჩუქა. რამდენიმე წუთს უცქირა მას და მერე სანაგვე კალათაში ჩაუძახა. იგი არ არის ბრაზილიასთან შეხვედრის ღირსი, ის იყო უსარგებლო და უსამართლო ბავშვის მიმართ, რომელსაც ასე უნდოდა მასთან თამაში.
არა, მარია არ წავა ეკლესიაში: შეიძლება რალფმა რამე ჰკითხოს და მან სიმართლე უპასუხოს: „მე ხვალ მივფრინავ“. ის დარჩენას სთხოვს, ყველაფერს დაჰპირდება, ოღონდ არ დაკარგოს, გამოუტყდება სიყვარულში, რომელიც ისედაც აშკარა გახდა. ეს სიყვარული სრულ თავისუფლებას ემყარებოდა. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. ალბათ ეს იყო ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ისინი აგრერიგად მიილტვოდნენ ერთმანეთისაკენ. ორივემ იცოდა, რომ ერთმანეთისაგან არა უნდათ რა. კაცები ყოველთვის ფრთხებიან, როცა ქალისგან ესმით: „მე მინდა, შენზე ვიყო დამოკიდებული“, მარიას კი სურდა გულში რალფ ჰარტის სხვაგვარი

სახება შეენახა — სახება შეყვარებულისა, რომელიც მთელი სულით და გულით მიენდო მას, რომელიც მისი გულისათვის ყველაფრისთვის იქნებოდა მზად.
კეთილი, მარია კიდევ მოასწრებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, წავიდეს თუ არა პაემანზე ეკლესიაში, მანამდე კი უფრო პროზაული საქმეები აქვს მოსაგვარებელი. უამრავი ნივთი ვერ ჩაატია ჩემოდნებში. სად წაიღოს ეს ყველაფერი? არც არსად. დარჩეს ბინის მეპატრონის განკარგულებაში. მიქსერი და ყავის მადუღარა, ბაზრობაზე ნაყიდი ნახატები, ლოგინის თეთრეული და პირსახოცები. თუმცა მის მშობლებს ეს ხარახურა უფრო მეტად სჭირდებათ, ვიდრე ჟენევის ნებისმიერ მათხოვარს, ბრაზილიაში ამას მაინც არ წაათრევს: ყოველი წვრილმანი გაახსენებს იმას, თუ რა განიცადა, რა ფასად შეიძინა ეს ყველაფერი.
მარია სახლიდან გამოვიდა და ბანკისკენ გაემართა იმ განზრახვით, რომ ანგარიშიდან მთელი თავისი თანხა მოეხსნა. მმართველმა — ისიც ნამყოფი იყო მის ლოგინში — უთხრა, რომ ეს გონივრული არ არის: ანაბრიდან პროცენტების მიღება მას ხომ ბრაზილიაშიც შეუძლია. ხოლო თუ მას, ღმერთმა დაიფაროს, გაძარცვავენ, მრავალი თვის ნაშრომი წყალში ჩაეყრება. მარია შეჭოჭმანდა, თავისი ჩვეულებისამებრ, ჩათვალა, რომ მისთვის მართლაც სიკეთე უნდათ. მაგრამ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დაასკვნა: არა, ამ ქაღალდების მიზანი მატება სულაც არ არის. უნდა დაიხარჯოს ფაზენდაზე, მშობლების სახლზე, რამდენიმე თავ პირუტყვსა და კიდევ ათას რამეზე.
და მან მოხსნა ანგარიშიდან ყველაფერი, ბოლო სანტიმამდე, ფული სპეციალურად ამ შემთხვევისათვის ნაყიდ ქამარ-საფულეში ჩააწყო და ტანსაცმლის ქვეშ, შიშველ ტანზე შემოირტყა.
შემდეგ წავიდა ტურისტულ ბიუროში, თან იმაზე ლოცულობდა, რომ სიმამაცე ჰყოფნოდა და შუა გზიდან არ მობრუნებულიყო. განაცხადა, რომ ბილეთის გამოცვლა სურს. მას უპასუხეს, რომ ხვალ პირდაპირი რეისი არ არის: უნდა გაფრინდეს პარიზის გავლით და იქ გადაჯდეს. სულ ერთია! ოღონდ აქედან რაც შეიძლება შორს წავიდეს, ოღონდ არ გადაიფიქროს.
მარია ერთ-ერთ ხიდამდე მივიდა, გზად ნაყინი იყიდა, თუმცა სულაც აღარ ცხელოდა. შეჩერდა. ჟენევას გადახედა. ახლა ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პირველად მოხვდა ამ ქალაქში და ახლა უნდა შემოირბინოს ყველა მუზეუმი, დაათვალიეროს მისი ღირსშესანიშნაობები, შეიაროს მოდურ რესტორნებსა და კაფეებში. სასაცილოა, სანამ ქალაქში ცხოვრობ, მუდამ სახვალიოდ გადადებ მის დათვალიერებას, ბოლოს კი ისე ტოვებ მას, რომ წესიერად ვერც კი გაეცანი.
რატომ არ ახარებს მოახლოებული შეხვედრა ბრაზილიასთან? რატომ ჰგვრის სევდას შვეიცარიასთან განშორება, რომელიც ასე სტუმართმოყვარე და გულითადი აღმოჩნდა? არც სიხარული, არც დარდი — არაფერი არ გამოსდიოდა, ორიოდე ცრემლის გადმოგდების გარდა. ძრწოდა საკუთარი თავის წინაშე, იმ ლამაზი და ჭკვიანი გოგოს წინაშე, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა წარმატების მისაღწევად და რომელიც მუდამ შეცდომებს უშვებდა.
რას იზამ, ახლა მაინც იქცევა სწორად.
როდესაც მარიამ ზღურბლს გადააბიჯა, ტაძარი სრულიად ცარიელი იყო. შეეძლო, მშვიდად დაეთვალიერებინა ვიტრაჟები — გარედან ლამაზად განათებულებს, თითქოს წუხანდელი დელგმის შემდეგ პირი დღის ნათელით დაებანათ. მის წინ აღმართული იყო საკურთხეველი ცარიელი ჯვრით — ეს არ იყო ჯვარცმა სასიკვდილო ტანჯვით დაკრუნჩხული და სისხლისგან დაცლილი ადამიანით, არამედ სიმბოლო აღდგომისა, რომლის წინაშეც დასჯის იარაღი სრულიად კარგავდა ყოველგვარ მნიშვნელობასა და შიშის შთაგონების უნარს. მარიას ისიც მოეწონა, რომ კედლის ნიშებში არ იყო გაპობილჭრილობებიანი და დასისხლიანებული წმინდანების ფიგურები. ერთი სიტყვით, მარია მოხვდა იქ, სადაც ხალხი იკრიბება, რათა ადიდოს ის, რაც მათი გონებისათვის მიუწვდომელია. მარიამ დაიჩოქა და შეჰპირდა იესოს, რომლისაც ჯერ ისევ სწამდა, მაგრამ რომელზეც დიდი ხანია აღარ ფიქრობდა, შეჰპირდა

ღვთისმშობელს და ყველა წმინდანს: რაც არ უნდა მოხდეს დღეს, ის არ შეიცვლის გადაწყვეტილებას და დაბრუნდება შინ. მან დადო ეს ფიცი, რადგან კარგად იცოდა, თუ როგორ ეშმაკურ მახეს აგებს სიყვარული, რომელსაც შეუძლია ქალის ნების გატეხა. მალე მარიამ მხარზე ვიღაცის ხელი იგრძნო, თავი მიაბრუნა და ლოყა მიადო.
— როგორა ხარ?
— კარგად, — უპასუხა რალფმა. მის ხმაში არავითარი სევდა არ იგრძნობოდა, — მშვენივრად. წამოდი, ყავა დავლიოთ.
ისინი დიდი ხნის უნახავი შეყვარებულებივით ხელიხელჩაკიდებულები გამოვიდნენ. ქუჩაში, ყველას დასანახავად, აკოცეს ერთმანეთს და ამით ზოგიერთი გამვლელის აღშფოთებული მზერა დაიმსახურეს. მათ გაეღიმათ იმაზე, რომ უკმაყოფილება გამოიწვიეს და გააღვიძეს სურვილი, რადგანაც იცოდნენ, გამვლელებს სურდათ, მიეგბაძათ მათთვის, მაგრამ ვერ ბედავდნენ და ამიტომაც ბრაზობდნენ.
ისინი კაფეში შევიდნენ. იგი ისეთივე იყო, როგორიც — ყველა სხვა, მაგრამ ამავე დროს სხვანაირი, იმიტომ, რომ მარია და რალფი იქ ერთად იყვნენ და მათ უყვარდათ ერთმანეთი. ისინი საუბრობდნენ ჟენევაზე, იმაზე, თუ რაოდენ რთული ენაა ფრანგული, ტაძრის ვიტრაჟებზე, თამბაქოს მავნებლობაზე, ვინაიდან ორივენი ეწეოდნენ და მავნე ჩვევისაგან თავის დაღწევაზე არც კი ფიქრობდნენ.
რალფს წინააღმდეგობა არ გაუწევია, როცა ფული მარიამ გადაიხადა. მერე ისინი ვერნისაჟზე წავიდნენ და მარიამ იქ ნახა რალფის სამყარო: მხატვრები, შეძლებული ადამიანები, რომლებიც მდიდრულად გამოიყურებოდნენ, მდიდრები, რომლებიც მოკრძალებულად, ლამის ღარიბულად იყვნენ ჩაცმულები, ადამიანები, რომლებიც მსჯელობდნენ საკითხებზე, რომელთა შესახებ მარიას არც კი სმენია რამე. ის ყველას მოეწონა, ყველა უქებდა ფრანგულ გამოთქმას, ეკითხებოდნენ კარნავალზე, ფეხბურთსა და სამბაზე. ყველანი თავაზიანები, ზრდილები და გულითადები იყვნენ.
მერე რალფმა უთხრა, რომ საღამოს „კოპაკაბანაში“ შეუვლიდა. მარიამ კი სთხოვა, ეს არ გაეკეთებინა. დღეს უქმე დღეE აქვს და სურს, ვახშმად მიიწვიოს რალფი.
შეთანხმდნენ, რალფის სახლში შეხვედროდნენ ერთმანეთს, რომ მერე კიოლნის მოედანზე მდებარე სიმპათიურ რესტორანში ევახშმათ. ამ მოედანზე ადრეც ხშირად ჩაუვლიათ ტაქსით, მაგრამ მარიას არასოდეს უთხოვია, გაჩერებულიყვნენ მოედნის უფრო ყურადღებით დასათვალიერებლად.
მაშინ მარიას თავისი ერთადერთი მეგობარი გაახსენდა და გადაწყვიტა, შეევლო ბიბლიოთეკართან იმის სათქმელად, რომ ამიერიდან ვეღარ ნახავენ ერთმანეთს.
მარიას მოეჩვენა, რომ მთელი საუკუნე გაატარა საგზაო საცობში, სანამ ქურთები (დიახ, დიახ, ისევ ის ქურთები!) დაამთავრებდნენ თავიანთ დემონსტრაციას და მანქანებს გზას გაუხსნიდნენ. თუმცა, ახლა ამას არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამიერიდან თავისი დროის ბატონ-პატრონი თვითონ იყო.
ბიბლიოთეკა უკვე იკეტებოდა.
— შეიძლება მე ზრდილობის ზღვარს გადავდივარ, მაგრამ თქვენ გარდა არავინა მყავს, ვისთანაც შევძლებდი ზოგიერთი ჩემი პრობლემის განხილვას, — თქვა მარიას დანახვაზე ბიბლიოთეკარმა.
არავისთან? მას მეგობარი არა ჰყავს? მთელი ცხოვრება ერთ ქალაქში გაატარო, ყოველდღე ხედავდე ამდენ ხალხს და ვერ იპოვო თანამოსაუბრე? როგორც იქნა, მარიამ იპოვა ისეთივე ადამიანი, როგორიც თვითონ იყო, უფრო სწორად, როგორიცაა ამქვეყნად ყველა.
— მე დიდხანს ვფიქრობდი იმაზე, რაც კლიტორზე წავიკითხე...
„ო, ღმერთო! ნუთუ ისევ ამაზე?!“

— ...და გამახსენდა, რომ თუმც ყოველთვის კარგად ვიყავი ქმართან, ორგაზმი არასოდეს განმიცდია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს ნორმალურია?
— აბა, ქურთები რომ ყოველდღე აწყობენ დემონსტრაციებს, ნორმალურია? ის, რომ შეყვარებული ქალები გაურბიან თავიანთ ჯადოსნურ პრინცებს, ნორმალურია? და რომ ადამიანები ფერმებზე ფიქრობენ, იმის მაგივრად, რომ სიყვარულზე იფიქრონ, — ესეც ნორმალურია? კაცები და ქალები ყიდიან თავიანთ დროს, რომელსაც ვეღარაფრით გამოისყიდიან, — ეგ როგორია? და რადგანაც მსგავსი რამეები ხდება, რაც არ უნდა ვიფიქრო ამის შესახებ, გამოდის, რომ ნორმალურია. ყველაფერი, რაც ბუნების კანონების საწინააღმდეგოდ ხდება, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს ყველაზე იდუმალ სურვილებს, ნორმალურად გვეჩვენება, თუმცა ღმერთის თვალში ეს საშინელი დამახინჯებაა. ჩვენ ვეძებთ საკუთარ ჯოჯოხეთს, ათასწლეულების განმავლობაში ვაშენებდით მას და აი, უზარმაზარი ძალისხმევის შემდეგ შეგვიძლია, ავირჩიოთ ცხოვრების ყველაზე უარესი წესი.
მარიამ მის წინ მჯდომ ქალს შეხედა და პირველად მთელი მათი ნაცნობობის განმავლობაში სახელი ჰკითხა (მარიამ მხოლოდ ბიბლიოთეკარის გვარი იცოდა). აღმოჩნდა, რომ ჰაიდი ერქვა. და აი, ეს ჰაიდი, ოცდაათი წელია, რაც გათხოვილი იყო და არასოდეს — არც ერთხელ!
— არ უკითხავს თავისი თავისთვის, ბუნებრივია თუ არა, იწვე ქმართან და ვერავითარი სიამოვნება ვერ მიიღო.
— დარწმუნებული არა ვარ, რომ უნდა წამეკითხა ეს ყველაფერი. იქნებ ჯობდა, უმეცრებაში ჩაფლული დავრჩენილიყავი და დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ერთგული ქმარი, სამი შვილი, ბინა ტბაზე ხედით და რიგიანი სამუშაო სახელმწიფო დაწესებულებაში — ეს არის ოცნების ზღვარი ყოველი ქალისათვის. მას მერე კი, რაც თქვენ მოხვედით აქ და რაც ეს წიგნები წავიკითხე, უცებ დავფიქრდი იმაზე, რად ვაქციე ჩემი ცხოვრება. და რა — ყველა ასეა?
— სრულიად დარწმუნებით გეტყვით — ყველა, — ამ ქალის გვერდით, კითხვებს რომ აძლევდა და რჩევას სთხოვდა, მარია, თუმცა ორჯერ უფრო ახალგაზრდა იყო, თავს ბრძენად და ყოვლისმცოდნედ გრძნობდა.
— გნებავთ, უფრო დაწვრილებით გიამბოთ?
მარიამ თავი დაუქნია.
— რა თქმა უნდა, თქვენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხართ და ზოგიერთ რამეს უბრალოდ ვერ გაიგებთ, მაგრამ მე მინდა, ცოტათი მაინც გაგიზიაროთ საკუთარი მწარე გამოცდილება, სწორედ იმისათვის, რომ თქვენც იგივე შეცდომები არ დაუშვათ.
კი მაგრამ, რატომ, რატომ არასოდეს არ აქცევდა ჩემი ქმარი ყურადღებას კლიტორს?! ის დარწმუნებული იყო, რომ მთავარი საშოა და მხოლოდ იგი ანიჭებს ქალს სიამოვნებას. ო, რომ იცოდეთ, რა ჯაფად მიჯდებოდა იმის განსახიერება, რაც, მისი აზრით, უნდა მეგრძნო! რა თქმა უნდა, სასიამოვნო შეგრძნებები მქონდა, მაგრამ მეტი არაფერი... და მხოლოდ იმ მომენტებში, როდესაც ზედა ნაწილში ფრიქციებს ვგრძნობდი... გესმით ჩემი?
— სავსებით.
— და მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ ხდებოდა ასე! აქ ყველაფერი წერია, — მან მაგიდაზე დადებულ წიგნზე მიუთითა, რომლის დასახელების გარჩევაც მარიამ ვერ შეძლო, — თურმე არსებობს ნერვული კვანძი, რომელიც კლიტორიდან „წერტილ G“-საკენ მიდის, სწორედ ის განსაზღვრავს ყველაფერს! თქვენ იცით, რა არის „წერტილი G“ ?
— როგორ არა, — უპასუხა მარიამ, რომელიც ამ მომენტში მიამიტი გოგონას როლს თამაშობდა, — ჩვენ ამის შესახებ წინა შეხვედრისას ვისაუბრეთ. როგორც შეხვალ, პირველ სართულზე, სარკმელი უკანა ეზოზე გადის.
— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა! — ბიბლიოთეკარს თვალები უბრწყინავდა, — თუნდაც თვითონ შეამოწმეთ: შეეკითხეთ თქვენს დაქალებს ამის შესახებ და ნახავთ, არც ერთი არ გიპასუხებთ! რა უაზრობაა! ზუსტად ისევე, როგორც იმ იტალიელმა აღმოაჩინა კლიტორი, „წერტილი G“ —

ეს ჩვენი საუკუნის აღმოჩენაა. ძალიან მალე მის შესახებ ყველა გაზეთი ალაპარაკდება და მაშინ უცოდინრობას ვეღარ მოიმიზეზებ! ჩვენ ნამდვილი გადატრიალების მოწმენი გავხდებით!
მარიამ საათს დახედა და ბიბლიოთეკარიც აჩქარდა. სურდა მოესწრო, ეამბნა ამ ახალგაზდა ლამაზმანისათვის, რომ ქალებსაც აქვთ ბედნიერების, სურვილების დაკმაყოფილების უფლება, რათა უკვე მომდევნო თაობას შეეძლოს არაჩვეულებრივი სამეცნიერო აღმოჩენებით სრულად სარგებლობა.
— დოქტორი ფროიდი ამას არ ეთანხმებოდა, იმიტომ რომ კაცად დაიბადა და რადგან პენისის საშუალებით თვითონ იღებდა ორგაზმს, მიაჩნდა, რომ ჩვენი სიამოვნების ცენტრი საშოა! ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს არსს, იმას, რაც ყოველთვის გვანიჭებდა სიამოვნებას — კლიტორს და „წერტილ G“-ს. ძალიან, ძალიან ცოტა ქალს შეუძლია მიიღოს სიამოვნება სქესობრივი აქტის დროს, და ამიტომაც, თუ თქვენ მათ რიცხვს არ ეკუთვნით, მე გთავაზობთ — შეიცვალეთ პოზა! დაე, თქვენი პარტნიორი ქვემოდან იყოს, თქვენ კი — ზემოდან. იყავით მთავარი და თქვენი კლიტორი უფრო ძლიერ სტიმულაციას მიიღებს, და უკვე თქვენ, და არა თქვენი პარტნიორი, განსაზღვრავთ სტიმულაციის ისეთ ხანგრძლივობასა და ინტენსივობას, როგორიც თქვენთვის არის აუცილებელი! არა! სტიმულაციისა, როგორსაც თქვენ იმსახურებთ!
ამ დროს მარია თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ეს ყველაფერი არც ისე ძალიან აინტერესებდა. თურმე მხოლოდ ის არ ყოფილა ასეთი! თურმე მას ყველაფერი რიგზე აქვს და ეს ანატომიის საკითხია! უზარმაზარი ლოდი მოეხსნა გულიდან და ბიბლიოთეკარის გადაკოცნა მოუნდა. რა კარგია, რომ ეს ახლა შეიტყო, სანამ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა! რა შესანიშნავი დღეა დღეს!
ჰაიდიმ შეთქმულის იერით გაიღიმა:
— მათ არ იციან, რომ ჩვენც გვაქვს ხოლმე ერექცია! კლიტორის ერექცია!
ეს „მათ“ აშკარად კაცებს ეკუთვნოდა. მარიამ ჩათვალა, რომ საუბარი მეტისმეტად შორს წავიდა, გამბედაობა მოიკრიბა და ჰკითხა:
— გყოლიათ ვინმე ქმრის გარდა?
ჰკითხა და თვითონვე შეეშინდა იმ ეფექტისა, რაც ამ სიტყვებმა გამოიწვია. ჰაიდის თვალები აენთო (ალბათ, წმინდა გულისწყრომის ცეცხლით). საშინლად გაწითლდა, ოღონდ ვერ გაიგებდი, მრისხანებისაგან თუ სირცხვილისაგან. რამდენიმე წუთს მის სულში ჭიდილი მიდიოდა: აღიაროს თუ იცრუოს? ეს ჭიდილი ყაიმით დასრულდა. მან თემის შეცვლა არჩია.
— ჩვენს ერექციას დავუბრუნდეთ. მაშ ასე, კლიტორს სისხლით დაბერვის უნარი გააჩნია. ამ დროს იგი მაგარი და მკვრივი ხდება. თქვენთვის ეს ცნობილია?
— ბავშვობიდან.
პასუხმა ბიბლიოთეკარი ცოტა არ იყოს, დააბნია. ეტყობა თავის დროზე ამ მოვლენისთვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია.
— და თითის წრიულ მოძრაობას, ისე რომ თვითონ თავს არ შეეხოს, შეუძლია ასმაგად გაამლიეროს სიამოვნება. ეს უნდა შევითვისოთ! ეს უნდა ვიცოდეთ! კაცები კი, თუ სტიმულირებას უკეთებენ კლიტორს, მაშინვე ეხებიან მის ზედა მხარეს. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ამან ზოგჯერ შეიძლება მტკივნეული შეგრძნებები გამოიწვიოს. თქვენ მეთანხმებით? ამიტომაც უკვე პირველი ან მეორე შეხვედრის შემდეგ ინიციატივა საკუთარ თავზე უნდა აიღოთ. პოზიცია ზემოდან დაიკავეთ, თვითონ განსაზღვრეთ, როგორ და სად უნდა იყოს მიმართული დაწოლა, შეამცირეთ ან გაზარდეთ იგი თქვენი გემოვნებისამებრ. გარდა ამისა, აქ ნათქვამია, რომ აუცილებელია პარტნიორთან გულახდილი საუბარი.
— თქვენ თვითონ კი გისაუბრიათ ოდესმე ქმართან გულახდილად?
მაგრამ ჰაიდიმ ისევ აარიდა თავი პირდაპირ პასუხის გაცემას იმის მომიზეზებით, რომ მაშინ სხვა დრო იყო. მას უფრო წაკითხულისაგან მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება აინტერესებდა:

— შეეცადეთ წარმოიდგინოთ, რომ კლიტორი — ეს ისარია და სთხოვეთ თქვენს პარტნიორს, გადასწიოს იგი თერთმეტიდან პირველ საათამდე. გასაგებია?
რაღა უნდა იყოს აქ გაუგებარი? — ფიქრობდა მარია. იგი სრულად არ იზიარებდა წიგნის ავტორის შეხედულებას, თუმცა ეს ყველაფერი არც ისე შორს იყო ჭეშმარიტებისგან. მაგრამ როდესაც სიტყვა საათზე ჩამოვარდა, იგი აჩქარდა, თქვა, რომ მხოლოდ დასამშვიდობებლად შემოიარა, რომ მისი ყოფნა შვეიცარიაში დასასრულს უახლოვდება. ბიბლიოთეკარს კი თითქოს არც ესმოდა:
— გნებავთ, ამ წიგნს გაგატანთ?
— არა, გმადლობთ. სხვა საფიქრალი მაქვს.
— მაშ რა, ახალს არაფერს აიღებთ?
— არა. სახლში ვბრუნდები. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ. თქვენ ყოველთვის გაგებით და პატივისცემით მექცეოდით. შესაძლოა, ოდესმე კვლავ შევხვდეთ.
მათ ხელი ჩამოართვეს და ბედნიერება უსურვეს ერთმანეთს.

ჰაიდი დაელოდა, სანამ მარია კარს გაიხურავდა და მხოლოდ ამის მერე მისცა გასაქანი ემოციებს და მაგიდას მუშტი დაჰკრა. რატომ, რატომ არ ისარგებლა მომენტით და არ გაანდო ამ გოგონას ის, რასაც ალბათ თან წაიღებს სამარეში?! თუკი იმას ეყო გამბედაობა, ეკითხა, ღალატობდა თუ არა ჰაიდი ქმარს, რატომ არ უნდა ეპასუხა გულახდილად მისთვის, მეტადრე ახლა, როცა თავისთვის ახალი სამყარო აღმოაჩინა, რომელშიც ქალებმა ბოლოს და ბოლოს აღიარეს, რომ ვაგინალური ორგაზმის მიღწევა ძალიან ძნელია?
„კარგი, ეს არც ისე მნიშვნელოვანია. ცხოვრება მარტო სექსზე არ დადის“.
თუმცა ეს ამქვეყნად ყველაზე მთავარი არ არის, მისი მნიშვნელობა მაინც უდავოა. მან აქეთ-იქით მიმოიხედა: ამ ათასობით წიგნის უმრავლესობა სიყვარულზე მოგვითხრობს. ეს ყველაფერი სიყვარულის ერთი დაუსრულებელი ისტორიაა, თანაც ერთი და იგივე ისტორია: ვიღაცას ვიღაც უყვარს, ხვდება, კარგავს და კვლავ პოულობს. სულების ნათესაობა და მიზიდულობა, მოგზაურობა ქვეყნის დასალიერში, თავგადასავლები, ზრუნვა, წუხილი და მხოლოდ იშვიათად თუ გაბედავს ვინმე თქმას: „იცით რა, ძვირფასო, უკეთ უნდა გესმოდეს ქალის სხეულის“.
რატომ არ ლაპარაკობენ გულახდილად ამის შესახებ წიგნები?
ალბათ იმიტომ, რომ ჭეშმარიტად ეს არავის უნდა. კაცს იმიტომ, რომ ის სიახლეების ძიებას სწორედ იმ დროიდან იწყებს, როცა ის ჯერ კიდევ გამოქვაბულის ადამიანი იყო და მოდგმის გაგრძელების უძლეველი ინსტინქტი ამოძრავებდა. კი მაგრამ, ქალს? საკუთარი გამოცდილებით ჰაიდი ხვდებოდა, რომ თავისი რჩეულის მკლავებში სიამოვნების მიღება ქალს მხოლოდ ქორწინების პირველ წლებში სურს, მერე კი გზნება ნელდება, გარდაიქმნება ცოლქმრული მოვალეობის სულ უფრო და უფრო იშვიათ შესრულებად, მაგრამ ქალი არასოდეს აღიარებს ამას, რადგანაც ფიქრობს, რომ ასეთი რამ მხოლოდ მას შეემთხვა. და ყველა ცრუობს, რითაც შეცდომაში შეჰყავთ მეგობრები, თვალთმაქცობენ, თითქოს სიყვარულისაგან დაიღალნენ, თითქოს აღარ ძალუძთ ქმრის სურვილის ყოველდღე დაკმაყოფილება.
და მაშინ ისინი ცდილობენ, რაიმე სხვა საქმე გამოიჩინონ: ზრდიან შვილებს, სამზარეულოში ფაციფუცობენ, სახლს ალაგებენ, გადასახადებს იხდიან, მოთმინებითა და სიმშვიდით იტანენ ქმრის გამოხტომებს, მოგზაურობენ (თუმცა ამ მოგზაურობების დროს უფრო შვილებზე ფიქრობენ, ვიდრე საკუთარ თავზე). ზოგიერთი სიყვარულსაც ეძლევა, მაგრამ არა სექსს.
დიახ, უფრო გულახდილი უნდა ყოფილიყო ამ ბრაზილიელ გოგოსთან, რომელიც ასეთი უმანკო ჩანდა, ასაკით შვილად ეკუთვნოდა და რომელსაც ჯერ ვერ მოესწრო იმის გაგება, თუ როგორ იყო მოწყობილი სამყარო. ის ემიგრანტია, უცხო მხარეში ცხოვრობს, ბევრ და მძიმე

სამუშაოს ასრულებს (თანაც ალბათ სამუშაო სიამოვნებას არ ანიჭებს), ელის ადამიანს, ვისაც შეიძლება ცოლად გაჰყვეს, თაფლობის თვეში განასახიეროს არამიწიერი სიამოვნება, მოიპოვოს სტაბილურობა და მფარველობა, გააგრძელოს ეს იდუმალი მოდგმა კაცობრიობისა და მაშინვე დაივიწყოს მთელი ეს ორგაზმები, კლიტორები, „წერტილი G“, რომელიც, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ XX საუკუნეში აღმოაჩინეს! გახდეს ერთგული მეუღლე, კარგი დედა, ეცადოს, სახლი მყუდრო და სავსე ჰქონდეს, დროდადრო მასტურბაცია გაიკეთოს და ამ დროს ქუჩაში ნანახ მამაკაცზე იფიქროს, რომელმაც ვნებიანად შეხედა. ითვალთმაქცოს, წესიერება დაიცვას. ღმერთო, რატომ ზრუნავს აგრერიგად ჩვენი ქვეყანა გარეგნულ წესიერებაზე?!

სწორედ ამის გამო ვერ უპასუხა კითხვაზე, ჰყავდა თუ არა მას ვინმე, კანონიერი ქმრის გარდა.

ეს საიდუმლო მოკვდება ჩემში და ჩემთან ერთად, — გაიფიქრა მან. ქმარი მისთვის ყველაფერი იყო, თუმცა სექსი შორეულ წარსულში დარჩა. ის იყო იდეალური თანამგზავრი ცხოვრებაში — პატიოსანი, გულუხვი, კეთილი. ყველაფერს აკეთებდა, რათა მის ოჯახს არაფერი მოჰკლებოდა, რათა ყველა, ვინც მისი „პასუხისმგებლობის ზონაში“ იმყოფებოდა, ბედნიერი ყოფილიყო. სწორედ ასეთ ქმარზე ოცნებობენ ქალები და ამიტომაც ტანჯავდა ჰაიდის იმის გახსენება, თუ როგორ ისურვა ერთხელ სხვა და ეს სურვილი აისრულა.

მან გაიხსენა, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს. ჰაიდი სამთო ქალაქ დავოსიდან ბრუნდებოდა, ზვავის ჩამოწოლის გამო მატარებლების მოძრაობა რამდენიმე საათით შეწყდა. მან სახლში დარეკა, გააფრთხილა, რომ არ ენერვიულათ, იყიდა რანდენიმე ჟურნალი და ხანგრძლივი ლოდინისთვის მოემზადა.

და ამ დროს შორიახლოს შენიშნა ადამიანი ზურგჩანთით და საძილე ტომრით. მას შევერცხლილი თმა და გარუჯული სახე ჰქონდა და თითქოს ერთადერთი იყო, ვისაც სრულიად არ ანაღვლებდა ის, რომ მატარებლები გაჩერდნენ. პირიქით, ის უდარდელად იღიმოდა და აქეთ-იქით იყურებოდა, იქნებ ვინმეს გამოველაპარაკოო. ჰაიდიმ, ის იყო, ჟურნალი გადაშალა, მაგრამ ამ დროს — ო, რაოდენ შეუცნობლად არის მოწყობილი ცხოვრება! — თვალებით შეხვდა მას და სანამ არიდებას მოასწრებდა, ის უკვე გვერდით აღმოჩნდა.

აღმოჩნდა და ისე ალაპარაკდა, რომ ჰაიდის არ მისცა საშუალება, მისთვის დამახასიათებელი თავაზიანობით მოებოდიშა და ეთქვა, რომ მნიშვნელოვანი სტატია აქვს წასაკითხი. უთხრა, რომ უცხოელი იყო, მწერალი, რომ დავოსში საქმიანი შეხვედრა ჰქონდა, ახლა კი, იმის გამო, რომ მატარებლები არ დადიან, აეროპორტში იგვიანებს. ჰკითხა, ხომ ვერ დაეხმარებოდა ჰაიდი ჟენევაში ოტელის მოძებნაში?

ჰაიდიმ გაკვირვებით შეხედა: თვითმფრინავზე დაიგვიანო, იჯდე აქ, მოუხერხებელ სადგურში, უცდიდე, როდის გამოსწორდება სიტუაცია და ამავე დროს შეინარჩუნო სრული სიმშვიდე და კეთილგანწყობა!

ის კი აგრძელებდა მასთან საუბარს ისე, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. უყვებოდა თავის მოგზაურობებზე, მწერლობის საიდუმლოებაზე და, მოსაუბრის გასაოცრად და თავზარდასაცემად, ყველა ქალზე, ვინც კი ოდესმე ჰყვარებია. ჰაიდი მხოლოდ თავს უქნევდა, ის კი შეუჩერებლად ლაპარაკობდა. დროდადრო ბოდიშს უხდიდა იმისათვის, რომ გული გაუწყალა, სთხოვდა, მასაც მოეყოლა თავის თავზე, მაგრამ ამაზე ჰაიდის მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდა: „მე უბრალო ადამიანი ვარ და სხვებისაგან არაფრით გამოვირჩევი“.

და უეცრად ჰაიდიმ საკუთარი თავი დაიჭირა იმაში, რომ არ სურდა მატარებლის მოსვლა, რადგანაც ეს საუბარი სულ უფრო მეტად და მეტად იტაცებდა. სიტყვა ისეთ რამეზეც ჩამოვარდა, რაც მან მხოლოდ წიგნებიდან იცოდა. და რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ ადამიანს ვეღარასოდეს ნახავდა, მოიკრიბა გამბედაობა (მოგვიანებით თვითონაც უკვირდა, როგორ წავიდა ამაზე) და დაუწყო ყველაფრის გამოკითხვა, რაც კი აინტერესებდა. ზუსტად ამ დროს მას ცუდად მისდიოდა ცხოვრება. ქმარი დღენიადაგ ბუზღუნებდა და წუწუნებდა,

ხშირად უმიზეზოდ ღიზიანდებოდა და ჰაიდის სურდა გაეგო, როგორ შეეძლო მისთვის ბედნიერების მინიჭება. უცნობმა რამდენიმე ზუსტი და ორიგინალური შენიშვნა გააკეთა, სიტყვაზე რომელიღაც ამბავი გაიხსენა, მაგრამ ის, რომ ჰაიდიმ ქმარი ახსენა, მაინც და მაინც არ ეპიტნავა.

„თქვენ ძალიან საინტერესო ქალი ხართ“, — წარმოთქვა მან ფრაზა, რომელიც ჰაიდის უკვე დიდი ხანი იყო, აღარ გაეგონა.

ჰაიდიმ არ იცოდა, რა უნდა ეპასუხა ამაზე და მწერალი, როგორც კი შეამჩნია, რომ ქალი დაიბნა, ალაპარაკდა უდაბნოებზე, მთებზე, მიყრუებულ ქალაქებზე, ჩადრჩამოფარებულ ან წელამდე გაშიშვლებულ ქალებზე, ომებზე, მეკობრეებზე, ბრძენკაცებზე.

მატარებელი მოვიდა. ისინი ერთად დასხდნენ და ჰაიდი უკვე აღარ იყო გათხოვილი ქალბატონი, სამი შვილის დედა, ტბის ნაპირას შალეს მფლობელი, არამედ თავგადასავლების მაძიებელი, რომელიც ცხოვრებაში პირველად მიემგზავრებოდა ჟენევაში. ის უყურებდა, როგორ მიცურავდნენ ვაგონის ფანჯარაში მთები, მდინარე და მოსწონდა სიახლოვე მამაკაცთან, რომელსაც მისი შეცდენა სურდა (იმიტომ რომ ყველა მამაკაცი მხოლოდ ამაზე ფიქრობს) და ამიტომაც, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, მასზე შთაბეჭდილება მოეხდინა. ჰაიდი ფიქრობდა იმაზე, თუ რამდენ სხვა მამაკაცშიც ამოუცვნია ეს სურვილი და არავისთვის არასოდეს მცირედი შანსიც კი არ მიუცია, მაგრამ დღეს სამყარო გადასხვაფერდა, ის კი იქცა ოცდათვრამეტი წლის მოზარდად, გულის ფანცქალით რომ ადევნებს თვალს, როგორ ცდილობენ მის მოხიბლვას. ამაზე უფრო მშვენიერი რამ არასოდეს განუცდია.

მისი ცხოვრების შემოდგომის ხანს (რაღაც მეტისმეტად ადრე დაუდგა ეს დრო), როცა ეჩვენებოდა, რომ რაც ჩაიფიქრა, ყველაფერი აუსრულდა, გამოჩნდა ეს ადამიანი და ისე დაუახლოვდა, რომ ნებართვა არც კი უკითხავს. ჟენევის ვაგზლის ბაქანზე ჩამოსვლის შემდეგ მან აჩვენა უცნობს ოტელი (ყველაზე მოკრძალებული, როგორსაც ის დაბეჯითებით ითხოვდა, რადგანაც იმავე დღეს სამშობლოში უნდა გაფრენილიყო და ერთი საათითაც არ სურდა გაჩერება ამ საშინლად ძვირ შვეიცარიაში), მან კი სთხოვა, ნომერში მასთან ერთად ასულიყო, რათა ენახათ, იქ ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. ჰაიდი დათანხმდა, თუმცა ხვდებოდა, რაც ელოდა. კარის მიხურვისთანავე გაშმაგებული ვნებით დაუწყეს ერთმანეთს კოცნა. კაცმა კაბა ჩამოაგლიჯა და — ღმერთო დიდებულო! — აღმოჩნდა, რომ ამ მწერალმა იცის საიდუმლო ბილიკები, რომელთაც ქალი ნეტარებისკენ მიჰყავთ. ეტყობოდა, რომ ქალის ყველა განცდა და მიზეზი იმისა, რასაც ჭკვიანური სიტყვა „ფრუსტრაცია“ ჰქვია, მისთვის გადაშლილი წიგნი იყო.

ისინი მთელ დღეს სიყვარულს ეძლეოდნენ. მხოლოდ შებინდებისას გაიფანტა ხიბლი და ჰაიდიმ წარმოთქვა ფრაზა, რომელსაც, მისი ნება რომ ყოფილიყო, არასოდეს იტყოდა:

„სახლში უნდა წავიდე, ქმარი მელოდება“.

კაცმა სიგარეტი გააბოლა. ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ და არც ერთს არ უთქვამს „მშვიდობით“. ჰაიდი ადგა და ნომრიდან უკანმოუხედავად გამოვიდა. მან იცოდა, რაც არ უნდა თქმულიყო, აზრი არ ექნებოდა.

მას მერე ეს ადამიანი აღარასოდეს უნახავს, მაგრამ თავისი ცხოვრების ნაადრევი შემოდგომისას რამდენიმე საათით შეწყვიტა არსებობა, როგორც პატიოსანმა მეუღლემ, დიასახლისმა, მოსიყვარულე დედამ, სანიმუშო მოსამსახურემ, ცხოვრების ერთგულმა თანამგზავრმა და, უბრალოდ, ქალად გადაიქცა.

ამის მერე კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში ქმარი გაოცებული იყო იმით, რომ ჰაიდი თავის თავს არ ჰგავდა: ხან უჩვეულოდ მხიარული იყო, ხან — უცნაურად ჩაფიქრებული. მას არ შეეძლო, ხეირიანად აეხსნა, რა აკვირვებდა. მაგრამ აი, გავიდა ერთი კვირა და ყველაფერი უწინდელ კალაპოტში ჩადგა.

„რა დასანანია, რომ ჩემი ამბავი ამ ბრაზილიელ გოგონას არ ვუამბე, — ფიქრობდა ახლა ჰაიდი, — თუმცა, სულ ერთია, ის ალბათ ვერაფერს გაიგებდა, იმიტომ რომ ის ჯერ ისევ იმ სამყაროში ცხოვრობს, სადაც არსებობს ერთგულება და სამუდამო სიყვარულის ფიცს დებენ“.
ჩანაწერი მარიას დღიურში:

არ ვიცი, რა იფიქრა მან იმ საღამოს, როცა კარი გააღო და დამინახა ზღურბლზე ორი ჩემოდნით ხელში.
— არ შეშინდე, — უმალ დავამშვიდე მე, — შენთან საცხოვრებლად არ მოვსულვარ. მოდი, ვივახშმოთ.
მან უსიტყვოდ შემიპატიჟა, ჩემი ბარგი შეიტანა, მერე კი ისე, რომ არც უთქვამს „როგორ მიხარია შენი ნახვა“ ან „სულ არ გელოდი“, ან კიდევ რამე ამის მსგავსი, ჩამბღუჯა და კოცნა დამიწყო, ხელს ხან სად მკიდებდა და ხან სად, ხელისგულები ძუძუებზე შემომაჭდო, ტრუსებში ჩამიყო, თითქოს ამ მომენტს უსასრულოდ დიდხანს უცდიდა და ეშინოდა, რომ არასოდეს დადგებოდა.
სიტყვაც არ მათქმევინა და აი ასე, პირდაპირ აქ, ჰოლში, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და ცერემონიების გარეშე, ცივ ნიავში, რომელიც კარის ქვეშიდან უბერავდა, ჩვენ პირველად მივეცით თავი სიყვარულს. ერთი პირობა ვიფიქრე, ხომ არ შევაჩერო და უფრო მოხერხებულ ადგილას არ გადავიყვანო, ხომ არ ვუთხრა, რომ დრო საკმაოდ გვაქვს ჩვენი მგრძნობელობის უსაზღვრო სამყაროს შესასწავლად-მეთქი, მაგრამ არაფერი არ მოვიმოქმედე, რადგანაც მსურდა, რაც შეიძლება მალე დამუფლებოდა, რადგანაც ეს კაცი არასოდეს ყოფილა ჩემი და არც აღარასოდეს იქნება. ამიტომაც შემეძლო მყვარებოდა იგი მთელი ჩემი ენერგიით და თუნდაც მხოლოდ ერთი ღამით მიმეღო ის, რაც ადრე არასოდეს მქონია და, ალბათ, არც მომავალში მექნება.
დამაწვინა იატაკზე და მკვეთრად შევიდა ჩემს სხეულში, წინასწარი ფერების გარეშე, ისე, რომ მე სრულად მომზადებული არ ვიყავი მის მისაღებად. მაგრამ მსუბუქი ტკივილი, რომელსაც განვიცდიდი, მსიამოვნებდა. რალფს უნდა გაეგო, რომ მე მას ვეკუთვნი და რომ მან არ უნდა მკითხოს ნებართვა. მე იქ იმისათვის არ ვიყავი, რომ რაიმე მესწავლებინა ან მეჩვენებინა, რამდენად უფრო მგრძნობიარე ვარ სხვა ქალებთან შედარებით, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ მეთქვა მისთვის „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ მეჩვენებინა, რომ ის სასურველია ჩემთვის, რომ მეც დიდხანს ველოდი ამ წუთს, რომ მე მახარებს მისი მოწოლის სიშმაგე და ქცევის იმ წესების სრული უგულებელყოფა, რომლებიც ჩვენ შორის ჩამოყალიბდა, რომ ახლა ჩვენ გავხდით უბრალოდ მამრი და მდედრი, რომელთაც მხოლოდ ინსტინქტი წარმართავს. პოზიცია მეტად ბანალური იყო: მე ზურგზე ვიწექი ბარძაყგადაშლილი, რალფი ზემოდან იყო. მე ვუცქერდი მას და სულაც არ მსურდა სიამოვნების იმიტირება, რაღაც კვნესის მსგავსი ხმების გამოცემა. საერთოდ არაფერი არ მსურდა, ოღონდაც მისი ცქერით გავმძღარიყავი, კარგად დამემახსოვრებინა ყოველი წამი და დამენახა მისი სახე, შემეგრძნო, როგორ მეჭდობიან თმებში მისი თითები, როგორ მკოცნის თუ მკბენს მისი პირი. დიახ, არავითარი დახვეწილი ფერება, არავითარი წინასწარი თამაში: მან შეაღწია ჩემს სხეულში, მე — მის სულში.
ის ხან ანელებდა, ხან უმატებდა ტემპს, ზოგჯერ ჩერდებოდა და შემომხედავდა, მაგრამ არ მეკითხებოდა, მსიამოვნებდა თუ არა, იმიტომ, რომ იცოდა: ამ წუთას ჩვენს სულებს მხოლოდ ასე შეეძლოთ ურთიერთობა. მისი მოძრაობები სულ უფრო მკვეთრი ხდებოდა. მე ვიცოდი, რომ თერთმეტი წუთი ის-ის იყო გათავდებოდა, მაგრამ მინდოდა, რომ დაუსრულებლად გაგრძელებულიყო, იმიტომ რომ ესოდენ მშვენიერია — ღმერთო დიდებულო, რა მშვენიერია! — აჩუქო მას დაუფლება ისე, რომ სამაგიეროდ არაფერი მოითხოვო. ჩემი თვალები ფართოდ იყო გახელილი და როდესაც მათ ლიბრი ეკვროდა, ვგრძნობდი, რომ ჩვენ სხვა განზომილებაში

მივექანებოდით, სადაც მე ვხდებოდი დიდი დედა, თვით სამყარო, საყვარელი ქალი, წმინდა მეძავი, რომელიც უძველეს საიდუმლოებას აღასრულებს, რომლის შესახებაც რალფმა ერთხელ მიამბო ბუხართან ჭიქა ღვინით ხელში მჯდომმა. როდესაც ხელები უფრო მაგრად მომიჭირა მხრებზე, მივხვდი, ორგაზმი ახლოვდებოდა. რალფი გაშმაგებით ამოძრავდა და აი, ის აყვირდა. კი არ აკვნესდა, ყრუდ, ტუჩების კვნეტით კი არ აბღავლდა, არამედ ყვიროდა, ბრდღვინავდა, ყმუოდა გარეული მხეცივით. სადღაც ცნობიერების პერიფერიაზე გამიელვა აზრმა, რომ მეზობლები გაიგონებდნენ, პოლიციას გამოუძახებდენ, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და მე განვიცადე უზარმაზარი სიამოვნება. ასეა დასაბამიდან — როდესაც პირველი მამაკაცი შეხვდა პირველ ქალს და პირველად მიეცა მასთან სიყვარულს, ისინიც ყვიროდნენ.

მისი სხეული მოეშვა, მთელი სიმძიმით დამაწვა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიწექით ასე ჩახვეულები, მე თავზე ვეფერებოდი, როგორც იმ დღეს, როცა თვალახვეულები ვეალერსებოდით ერთმანეთს ოტელის ნომერში. და ვგრძნოდი, რომ მისი გულის გაშმაგებული ცემა ნელდებოდა, თითები კი ოდნავი შეხებით სრიალებდნენ ჩემს ხელებზე და თითოეულ ბეწვს ჩემს სხეულზე ყალყზე აყენებდნენ.

ის, ალბათ, მიხვდა, რომ მამძიმებდა, გვერდზე გადაგორდა, მერე ზურგზე დაწვა ჩემ გვერდით და ჩვენ მივაშტერდით ჭერს, სადაც სამფეხიანი ჭაღი ენთო.

— საღამო მშვიდობისა, — წარმოვთქვი მე.

მან უფრო ახლოს მიმიზიდა, ისე, რომ ჩემი თავი მის მკერდზე აღმოჩნდა და მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მიპასუხა „საღამო მშვიდობისა“.

— მეზობლებს, ალბათ, ყველაფერი ესმოდათ, — განვაგრძე მე, თან კარგად არ მესმოდა, რა იქნებოდა შემდეგ, იმიტომ რომ ახლა თქმას „მე შენ მიყვარხარ“ არავითარი აზრი არ ჰქონდა: მან ეს ისედაც იცოდა, მე — მით უმეტეს.

— კარიდან უბერავს, — მიპასუხა მან, თუმცა შეეძლო ეთქვა: „რა მშვენიერია“ , — სამზარეულოში წავიდეთ.

ჩვენ ავდექით და მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ მას გახდაც კი ვერ მოესწრო და იმავე ფორმაში იყო, როგორშიც მაშინ, როცა კარი გამიღო, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით იმას, რომ ტანსაცმელი აჩაჩული ჰქონდა. მე შიშველ მხრებზე ჩემი პიჯაკი მოვისხი. ჩვენ სამზარეულოში გავედით. მან ყავა მოადუღა, ზედიზედ ორი სიგარეტი მოსწია, მე კი — ერთი. მაგიდას მივუსხედით. „გმადლობთ“, — თქვა მან თვალებით. „მეც მადლობელი ვარ შენი“, — მზერითვე ვუპასუხე მე. ასეთი იყო ჩვენი უსიტყვო დიალოგი.

ბოლოს გაბედა ეკითხა, რატომ ვიყავი ჩემოდნებით.

— ხვალ შუადღისას ბრაზილიაში მივფრინავ.

ქალმა ყოველთვის იცის, როდის არის მისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი მამაკაცი. მაგრამ მამაკაცები არიან კი ამ ნიჭით დაჯილდოებულნი? თუ მომიწევს თქმა: „მე შენ მიყვარხარ“, „არ მინდა შენთან განშორება“, „მთხოვე დარჩენა“?

— არ გინდა, — დიახ, ის მიხვდა, რომ ჰქონდა ამის თქმის უფლება.

— ასეა საჭირო. აღთქმა დავდე.

იმიტომ, რომ სხვანაირად შეიძლება ვირწმუნო, თითქოს ეს ყველაფერი სამუდამოდაა. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის, ეს ხომ მხოლოდ ოცნების პატარა ნაწილია, პროვინციელ გოგონას რომ აღელვებს. გოგონას, რომელიც ჩამოდის დიდ ქალაქში (სიმართლე რომ ითქვას — არც ისე დიდში), გადის მრავალ გამოცდას და ბოლოს და ბოლოს ხვდება ადამიანს, რომელიც ბედმა არგუნა. დიახ, აი ის, „ჰეფი ენდი“, ყველა ჩემი განსაცდელის ბედნიერი დასასრული. ყოველთვის, როცა კი ევროპაში ჩემს ცხოვრებას გავიხსენებ, მომაგონდება ის, ვისაც ვუყვარდი, ვინც სამუდამოდ ჩემად დარჩება, რადგანაც მე უკვე ნამყოფი ვარ მის სულში.

ოჰ, რალფ, შენ არც კი იცი, რა ძლიერ მიყვარხარ. ვფიქრობ, ჩვენ ყველას, როგორც კი ცხოვრებაში პირველად დავინახავთ ჩვენი ოცნების მამაკაცს, იმავ წამს გვიყვარდება იგი, თუმცა გონება გვკარნახობს, რომ ვცდებით, და ვიწყებთ ჭიდილს — ჭიდილს გამარჯვების სურვილის გარეშე — საკუთარ ინსტინქტთან. მაგრამ მოდის წამი, როდესაც გრძნობა იმარჯვებს. სწორედ ეს მოხდა იმ საღამოს, როცა ფეხშიშველი მივდიოდი ინგლისურ პარკში, ვიტანჯებოდი ტკივილისაგან და სიცივისაგან და ვაცნობიერებდი, თუ რა ძლიერ გიყვარვარ, რალფ.

დიახ, მე შენ მიყვარხარ ისე, როგორც არასდროს არავინ მყვარებია და ამიტომაც გტოვებ სამუდამოდ, რადგანაც თუ სიზმარი ცხადად იქცევა, მაშინ შენი ფლობის სურვილი, სწრაფვა იმისაკენ, რომ შენი ცხოვრება ჩემი გახდეს... ეს ყველაფერი სიყვარულს ბოლოს და ბოლოს აუცილებლად მონობად გადააქცევს. არა, ოცნება გაცილებით უკეთესია. უფრო ფრთხილად უნდა მოეპყრო იმას, რაც თან მიგაქვს ქვეყნიდან ან ცხოვრებიდან.

— შენ ვერ განიცადე ორგაზმი, — თქვა რალფმა, რომელიც ცდილობდა, თემა შეეცვალა, სიტუაცია განემუხტა. მას ჩემი დაკარგვისა ეშინოდა და მიაჩნდა, რომ თადარიგში მთელი ღამე ექნებოდა, შეძლებდა, ისე მოეწყო საქმე, რომ წასვლა გადამეფიქრებინა.

— ვერა, მაგრამ სიამოვნება — უდიდესი.

— უკეთესი იქნებოდა, ორგაზმი განგეცადა.

— შემეძლო, მეთვალთმაქცა მხოლოდ იმისათვის, რომ შენთვის მესიამოვნებინა, მაგრამ ტყუილს ვერ გაკადრებდი. შენ მამაკაცი ხარ, რალფ ჰარტ, მამაკაცი ამ სიტყვის ყველაზე სრული და მშვენიერი გაგებით. შენ შეძელი, ჩემთვის დახმარება და მხარდაჭერა აღმოგეჩინა, შენ მიიღე დახმარება და მხარდაჭერა ჩემგანაც და ისე, რომ ეს დამცირებად არ გამოიყურებოდა. დიახ, მე მინდოდა შენთან გამეთავებინა, მაგრამ ეს არ მოხდა. და მაინც, ცივ იატაკზე გაშხლართული, ვგრძნობდი შენს მხურვალე სხეულს და გაშმაგებას, რომლითაც შენ შეხვედი ჩემში და მე აღფრთოვანებული ვიყავი.

დღეს წიგნები რომ მივიტანე ბიბლიოთეკაში, ჩემმა მეგობარმა, რომელიც იქ მუშაობს, მკითხა, ვლაპარაკობ თუ არა სექსის შესახებ ჩემს პარტნიორთან. ძალიან მინდოდა მეპასუხა: „რომელ პარტნიორთან? რა სექსზე?“, მაგრამ თავი შევიკავე, არ მინდოდა, მეწყენინებინა — ის ყოველთვის კეთილად იყო განწყობილი ჩემს მიმართ.

სინამდვილეში კი მას მერე, რაც ჟენევაში ჩამოვედი მხოლოდ ორი „პარტნიორი“ მყავდა: ერთმა ჩემი სულის ფსკერზე დალექილი მთელი სიბინძურე აამღვრია და მე მივეცი მას ამის უფლება, უფრო მეტიც, ვემუდარებოდი, ეს გაეკეთებინა; მეორე კი შენა ხარ, ადამიანი, რომლის წყალობითაც მე კვლავ სამყაროს ნაწილი გავხდი. ო, ნეტავ შემეძლოს გასწავლო, როგორ, სად, რამდენ ხანს, რა ძალით უნდა მეფერო!.. და მე ვიცი, შენ ამას არ აღიქვამდი როგორც საყვედურს, მიხვდებოდი, რომ არ არსებობს სხვა გზა ერთი სულის მეორესთან შერწყმისა. სიყვარულის ხელოვნება შენი ფერწერის მსგავსია: ისიც მოითხოვს ტექნიკას, მოთმინებას და, რაც მთავარია, ჩვევას. და კიდევ — გამბედაობას: ზოგჯერ საჭიროა, იმ ზღვარს გასცდე, რომელზეც იჭედებიან ჩვეულებრივი, პირობითობებით შებოჭილი ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ „სიყვარულს ეძლევიან“.

მე გავჩუმდი. მართლა და მართლა, რას ვქადაგებ, თითქოს კათედრაზე ვიდგე?! მაგრამ რალფი არც შემკამათებია და არც დამთანხმებია. მან ბოლო ნახევარ საათში უკვე მესამე სიგარეტი გააბოლა:

— ჯერ ერთი, ამაღამ აქ დარჩები, — თქვა მან თხოვნით კი არა, მბრძანებლურად, — მეორეც, ჩვენ კვლავ მივეცემით სიყვარულს, მაგრამ ამჯერად არა ასე ხარბად და უკანმოუხედავად. ბოლოს და ბოლოს, თუ შენ გინდა, რომ ქალებს გავუგო, მე მინდა, რომ შენ უკეთ გაუგო კაცებს.

ამაზე უკეთ რაღა?! რამდენმა გაიარა ჩემს ხელში, ჩემს ტანზე — თეთრებმა, ყვითლებმა, შავებმა, იუდეველებმა და მუსულმანებმა, კათოლიკეებმა და ბუდისტებმა! ნუთუ რალფმა ეს არ იცის?
მაგრამ ცოტა მომეშვა გულზე იმის გამო, რომ ჩვენმა საუბარმა ასეთი სახე მიიღო. იყო წუთი, როცა ისიც კი ვიფიქრე, ღმერთი მაპატიებს, თუ აღთქმას დავარღვევ-მეთქი. მაგრამ სინამდვილე კვლავ წარმომიდგა, რათა შეეხსენებინა: ოცნება ხელუხლებელი უნდა დარჩეს, მე კი არა მაქვს ბედის მიერ დაგებულ ხაფანგში გაბმის უფლება.
— დიახ, დიახ, რათა უკეთ გაუგო კაცებს, — გაიმეორა რალფმა, როცა ჩემი ირონიული მზერა შენიშნა, — შენ ლაპარაკობ ქალური სექსუალობის ბუნებაზე, შენ გინდა დამეხმარო, რათა შენს სხეულზე გავცურო, შენ ჩამჩიჩინებ, რომ აუცილებელია დრო და მოთმინება. თანახმა ვარ, მაგრამ არ მოგსვლია აზრად, რომ ჩვენ სხვადასხვანაირად ვართ მოწყობილნი და მე და შენ სხვადასხვა დრო გვჭირდება? იქნებ ღმერთისთვის საყვედური გვეთქვა, ასეთებად რომ გაგვაჩინა?
როდესაც ჩვენ შევხვდით, მე გთხოვე, სექსი გესწავლებინა ჩემთვის, იმიტომ რომ ჩემში სურვილი ჩამქრალი იყო. იცი, რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველი, როგორც იტყვიან, შერწყმა ჩემთვის აუტანელი გულგატეხილობით, დაუძლეველი სასოწარკვეთით მთავრდებოდა, რადგან დიდი ხანია მივხვდი, რომ არ შემწევს უნარი, ჩემს სატრფოებს ის სიამოვნება მივანიჭო, რომელსაც ისინი მანიჭებენ.
მე ძალზე არ მომეწონა ეს „ჩემს სატრფოებს“, მაგრამ წყენა არ შევიმჩნიე და სიგარეტი გავაბოლე.
— მე ვერც ერთ მათგანს ვერ ვუბედავდი, მეთხოვა: „გამანდე შენი სხეულის საიდუმლოებანი“. მაგრამ, როდესაც ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, დავინახე შენგან მომავალი შუქი და გავიფიქრე: ჩემი სიცოცხლე იმ ზღვრამდე მივიდა, რომლის იქითაც დასაკარგი უკვე აღარაფერი მაქვს და მე ვალდებული ვარ, გულწრფელი ვიყო საკუთარ თავთან და იმ ქალთან, რომელიც მსურს, ჩემ გვერდით ვიხილო-მეთქი.
სიგარეტი რაღაც უჩვეულო სიამოვნებას მანიჭებდა და თუ რალფი ღვინოსაც შემომთავაზებდა, მთლად შესანიშნავი იქნებოდა. მაგრამ მას ეტყობა არ სურდა ყურადღების სხვა რამეზე გადატანა.
— რატომ არის, რომ კაცები, იმის მაგივრად, გააკეთონ ის, რასაც შენ მიკეთებდი, მხოლოდ სექსზე ფიქრობენ და არც კი ცდილობენ გაიგონ, რას განვიცდი?
— საიდან მოიტანე, თითქოს ჩვენ მხოლოდ სექსზე ვფიქრობთ? პირიქით: წლობით, წლობით ვცდილობთ დავარწმუნოთ საკუთარი თავი, რომ სექსი მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩვენ ვსწავლობთ სიყვარულს მეძავებისგან ან ქალიშვილებისაგან, ჩვენი რომანების შესახებ ვუყვებით ყველას, ვინც კი მოსმენაზე დაგვთანხმდება, თავს ვიწონებთ ახალგაზრდა საყვარლებით და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ სხვებს ვუჩვენოთ: დიახ, ჩვენ სწორედ ისეთები ვართ, როგორების ნახვაც სურთ ქალებს.
მაგრამ იცი, რას გეტყვი? არც დაიჯერო! ჩვენ ამისი არაფერი გაგვეგება! ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ სექსი და ეაკულაცია ერთი და იგივეა. ჩვენ ვერაფერს ვისწავლით, იმიტომ, რომ გვრცხვენია ვუთხრათ ქალს: გამანდე შენი სხეულის საიდუმლოებანი. ჩვენ ვერაფერს ვისწავლით იმიტომაც, რომ ქალებსაც არ ჰყოფნით გამბედაობა, თქვან: შემიცანი მე. ჩვენ ვემორჩილებით გადარჩენის უმარტივეს ინსტინქტს, მორჩა და გათავდა. შენ ეს სრულ უაზრობად მოგეჩვენება, მაგრამ იცი, რა არის კაცისთვის სექსზე უფრო მნიშვნელოვანი?
„ფული, ძალაუფლება“, — გავიფიქრე მე, მაგრამ ხმა არ ამომიღია.
— სპორტი. და იცი, რატომ? იმიტომ, რომ კაცისთვის გასაგებია ენა, რომელზეც ლაპარაკობს სხვა კაცის სხეული. როცა შეჯიბრებას ვადევნებთ თვალს, ჩვენ ვხედავთ, უფრო სწორად, გვესმის დიალოგი წარმოებული იმ სხეულთა შორის, რომელთაც ესმით ერთმანეთისა.

— ეს სიგიჟეა.
— შესაძლოა, სიგიჟეა, მაგრამ არა უაზრობა. შეგიმჩნევია, რას გრძნობდნენ კაცები, რომლებთანაც შენ იყავი?
— შემიმჩნევია. მათ ყველას თავდაჯერებულობა აკლდათ. ყველანი შიშს განიცდიდნენ.
— არა, შიშზე უფრო უარესს. ისინი, როგორც მოკრივეები ამბობენ, „იხსნებოდნენ“. მათ თვითონაც არ ესმოდათ ხეირიანად, რას აკეთებდნენ. მაგრამ ყველასაგან, აბსოლუტურად ყველასაგან — მეგობრებისაგან, თვით ქალებისგანაც კი — გამუდმებით ესმოდათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს. „სექსი, სექსი, სექსი“ — აი, რას ემყარება სამყარო, აი, რაზეა დამოკიდებული ცხოვრება, აი, რას ჩაგვჩიჩინებენ რეკლამები, ფილმები, წიგნები. და არავინ იცის, რაზეა საუბარი. რადგანაც ინსტინქტი ყველა ჩვენგანზე უფრო ძლიერია, ყველამ იცის, რომ ეს უნდა გაკეთდეს. მორჩა და გათავდა.
კმარა, გამიელვა თავში. ჯერ იყო და თავდაცვის მიზნით სექსის შესახებ ლექციებს ვკითხულობდი, ახლა ამანაც იგივე დაიწყო. და რაც უფრო ჭკვიანურად და მეცნიერულად ჟღერდა ჩვენი სიტყვები, — ადამიანი ხომ ისეა მოწყობილი, რომ მუდამ ცდილობს შთაბეჭდილება მოახდინოს თავის ახლობელზე, — მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ეს ყველაფერი იყო სრული სისულელე, რომელიც ჩემი და მისი გრძნობების ღირსი არ იყო. მე დავიახლოვე, მივიზიდე იმით, რომ, საკუთარი თავის შესახებ ჩემივე აზრებისაგან ან მისი სიტყვებისაგან დამოუკიდებლად, ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა. დასაბამიდან ყველაფერი სიყვარული იყო. მაგრამ შემდგომ გამოჩნდა გველი და ეუბნება ევას: რასაც გასცემ, დაკარგული იქნება შენთვის. აი, ასევე მომივიდა მეც. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას განვიდევნე სამოთხიდან და მას მერე ვცდილობ ვუთხრა გველს, რომ ის ცდებოდა და რომ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია იცხოვრო, ვიდრე საკუთარი თავისთვის შეინახო თავი. მაგრამ, ეტყობა ის მაინც მართალი იყო, მე კი ვცდებოდი.
მე მუხლებზე დავეშვი. ნელ-ნელა გავხადე ყველაფერი, რაც ეცვა და დავინახე რალფის ჩაქინდრული, თითქოს მთვლემარე ასო. თვითონ მას სრულიად არ რცხვენოდა ამისა და მე შევუდექი ტერფებიდან მოყოლებული მისი ფეხების კოცნას. ასო ნელ-ნელა გამოცოცხლდა და მე შევეხე მას ჯერ თითებით, შემდეგ ტუჩებითა და ენით და აუჩქარებლად, რათა რალფს ეს არ აღექვა, როგორც „აბა, მიდი, გაიღვიძე“, დავუწყე მას კოცნა ნაზად, რაც საბოლოო ჯამში გადამწყვეტი აღმოჩნდა. რალფი ნელ-ნელა ეგზნებოდა, ის ჩემს ძუძუსთავებს შეეხო და თითის წვერებით ეფერებოდა, როგორც მაშინ, იმ უკუნ ღამეს, და მე სურვილმა შემიპყრო, სურვილმა, რომ დამუფლებოდა ისე, როგორც მას მოუნდებოდა: საშოც, პირიც, ძუძუებიც მზად იყვნენ მის მისაღებად.
მან თავისკენ ზურგით მომაბრუნა. ისე რომ ჟაკეტი არც კი გაუხდია, მაგიდაზე გადამხარა და ნელ-ნელა შევიდა. ამჯერად აღარ იყო შმაგი და ხარბი მოძალება, ისევე როგორც აღარ იყო ჩემი დაკარგვის შიში, რადგან სულის სიღრმეში თვითონაც მიხვდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარია, სიზმრად დარჩება და არასოდეს აცხადდება.
მე ერთდროულად ვიგრძენი ჩემში მისი ასო და მისი ხელები, რომლებიც ძუძუებსა და დუნდულებზე მეფერებოდნენ ისე, როგორც მხოლოდ ქალს შეუძლია. მაშინ მე მივხვდი, ჩვენ ერთმანეთისათვის ვიყავით გაჩენილნი: მას შეუძლია ქალად გარდაისახოს, მე კი — კაცად. როგორც მაშინ, როცა ჩვენ ვსაუბრობდით ან ერთმანეთისაკენ სავალ გზას ვადექით, გზას ორი გარყვნილი, მიუსაფარი სულისა, ორი ნაწილაკისა, რომელთა გარეშეც სამყარო არასრული იქნებოდა.
რამდენადაც ის შედიოდა ჩემში და თან შეუჩერებლად მეფერებოდა, მე სულ უფრო ნათლად ვაცნობიერებდი, რომ ის ამას მხოლოდ ჩემთვის კი არ აკეთებდა, არამედ მთელი სამყაროსთვისაც. დიახ, მშვენიერი იყო, როცა მე მხოლოდ და მხოლოდ დასამშვიდობებლად გამოვეცხადე ორი ჩემოდნით ხელში, ის კი, შეიძლება ითქვას, მეძგერა, იატაკზე დამაგდო და

დამეუფლა სიშმაგით, რომელიც შიშის ნაყოფი იყო. მაგრამ შეუდარებლად უფრო მშვენიერი იყო იმისი ცოდნა, რომ ეს ღამე არასოდეს დამთავრდებოდა და ის, რომ, როდესაც აქ, სამზარეულოს მაგიდაზე მეწვევა ორგაზმი, ეს იქნება არა დასასრული, არამედ დასაწყისი ჩვენი პაემანისა.

ის უეცრად გაჩერდა, მაგრამ თითები უფრო სწრაფად ამოძრავდნენ და მე ერთიმეორის მიყოლებით სამი ორგაზმი განვიცადე. სიამოვნების სიმძაფრე ტკივილს ესაზღვრებოდა, იმდენად, რომ რაღაც მომენტში მინდოდა მომეშორებინა რალფი და გამოვხსნილიყავი, მაგრამ არ შევეპუე და თავი შევიკავე: მე მზად ვიყავი მიმეღო და განმეცადა კიდევ ერთი, კიდევ ორი, ან კიდევ...

...და აქ უეცრად რაღაც შუქის მსგავსი აენთო ჩემში. მე უკვე მე აღარ ვიყავი, მე არ ვიყავი უწინდელი მარია, არამედ არსება, უსასრულოდ უფრო მაღლა მდგომი ყოველივე იმაზე, რაც კი ვიცოდი. როდესაც მისმა ხელმა მეოთხე ორგაზმისაკენ წამიყვანა, მე იმ მხარეში აღმოვჩნდი, სადაც უშფოთველი სიმშვიდე სუფევს, მეხუთეზე კი ღმერთი გამომეცხადა. ამ მომენტში რალფი კვლავ ამოძრავდა ჩემში, მისი თითებიც არ გაჩერებულან და მაშინ ვიყვირე: „ღმერთო!“ და მე უკვე აღარ ვიცოდი, სად ვიყავი, ჯოჯოხეთში თუ სამოთხეში.

მაგრამ არა, სამოთხეში. მე ვიქეცი მიწად თავისი მთებით, ვეფხვებით, მდინარეებით, რომლებიც ტბებში ჩაედინებიან, ტბებად, რომლებიც ზღვებად იქცევიან. რალფი ტემპს უმატებდა. ტკივილი სიამოვნებაში აირია, შემეძლო, მეთქვა, „მეტი აღარ შემიძლია“, მაგრამ ეს უსამართლობა იქნებოდა, იმიტომ რომ იმ წამს ჩვენ ერთ არსებად ვიქეცით.

მე არ ვეწინააღმდეგებოდი მას, თუმცა მისი ფრჩხილები ჩემს ბარძაყებში იყო ჩასობილი, მუცლითა და მკერდით კი სამზარეულოს მაგიდაზე ვიწექი, თან ვფიქრობდი, რომ ქვეყნად არ არსებობს სიყვარულისთვის უკეთესი ადგილი. მაგიდა უფრო ძლიერად აჭრიალდა და აქანავდა, სუნთქვა წყვეტილი და მძაფრი გახდა, უფრო ღრმად ჩამესო ფრჩხილები, მე კი ვეხეთქებოდი რალფს — ხორცით მის ხორცს, ძვლით მის ძვალს, და კვლავ ახლოვდებოდა ორგაზმი, და ამ ყველაფერში არ იყო არაფერი თვალთმაქცობის მსგავსი!

— მიდი!

მან იცოდა, რასაც წარმოთქვამდა და მეც ვიცოდი, რომ ახლოვდებოდა უმაღლესი აღმაფრენის წამი. ვგრძნობდი, რომ ჩემი სხეული მზად არის, დაიღვაროს, თვითონ მე უკვე ვეღარაფერს ვხედავდი, აღარაფერი მესმოდა, დავკარგე გემოს შეგრძნება და გადავიქეცი გრძნობების ერთ უზარმაზარ სათავსოდ.

— მიდი!

და ისე, რომ წამითაც არ დამიგვიანია, მასთან ერთად დავიცალე და გრძელდებოდა ეს არა თერთმეტ წუთს, არამედ უსასრულოდ. მეჩვენებოდა, რომ ის და მე, სხეულის გარსისგან განთავისუფლებულები, ზარ-ზეიმით, ურთიერთგაგებითა და სიახლოვით დავეხეტებოდით სამოთხის ბაღებში. მე ვიყავი ქალი და მამაკაცი, ის იყო მამაკაცი და ქალი. არ ვიცი, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ქვეყანა მოიცვა მოკრძალებულმა სიჩუმემ, თითქოს სამყარომ და სიცოცხლემ შეწყვიტეს არსებობა და გადაიქცნენ რაღაც სიწმინდედ, რომელსაც სახელი არა აქვს და არ ექვემდებარება წუთებსა და საათებში აღრიცხვას.

მაგრამ აი, დრო დაბრუნდა, მე გავიგონე რალფის ყვირილი და ავყევი მას. სამზარეულოს მაგიდის ფეხები ძლიერად ეხეთქებოდნენ იატაკს და არც ერთ ჩვენგანს აზრადაც არ მოსვლია, ეკითხა, რას იფიქრებდა დანარჩენი ქვეყანა.

ის გაუფრთხილებლად გამოთავისუფლდა და სიცილი აუტყდა. მე მისკენ შევბრუნდი, ვგრძნობდი, რომ ჯერ ისევ სიამოვნების კრუნჩხვებში ვიყავი და მეც სიცილი დავიწყე. ჩვენ ერთმანეთს მოვეხვიეთ, როგორც ცხოვრებაში პირველი შერწყმის შემდეგ.

— დამლოცე, — მთხოვა მან.

მე შევასრულე მისი თხოვნა ისე, რომ არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. ვთხოვე, რომ მასაც დაველოცე და რალფი დამემორჩილა. მან თქვა: „კურთხეულ იყავ, ქალო, ბევრი სიყვარულისთვის“. ეს მშვენიერი სიტყვები იყო, ჩვენ ერთმანეთს მოვეხვიეთ და გავირინდეთ. ვერაფრით გაგვეგო, როგორ შეეძლო თერთმეტ წუთს, ასეთ მწვერვალზე აეტაცა ქალი და მამაკაცი.
არც ის და არც მე დაღლას არ ვგრძნობდით. ჩვენ მისაღებ ოთახში შევედით. მან მუსიკა ჩართო, შემდეგ კი სწორედ ის გააკეთა, რასაც მისგან ველოდი — ბუხარი გააჩაღა და ღვინო დამისხა.
ამის შემდეგ წიგნი გადაშალა და წაიკითხა:

„ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა;
ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგულის აღმოფხვრისა.
ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა;
ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა.
ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა;
ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა.
ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა;
ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა.
ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა;
ჟამი შენახვისა და ჟამი გაფლანგვისა.
ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა;
ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა.
ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა;
ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა.

ეს დამშვიდობებასავით ჟღერდა. მაგრამ ეს დამშვიდობება იყო ყველაფერზე მშვენიერი, რაც კი ცხოვრებაში განეცადა.
ჩვენ მოვეხვიეთ ერთმანეთს და ბუხრის წინ, ხალიჩაზე დავწექით. მე არა მტოვებდა განცდა ყოფიერების რაღაც აქამდე შეუცნობელი სისრულისა, თითქოს ყოველთვის ბრძენი და ბედნიერი ვყოფილიყავი, თითქოს განვცხადდი და განვხორციელდი.
— ეს როგორ მოგვიდა, რომ მეძავი შეიყვარე?
— ადრე მე თვითონაც ვუსვამდი ჩემს თავს ამ შეკითხვას. დღეს კი, ცოტა ფიქრის შემდეგ, მივხვდი, ვიცოდი, რომ შენი სხეული აღარასოდეს იქნებოდა მხოლოდ ჩემი საკუთრება და მთელი ძალები შენი სულის დასაპყრობად გადავისროლე.
— და შენ არ ეჭვიანობ?
— შეუძლებელია, უთხრა გაზაფხულს: „ახლავე დადექი და იმდენ ხანს გაგრძელდი, რამდენიც საჭიროა“. შეიძლება მხოლოდ უთხრა: „მოდი, მომანიჭე იმედის მადლი და იყავი ჩემთან რაც შეიძლება დიდხანს“.
აი, ეს კი სწორია — ეს სიტყვები ქარმა წაიღო. მაგრამ მე მსურდა მოსმენა, მას კი — მათი წარმოთქმა. არ მახსოვს, როდის დამეძინა. მე მესიზმრებოდა არა მოვლენები და ადამიანები, არამედ რაღაც არომატი, რომელიც ავსებდა ყოველივეს.

როცა მარიამ თვალი გაახილა, გადაწეული ფარდების მიღმა უკვე მზე ანათებდა. „ჩვენ მხოლოდ ორჯერ განვიცადეთ სიახლოვე, — გაიფიქრა მან, როცა მის გვერდით მძინარე კაცს დახედა, — მეჩვენება კი, რომ არასოდეს დავცილებივარ და ის ყოველთვის მიცნობდა, იცნობდა ჩემს ცხოვრებას, სხეულსაც, სულსაც, ჩემს სამყაროს, ჩემს ტკივილს“.

ის წამოდგა, სამზარეულოში გავიდა ყავის მოსადუღებლად, დაინახა დერეფანში ორი ჩემოდანი და ყველაფერი გაახსენდა: თავისი აღთქმაც, ტაძარში ლოცვაც, გაახსენდა ისიც, Yთუ როგორ კარგავს სიზმარი თავის ხიბლს, რომელიც სულსა და ხორცს აერთიანებს, ისიც, რომ სიამოვნებასა და ნეტარებას შორის უფსკრული ძევს.
მარიას დარჩენა დიახაც რომ შეეძლო: დასაკარგი არაფერი ჰქონდა, კიდევ ერთი ილუზიის გარდა. „ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა“ — გაიხსენა მან.
მაგრამ იქ ხომ ნათქვამია: „ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა“. მან ყავა მოადუღა, სამზარეულოს კარი მიხურა და ტელეფონით ტაქსი გამოიძახა. მოიკრიბა მთელი თავისი ნებისყოფა, რომელმაც ამ დასაკარგავში გადმოისროლა, „შუქად“ სახელდებულ საკუთარ ენერგიის წყაროს დაეწაფა, რომელმაც გაფრენის ზუსტი თარიღი დაუსახელა, რომელიც იფარავდა მას, აიძულებდა, სამუდამოდ დაემახსოვრებინა ეს ღამე. ჩაიცვა, აიღო ჩემოდნები, თან გულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ რალფს გაეღვიძებოდა და დარჩენას სთხოვდა.
მაგრამ რალფმა არ გაიღვიძა. სანამ მარია ტაქსის მოლოდინში სახლის გვერდით იდგა, გამოჩნდა ბოშა ქალი ყვავილების თაიგულით ხელში.
— იყიდეთ ყვავილები.
და მარიამ იყიდა. ეს ყვავილები შემოდგომის მაუწყებელი იყო. ისინი ამბობდნენ, რომ ზაფხული დასრულდა. ახლა ჟენევაში კიდევ დიდხანს არ იქნება მაგიდები კაფეებისა და რესტორნების ღია ტერასებზე, პარკებიდან გაქრებიან მოსეირნეები. კეთილი. ის ტოვებს ამ ქალაქს, რადგან მან არჩევანი გააკეთა, ასე რომ, სასაყვედურო არაფერია.
გაფრენამდე ოთხი საათი რჩებოდა. აეროპორტში მარიამ კიდევ ერთი ჭიქა ყავა დალია და ჩასხდომის გამოცხადებას დაელოდა, თან ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ რალფი გამოჩნდებოდა: გუშინ ხომ მოასწრო ეთქვა მისთვის, რომელ საათზე იყო რეისი. კინოებშიც მუდამ ასე ხდება — უკანასკნელ მომენტში, როცა ქალი უკვე მზადაა, ჩაჯდეს თვითმფრინავში, გამოჩნდება სასოწარკვეთილი მამაკაცი და ავიაკომპანიის მსახურთა ირონიულ-თანამგრძნობი მზერების თანხლებით ჩაბღუჯავს მას, კოცნის და თავის სამყაროში აბრუნებს. ჩნდება წარწერა „დასასრული“ და მაყურებელი იშლება დარწმუნებული იმაში, რომ ამიერიდან ეს წყვილი აუცილებლად ბედნიერი იქნება.
„კინოში არასოდეს აჩვენებენ, რა მოხდა შემდეგ“, — საკუთარი თავის დასამშვიდებლად წარმოთქვა მარიამ. შემდეგ კი — ქორწინება, სამზარეულო, ბავშვები, სექსი მოვალეობის მოხდის მიზნით, თუნდაც ცოლქმრული, მაგრამ სულ უფრო და უფრო იშვიათი. და აი, პირველად ნაპოვნი ბარათიც საყვარლისაგან და სკანდალის გამართვის სურვილი, შემდეგ კი — დაპირებანი, რომ ეს აღარასოდეს განმეორდება, მერე მეორე ბარათი (უკვე სხვა ქალისაგან), ისევ სკანდალი და გაყრის მუქარა, მაგრამ ამჯერად ქმარი უკვე გარკვეულს აღარაფერს გპირდება და მხოლოდ ამბობს, რომ უყვარს ის. მესამე ბარათი (მესამე ქალისგან), ამაზე, როგორც წესი, გაჩუმებას ამჯობინებენ, ვითომც არაფერი ხდება, რადგანაც ახლა ქმარმა შეიძლება უთხრას, რომ სულაც აღარ უყვარს და სადაც უნდა, იქ წავიდეს, ოთხივ კუთხით გზა ხსნილი აქვს.
კინოში მსგავსს არაფერს აჩვენებენ. ფილმი იმაზე ადრე მთავრდება, სანამ სხვა სამყარო დაიწყება. ასე რომ, ჯობია, არ იფიქრო.
მარიამ თავიდან ბოლომდე წაიკითხა სამი ჟურნალი. ბოლოს და ბოლოს მისი რეისი გამოაცხადეს, მოეჩვენა, რომ უსასრულოდ დიდხანს მიდიოდა აეროპორტის გრძელ კორიდორში და აი, თვითმფრინავში აღმოჩნდა. ღვედების შეკვრისას კიდევ ერთხელ წარმოიდგინა ყბადაღებული ფინალური სცენა: ვიღაცის ხელი ედება მის მხარს, ის ტრიალდება და რალფს ხედავს.
მსგავსი არაფერი მომხდარა.

ჟენევიდან პარიზამდე ხანმოკლე გადაფრენისას მარიას ეძინა. იმის მოფიქრებაც კი ვერ მოასწრო, თუ რას იტყვის სახლში, რა ისტორიას მოიგონებს. თუმცა, ეს არც არის მნიშვნელოვანი: მშობლები, უეჭველია, ისედაც ბედნიერები იქნებიან იმის გამო, რომ შვილი დაბრუნდა მშობლიურ ჭერქვეშ, მათ კი საკუთარი ფაზენდა და უზრუნველყოფილი სიბერე ექნებათ.
მარია ბიძგმა გამოაღვიძა — თვითმფრინავი ასაფრენი ზოლის ბეტონზე დაეშვა. სტიუარდესამ განმარტა, რომ თვითმფრინავი ჩ ტერმინალში დაჯდა, ის კი F ტერმინალში უნდა მოხვდეს, საიდანაც იქნება რეისი ბრაზილიაში, მაგრამ ნუ ინერვიულებს — ჩამოფრინდნენ დაგვიანების გარეშე, დრო საკმარისია, ხოლო თუ მას გზის აბნევისა ეშინია, აეროპორტის თანამშრომელი დახვდება და ადგილამდე მიაცილებს.
სანამ თვითმფრინავი ტერმინალს მიადგებოდა, მარია ფიქრობდა, ხომ არ დარჩენილიყო ორიოდე დღით ამ ქალაქში — მხოლოდ იმისათვის, რომ სურათები გადაეღო და მერე მოსაყოლად ჰქონოდა, რომ პარიზშიც ნამყოფია. მას რაღაც დრო სჭირდებოდა, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩენილიყო, ყველაფერი გაეაზრებინა, უფრო ღრმად გადაემალა წინა ღამის მოგონებები, რათა შეძლებოდა ამ მოგონებებით სარგებლობა მაშინ, როცა დასჭირდებოდა იმის გაგება, რომ ცოცხალია.
სტიუარდესამ ბილეთს დახედა და აუწყა, რომ ეს, სამწუხაროდ, შეუძლებელია, დაუყოვნებლივ უნდა გადაჯდეს. საკუთარი თავის სანუგეშოდ მარიამ გაიფიქრა, რომ ასე ჯობია — ასეთ მშვენიერ ქალაქში მარტო ყოფნა დასანანი იქნებოდა. თუ იმდენი მოახერხა, რომ შეინარჩუნა სიმშვიდე, სიმტკიცე, თავდაჭერილობა, თუკი ნებისყოფამ არ უღალატა, მაშინ რაღად უნდა გაიმწაროს სული პარიზის ქუჩების ხედებით, რომლებზეც ესოდენ კარგი იქნებოდა რალფთან ერთად გავლა?
მარია თვითმფრინავიდან ჩამოვიდა, საბაჟო კონტროლი გაიარა, სადარდებელი არაფერი იყო: ბარგი უიმისოდ უნდა გადაეტვირთათ მეორე თვითმფრინავზე. კარი გაიხსნა, მგზავრები დამხვდურებს გადაეხვივნენ: ვინ — ცოლს, ვინ — დედას, ვინ — ბავშვებს. მარიამ თავი ისე დაიჭირა, — ისევ თავისი სიმშვიდისთვის, — თითქოს მას ეს ყველაფერი არანაირად არ ეხებოდა, თუმცა მარტოობის მწეწკავი გრძნობისაგან თავს მაინც უხერხულად გრძნობდა, მაგრამ არაფერია — ახლა იგი აღარ იქნება ასე უსაშველოდ მწარე: მას აქვს საიდუმლო, აქვს სიზმარი, აქვს მოგონება. ახლა მარტოობასთან გამკლავება უფრო ადვილი იქნება.
— პარიზი პარიზად დარჩება.
არა, ეს არ არის გიდი ტურისტული სააგენტოდან, ეს არ არის ტაქსის მძღოლი. ფეხები მოეკვეთა ამ ხმის გაგონებაზე.
— პარიზი პარიზად დარჩება?
— ეს არის ფრაზა ჩემი საყვარელი ფილმიდან. გინდა ეიფელის კოშკის ნახვა?
დიახ, უნდა. საშინლად უნდა ეიფელის კოშკის ნახვა. რალფ ჰარტს ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა, თვალები კი უბრწყინავდა — სწორედ იმ შუქით უელავდა, რომელიც მარიამ პირველ დღეს შენიშნა, როცა კაფეში პოზიორობდა ცივი ნიავისაგან მობუზული.
— როგორ მოხდა, რომ აქ ჩემზე ადრე აღმოჩნდი? — ეს ჰკითხა მხოლოდ იმისათვის, რომ დაეფარა ბედნიერი დაბნეულობა, ამ შეკითხვას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: უბრალოდ, მარიას სულის მოთქმა სჭირდებოდა.
— მე ვხედავდი, როგორ კითხულობდი ჟურნალებს. შემეძლო, უფრო ადრეც მოვსულიყავი შენთან, მაგრამ მე რომანტიკოსი ვარ, ამასთან, გამოუსწორებელი რომანტიკოსი. ამიტომაც გადავწყვიტე, ჟენევასა და პარიზს შორის საჰაერო ხიდი გამედო, ცოტა მესეირნა აეროპორტში, დამეცადა სამ საათს, ზეპირად მესწავლა განრიგი, მეყიდა ყვავილები, წარმომეთქვა ფრაზა, რომელსაც ამბობს რიკი ფილმში „კასაბლანკა“ და წარმომედგინა შენი გაოცებული სახე. და აუცილებლად დარწმუნებული ვყოფილიყავი იმაში, რომ შენ ეს გსურს, რომ შენ მელოდი, რომ

არავითარ სიმტკიცეს, შეწყვილებულს ნებისყოფასთან, არ შეუძლია, ხელი შეუშალოს სიყვარულს, რომ მან დროდადრო თავისი ახირების მიხედვით შეცვალოს თამაშის წესები. სულაც არ არის ძნელი რომანტიკოსობა, ასე არ არის?
მარიას წარმოდგენა არ ჰქონდა, ძნელი იყო ეს თუ არა, თან ეს სულაც არ ადარდებდა, თუმცა ხვდებოდა, რომ სულ ახლახან გაიცნო ეს ადამიანი და მხოლოდ რამდენიმე საათის წინ პირველად გაატარა მასთან ღამე. წინადღით მისი მეგობრები გაიცნო, ცოტა ადრე კი გაიგო, რომ რალფი „კოპაკაბანაში“ დადიოდა, რომ ორჯერ იყო დაქორწინებული. ვერ იტყვი, რომ მას უმწიკვლო ატესტატი აქვს. მეორე მხრივ, მარიას აქვს ფაზენდის ფული და მთელი ახალგაზრდობა ჯერ კიდევ წინ არის, ზურგს უკან კი — უზარმაზარი გამოცდილება და სრული დამოუკიდებლობა სულში. რა გაეწყობა, თუ ბედი მუდამ მის მაგივრად აკეთებს არჩევანს, შეიძლება კიდევ ერთხელ გარისკოს.
მარიამ აკოცა მას, თან იოტისოდენადაც არ ანაღვლებდა, რა მოხდებოდა ეკრანზე „დასასრულის“ გამოჩენის შემდეგ. მაგრამ თუ როდისმე ვინმე გადაწყვეტს მისი ისტორიის მოყოლას, მარია სთხოვს მას, რომ ის იწყებოდეს ისე, როგორც იწყება ჯადოსნური ზღაპარი:
იყო და არა იყო რა...

ბოლოთქმა

ისევე, როგორც ამქვეყნად ყოველმა ადამიანმა, — და მოცემულ შემთხვევაში ამგვარი განზოგადება გადაჭარბებულად არ მეჩვენება, — მეც მაშინვე ვერ გავაცნობიერე სექსში ჩაქსოვილი წმინდა არსი. ჩემი ახალგაზრდობა დაემთხვა დაუოკებელი, ზღვარსგადასული თავისუფლების ეპოქას, როდესაც კეთდებოდა მნიშვნელოვანი აღმოჩენები და ბევრი რამ იყო მოჭარბებული, მეტისმეტი. შემდეგ დადგა დათრგუნვის, კონსერვაციის პერიოდი — უცილობელი სამაგიერო მთელი ამ გადაჭარბებულობისათვის, რომელმაც მართლაც დატოვა საკმაოდ მახინჯი ნაიარევი.
ამ ზემოხსენებული გადაჭარბებულობის ეპოქაში (მხედველობაში მაქვს 70-იანი წლები) მწერალმა ირვინგ უოლესმა დაწერა რომანი ცენზურის შესახებ შეერთებულ შტატებში, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იურიდიულ ხრიკებსა და ეშმაკობებს იყენებდა ხელისუფლება, როდესაც ცდილობდა, აეკრძალა ერთი წიგნის დაბეჭდვა, რომელიც ეძღვნებოდა სექსის პრობლემებს. ამ წიგნის სათაური იყო „შვიდი წუთი“.
უოლესის რომანში თვითონ წიგნი გაკვრით არის ნახსენები, იგი მხოლოდ საბაბია ცენზურაზე სასაუბროდ და სექსისა და სექსუალობის თემას ოდნავ თუ ეხება. მე ვცადე, წარმომედგინა, რაზე იქნებოდა საუბარი ამ წიგნში და საკუთარ თავს ვკითხე: შევძლებდი კი ასეთი წიგნის დაწერას?
უოლესი ხშირად იმოწმებს ამ არარსებულ წიგნს და ამ გარემოებამ არა თუ გააძნელა, შეუძლებელიც კი გახადა იმ ამოცანის შესრულება, რომელიც ჩემს წარმოდგენაში დავისახე. დარჩა მხოლოდ მოგონება სათაურის შესახებ (უოლესს, ჩემი აზრით, რამდენადმე ძველმოდური წარმოდგენა ჰქონდა დროის შესახებ, ამიტომაც გადავწყვიტე, ეს დრო გამეზარდა) და აზრი სექსუალობის ფენომენის სერიოზული გამოკვლევის აუცილებლობაზე — რაც, სხვათა შორის, უკვე ბევრ მწერალს გაუკეთებია.
1997 წელს იტალიის ქალაქ მანტუაში, სადაც ტარდებოდა რაღაც კონფერენცია, პორტიემ გადმომცა ხელნაწერი. მე, როგორც წესი, ხელნაწერებს არ ვკითხულობ, ეს კი რატომღაც წავიკითხე. ეს აღმოჩნდა ნამდვილი ამბავი ბრაზილიელი მეძავისა, რომელიც აღწერდა თავის ქორწინებებს, თავის უთანხმოებებს კანონთან, თავის ჭირვარამსა და თავგადასავლებს. 2000

წელს, ციურიხში ყოფნისას, მე დავურეკე ამ მეძავს, რომელიც სონიას სახელით მუშაობდა, ვუთხარი, რომ მომეწონა მისი მონათხრობი და ვურჩიე, გაეგზავნა იგი ჩემი ბრაზილიელი გამომცემლისთვის. თუმცა მან არჩია, არ დაებეჭდა იგი. სონია, რომელიც იმხანად იტალიაში ცხოვრობდა, ჩაჯდა მატარებელში და ჩამოვიდა ჩემთან ციურიხში. მან წაგვიყვანა მე, ჩემი ამხანაგი და ჟურნალ „ათინათის“ ერთი თანამშრომელი, რომელიც იმ საღამოს ჩემგან ინტერვიუს იღებდა, ლანგშტრასეზე, იქაური მეძავების თავშეყრის ადგილზე. მე წარმოდგენაც არ მქონდა, რომ სონიას უკვე გაეფრთხილებინა თავისი დაქალები, რომ ჩვენ მივიდოდით მათთან და, ჩემდა გასაკვირად, საქმე ავტოგრაფების დარიგებით დამთავრდა — მე ხელს ვაწერდი სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ჩემს წიგნებს.

ამ დროისათვის უკვე მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება, დამეწერა სექსზე, მაგრამ ჯერ არ მქონდა არც თხრობის ქარგა, არც მთავარი გმირი მყავდა, მაგრამ ლანგშტრასეზე ამ ლაშქრობის შემდეგ მივხვდი: იმისათვის, რომ დაწერო სექსის წმინდა მხარეზე, ჯერ აუცილებელია გაიგო, რატომ იყო იგი ეგზომ წაბილწული და უხამსი.

შვეიცარიული ჟურნალის „ლ’ილუსტრე“-ის თანამშრომელთან საუბარში მე ვუამბე ლანგშტრასეზე მომხდარ ამ იმპროვიზირებულ „შეხვედრაზე მკითხველებთან“. მან კი ამის შესახებ ვრცელი ნარკვევი დაბეჭდა. და აი, შედეგად იქ, სადაც მე ავტოგრაფებს ვარიგებდი — ეს უკვე ჟენევაში ხდებოდა — მოვიდა რამდენიმე მეძავი ჩემი წიგნებით. ერთმა მათგანმა ჩემში ცხოველი ინტერესი გამოიწვია: მე, ის და ჩემი ლიტერატურული აგენტი და მეგობარი მონიკა ანტუნესი ერთად წავედით თითო ფინჯანი ყავის დასალევად. „ფინჯანი ყავა“ გადაიზარდა ვახშმობაში, რომელსაც ახალი შეხვედრები მოჰყვა. ასე გაჩნდა მთავარი ხაზი — ან, თუ გნებავთ, გზამკვლევი ძაფი — „თერთმეტი წუთისა“.

გულწრფელ მადლობას ვუხდი ანა ფონ პლანტას, ჩემს შვეიცარიელ გამომცემელს, რომელმაც მომაწოდა მნიშვნელოვანი ცნობები პროსტიტუციის იურიდიული მხარის შესახებ მის ქვეყანაში. მადლიერი ვარ ციურიხში მცხოვრები ქალბატონებისა — სონიასი, რომელსაც პირველად მანტუაში შევხვდი (ვინ იცის, იქნებ ვინმემ გამოაქვეყნოს მისი მონათხრობი), მარტასი, ანტენორესი, იზაბელასი (ყველა სახელი გამოგონილია), აგრეთვე მათი ჟენეველი კოლეგებისა — ამისი, ლუჩიასი, ანდრეასი, ვანესასი, პატრიკის, ტერეზასი, ანა-კრისტინასი.

მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ანტონელა ზარას, რომელმაც ნება დამრთო, გამომეყენებინა ფრაგმენტები მისი წიგნიდან „ვნების მეცნიერება“ მარიას დღიურის ჩანაწერებში.

და ბოლოს, მადლობა თვითონ მარიას (სახელი, რა თქმა უნდა, ასევე გამოგონილია, ასე ვთქვათ ფსევდონიმია), რომელიც ამჟამად ლოზანაში ცხოვრობს ქმართან და ორ მომხიბლავ ქალიშვილთან ერთად და რომელმაც ჩვენი არაერთი შეხვედრის დროს გაგვანდო მე და მონიკას ისტორია, რომელიც საფუძვლად დაედო ამ წიგნს.